

როგორ
გვიყვარდეს

უნდა
შვილები

როს კემბელი



როგორ
გვიყვარდეს

უნდა
შვილები

როს კემბელი



OM
EAST



eBooks for download
east.om.org/ebooks



საავტორო უფლება © 1977,1992,2004

პირველად დაიბეჭდა ამერიკის შეერთებულ შტატებში 1977 წელს ყველა უფლება დაცულია. გამომცემელთან შეთანხმების გარეშე არ შეიძლება ამ წიგნის არანაირი ფორმით -ელექტრონული, მექანიკური, ფოტო თუ სხვა – გადაკეთებული ვერსიის გამოყენება, გარდა მოკლე ციტირების ან მიმოხილვისა.

ქართული გამოცემა 2014 წელი

მთარგმნელი: ლალი ჰანმერი

რედაქტორი: ლუხუმ მაისურაძე

Translator: Lali Hanmer

Editor: Lukhum Maisuradze

Graphics and Layout: OM EAST

Originally published in English under the title

How to Really Love Your Child by D. Ross Campbell

© 1977, 1992, 2004 by David C. Cook, 4050 Lee Vance View, Colorado Springs, CO 80918 U.S.A.

© 2014 by OM EAST for the Georgian edition.

Translated by permission. All rights reserved.

ამ წიგნში წაიკითხავთ...

... შენი შვილის უნიკალური თვისებების
იდენტურობა

... ყველასათვის დამახასიათებელი
საერთო არასწორი შეხედულებები

... ჯანსაღი კავშირის განვითარება

... გაიგო რას განიცდის ბავშვი

... სიყვარულის გამომუშავება

... ყურადღების გაცემა და მიღება

... დაჯილდოვება და დასჯა

... შენი სულიერი ცხოვრების გაზიარება



წინასიტყვაობა

ეს არის მეტად სასარგებლო წიგნი, რადგან დღევანდელ მსოფლიოში ბავშვის სწორი აღზრდა ადვილი საქმე არ არის. ეს წიგნი ღრმად განიხილავს მშობლად ყოფნის ნამდვილ პრობლემებს.

მშობლებს არანაირი სწავლება არ მიუღიათ იმაზე, როგორ უნდა იყვნენ კარგი მშობლები, და როგორც ჩანს ბავშვების აღზრდა შემთხვევით საქმიანობას წარმოადგენს. როგორც ჩანს 'წარმატებაც' კი შემთხვევითია. ეს წიგნი მშობლებს წარუძღვება დღევანდელი ცხოვრების სწორი არჩევანის გზისაკენ.

ავტორი, დოქტორი როს კემბელი, მიგვითითებს სხვადასხვა სფეროზე, რომლისმეშვეობითაც ბავშვები ნამდვილს იყვარულს მიიღებენ; განსაკუთრებით თვალის კონტაქტით, ფიზიკური შეხებით, და 'მზრუნველი ყურადღებით.' ის შეგვახსენებს კითხვას 'გიყვარვარ?' რომელსაც ბავშვები გამუდმებით სვამენ სხვადასხვა საქციელით. იგი მგრძნობიარედ ეხება დისციპლინის საკითხს და ოჯახში მის როლს. ეს საკითხები მას წარმოდგენილი აქვს ქრისტიანულ ჭრილში-და არა მხოლოდ ჩვენთვის სასიამოვნო პასუხებს გვანვდის, არამედ მიზნად ისახავს გვაპოვნინოს ჩვენს შვილებთან სიხარულით სავსე ნამდვილი და ღრმა ურთიერთობის გზები.

ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ავტორის გულწრფელობამ, იგი არა მარტო კარგ პრინციპებს გვიზიარებს, არამედ იმასაც, თუ როგორი ეფექტი ჰქონდა ამ პრინციპებს მის ოჯახში. იგი თავს კი არ არიდებს პრობლემებს, არამედ მისგან გამოსავალ გზებს გვთავაზობს, მარცხთან ერთად წარმატებებზეც გვესაუბრება. წიგნის სანდოობა იმაში ვლინდება, რომ კი არ გვადანაშაულებს მარცხისას, არამედ უკეთესი გზისაკენ მიგვითითებს. წიგნში აშკარად იგრძნობა მშობლობის პასუხისმგებლობა და სიხარული.

დოქ. კემბელი წერს როგორც ფსიქიატრი, მაგრამ უბრალო ადამიანისათვის გასაგები ენით. ჩვენი რჩევა იქნება ეს წიგნი წაიკითხოთ მანამ, სანამ თქვენი შვილები თინეიჯერები გახდებიან. ეს არის პრაქტიკული წიგნი, რომლის წაკითხვისა და ხელახლა წაკითხვის სურვილი მოგეცემათ თქვენი შვილების თინეიჯერობის ასაკში.

როი და ფიონა კასლები



შესავალი

ეს წიგნი იმ მშობლებისთვისაა, რომელთა შვილებსაც ყმანვილობისასაკამდე ჯერ არ მიუღწევიათ. მისი დანიშნულება არის მისცეს დედას და მამას ფართო ნარმოდგენა და პრაქტიკული გზა თითოეული ბავშვის აღზრდის შესანიშნავ საქმეში. მე ვფიქრობ ბავშვების საჭიროებებზე და მათი გადაჭრის საუკეთესო გზებზე.

ძალზე რთულია ეს პროცესი, რის გამოც მშობლების უმეტესობა დღეს სერიოზულ პრობლემას აწყდება. სამწუხაროდ, ბავშვების შესახებ წიგნების, სტატიების, ლექციებისა და სემინარების შედეგად მიღებული შესანიშნავი და უამრავი ინფორმაციის მიუხედავად მშობლები იმედგაცრუებულნი და თავგზააბნეულნი არიან.

დარწმუნებული ვარ, რომ პრობლემა უამრავ წიგნში, სტატიასა თუ ლექციაშია განხილული. შესაძლოა მხოლოდ ერთი, ან უფრო მეტად რამოდენიმე განსაკუთრებული საკითხი. შედეგად, მრავალ მშობელს გულწრფელად უცდია ნაკითხულის ან მოსმენილის პრაქტიკაში გამოყენება, და მარცხი განუცდიათ. როგორც წესი, მათი მარცხი გამონვეული არ არის ნაკითხული ან მოსმენილი ინფორმაციის სიმცდარის ან მისი მეთოდების პრაქტიკაში არასწორად გამოყენების შედეგად.

უფრო მეტად, პრობლემა იმაშია, რომ მშობლებს არა აქვთ ბავშვთან ურთიერთობაში სრული, განონასწორებული პერსპექტივა. მშობლების უმრავლესობას აქვს მნიშვნელოვანი ინფორმაცია, მაგრამ არ იციან როდის, რომელი და რა მდგომარეობაში გამოიყენონ. მშობლებს ეუბნებიან რა გააკეთონ, მაგრამ არ ეუბნებიან როდის, ხშირ შემთხვევაში არც იმას ასწავლიან როგორ გააკეთონ.

ამის კლასიკური მაგალითია დისციპლინის სფერო. შესანიშნავი წიგნები და სემინარები გვაქვს საბავშვო დისციპლინის თაობაზე, მაგრამ ამ წიგნებმა მარცხი განიცადა იმ საკითხის წარმოჩენაში, რომ დისციპლინა არის ბავშვის პრობლემებთან დაკავშირებული ერთ-ერთი საკითხი. შედეგად, მრავალმა მშობელმა დაასკვნა, რომ დისციპლინა ბავშვთან დამოკიდებულების ძირითადი და ერთადერთი გზაა. ადვილია ასეთი განცხადების მოსმენის შემდეგ შეცდომის დაშვება, 'თუ გიყვარს შენი შვილი უნდა წვრთნიდე.' რაც, რა თქმა უნდა სიმართლეს შეეფერება, მაგრამ ტრაგედია იმაში მდგომარეობს, რომ ბევრი მშობელი მხოლოდ წვრთნის, მაგრამ არ აჩვენებს სიყვარულს. აქედან გამომდინარე, ბავშვების უმეტესობას ეჭვი ეპარება, რომ ისინი ნამდვილად და უპირობოდ უყვართ. კიდევ ერთხელ გავამახვილებთ ყურადღებას, რომ პრობლემა დისციპლინა არ არის; პრობლემა არის როგორ გამოვხატოთ სიყვარული ბავშვისათვის დისციპლინის სწავლებისას და როგორ დავანახოთ მას ეს სიყვარული, უფრო ეფექტური გზით.

ამ საკითხს უფრო დანვრილებით შევხებით ბავშვის აღზრდის პრობლემების განხილვისას. ამასთან ერთად, ვიმედოვნებთ, რომ მოგანვდით ინფორმაციას, რაც დაეხმარება მშობლებს სხვადასხვა სიტუაციაში სწორი გადაწყვეტილების მიღებაში. რა თქმა უნდა, ყველა სიტუაციის სწორად გაკონტროლება შეუძლებელია; თუმცა, რაც უფრო ვუახლოვდებით საკითხს, მით უფრო უკეთესი მშობლები ვხდებით, უფრო კმაყოფილები ვართ და ჩვენი ბავშვებიც უფრო ბედნიერები არიან.

1

პრობლემა

‘ტომი იზრდებოდა, ძალიან კარგი ბიჭი იყო და კარგადაც იქცეოდა,’ დაიწყეს დამნუხრებულმა მშობლებმა ოჯახური საიდუმლოს ფარდის ახდა, ესთერ სმიტმა და მისმა მეუღლემ, ჯიმიმ ჩემს ოთახში რჩევის საკითხავად მოსვლისას. ‘დიახ, ის კმაყოფილი ჩანდა და დიდი პრობლემების წინაშე არასოდეს დავუყენებიავართ. ყველაფერი გავაკეთეთ იმისათვის, რათა საჭირო გამოცდილება მიგვეცა-სკაუტები, ფეხბურთი, ეკლესია და ყველაფერი. ახლა ის თოთხმეტი წლისაა და გამუდმებით ეჩხუბება თავის და-ძმას-მაგრამ ეს უბრალოდ და-ძმური ჩხუბი არ არის. ტომი-ის ტომი აღარ არის-იგი არასოდეს ყოფილა ჩვენთვის ასეთი პრობლემური,’ დაასკვნა ესთერ სმიტმა. ‘ხანდახან უხასიათოდ არის და დიდი ხნის განმავლობაში საკუთარ ოთახში იკეტება. მაგრამ არასოდეს გამოუხატავს უპატივცემულობა ან დაუმორჩილებლობა, არც სიტყვა შემოუბრუნებია. მამა ესაუბრა მას ამის შესახებ.

‘ერთი რამ ვიცი, რომ დისციპლინა არ აკლია. თუმცა ეს გადაიქცა ჩვენთვის გამოცანად. როგორ შეიძლება კარგად აღზრდილმა ბავშვმა არასწორად აღზრდილ თანატოლებთან ურთიერთობა და იმის კეთება დაიწყოს რასაც ისინი აკეთებენ? და ამით უპატივცემლობა გამოხატოს მშობლებისა და სხვა უფროსების მიმართ? ის ბავშვები იტყუებიან, ქურდობენ, და

სასმელს ეძალებიან. ამის შემდეგ აღარ შემიძლია ტომის ნდობა. ისეთი პირქუში და ჩუმი გახდა. არც კი მიყურებს. გეგონება არაფრის გაკეთება არ უნდა ჩვენთან. წელს სწავლაშიც მოიკოჭლა.’

‘როდის შენიშნეთ ეს ცვლილება ტომში?’ ვკითხე მე.

ჯიმ სმიტმა ჭერში აიხედა. ‘ნება მომეცით დავფიქრდე. ის ახლა თოთხმეტი წლისაა, თითქმის თხუთმეტის,’ თქვა მან. ‘სკოლაში მიღებული დაბალი ნიშნები გახდა პირველი სიგნალი. დაახლოებით ორი წლის წინ, მეექვსე კლასის დასრულებამდე ბოლო რამოდენიმე თვე, შევნიშნეთ, რომ სკოლა მოეწყინა, შემდეგ სხვა საკითხებმაც იჩინა თავი. სძულდა ეკლესიაში წასვლა. მოგვიანებით მეგობრებისადმი ინტერესიც დაკარგა და უფრო მეტ დროს მარტოობაში ატარებდა, საკუთარ ოთახში. უფრო და უფრო ცოტას საუბრობდა.’

‘მაგრამ, როცა ზედა კლასებში გადავიდა საქმე უფრო გართულდა. დაკარგა თავისი საყვარელი საქმიანობებისადმი ინტერესი-სპორტისადმიც კი. მაშინ საერთოდ ჩამოშორდა საყვარელ მეგობრებს და პრობლემურ ბიჭებთან დაიჭირა საქმე. ტომის დამოკიდებულებები შეიცვალა და მათსა დაემსგავსა. ამ მეგობრებმა ბევრჯერ გახვიეს შარში.’

‘ჩვენ ყველაფერს ვეცადეთ.’ გააგრძელა ქალბატონმა სმიტმა. ‘ჯერ წამოვარტყით.’ შემდეგ ტელევიზორის ყურება ავუკრძალეთ, ფილმების და ასე შემდეგ. ერთხელ თითქმის მთელი თვე შინაპატიმრობა მივუსაჯეთ. ვეცადეთ კარგი საქციელისათვის დაგვეჯილდოვებინა. დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერი ვცადეთ, რაც გვირჩიეს, წავიკითხავს ან მოგვისმენია. იქნებ ვინმეს შეუძლია დაგვეხმაროს.’

‘რას არ ვაკეთებთ სწორად? ღმერთმა იცის, რომ ძალიან ვეცადეთ,’ დაამატა ჯიმ სმიტმა. ‘შეიძლება ეს თანდაყოლილია. შეიძლება შთამომავლობით მიიღო. ფიზიკურ პრობლემასთან ხომ არა გვაქვს საქმე? ჩვენმა პედიატრმა გამოკვლევა ჩაუტარა რამოდენიმე კვირის წინ. გლანდების სპეციალისტთან ხომ არ წავიყვანოთ? ელექტრო ენცეფალოგრამა ხომ არ გადავუღოთ? დახმარება გვჭირდება. ტომს დახმარება სჭირდება. ჩვენ გვიყვარს ჩვენი ბიჭი, დოქტორო კემბელ. რა შეგვიძლია გავაკეთოთ მის დასახმარებლად? რალაც უნდა ვილონოთ.’

სმიტების წასვლის შემდეგ, ტომი შემოვიდა მრჩეველის ოთახში. მომენონა მისი ბუნებრივი ქცევა და მოხდენილი შესახედაობა. იმშუშნებოდა და თავს იშვიათად ენეოდა მაღლა. ჩანდა, რომ გონება გახსნილი იყო, მაგრამ მოკლედ, უხეშად და ბუზღუნით საუბრობდა. ბოლოს, როცა თავი კომფორტულად იგრძნო თავისი ისტორიის გასაზიარებლად, მშობლების მონათხრობის ანალოგიური ამბავი გამიზიარა. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, მან თქვა, 'არავინ ზრუნავს ჩემზე, გარდა ჩემი მეგობრებისა.'

'არავინ?' ვკითხე მე.

'არა. შეიძლება ჩემი მშობლები. არ ვიცი. როცა პატარა ვიყავი, ვფიქრობდი, რომ ისინი ჩემზე ზრუნავდნენ. როგორც ჩანს ახლა მათ ეს იმდენად აღარ ადარდებთ. მათ მხოლოდ თავიანთი მეგობრები, სამსახური და საქმეები ადარდებთ.

'მათ არ უნდათ იცოდნენ რას ვაკეთებ. ეს მათი საქმე მაინც არ არის. მინდა, რომ მათგან შორს ვიყო და ჩემს ცხოვრებას მე თვითონ ვმართავდე. რატომ უნდა ანუხებდეთ მათ ჩემი ცხოვრება ძალიან? აქამდე არასოდეს ყოფილან ამით დაინტერესებულნი.'

საუბრის გაგრძელებისას შევნიშნე, რომ ტომი დეპრესიაში იყო ჩავარდნილი, არასოდეს ყოფილა საკუთარი თავით ან ცხოვრებით კმაყოფილი. მას სწყუროდა მშობლებთან ისეთი ახლო და თბილი ურთიერთობები ადრე რომ ჰქონდათ, მაგრამ ბოლო თვეების განმავლობაში ამ ოცნებაზე ხელი ჩაიქნია. იგი ისეთ თანატოლებს დაუმეგობრდა, რომლებიც მას მიიღებდნენ, მაგრამ მის უსიხარულობას ბოლო არ უჩანდა.

აი, დღევანდელი ტრაგიკული მდგომარეობა. ყმანვილი ბიჭი, რომლის შესახებაც აქამდე ყველაფერი მის კარგ საქციელზე მონიშნებდა. თორმეტი-ცამეტი წლის ასაკამდე ვერავინ იფიქრებდა, რომ ტომი თავს უბედურად გრძნობდა. ამ წლების განმავლობაში იგი კმაყოფილი ბავშვი იყო, რომელიც აკმაყოფილებდა მშობლების, მასწავლებლებისა და სხვათა მოთხოვნებს. და ვერავინ იფიქრებდა რომ სიყვარულსა და საზოგადოებისაგან აღიარებას ვერ გრძნობდა. მიუხედავად იმისა, რომ მას ჰყავდა მშობლები, რომელთაც ძალიან უყვარდათ და ზრუნავდნენ კიდევ მასზე, ტომი ვერ გრძნობდა ნამდვილ

სიყვარულს. დიახ, მან იცოდა, რომ მშობლებს უყვარდათ და სწუხდნენ მასზე, მაგრამ ემოციურად ის უპირობო სიყვარულსა და მიღებას მოითხოვდა.

რთულია ამის დაჯერება, რადგან ტომის მშობლები ნამდვილად კარგი ადამიანები არიან. მათ უყვართ ის, ზრუნავენ მის საჭიროებებზე და მათი აზრით საუკეთესოს აკეთებენ მისთვის. ჯიშმა და ესთერმა ყველაფერი გააკეთეს ტომის აღზრდისათვის, მოსმენილი, წაკითხული თუ სხვებისაგან მიღებული რჩევების საფუძველზე. მათი ქორწინება ნამდვილად გამორჩეულია. მათ უყვართ და პატივს სცემენ ერთმანეთს.

ნაცნობი ისტორია

მშობლების უმეტესობა სირთულეებს განიცდის შვილების აღზრდაში. ყოველდღიური დაძაბულობა და ზენოლა გავლენას ახდენს ადამიანებზე. განქორწინებულთა რიცხვის ზრდა, ეკონომიკური კრიზისი, განათლების ხარისხის კლება, წინამძღოლებისადმი ნდობის დაკარგვა, ცხადია ყველაფერი ეს ნებისმიერი ადამიანის ემოციურ მდგომარეობაზე მოქმედებს. როგორც კი მშობლები ფიზიკურად, ემოციურად და სულიერად იწყებენ გამოფიტვას, ბავშვის აღზრდა განსაკუთრებით მაშინ ხდება რთული. დარწმუნებული ვარ, რომ ასეთ რთულ მდგომარეობაში ბავშვზე გადადის ძირითადი სიმძიმე. ჩვენს საზოგადოებაში ყველაზე მეტად ბავშვს სჭირდება ზრუნვა, და ყველაზე მეტად მას სჭირდება სიყვარული.

დღეს ტომ სმიტის ამბავი ყველასათვის კარგად ნაცნობია. მის მშობლებს ძალიან უყვართ ის. ყველაფერი გაიღეს მის აღსაზრდელად, მაგრამ რაღაც გამორჩათ. შეამჩნიეთ თუ არა მიზეზი? არა, არა სიყვარული არა! მშობლებს უყვართ ის. ძირითადი პრობლემა ის არის, რომ ტომი ვერ გრძნობს ამ სიყვარულს. მშობლები უნდა დავადასაშაულოთ? ეს მათი ბრალია? მე ასე არ ვფიქრობ. სინამდვილეში, ქალბატონ და ბატონ სმიტებს ყოველთვის უყვარდათ შვილი, მაგრამ არ იცოდნენ როგორ გამოეხატათ ეს გრძნობა. მშობელთა უმრავლესობის მსგავსად, დარწმუნებულნი იყნენ, რომ ტომის საჭიროებებს აკმაყოფილებდნენ: საკვები, თავშესაფარი,

ტანსაცმელი, განათლება, სიყვარული, წინამძღოლობა, და ასე შემდეგ. დიახ, მათ დააკმაყოფილეს ყველა ეს საჭიროება მაგრამ ჯეროვნად ვერ გაიაზრეს მისი მოთხოვნილება უპირობო სიყვარულისათვის. თუმცა, სიყვარული თითქმის ყველა მშობლის გულში დევს, მაგრამ პრობლემა არის მისი გამოხატვა.

დარწმუნებული ვარ, თანამედროვეობის პრობლემების მიუხედავად, ნებისმიერი მშობელი, რომელსაც მთელი გულით სწყურია მისცეს ბავშვს ის, რაც მას სჭირდება, ამის სწავლასაც შეძლებს. იმისათვის, რომ მივცეთ შვილს ყველაფერი რისი გაკეთების ძალაც შეგვწევს, იმ მოკლე დროში, ვიდრე ის ჩვენთან იმყოფება, ყველა მშობელმა უნდა იცოდეს, როგორ უყვარდეს ნამდვილად შვილი.

დისციპლინის რომელი ფორმა არის მისაღები?

‘მახსოვს ექვსი-შვიდი წლის ვიქნებოდი. ახლაც კი მწუხარებას იწვევს ჩემში ამის მოგონება, და ხანდახან ძალიან ვბრაზდები,’ ახსენა ტომმა ჩემთან საუბარში პირველი შეხვედრიდან რამოდენიმე დღის შემდეგ. ‘ერთხელ, შემთხვევით, ფანჯარა ჩავამტვრიე ბურთით. ამის გამო საშინლად ვიგრძენი თავი და ტყეში დავიმაღე ვიდრე დედამ არ მიპოვა. ძალიან ვწუხდი და მახსოვს როგორ ვტიროდი, რადგან ვფიქრობდი, რომ ცუდი ბიჭი ვიყავი. როცა მამა მოვიდა სახლში, დედამ ფანჯრის შესახებ უთხრა და მანაც წამომარტყა.’ და ტომს ცრემლებით აევსო თვალები.

მე შევეკითხე, ‘შენ რა თქვი?’

‘არაფერი,’ ჩაიბუტბუტა მან.

ეს შემთხვევა ბავშვისათვის დისციპლინის სწავლების საკითხში დაბნეულობის ნათელი სურათია. ამ შემთხვევაში, დასჯის გზამ ტომში გამოიწვია ტკივილის, სიბრაზისა და უარყოფის გრძნობა მშობლების მიმართ, რომელიც მას არასოდეს დაავინწყდება და ვერასოდეს მიუტევენ დახმარების გარეშე.

ახლა, წლების შემდეგ, ტომს კიდევ აწუხებს ტკივილის განცდა. რატომ მოახდინა ამ განსაკუთრებულმა შემთხვევამ

ასეთი წარუშლელი შთაბეჭდილება ტომის მეხსიერებაზე? ყოფილა დრო, როდესაც მას პრობლემის გარეშე მიუღია ცემა, ხანდახან მაღლიერიც კი ყოფილა. ეს იმიტომ ხომ არა, რომ ის უკვე სწუხდა ჩადენილ შეცდომაზე და მოინანია ფანჯრის ჩამსხვრევა? უკვე საკმარისად ხომ არ იტანჯა თავისი შეცდომის გამო, ფიზიკური ტკივილის მიყენების გარეშეც? ცემამ ხომ არ უბიძგა ტომს ეფიქრა, რომ მის მშობლებს არ ესმოდათ მისი როგორც პიროვნების ან საკმარისად მგრძნობიარენი არ იყვნენ მისი განცდების მიმართ? თავისი მშობლების თბილი და თანაგრძნობით სავსე დამოკიდებულება ხომ არ სჭირდებოდა იმ დროს, ვიდრე მკაცრი დასჯა? თუ ასე იყო, როგორ უნდა გაეგოთ ეს ტომის მშობლებს? მაშინ როგორ უნდა მიმხვდარიყვნენ მშობლები დასჯის როგორი ფორმა იქნებოდა შესაფერისი იმ დროს?

თქვენ რას ფიქრობთ, მშობლებო? შეიძლება თუ არა წინასწარ გადავწყვიტოთ მოქმედების როგორ ხერხებს გამოვიყენებთ ბავშვის აღზრდაში? ხომ არ ფიქრობთ რომ თანმიმდევრულები უნდა ვიყოთ? რამდენად თანმიმდევრულები? ყოველთვის უნდა გამოვიყენოთ დასჯის მეთოდი, როცა ბავშვები რაიმეს აშავებენ? თუ ასეა, ყოველთვის ერთნირი სასჯელის ფორმა უნდა გამოვიყენოთ? რა არის დისციპლინა? არის თუ არა დისციპლინა და დასჯა ერთმანეთის სინონიმები? ტრეინინგი ხომ არ გავიაროთ რომელიმე სკოლაში, მაგალითად, ეფექტური მშობელი, და პრაქტიკაში განვახორციელოთ ყველაფერი? ან ჩვენი ინტუიცია და მიხვედრილობა ხომ არ გამოგვეყენებინა? თუ ნაწილობრივ ყველა? რამდენი? როდის?

დღეს ყველა მზრუნველი მშობლისათვის ეს შეკითხვები სირთულეს წარმოადგენს. უამრავი წიგნი, სტატია, სემინარი და სასწავლებლები განიხილავენ ბავშვის აღზრდის საკითხს. მიდგომა მრავალგვარია, ბავშვისათვის ნაკლებად მტკივნეულ ადგილზე წამორტყმიდან დაწყებული კამფეტით დაჯილდოვებით დამთავრებული.

მოკლედ რომ ვთქვათ, როგორ უნდა წარმართონ მშობლებმა ეს სიტუაცია ისე, რომ ტომი დაესაჯათ მაგრამ მასთან სიყვარულითა და სითბოთი სავსე ურთიერთობა

შენარჩუნებინათ? ამ რთულ საკითხს ცოტა მოგვიანებით შევეხებით.

ვფიქრობ ყველა მშობელი დამეთანხმება, რომ დღეს ბავშვის აღზრდა რთულ საქმეს წარმოადგენს. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ ბავშვის დრო სხვების მიერ გადაჭარბებულ კონტროლსა და გავლენას განიცდის; მაგალითად, სკოლა, ეკლესია, სამეზობლო, და თანატოლები. ამის გამო მრავალი მშობელი ფიქრობს, რომ მნიშვნელობა არა აქვს რამდენად კარგად ართმევენ თავს საქმეს, მათ მცდელობას მაინც უმნიშვნელო გავლენა აქვს შვილებზე.

სიმართლე კი პირიქითაა

საპირისპირო მდგომარეობა შეეფერება სიმართლეს. ჩემს მიერ წაკითხული ყველა სწავლება მოწმობს, რომ ოჯახს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ვიდრე სხვა გარემოებებს. მშობლების გავლენა ყველაფერზე მაღლა დგას. ოჯახი ახდენს გავლენას იმაზე თუ რამდენად ბედნიერი, დაცული, და სტაბილურია ბავშვი; როგორ ურთიერთობებს ამყარებს უფროსებთან, თანატოლებთან, და განსხვავებულ ბავშვებთან; რამდენად თავდაჯერებულია ახალგაზრდა საკუთარ თავში და შესაძლებლობებში; რამდენად ეფექტურია ან რამდენად გულგრილი; როგორი რეაქცია აქვს უცხო მდგომარეობებზე. დიას, მიუხედავად მრავალი ფაქტორისა, ოჯახი ახდენს ბავშვზე უდიდეს გავლენას.

მაგრამ ოჯახი არ არის ის ერთადერთი რამ, რაც განსაზღვრავს თუ როგორი ჩამოყალიბდება ბავშვი. შეცდომა არ უნდა დავუშვათ და ყველა შეცდომასა და იმედგაცრუებაში ოჯახი არ უნდა დავადანაშაულოთ. სამართლიანობისა და სრულყოფილების მიზნით, დარწმუნებული ვარ უნდა განვიხილოთ ბავშვზე უდიდესი გავლენის მეორე სფერო.

თანდაყოლილი ტემპერამენტი

არსებობს მრავალი თანდაყოლილი ტემპერამენტი. ცხრა მათგანი განსაკუთრებით არის დღევანდელი საზოგადოების დამახასიათებელი. წარმოდგენილი შედეგები ეფუძნება

დოქტორების, სტელა ჩესისა და ალექსანდრე ტომასის კვლევებს. მათ ნიგნში შემდეგ ფრაზას შეხვდებით. *ტემპერამენტი და ყოფაქცევის მოშლილობა ბავშვებში, უნივერსიტეტის გამომცემლობა, ნიუ იორკი.*

ეს ნიგნი კლასიკურ ნაშრომად არის აღიარებული და ნამდვილად დიდ დახმარებას ნაწარმოადგენს ქცევითი მეცნიერების სამყაროსათვის. იგი სიღრმისეულად განიხილავს ბავშვების ინდივიდუალური ქცევის მახასიათებლებს. გვეხმარება გავიგოთ რატომ არის, რომ ზოგიერთი ბავშვის აღზრდა უფრო ადვილია ვიდრე დანარჩენების. რატომ არის ზოგიერთებთან ურთიერთობა უფრო ადვილი. რატომ არიან ერთ ოჯახში ან მსგავს მდგომარეობაში გაზრდილი ბავშვები განსხვავებულნი.

ჩესმა და ტომასმა კარგად დაგვანახეს როგორ განსაზღვრავს ბავშვის ხასიათს არა მარტო ოჯახური მდგომარეობა არამედ მისი პირადი თვისებები. ამან უამრავი უსამართლო ბრალდება ჩამოაშორა პრობლემური ხასიათის ბავშვების მშობლებს. მრავალი ადამიანის სამწუხარო თვისებაა (პროფესიონალების ჩათვლით) იმისი ფიქრი, რომ მხოლოდ მშობლები არიან დამნაშავენი შვილებთან მიმართებაში. ჩესისა და ტომასის კვლევები აჩვენებენ, რომ ზოგიერთი ბავშვი სხვებთან შედარებით ბენებრივად არის მიდრეკილი სირთულეებისაკენ.

მოდით მოკლედ მიმოვიხილოთ მათი კვლევის შედეგები. ცხრა თვისება, რომელიც სამშობიარო სახლში შეინიშნება. ეს თვისებები არა მარტო დაბადებიდან არის თანდაყოლილი, არამედ ბავშვის ძირითად ხასიათს განსაზღვრავს და სავარაუდოდ ბოლომდე მასში რჩება. ამ თვისებებს შეიძლება სახე შეუცვალოს ბავშვის გარემო პირობებმა; თუმცა, ხასიათი უკვე კარგად არის გამოკვეთილი ბავშვის პიროვნებაში, რაც ადვილად არ შეიცვლება, და მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვება.

აი, ეს ცხრა თანდაყოლილი თვისება:

1. **აქტივობის დონე** არის ბავშვის მამოძრავებელი ძალა, რასაც ჩვილი მემკვიდრეობით იღებს და განსაზღვრავს რამდენად აქტიური ან პასიურია იგი.

2. **რიტმულობა** (რეგულარული ენინააღმდეგება არარეგულარულს) წინასწარ განისაზღვრება შიმშილის, კვების რეგულარულობის, კუჭისა და საშარდე ბუშტის მოქმედებისა და ძილის ციკლით.
3. **შეხება ან უკანდახევა** არის ბავშვის ბუნებრივი რეაქცია ახალი საკვების, სათამაშოს, ან ადამიანისაგან.
4. **შეგუების უნარი** არის სიჩქარე თუ სიმშვიდე, რომლის ფონზეც ყალიბდება ახალი თვისებები გარემო პირობებისათვის მზადყოფნის მიზნით.
5. **რეაქციის ინტენსივობა** არის ხასიათის გამოსახატავად დახარჯული ენერჯის რაოდენობა.
6. **რეაქციის ზღვარი** არის სტიმულის დონე, რომელიც აუცილებელია პასუხისათვის.
7. **ხასიათის რაგვარობა** (პოზიტიური თუ ნეგატიური): სასიამოვნო, სიხარულით აღვსილი, მეგობრული, რომლის საპირისპირო ხასიათიცაა არასასიამოვნო, მტირალა, არამეგობრული დამოკიდებულებები.
8. **ყურადღების გადატანა** არის უცხო გარემოში მიმდინარე მოვლენებისადმი დამოკიდებულება.
9. **ყურადღების სიმტკიცე და შეუპოვრობა** არის მიმდინარე მოვლენის დროის ხანგრძლივობა, რომლის განსახორციელებლადაც დაჟინებით მიიღტვის ბავშვი და მიუხედავად დაბრკოლებებისა მაინც აგრძელებს მიზნისაკენ ლტოლვას.

მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეშვიდე თვისებები მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობს იმის განსაზღვრაში, ადვილი იქნება თუ არა ბავშვის აღზრდა. მკვეთრი რეაქციის ბავშვი

(გადაჭარბებულად 'ემოციური'); ბავშვი, რომელიც ახალ სიტუაციებში უკანდახევას ცდილობს ('უკანდამხევი'); ბავშვი, რომელსაც სირთულეები ჰქონდა ახალ სიტუაციასთან შეგუების გამო (ცვლილებების რთულად ამტანი); ან ბავშვი, რომელიც ხშირად არის ცუდ ხასიათზე-ეს ბავშვები მტკივნეულად იტანენ სტრესს, განსაკუთრებით გაუცრუებენ იმედს მშობლებს, რომელთაც დიდი მოლოდინი აქვთ. და სამწუხაროდ, როგორც ჩანს ნაკლებად იღებენ სიყვარულსა და ყურადღებას უფროსებისაგან.

აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბავშვის ბუნებრივ ხასიათსაც დიდი მნიშვნელობა აქვს და იმასაც, თუ როგორ წვრთნას მიიღებს იგი მშობლისაგან.

ამ ცხრა ხასიათის განსაზღვრებით, ჩესმა და ტომასმა მოგვანოდეს თანმიმდევრული სისტემა ახლშობილის შეფასების მიზნით. აქედან გამომდინარე მათ შეეძლოთ წინასწარ განესაზღვრათ რომელი ბავშვები იქნებოდნენ 'ადვილი ბავშვები', რაც გულისხმობს, იოლ ზრუნვას, ადვილ ურთიერთობას, და ადვილ აღზრდას. ბავშვებს, რომელთა ხასიათები პრობლემურია, და რომლებთან ურთიერთობაც ჭირს, 'რთული ბავშვები' უწოდეს. ისინი უფრო მეტს მოითხოვენ მშობლებისაგან ვიდრე 'ადვილი ბავშვები'.

შემდეგ ჩესმა და ტომასმა შეადარეს თუ როგორ ვითარდებიან ბავშვები მიღებული წვრთნის შედეგად. ჩესმა და ტომასმა შეისწავლეს 'კარგი' დედების ატმოსფეროში გაზრდილი ბავშვები (დედები, რომელთაც სურდათ და ბავშვებისათვის მოსიყვარულე ატმოსფეროს შექმნის შესაძლებლობაც ჰქონდათ, სადაც ბავშვები ოჯახისა თუ საზოგადოებისაგან მიღებულად ჩათვლიდნენ თავს). ამ ორმა მკვლევარმა შეისწავლა ასევე 'ცუდი' დედები (დედები, რომლებიც შეგნებულად თუ შეუგნებლად უარყოფდნენ თავიანთ შვილებს ან არ შეეძლოთ მოსიყვარულე ატმოსფეროს შექმნა, სადაც ბავშვები იგრძნობდნენ, რომ უყვართ და იღებენ). ქვემოთ მოცემული გრაფა გვიჩვენებს მათი კვლევის შედეგებს.

როგორც ხედავთ, 'ადვილი' ბავშვები და 'კარგი' დედები კარგ კომბინაციას ქმნიან. ეს ბავშვები კარგად ვითარდებოდნენ, თითქმის ყოველგვარი ნეგატიური შედეგების გარეშე.

‘კარგ’ დედებს პრობლემები ჰქონდათ ‘რთულ’ ბავშვებთან, მაგრამ ეს შემთხვევები პოზიტიური შედეგით სრულდებოდა. დედების მიერ შექმნილი მოსიყვარულე გარემო-პირობების შედეგად, ბავშვები კარგად იქცეოდნენ.

‘ადვილი’ ბავშვები, რომელთაც ‘ცუდი’ დედები ჰყავდათ ისე კარგად ვერ იქცეოდნენ. მათ უფრო მეტი პრობლემები ჰქონდათ ვიდრე კარგი დედების ‘რთულ’ ბავშვებს. მათი გამოცდილება უფრო ნეგატიური იყო ვიდრე პოზიტიური.

აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ ‘ცუდი’ დედების ‘რთული’ ბავშვები მოხვდნენ ყველაზე წარუმატებელთა სიაში. ეს ბავშვები ისეთ მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, რომ მართებულად უნოდეს მათ ‘მაღალი-რისკის’ ბავშვები.

	კარგი დედები	ცუდი დედები
ადვილი ბავშვები	+ +	+ -
რთული ბავშვები	+ -	- -

ამ ბავშვების მდგომარეობა გულსატკენია. ისინი მრავალგვარი საშიშროების ქვეშ იმყოფებიან, ბავშვთა ძალადობიდან დანწყებული ქუჩაში მიტოვებით დამთავრებული. ისინი ნამდვილად მაღალი რისკის ქვეშ მყოფი ბავშვები არიან.

ამ ფასეული ინფორმაციის ერთად თავმოყრის შედეგად, უკიდურესად მნიშვნელოვან ფაქტებს ვაწყდებით. უპირველეს ყოვლისა, ბავშვის მიერ საზოგადოებასთან ურთიერთობის წარმართვა დამოკიდებული არ არის მხოლოდ მის ოჯახურ მდგომარეობასა და მშობლების აღზრდაზე. თითოეული ბავშვის თანდაყოლილ ხასიათს აქვს ძლიერი ეფექტი თუ როგორ განვითარდება, და მომნიფდება ბავშვი.

ეს თვისებები გავლენას ახდენენ და ხშირად განსაზღვრავენ რამდენად ადვილი ან რთულია ბავშვზე ზრუნვა და რამდენად იქნება იგი საკუთარი მშობლებისათვის იმედგაცრუება. რაც თავისთავად გავლენას ახდენს მშობლებზე ბავშვთან ურთიერთობის წარმართვაში. ორმხრივ გზასთან გვაქვს საქმე.

ჩემი პრაქტიკიდან გამომდინარე, ამ ფაქტების შესწავლა მრავალ მშობელს დაეხმარა დანამაულის შეგრძნებისაგან გათავისუფლებაში.

მშობლებისათვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გაკვეთილია იმ ფაქტის გაგება, რომ როგორ თანდაყოლილ ხასიათსაც არ უნდა ფლობდეს ბავშვი, აღმზრდელი დედის როლი (და რაღა თქმა უნდა მამის) უფრო მნიშვნელოვანია თუ როგორი გაიზრდება ბავშვი. კიდევ ერთხელ შეისწავლე გრაფა. რაც უფრო 'რთულია' ბავშვი უფრო, რთულია მისი აღზრდა, ემოციური აღზრდა უფრო დიდ როლს თამაშობს ბავშვის ჩამოყალიბებაში. მშობლების აღმზრდელობითმა სტილმა შეიძლება შეცვალოს ბავშვის თანდაყოლილი თვისებები დადებითად ან უარყოფითად.

სწორედ ამის შესახებ მოგვითხრობს ეს ნიგნი. ეს არის ნიგნი ქცევის შესახებ: როგორი დამოკიდებულება უნდა დაამყაროთ თქვენს შვილთან რომ უკეთესის მცდელობაში იყოს; როგორ უნდა მისცეთ თქვენს შვილს მისთვის მეტად მნიშვნელოვანი ემოციური აღზრდა. აქ შეუძლებელია ბავშვის აღზრდის ყველა საჭირო საკითხის მიმოხილვა. თუმცა ყურადღება დავუთმე იმ საკითხს, რასაც ჩემის აზრით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეფექტურ აღზრდაში.

ფაქტია, მშობლების უმეტესობა დარწმუნებულია, რომ საკუთარი შვილისადმი სიყვარულსა და ზრუნვას ამჟღავნებენ. რაც დიდ შეცდომას წარმოადგენს. მშობლების უმეტესობა ვერ გამოხატავს შვილებისადმი მათ გულში რეალურად არსებულ სიყვარულს, მიზეზი ის არის, რომ არ იციან მისი გამოხატვა. შედეგად მრავალი ბავშვი ვერ გრძნობს ნამდვილ, უპირობო სიყვარულს და მიღებას.

რაც, ჩემის აზრით, კავშირშია ბავშვში განვითარებული პრობლემების უმეტესობასთან. თუ მშობლებს სიყვარულით

სავსე დამოკიდებულება არა აქვთ ბავშვებთან, სხვა ყველა დანარჩენი (წვრთნა, თანატოლებთან ურთიერთობა, სასკოლო ღონისძიებები) არამტკიცე საფუძველია და პრობლემებს წაგანყდებით.

ეს წიგნი გვთავაზობს სიყვარულის საკვრელზე დაფუძნებული ურთიერთობების განვითარების საფუძველებს.

2

ფონი

ვიდრე ნამდვილი სიყვარულისა და ბავშვის დისციპლინის ძირითად საკითხებს შევხვებოდეთ, მნიშვნელოვანია განვიხილოთ ბავშვის კარგად აღზრდის წინამდებარე საკითხები. ამ საკითხში პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ოჯახს. ამ სფეროს მხოლოდ რამოდენიმე მნიშვნელოვან საკითხს შევხვებით.

ოჯახში ყველაზე მნიშვნელოვანი ურთიერთობა არის ქორწინების კავშირი. ეს საკითხი ყველაზე მაღლა დგას, თვით მშობელსა და შვილს შორის ურთიერთობებზეც კი. მშობლისა და ბავშვის კავშირი და ბავშვის უსაფრთხოება დიდად არის დამოკიდებული ქორწინების სიმტკიცეზე. ამის ფონზე შეგიძლიათ დაინახოთ თუ რატომ არის მნიშვნელოვანი დავებმართო ცოლ-ქმარს ერთმანეთთან კარგი ურთიერთობის დამყარებაში, ვიდრე ბავშვის აღზრდაში არსებული პრობლემის მოგვარებას შეუდგებოდნენ. რაც უფრო ჯანსაღია ქორწინება, მით უფრო ეფექტური და დამაკმაყოფილებელი იქნება ქვემოთ მოცემული ინფორმაცია.


ძვირფასო მშობელო, თუ მარტოხელა მშობელი ხართ, ნება მომეცით დაგარწმუნოთ, რომ, რასაც ამ ნიგნში განვიხილავთ, თქვენც ანალოგიურად გეხებათ. ზოგიერთ შემთხვევაში მარტოხელა მშობლის როლი უფრო რთულია, თუმცა ზოგიერთ

შემთხვევაში უფრო ადვილი. მაგრამ ორივე მშობლისა თუ მარტოხელა მშობლის შემთხვევაში, ბავშვებთან ჩვენი დამოკიდებულების გზა ყველა ოჯახში ახდენს ცვლილებას.

მოდით იმ ფაქტის გაცნობიერებით დავინყოთ, რომ არსებობს განსხვავება რაციონალურსა (ინტელექტუალური) და ემოციურ (გრძნობა) კომუნიკაციას შორის. რაციონალური დამოკიდებულებების ადამიანები ურთიერთობებს წარმართავენ რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით. ისინი ემოციური საუბრის თავიდან აცილების მიზნით, საუბრობენ სპორტზე, საბაზრო ბირჟაზე, ფულზე, სახლზე და სამსახურზე. როგორც წესი, საკმაოდ არაკომფორტულად გრძნობენ თავს ისეთ საკითხებთან შეხებისას, როგორიცაა გრძნობების გამოვლენა, განსაკუთრებით კისბრაზის გამოვლენა. შედეგად, ისინი თავს არიდებენ ისეთ საკითხებზე საუბარს, რომლებიც შეეხება სიყვარულს, შიშსა და სიბრაზეს. ასეთ ადამიანებს თავიანთ მეორე ნახევართან თბილი დამოკიდებულების წარმართვაში აქვთ პრობლემა.

სხვები კი გრძნობაზე დაყრდნობით წარმართავენ ურთიერთობებს. მათ ღლით მხოლოდ ფაქტებზე დაყრდნობით საქმის წარმართვა, და საკუთარი ემოციის გამოვლენას აუცილებლად თვლიან, განსაკუთრებით საკუთარ მეუღლეებთან. ისინი ფიქრობენ, რომ ცოლ-ქმარს შორის დამოკიდებულებები უნდა იყოს ისეთი არასასიამოვნო განცდებისაგან თავისუფალი, როგორიცაა დაძაბულობა, სიბრაზე, და აღშფოთება. თუმცა, ცოლებს სურთ ქმრებთან ემოციურ საკითხებზე საუბარი, კონფლიქტების მოგვარება და ამ გზით ერთმანეთთან სასიამოვნო დამოკიდებულების შენარჩუნება.

რა თქმა უნდა, არავინ არის მხოლოდ ემოციური ან მხოლოდ რაციონალური. ჩვენ ყველანი სადღაც ამ გრაფის შუაგულში ვიქნებით ალბათ. თუ ადამიანის პიროვნულობა და ურთიერთობების ფონი თითქმის მხოლოდ ემოციურია ერთის შეხედვით, ასეთი პიროვნება ამ გრაფის მარცხენა მხარეს აღმოჩნდება. თუ ადამიანი დამოკიდებულებებისადმი რაციონალურია, მაშინ ის გრაფის მარჯვენა მხარეს აღმოჩნდება. ყველანი ორ უკიდურესობას შორის სადღაც ვიმყოფებით. თქვენ სად ხართ?



რას იტყოდით რომელ მხარეს მოხვდებოდნენ ქალები და კაცები ამ გრაფაზე? მარჯვნივ! როგორც წესი, ქალები უფრო ემოციურები არიან სხვა ადამიანებთან საქმიანი დამოკიდებულებისას, განსაკუთრებით მეუღლეებთან და ბავშვებთან. კაცები კი უფრო რაციონალური.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ფიქრობდეთ, რომ გრაფის მარჯვენა მხარეს მოხვედრა უფრო სასურველია ვიდრე მარცხენა მხარეს. ეს ჩვეულებრივი შეცდომაა. სიმართლე კი ის არის, რომ ნებისმიერი ტიპის ხასიათს აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ეს იმას არ ნიშნავს, რომ გრაფის მარცხენა მხარეს მყოფი ადამიანი, რომელიც მეტი გრძნობებით გამოირჩევა ნაკლებად გონებადამხვილი ან ნაკლებად განათლებულია. ამ ადამიანს უბრალოდ გაცნობიერებული აქვს საკუთარი განცდები და როგორც წესი შესწევს ძალა მათი წარმართვისათვის. მეორე კუთხით, გრაფის მარჯვენა მხარეს მდგომი პიროვნება, რომელიც არ ამჟღავნებს საკუთარ გრძნობებს, შეიძლება გრძნობებს თრგუნავს და ნაკლები წარმოდგენა აქვს მათზე.

გასაოცარი ფაქტია, რომ ეგრეთ წოდებული რაციონალური პიროვნება (მარჯვენა მხარე) ისევე კონტროლდება საკუთარი გრძნობებით, როგორც ეგრეთ წოდებული ემოციური პიროვნება, მაგრამ ის ვერ აცნობიერებს ამას. მაგალითად, მკაცრ, ოფიციალურ ინტელექტუალს, როგორც წესი ღრმა გრძნობები გააჩნია, მაგრამ დიდი ძალისხმევა სჭირდება მის დასაფარად, რათა არ შეწუხდეს ამ გრძნობებით. მაგრამ სამწუხაროდ აწუხებენ, როცა ვიღაც ('ემოციური' ცოლი ან შვილი) მის გარშემო ტრიალებს და მისგან მოწონებასა და სითბოს გამოხატავს ითხოვს, მას არა მხოლოდ პასუხის გაცემა არ შეუძლია, არამედ გაბრაზებულია, რომ წონასწორობიდან გამოიყვანეს.

მამის ინიციატივა

‘ჩემი მეუღლე, ფრედი, კარგი მეუღლე და პატივცემული ადამიანია,’ მითხრა მერი დევისმა სიამაყით, ‘მრცხვენი ვთქვა როგორი გრძნობა მაქვს მის მიმართ. მასზე ძალიან გაბრაზებული ვარ; ამის გამო ისე დამნაშავედ ვგრძნობ თავს, რომ ამ აზრის ატანა არ ძალმიძს. ვცდილობ ვესაუბრო, თუ რას განვიცდი მასზე და ბავშვებზე. მაშინვე უხერხულობაში ვარდება, და ჩემზე ბრაზობს. მერე მე ვბრაზდები და ვცივდები და აღარ შემიძლია მის მიმართ სიყვარულის გამომჟღავნება. რა გავაკეთო? ძალიან ვწუხვარ ჩემი ქორწინებისა და ბავშვების გამო, მაგრამ ჩემს ქმართან ამის შესახებ ლაპარაკიც კი არ შემიძლია. როგორ გავრძელდება ჩვენი ქორწინება?’

ამ ისტორიის ფონი ასეთია. ფრედ დავისი კომპეტენტური პიროვნებაა ბიზნესის სამყაროში. მან იცის ფაქტები. ის კომფორტულად გრძნობს თავს იმ სფეროში, სადაც ემოციური ფაქტორები აკრძალულია და უბრალოდ მისი გამოვლენა აუცილებლობას არ წარმოადგენს. ის ‘შემეცნებითია’ თავის ურთიერთობებში. მაგრამ სახლში წყლიდან ამოსულ თევზს ჰგავს. იგი ქორწინებაში იმყოფება ნორმალურ ცოლთან, რომელსაც ნორმალური ქალისა და ცოლისათვის დამახასიათებელი მოთხოვნილებები აქვს. მერის თავისი ქმრის მხარდაჭერა და სითბო სჭირდება. მას უნდა, რომ ქმარს გაუზიაროს თავისი დარდის, შიშისა და იმედების შესახებ. მერი ‘ემოციური’ ჩანს თავის ურთიერთობებში. მას სურს დარწმუნებული იყოს, რომ მისი მეუღლე იკისრებს ოჯახზე პასუხისმგებლობას. მისი მოთხოვნა ნორმალურია და სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ სუსტია და გადაჭარბებულად მგრძნობიარე, არც იმას რომ იგი არ კისრულობს თავის წილ პასუხისმგებლობას. მინდა ვიხილო ბედნიერი და თბილი ოჯახი, სადაც ქმარი და მამა კისრულობს ოჯახურ პასუხისმგებლობებს. თუმცა ცოლსა და დედას თავისი პასუხისმგებლობები აქვს, მაგრამ ქმარს უნდა სურდეს ცოლისათვის დახმარების განევა და მხარდაჭერა ნებისმიერ საკითხში. ერთი მიზეზი, რატომაც ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ის არის, რომ ქალისათვის რთულია ქმართან სიყვარულის წამოწყება, როცა გრძნობს,

რომ ქმარს არ სურს ასი პროცენტით ემოციურ, თუ სხვა ნებისმიერ საოჯახო სფეროში დახმარების განწევა. რა თქმა უნდა ანალოგიური სიმართლე შეეფერება ქმრის მიმართ ოჯახური პასუხისმგებლობების გამომჟღავნებას. მან უნდა იცოდეს, რომ მისი მეუღლე მზად არის მის დასახმარებლად და საჭიროების შემთხვევაში ნაბიჯს გადადგამს.

სხვაგვარად ამის ახსნა ასე შეიძლება, როცა ქალმა უნდა იკისროს ვალდებულებები იმის გამო, რომ მისი ქმარი უბრალოდ ამას არ აკეთებს, ქალისათვის რთულია უსაფრთხოდ და კომფორტულად გრძნობდეს თავს ქმრის სიყვარულში. მაგალითად, ერთი ქალი ჩიოდა ჩემთან, რომ ის უსაფრთხოდ ვერ გრძნობდა თავს ქმრის სიყვარულში და უჭირდა ქმრისადმი სიყვარულით დამოკიდებულების გამოხატვა. როგორც აღმოჩნდა, ქალი პასუხისმგებელი იყო ოჯახისათვის ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტებზე, ბოსტნისა და ფინანსების ჩათვლით. ასეთი მდგომარეობა მისაღებად ჩათვლებოდა, ცოლ-ქმარი, ორივე რომ შეთანხმებულ იყო და კმაყოფილები ყოფილიყვნენ ამ გადაწყვეტილებით; მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც კი, ქმარმა უნდა გაუწიოს ზედამხედველობა სიტუაციას; რაც იმას გულისხმობს, რომ მეუღლე უნდა იღებდეს საქმეზე პასუხისმგებლობას მაშინ, როცა ცოლი გადალილია. ქმრის მზადყოფნის 'სურვილი' სრულად დააკმაყოფილოს ოჯახური მოთხოვნები, არის ცოლ-შვილის ყველაზე დიდი მოთხოვნა რაც კი შეიძლება მამისა და მეუღლის მიმართ ჰქონდეთ.

ცოლი შესანიშნავად მიიღებს მეუღლის მიერ წამოწყებულ სიყვარულს და გააორკეცებს გრძნობებს, რაც მასზე და ბავშვებზე ერთნაირად დადებითად აისახება, და ოჯახს აუხსნელი და არაჩვეულებრივი კლიმატით აავსებს. მაგრამ ქმარმა უნდა აიღოს სიყვარულის წამოწყების ინიციატივა. ქმრებმა, რომელთაც ამ საიდუმლოს მიაგნეს მათი შემურდება კაცს. ცოლისაგან მის მიმართ უკან დაბრუნებული სიყვარული შეუდარებელია, ჩემის აზრით ამ ქვეყნად ყველაზე შეხმატკბილებული მდგომარეობაა. თავიდან რთულია სიყვარულში ინიციატივის აღება, მაგრამ როცა ქმარი გამოცდის მეუღლის საპასუხო სიყვარულს, ყოველმხრივ გაორმაგებულ პასუხს მიიღებს და დაინახავს, რომ დროთა

განმავლობაში სიყვარული გაიზრდება და ადვილი გახდება მისი ყოველდღიურობაში გამოვლენა.

ჯერ არ შევხვედრივარ ამის გამონაკლისს. ქმარი, რომელიც სრულად აიღებს ოჯახზე პასუხისმგებლობას და ინიციატივას ცოლ – შვილებისადმი სიყვარულის გამოხატვაში, დაუფერებელ ჯილდოს მიიღებს: მოსიყვარულე, დამფასებელი, დამხმარე ცოლი, რომელიც ქმრისთვის ყველაზე საყვარელი არსება იქნება; ბავშვებს, რომლებიც უსაფრთხოდ, დაცულად და კმაყოფილებაში არიან შესაძლებლობის მაქსიმუმის გამოვლენა შეუძლიათ. პირადად მე არასოდეს მინახავს წარუმატებელი ქორწინება იქ, სადაც ეს მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. ყოველ წარუმატებელ ქორწინებაში, რომელიც კი ოდესმე მინახავს, როგორღაც ვერ მიაღწიეს ამ პრიორიტეტებს. მამებო, ინიციატივა ჩვენთან უნდა მოდიოდეს.

მაგრამ, თქვენ იკითხავთ, როგორ შეიძლება ქმარმა სიყვარულის გამოხატვაში აიღოს ინიციატივა და პასუხისმგებლობა ოჯახში, სადაც მამა რაციონალურ და მოუქნელ ხასითს ატარებს, მაშინ როცა ცოლი უფრო კომპეტენტურია გრძნობების სამყაროში? დღეს ეს არის ქორწინებაში ყველაზე ხშირი, გაუცნობიერებელი და რთული პრობლემა. რთულია ამ პრობლემის მოგვარება, რადგან მამაკაცების უმეტესობას, ფრედ დევისის მსგავსად, გაცნობიერებული არა აქვთ იგი. იმის ნაცვლად, რომ დაინახოს რამდენად სასიცოცხლოა მისი ცოლისა და ბავშვების ემოციური ცხოვრება, ამას აღიქვავს როგორც არაკომფორტულ ვალდებულებას, რომელსაც თავი უნდა აარიდოს. შედეგი, რა თქმა უნდა, არის ის რასაც ახლახანს წავაწყდით ფრედისა და მარის შემთხვევაში – იმედგაცრუება და გაოგნება კომუნიკაციის სერიოზული მარცხით.

როგორც ჩანს, დღეს ყველა აცნობიერებს ოჯახურ ცხოვრებაში კომუნიკაციის როლს. შეგიძლიათ თუ არა ფრედისა და მერის ურთიერთობებიდან დაინახოთ როგორ იძირება კომუნიკაცია ქაობში, როცა 'რაციონალურ' ქმარს არ ძალუძს ემოციურ დონეზე საუბარი, ან 'ემოციურ' ცოლს ძალა არ შესწევს თავისი შინაგანი გრძნობებისა და მგზნებარე სურვილების გაზიარების? როგორი დილემაა! ქმრებო,

თვალი უნდა გავუსწოროთ ფაქტებს. საოცარი ფაქტია, რომ ჩვენი ცოლები უფრო კომპეტენტურები არიან სიყვარულში, ზრუნვაში, და ჩვენი და ჩვენი ბავშვების საჭიროებების გამოცნობაში. ჩვენ კი როგორც წესი ექსპერტების რჩევებს მიყვებით, ასე არ არის? მაშინ, აშკარაა, რომ კაცებს აუცილებლად გვჭირდება ჩვენი ცოლების დახმარება რათა გრძნობების ამ უცხო სამყაროში გავვიძღვნენ.

ქმარს არა მხოლოდ ცოლის პატივისცემა და მისი გრძნობების სფეროში წინამძღოლობა უნდა სურდეს, რომლის ბუნებრივად აღქმის უნარიც ცოლს გააჩნია, არამედ ცოლს უნდა ამხნევებდეს და ეხმარებოდეს ოჯახის ყოველდღიური ემოციური კლიმატის მონესრიგებაში. თუ ქმარი ცოლისათვის დაბრკოლებას წარმოადგენს, ანუ დაჟინებით მოითხოვს ცოლის მიერ პრობლემების მოგვარებას, მიუხედავად მისი ემოციური მდგომარეობისა, ამ შემთხვევაში ქმარი იმედს გაუცრუებს ცოლს და ბოლოს სულიერადაც გატეხავს. რამდენი ქალი მინახავს ჩემთან რჩევის საკითხავად მოსული, რომელთაც ქმრებმა შეუშალეს ხელი ქმრისა და ბავშვებისადმი სიყვარულის გამოვლენაში. ეს ცოლები სულიერად დაცემულნი არიან, რის შედეგადაც დეპრესიულ და დასახიჩრებულ მდგომარეობაში იმყოფებიან.

აბა შეხედეთ ქორწინებას, სადაც ქმარი აფასებს მეუღლის ღრმა გრძნობებს და მის საჭიროებას კომუნიკაციის სფეროში. ის არა მარტო უსმენს მას, არამედ სწავლობს მისგან. ის გრძნობს რამხელა ჯილდო და სიღრმისეული სისასვე და კმაყოფილება არის ემოციურ დონეზე ერთმანეთთან გაზიარება, მიუხედავად იმისა, სასიამოვნოა თუ არა სასაუბრო საკითხი. ეს არის ნამდვილი ქორწინება, რომელიც იზრდება წლების განმავლობაში. ცოლ-ქმარი ერთმანეთთან ახლოვდებიან და შეუფასებელნი ხდებიან ერთმანეთისათვის. ასეთი ქორწინება არის ცხოვრების ერთ-ერთი საუკეთესო საჩუქარი.

სიყვარული ბრმაა?

‘ხედავთ? ჯონს აღარ ვუყვარვარ. სულ ჩემს კრიტიკაშია,’ ჩიოდა მომხიბვლელი ივონე. ის და მისი ქმარი ჩემთან

რჩევის საკითხავად 'საბოლოო რესურსის გამოყენების' მიზნით მოვიდნენ. ივონემ გააგრძელა, 'ნუთუ ჩემში კარგის დანახვა არ შეგიძლია, ჯონ?' ჩემდა გასაოცრად, ჯონმა ვერაფერი მოიფიქრა ცოლის კომპლიმენტისათვის. ივონე იყო მიმზიდველი, ინტელიგენტი, აზრიანი და ნიჭიერი, მაგრამ ჯონს მასში მხოლოდ შეცდომების დანახვა შეეძლო. ექვსი წლის დაქორწინებულები იყვნენ. რატომ იჩინა თავი ასეთმა აშკარა შეუთავსებლობამ?

რთულია გააცნობიერო, როცა განქორწინებების დაუჯერებელ რიცხვზე ფიქრობ, რომ ყველა ქორწინება დიდი იმედებით, სიყვარულით, და ახალდაქორწინებულებს შორის ლამაზი გრძნობებით იწყება. ყველაფერი კარგად ჩანს, ქვეყნიერება სრულყოფილია. ივონეს და ჯონის ქორწინებაც ანალოგიურად დაიწყო. როგორი გასაოცარი ცვლილებაა! როგორ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო?

ერთ-ერთი ფაქტორი არის *მოუმწიფებლობა*. მაგრამ რა არის მოუმწიფებლობა? შეიძლება ითქვას, რომ ამ სიტყვას როგორღაც ასაკთან აქვს კავშირი, მაგრამ არა ყოველთვის. ამ განსაკუთრებული პრობლემის ჭრილში მოუმწიფებლობა შეიძლება განვიხილოთ როგორც საქმის წარმართვის უსუსურობა ან შეგნების დონეზე გრძნობების გაორება. გრძნობების გაორება ნიშნავს, ურთიერთსაპირისპირო გრძნობების ქონას ერთი და იგივე პიროვნებისადმი.

ეს განმარტავს გამოთქმას 'სიყვარული ბრმაა'. როცა ახალი შეყვარებულები ვართ, ქორწინების პირველ კვირეებში ან პირველ თვეებში, ჩვენს შეყვარებულს სრულყოფილ ადამიანად ვხედავთ, და ვერ ვიტანთ მის მიმართ არასასიამოვნო გარძნობებს. ვთრგუნავთ (უარყოფთ, იგნორირებას ვუწევთ) ნებისმიერ საკითხს რაც შეიძლება არ მოგვწონდეს ჩვენს მეუღლეში. მხოლოდ მის კარგ თვისებებს ვხედავთ. შემდეგ კი ვამჩნევთ, რომ თურმე ფიგურა არ ჰქონია კარგი, ყვარება ბევრი ლაპარაკი, ან პირიქით საერთოდ არ სცოდნია ლაპარაკი, სიმსუქნისადმი ან სიგამხდრისადმი ჰქონია მიდრეკილება, უხასიათო ყოფილა, არ ჰქონია სპორტის, მუსიკის, ხელოვნების, ქსოვის ან მზარეულობის ნიჭი.

ჩვენი მეუღლეების ეს დაფარული არასასურველი თვისებები თავდაპირველად პრობლემას არ წარმოადგენს ჩვენთვის. მას შემდეგ რაც საყვარელ ადამიანთან ყოველდღიურ ცხოვრებას ვინწყებთ, ახალ აღმოჩენებს ვაწყდებით მის ხასიათში. ზოგიერთ კარგ და ზოგიერთ არც ისე კარგ თვისებას. ზოგჯერ სანინალმდეგოსაც კი. მაგრამ თუ გავაგრძელებთ ჩვენი მეორე ნახევრის არასასურველი თვისებებისადმი გრძნობების დათრგუნვას, ისევ დავინახავთ ჩვენს საყვარელ ადამიანს როგორც სრულყოფილ პიროვნებას, და ყველაფერი კარგად იქნება.

აქერთი პრობლემა იჩენს თავს. ვერ შევძლებთ უსასრულოდ დათრგუნვას. ერთ დღეს მოთმინების ზღვარს მივალწევთ. ამ დროს შეიძლება უკვე რამდენიმე დღის ან წლის ქორწინებაში ვიმყოფებით. ეს დამოკიდებულია (1) ჩვენი დაფარვის უნარიანობაზე, საქმის წარმართვის უნარიანობაზე, და არასასურველის იგნორირებაზე; და (2) ჩვენი სიმწიფის დონეზე, სახელდობრ, ჩვენი არასტაბილური გრძნობების კონტროლის უნარზე.

როცა კრიტიკულ დონეს მივალწევთ, აღარ შეგვწევს უარყოფითი ხასიათის მხარდაჭერა. მოულოდნელად ვაწყდებით დღეების/თვეების/წლების განმავლობაში ჩვენი მეუღლის მიერ დაგროვილ უარყოფითს. კვლავ, მოუმნიფებლობის გამო (გაორებული გრძნობების წარმართვის უუნარობა), ვმერყეობთ. ახლა კარგ გრძნობებს ვმალავთ და ცუდის შესახებ ვრეაგირებთ. ახლა მეუღლეს თითქმის სრულიად საპირისპირო-ცუდ ასპექტში ვხედავთ, და ვერაფერ კარგს ვეღარ ვხედავთ მასში.

ეს შეიძლება ძალიან სწრაფად მოხდეს. ორი თვის წინ ჯონმა ივონე არასრულყოფილ ასპექტში დაინახა. ახლა მას მისი ატანა აღარ შეუძლია. ივონე კი იგივე დარჩა. ჯონის ქალისადმი აღქმა სრულიად შეიცვალა.

როგორ უნდა მოვაგვაროთ ეს საერთო პრობლემა, რომელიც ჭირივით ვრცელდება ჩვენს სოციალურ სტრუქტურაში და ეროვნულ ძლიერებას ემუქრება? როგორც წესი, პასუხის გაცემა ადვილია, მაგრამ მისი შესრულება რთული. პირველ რიგში, უნდა გავაცნობიეროთ, რომ არავინ არის სრულყოფილი.

ეს საოცრებაა. ეს გამოთქმა ყოველ დღე გვესმის, მაგრამ მისი ჭეშმარიტება არ გვჯერა. უარყოფითის დათრგუნვის თამაშით გამოვხატავთ სურვილს, რომ ჩვენი საყვარელი ადამიანი იყოს სრულყოფილი.

მეორე, ყოველთვის უნდა ვაცნობიერებდეთ ჩვენი მეუღლეების საქმიანობებსა და პასუხისმგებლობებს. უნდა მახსოვდეს და არ უნდა დავივიწყო, რომ ჩემს მეუღლეს აქვს თვისებები, რომლის მადლიერიც ვარ და თვისებები, რომლის შეცვლასაც ვისურვებდი – ამ კუთხით ის ყველა სხვა ქალს ჰგავს. დიდი დრო დამჭირდა იმის განსახორციელებლად, რომ მის სასიამოვნო თვისებებზე მეფიქრა, მისგან მიყენებული იმედგაცრუებისას.

მესამე, ჩვენი მეორე ნახევრები ისეთები უნდა მივიღოთ როგორებიც არიან, მათი სისუსტეების ჩათვლით. ალბათობა, იპოვო ვინმე უკეთესი განქორწინებაში და სხვა ქორწინებაში ან საქმეში, უშედეგოა, განსაკუთრებით მოჭარბებული დანაშაულის შეგრძნების ფონზე და პრობლემებში, რასაც ასეთი მოქმედება გამოიწვევს. გახსოვდეთ, რომ თქვენი ცოლი ან ქმარი შეუცვლელია.

უპირობო სიყვარული

‘სიყვარული სულგრძელია, სიყვარული ქველმოქმედია, არ შურს, არ ყოყოჩობს, არ ამპარტავნობს, არ სჩადის უნესობას, თავისას არ ეძიებს, არ მრისხანებს და არ განიზრახავს ბოროტს, არ ხარობს სიცრუით, არამედ ჭეშმარიტება ახარებს. ყოველივეს იტანს, ყველაფრის სწამს, ყველაფრის სასოება აქვს და ყოველივეს ითმენს.’ (1 კორინთელთა 13:4-7)

ეს აშკარა განცხადება გვეუბნება ყოველგვარი სიყვარულის შესახებ. ამ საიდუმლოს შეიძლება ვუნოდოთ ‘უპირობო სიყვარული,’ რაც დამოკიდებული არ არის მეუღლის საქციელზე, ასაკზე, წონაზე, შეცდომებზე და ასე შემდეგ. ამდაგვარი სიყვარული ამბობს, ‘რაც არ უნდა მოხდეს, მაინც მეყვარება ჩემი ცოლი. მნიშვნელობა არა აქვს როგორ მოიქცევა, რას იტყვის, მე ყოველთვის მეყვარება ის.’ დიახ, უპირობო სიყვარული იდეალურია და შეუძლებელია მისი

სრულყოფილად განხორციელება, მაგრამ რაც უფრო მიუზახლოვდება მას, მით უფრო სრულყოფილი გახდება ჩემი ცოლი ღვთის მიერ, ვისაც ასე ძლიერ ვუყვარვართ. და რაც უფრო მეტად შეცვლის ღმერთი ჩემს ცოლს, მით უფრო კარგი იქნება ჩემთან მიმართებაში და უფრო მეტად კმაყოფილი ვიქნები მისით.

ამ საკითხს მივყავართ ქორწინების დისკუსიის დასასრულისაკენ. ჩვენ მხოლოდ ზედაპირულად შევეხეთ რამოდენიმე საკითხს, რომელთა შესახებ უამრავი შესანიშნავი წიგნი არსებობს ამ საკითხის ღრმად შესწავლის მსურველთათვის. ახლა კი უნდა გადავიდეთ ჩვენს ძირითად საკითხზე, თუ როგორ უნდა გვიყვარდეს შვილები ნამდვილად.

როცა ბავშვის სამყაროს ვეხებით, უნდა გვახსოვდეს, რომ საქორწინო ურთიერთობა უდავოდ ოჯახში ყველაზე მნიშვნელოვანი კავშირია. რაც დიდ გავლენას ახდენს ბავშვზე მთელი ცხოვრების განმავლობაში.

ჩემს პრაქტიკაში შევხვდი ერთ ქრისტიანულ ოჯახს, რომლებიც რჩევის საკითხავად მოვიდნენ ჩემთან. ფამი, თხუთმეტი წლის გოგონა, მოიყვანეს ჩემთან მისმა მშობლებმა სექსუალური უნესობის გამო, რასაც შედეგად მისი ფეხმძიმობა გამოეწვია. გოგონა ძალიან ლამაზი და მხიარული პიროვნება ჩანდა. მრავალმხრივ ნიჭიერი. ფამს ჰქონდა ძლიერი, თბილი, ჯანსაღი დამოკიდებულება მამასთან-დევეანდელობაში რატომღაც იშვიათად შეხვდებით ასეთ კარგ დამოკიდებულებას. დედასთან ურთიერთობაც დამაკმაყოფილებელი ჩანდა. თავიდან გულგატეხილი ვუყურებდი ფამის სექსუალური ცხოვრების ასეთ არჩევანს. მას დიდად არ მოსწონდა თავისი შვილის მამა. არც მისი მოჭარბებული ტემპერამენტი ყოფილა ამ გადანყვებილების მიზეზი, რის გამოც მამრობითი სქესის ყურადღების მიპყრობას ეცდებოდა. ფამს ყოველთვის ახასიათებდა სხვებისადმი პატივისცემა და დათმობა, იგი ადვილად აღსაზრდელი შვილი იყო მშობლებისათვის. მაშ რატომ დაფეხმძიმდა ასე მოულოდნელად? საგონებელში ჩავვარდი.

შემდეგ მშობლები ვნახე ერთად და ცალ-ცალკე. და გამოიცანით. ფამის მშობლებს პრობლემა ჰქონდათ

ქორწინებაში, რასაც სხვებისაგან მოხერხებულად მალავდნენ. ამ პრობლემას დიდი ხნის ფესვები ჰქონდა, მაგრამ ოჯახმა ერთმანეთთან საკმაოდ მშვიდი ურთიერთობის შენარჩუნება მოახერხა. და ფამი ყოველთვის ხარობდა მამასთან ახლო ურთიერთობით. როცა გოგონა წამოიზარდა, დედას შური დაეუფლა. მაგრამ ამ ეჭვიანობის მიუხედავად დედა მხარს უჭერდა ფამს.

შემდეგ ფამმა მოწიფულობას მიაღწია. როცა ფიზიკურად ქალს დაემსგავსა, დედის ეჭვიანობა უფრო გაღვივდა. სხვადასხვა უსიტყვო კომუნიკაციის ფორმებით (რასაც მოგვიანებით უფრო დანვრილებით შევხებით), დედამ ცხადად აგრძობინა შვილს თავისი აზრი. რაც იმაში მდგომარეობდა, რომ ფამი უკვე ქალი იყო, რომელსაც თვითონ უნდა ეზრუნა საკუთარი ემოციური საჭიროებებისათვის, განსაკუთრებით მამრობითი სქესის წარმომადგენლებისაგან ყურადღების მოსაპოვებლად. როგორც ამ ასაკის მრავალ გოგონას სჩვევია, ისინი თანატოლ მამაკაცებში ეძებენ მამის სიყვარულის შემცვლელ სიყვარულს. გოგონა დედის ქვეცნობიერი კარნახით მოქმედებდა.

ფამის დედას ესმოდა ნარუმატებელი ქორწინება რომ ჰქონდა, რამაც მეუღლესთან არასახარბიელო სექსუალური ურთიერთობები მოიტანა შედეგად. იგი ფამისა და მამამისის ახლო ურთიერთობასაც ხედავდა. მაგრამ ფამისადმი საკუთარი ეჭვიანობის შედეგებზე არ ფიქრობდა. ვერც ფამის არასწორ სექსუალურ ქმედებაში დაინახა საკუთარი დანაშაული.

ანალოგიურ შემთხვევაში, უნაყოფოა და ხშირად გულისტკენას იწვევს ასეთი პიროვნების (ამ შემთხვევაში დედის) არასწორ ქმედებაში მხილება. ოჯახური კმაყოფილების ზედაპირულ ფონზე ბავშვის საქციელის ძირითადი პრობლემა ქორწინებაში იყო. როგორც მათი თერაპევტი ოჯახისათვის მგრძობიარე ფორმით უნდა გამეწია დახმარება და ყურადღება არ უნდა გამემახვილებინა დანაშაულსა და მათი შეცდომების განსჯაზე. ისინი უნდა მიმეყვანა იესო ქრისტეში ღვთის მიტევების მიღების მდგომარეობამდე. ასეთი პრობლემური დედა-შვილური დამოკიდებულების გამოსწორება

შეიძლება საქორწინო კავშირის აღდგენითა და დანაშაულის შეგრძნებისაგან გათავისუფლებით.

ეს შემთხვევა გვიჩვენებს რამდენად მნიშვნელოვანია ოჯახური კავშირი ბავშვის ცხოვრებაში. რაც უფრო ძლიერი და ჯანსაღია ქორწინების საკვრელი, უფრო მცირე პრობლემებს ნავანყდებით მშობლები. და უფრო ეფექტური იქნება ამ ნიგნში მოცემული ინფორმაცია პრაქტიკულად გამოყენებისას.

მოდით ახლა შევხედოთ ოჯახში მეორე მნიშვნელოვან ურთიერთობას.

3

საფუძველი

ნამდვილი სიყვარული უპირობოა, რაც ყველანაირი სახის სიყვარულში უნდა ვლინდებოდეს (იხ. 1 კორ. 13:4-7). ბავშვთან მყარი ურთიერთობის საფუძველი არის უპირობო სიყვარული. მხოლოდ ასეთი სახის სიყვარულმა შეიძლება დაგვარწმუნოს, რომ ბავშვი სრულ შესაძლებლობებს გამოავლენს და ისე გაიზრდება. მხოლოდასეთი უპირობო სიყვარულის საფუძველმა შეიძლება შეაფერხოს ისეთი პრობლემები, როგორებიცაა უარყოფის განცდა, უსიყვარულობა, დანაშაული, შიში, და დაუცველობა.

შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ ბავშვი სწორ დისციპლინას გადის მხოლოდ მაშინ თუ მასთან ურთიერთობის მთავარი ამოსავალი წერტილი უპირობო სიყვარულია. უპირობო სიყვარულის გარეშე, შეუძლებელია ბავშვის საქციელის გაგება და მიუღებელი საქციელისას მასთან სწორი დამოკიდებულების დამყარება.

ბავშვის აღზრდის საქმეში უპირობო სიყვარული შეიძლება შევადაროთ შუქურას. რომლის გარეშეც, მშობლები ყოველგვარი ნიშნების გარეშე ვიმოქმედებთ სიბნელეში. არადა, შუქურა გვეტყოდა სად ვართ და რა უნდა გავაკეთოთ. ის ჩვენი ადგილსამყოფელის გამოცნობაში დაგვეხმარებოდა, გავიგებდით სად არის ბავშვი, და რა უნდა გავაკეთოთ

ნებისმიერ სიტუაციაში. მხოლოდ ამის საფუძველზე გვიპყრია ხელთ ქვაკუთხედი, რომელზეც კომპეტენტურად დავაფუძნებთ ჩვენი შვილის წინამძღოლობის და მისი ყოველდღიური მოთხოვნების დაკმაყოფილების საქმეებს. უპირობო სიყვარულის საფუძვლის გარეშე, მშობლობა ხდება დამაბნეველი და იმედგამაცრუებელი ტვირთი.

რა არის უპირობო სიყვარული? უპირობო სიყვარული არის გიყვარდეს შვილი მიუხედავად იმისა რაც არ უნდა მოხდეს. მნიშვნელობა არა აქვს ვის ჰგავს ბავშვი. მნიშვნელობა არა აქვს მის საქმეებს, მის სწავლას. მნიშვნელობა არა აქვს რას მოველით ბავშვისაგან და რაც ყველაზე რთულია, მნიშვნელობა არა აქვს როგორ იქცევა იგი. რა თქმა უნდა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყოველთვის მოგვწონს მისი საქციელი. უპირობო სიყვარული ნიშნავს, რომ ბავშვი მაშინაც გვიყვარს როცა მისი საქციელი გეძულს.

როგორც უკვე ავლინებთ, ქორწინებაში უპირობო სიყვარული არის იდეალი, რომლის ასი პროცენტით შესრულებას ვერ შევძლებთ. მაგრამ, რაც უფრო ვეცდებით მის შესრულებას, და რაც უფრო მეტს მივაღწევთ, უფრო კმაყოფილი და თავდაჯერებული მშობლები გავხდებით.

ნეტავ, როცა შვილები სახლში იყვნენ ხშირად მეთქვა მათთვის, 'ყოველთვის მიყვარხართ, მიუხედავად ყველაფრისა, მიუხედავად საქციელისა.' მაგრამ ყველა მშობლების მსგავსად, ეს ვერ გავაკეთე. მიუხედავად ამისა ჩემს თავს დადებითად ვაფასებ მათი უპირობოდ სიყვარულის მიზნისაკენ სწრაფვის გამო. რასაც საკუთარი თავისადმი შემდეგი საკითხების გამუდმებული შეხსენებით მივაღწიე:

1. ისინი ბავშვები არიან.
2. ისინი ეცდებიან ბავშვებივით მოიქცნენ.
3. ბავშური საქციელის უმეტესობა არასასიამოვნოა.
4. თუ ჩემს როლს შევასრულებ როგორც მშობელი და მათი ბავშური საქციელის მიუხედავად მაინც

მეყვარება ისინი, მაშინ ისინი მომწიფებას შეძლებენ და ბავშვურ საქციელს მიატოვებენ.

5. თუ მხოლოდ მაშინ მეყვარება ისინი როცა მასიამოვნებენ (პირობითი სიყვარული), და ჩემს მათდამი სიყვარულს მხოლოდ მაშინ გამოვხატავ, ვერ იგრძნობენ გულწრფელ სიყვარულს. ასეთი დამოკიდებულება მათში საკუთარ თავზე წარმოდგენას კი არ განამტკიცებს, არამედ დააზიანებს და შეაფერხებს საკუთარი კონტროლის გაუმჯობესებასა და ზრდასრულობის სურვილს. მათი ყოფა-ქცევა და მისი განვითარება ერთნაირად არის დამოკიდებული ჩემზეც და მათზეც.
6. თუ უპირობოდ მეყვარება ისინი, საკუთარ თავზე კარგი განცდა შეექმნებათ და კომფურტულად იგრძნობენ თავს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეძლებენ სიმწიფის ასაკში საკუთარი მღელვარებისა და საქციელის კონტროლს.
7. თუ მხოლოდ მაშინ მეყვარებიან ისინი, როცა ჩემს მოთხოვნებსა და მოლოდინს დააკმაყოფილებენ, მაშინ არაკომპეტენტურად მიიჩნევენ საკუთარ თავს. დაიჯერებენ, რომ მცდელობა უშედეგოა, რადგან ვერასოდეს ვერ მიაღწევ საკმარისს. დაუცველობა, მღელვარება, და საკუთარი თავზე დაბალი წარმოდგენა ჭირივით მოედებათ. რაც მუდმივ დაბრკოლებას შეუქმნის მათ ემოციურ და ქცევით ზრდაში. კიდევ ერთხელ ვიტყვით, რომ მათი საერთო ზრდა-განვითარების პასუხისმგებლობა მეც ისე მაკისრია, როგორც მათ.

იმ წლებში ბევრს ვლოცულობდი ჩემთვის, როგორც ტანჯული მამისათვის, და ჩემი შვილებისათვის, რომ მაქსიმალურად უპირობოდ მეყვარებოდა ისინი. ჩემი შვილების მომავალი ამ საფუძველზეა დამოკიდებული.

ბავშვი და მისი გრძნობები

გაიხსენეთ მეორე თავში მოცემული გრაფა. როგორ ფიქრობთ, გრაფის რომელ ადგილში იქნებიან ბავშვები? მარჯვნივ! მარჯვენა მხარეს თუ მისგან შორს. ამ ქვეყნიერებაზე ბავშვი ემოციური აღქმის გასაოცარი უნართი შემოდის. ჩვილი ბავშვი უკიდურესად მგრძნობიარეა დედამისის ემოციისადმი. რა სილამაზეა ახალშობილის პირველად დედასთან მიყვანის სურათი, თუ დედას ნამდვილად უნდა შვილი. ის ერწყმის დედის სხეულს და ბავშვის კმაყოფილება ყველასათვის ამკარაა.

მაგრამ, ბავშვის იმ დედასთან პირველად შეხვედრის სურათი, რომელსაც შვილი არ სურს, სულ სხვაგვარია. ეს ჩვილი არ არის კმაყოფილი და ცუდად იკვებება, ხშირად ღიზიანდება, ამკარად არ არის ბედნიერი. ასე ხდება მაშინ, როცა დედას პრობლემა აქვს ან დეპრესიაშია, თუმცა დედა ბავშვს განსხვავებულად არ ეპყრობა.

აქედან გამომდინარე ძალიან მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ ბავშვები დაბადებიდანვე ძალიან მგრძნობიარენი არიან. რადგან მათი ცოდნის სამყარო მწირია, მათი სამყაროსთან კომუნიკაცია ციხრიტადად გრძნობების დონეზეა. ეს მეტად მნიშვნელოვანია. ხედავთ თუ არა ამას? ჩვილის სამყაროზე პირველი წარმოდგენა მისი განცდების მეშვეობით ხდება. როცა მის მნიშვნელობაზე ვფიქრობთ მშვენიერია, თუმცა საშიში.

ჩვილის ემოციური მდგომარეობა განსაზღვრავს მის მიერ სამყაროს, მისი მშობლების, ოჯახისა, და საკუთარი თავის დანახვასა და განცდას. ის თითქმის ყველაფრის საფუძველი. მაგალითად, თუ ჩვილი თავის სამყაროს ხედავს როგორც მიუღებელს, უსიყვარულოს, არამზრუნველს, არამეგობრულს, მე ვთვლი, რომ იზრდება ბავშვის უდიდესი მტერი-აღელვება-რაც მტკივნეულ გავლენას მოახდენს მოგვიანებით მის მეტყველებაზე, ქცევაზე, ურთიერთობებზე და სწავლაზე. საქმე იმაშია, რომ ჩვილი არა მარტო ემოციურად არის მგრძნობიარე, არამედ მონყვლადიც.

ჩემს მიერ ჩატარებული თითქმის ყველა კვლევა ადასტურებს, რომ ყველა ბავშვს სურს იცოდეს მშობლებისაგან, 'გიყვარვარ?' ბავშვი ამ შეკითხვას უმეტესად თავისი საქციელიდან

გამომდინარე გვისვამს, იშვიათად კი სიტყვიერად. ამ კითხვაზე პასუხი ბავშვის ცხოვრებაში აშკარად ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს.

‘გვიყვარვარ?’ თუ ბავშვი უპირობოდ გვიყვარს, მაშინ ის გრძნობს, რომ ამ კითხვაზე პასუხი არის დიახ. თუ ბავშვი პირობით გვიყვარს, იგი უსაფრთხოდ ვერ გრძნობს თავს და ღიზიანდება. ამ ყველაზე მნიშვნელოვან კითხვაზე ‘გვიყვარვარ?’ პასუხი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის დამოკიდებულებას ცხოვრებისადმი. რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

როგორც წესი ბავშვი ამ შეკითხვას საქციელიდან გამომდინარე სვამს და ჩვენც საქციელითვე ვიძლევიტ პასუხს. თავისი საქციელით ბავშვი გვეუწება რა სჭირდება მას, მეტი სიყვარული, მეტი დისციპლინა, მეტი მიღების განცდა, თუ მეტი გაგება. (ამ დეტალებს მოგვიანებით დავუბრუნდებით, ახლა ნება მომეცით გავაგრძელოთ უპირობო სიყვარულის შეუდარებელი საფუძვლების განხილვა).

ჩვენი საქციელით ვაკმაყოფილებთ მის საჭიროებას, რისი გაკეთებაც მხოლოდ მაშინ შეგვიძლია თუ ჩვენი ურთიერთობები უპირობო სიყვარულზეა დამყარებული. ყურადღება გაამახვილეთ სიტყვებზე: ‘ჩვენი საქციელით.’ შეიძლება ბავშვის სიყვარულის განცდა ძლიერია ჩვენს გულში. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ჩვენი საქციელით ბავშვი ხედავს მისადმი ჩვენს სიყვარულს. ბავშვისადმი ჩვენი სიყვარული გამოიხატება ჩვენი მოქმედებით, იმით, რასაც ვამბობთ და რასაც ვაკეთებთ. ბავშვზე ჩვენი საქციელი უფრო დიდ გავლენას ახდენს, ვიდრე ჩვენი სიტყვები. მოგვიანებით უფრო მეტს ვისაუბრებთ ამის შესახებ.

მეორე, რაც მშობლებმა უნდა გაიგონ შემდეგია: ყოველ ბავშვს აქვს ემოციური ავზი. ეს ავზი რა თქმა უნდა შედარებითია, მაგრამ სინამდვილეში მართლა არსებობს. ყოველ ბავშვს აქვს განსაკუთრებული ემოციური საჭიროება, და ამ ემოციური საჭიროებების დაკმაყოფილება დამოკიდებულია (სიყვარულზე, გაგებაზე, დისციპლინასა და ასე შემდეგ) რაც მრავალ საკითხს განსაზღვრავს. პირველ რიგში, მასზე დამოკიდებულია თუ როგორ გრძნობს ბავშვი თავს: არის თუ არა იგი კმაყოფილი, დეპრესიულია თუ მხიარული. მეორე,

იგი გავლენას ახდენს მის ქცევაზე: მორჩილია თუ ურჩი, გულჩათხრობილია თუ მხიარული ან მფრთხალი. რაც უფრო სავსეა ემოციური ავზი, უფრო პოზიტიურია გრძნობები და უკეთესია ქცევები.

ამ წიგნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი განცხადება: *მხოლოდ ემოციური ავზის სისავსისას შეიძლება მოელოდე ბავშვისაგან საუკეთესოს გამოვლენის მცდელობას.* და ვისი პასუხისმგებლობაა ამ ემოციური ავზის ავსება? სწორად გამოიცანით, ეს პასუხისმგებლობა მშობლებს ეკისრებათ. ბავშვის საქციელი მეტყველებს ავზის მდგომარეობაზე. მოგვიანებით ავზის შევსების საკითხზეც ვისაუბრებთ, მაგრამ ახლა მოდი გავიგოთ, რომ ამ ავზის სავსედ დაცვა აუცილებელია, რომლის გაკეთებაც მხოლოდ მშობლებს შეეუძლია. მხოლოდ ავზის ავსებულ მდგომარეობაში დაცვას შეუძლია ბავშვის გაბედნიერება, ამ პოტენციალის მიღწევა, და დისციპლინისადმი შესაფერისი პასუხი; 'ღმერთო, დამეხმარე დავაკმაყოფილო ჩემი შვილის საჭიროებები ისე, როგორც შენ ჩემს თხოვნებს აკმაყოფილებ.' ფილიპელთა 4:19 ამბობს, რომ ის ამას გააკეთებს: 'და ჩემი ღმერთი დააკმაყოფილებს ყველა შენს საჭიროებებს.'

ბავშვები აირეკლავენ სიყვარულს

ბავშვები შეიძლება სარკედ მივიჩნიოთ. როგორც მთვარე აირეკლავს მზეს, ასევე ბავშვი აირეკლავს სიყვარულს, მაგრამ ისინი სიყვარულის ინიციატივას არ იღებენ. თუ სიყვარულს მივცემთ მათ, უკანვე დაგვიბრუნებენ. თუ არაფერს მივცემთ, არაფერი ექნებათ დასაბრუნებელი. უპირობო სიყვარული უპირობოდ აირეკლავს, და პირობითი სიყვარული კი პირობითადვე გვიბრუნდება.

ტომსა და მის მშობლებს შორის სიყვარული (პირველი თავი) არის პირობითი სიყვარულის მაგალითი. ტომი იზრდებოდა და მშობლებთან ახლო და თბილ ურთიერთობას იმსახურებდა. სამწუხაროდ მშობლები თვლიდნენ, რომ გამუდმებით უნდა ეკარნახათ მისთვის მოქცეულიყო უკეთ შექების, სითბოს, მონონების საპასუხოდ, მიუხედავად იმისა ესმოდა

თუ არა ამ საქციელის საჭიროება ბოლომდე. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი მკაცრები იყვნენ, რადგან ფიქრობდნენ, რომ გადაჭარბებული შექება და მოწონება გაათამამებდა ბავშვს და უკეთესის კეთების ინტერესს დაუკარგავდა. მათი სიყვარული მხოლოდ ტომის წარმატებისას ვლინდებოდა, სხვა შემთხვევაში კი დაფარული იყო. ეს შეიძლება კარგად მუშაობდა მაშინ, როცა ის ძალიან პატარა იყო; მაგრამ, როცა წამოიზარდა, გაუჩნდა გრძნობა, რომ მშობლებს არ უყვარდათ იგი ნამდვილად და არ აფასებდნენ მას ისეთს როგორც იყო, არამედ მხოლოდ საკუთარ დაფასებაზე ზრუნავდნენ.

როცა ტომი უკვე თინეიჯერი გახდა, მისი სიყვარული დაემსგავსა მშობლების სიყვარულს. მან კარგად ისწავლა როგორ უნდა გვიყვარდეს პირობით. იგი მხოლოდ მაშინ იქცეოდა მშობლებისათვის მოსაწონად, როცა ისინი მისთვის სასიამოვნო რამეს აკეთებდნენ. რა თქმა უნდა, ტომსა და მის მშობლებს შორის თამაში დაიწყო, ბოლოს არც ერთ მხარეს აღარ შეეძლო სიყვარულის გამოხატვა, რადგან ყოველი მხარე ელოდებოდა მეორეს, რომ რაიმე სასიამოვნო მიეღო, ამ მდგომარეობაში, ორივე მხარეს თანდათან ეძალებოდა იმედგაცრუება, გაუგებრობა და თავგზააბნევა. რამაც გამოიწვია დეპრესია, სიბრაზე, და ტომის მშობლებისადმი მიმბაძველობა, რამაც ოჯახს დახმარების საძებნელად უბიძგა.

როგორ შევძლებდით ამ პრობლემის მოგვარებას? ზოგიერთები გვირჩევდნენ, რომ მშობლებს საკუთარი უფლებების დაცვა უნდა მოეთხოვათ: პატივისცემა, მორჩილება და ასე შემდეგ. ისინი ტომს გააკრიტიკებდნენ მშობლებთან დამოკიდებულების გამო და მისგან მშობლებისადმი პატივისცემას მოითხოვდნენ. ზოგიერთები ტომის მკაცრად დასჯას გვირჩევდნენ. იფიქრეთ ამაზე.

მრავალიბავშვივერგრძნობს დღეს მშობლებისაგან ნამდვილ სიყვარულს. და რამოდენიმე ისეთ მშობელსაც შევხვდრივარ, რომელთაც მაინცდამაინც არ უყვართ საკუთარი შვილები. ეს არ არის მეცნიერულ კითხვაზე დაფიქრება, რომ შემდეგ თქვა, 'ეს ძალიან ცუდია.' მდგომარეობა საგანგაშოა. უამრავი რელიგიური კულტები ან საეჭვო ორგანიზაციები იტაცებენ ათასობით ჩვენი ძვირფასი ახალგაზრდის გონებას. როგორ

ხდება, რომ ამ ბავშვების გონება ასე ადვილად ირეცხება, ზურგს აქცევენ საკუთარ მშობლებს და სხვა ძალაუფლებებს, და მცდარი დოქტრინის კონტროლის ქვეშ ექცევიან? ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ მათ არასოდეს არ უგრძნიათ ნამდვილი სიყვარული და ზრუნვა საკუთარი მშობლებისაგან. ისინი გრძნობენ, რომ რალაცა ნაართვეს, რომ მშობლებმა მათ რალაცის მიცემა დააკლეს. რა არის ეს? დიახ, უპირობო სიყვარული. როცა მიხვდები რამდენად მცირე ბავშვი განიცდის ზრუნვას, სიყვარულს, და კომფორტს, გასაკვირი აღარ არის ამ კულტების წარმატება.

რატომ არსებობს ასეთი საშინელი მდგომარეობა? მე არ ვფიქრობ, რომ ამაში მშობლების ნაკლებად მცდელობის სურვილი უნდა დავადანაშაულოთ. როცა მშობლებს ვესაუბრები, მაღლიერი ვარ როცა ვხედავ, რომ არა მარტო უყვართ შვილები, არამედ ნამდვილად არიან დაინტერესებულნი ყველა ბავშვისათვის დახმარების გასაწევად. გამუდმებით ერთიდაიგივე პრობლემას ვაწყდები, რომ მშობლებმა არ იციან როგორ გამოავლინონ თავიანთი სიყვარული შვილების მიმართ.

პესიმისტი არა ვარ. ქვეყნის მრავალ რეგიონში წამიკითხავს ლექციები, გამხნევებული ვარ, რომ დღევანდელი მშობლები არა მარტო ისმენენ, არამედ ყველაფერს აკეთებენ თავიანთი შვილებისათვის. მრავალმა შეცვალა შვილთან დამოკიდებულება წმინდა წერილში მოცემული უპირობო სიყვარულის მიხედვით. მათ აღმოაჩინეს, რომ მას შემდეგ რაც უპირობო სიყვარულს მიაღწიეს, ბავშვების ემოციური ავზი პირველად აივსო. მშობლობა მალე გახდა აზრიანი, სასიამოვნო, და ნაყოფიერი. ამის შემდეგ ამ მშობლებს უკვე აქვთ დირექტივა, როდის და როგორ უხელმძღვანელონ და ასწავლონ ძვირფას შვილებს.

როგორ გამოვხატოთ სიყვარული

მოდით განვიხილოთ თუ როგორ შეიძლება გამოვხატოთ სიყვარული ბავშვის მიმართ. როგორც გახსოვთ, ბავშვები ემოციური არსებები არიან, რომელთაც ემოციური კომუნიკაცია ახასიათებთ. უფრო მეტიც, ბავშვები საქციელს

გრძნობების ჩვენამდე მოსატანად იყენებენ, და რაც უფრო პატარები არიან უფრო ხშირად მიმართავენ ამ ხერხს. უბრალოდ მისი ყურებით შეგივლია ადვილად თქვა როგორ გრძნობს ბავშვი თავს და გონების როგორ ჩარჩოშია მოქცეული. ბავშვებს აქვთ მშობლების ქცევის მიხედვით მათი გრძნობის გამოცნობის უტყუარი უნარი, უნარი, რასაც ადამიანების უმეტესობა მოზარდ ასაკში კარგავს.

განსაკუთრებულ შემთხვევებში, თექვსმეტი წლის ქალიშვილი ასეთ შეკითხვას დამისვამდა ხოლმე, 'რაზე ხარ გაბრაზებული, მამიკო?' მაშინ როცა ვერც კი ვაცნობიერებდი, რომ ჩემში ასეთი რამ ხდებოდა. მაგრამ როცა დავფიქრებულვარ ამის შესახებ, გოგონა სრულიად მართალი ყოფილა.

ბავშვები ასეთები არიან. ისინი შენი საქციელიდან გამომდინარე შესანიშნავად გრძნობენ როგორ ხარ. ხოდა თუ გვინდა იცოდნენ რას განვიცდით მათ მიმართებით, თუ გვინდა იცოდნენ, რომ გვიყვარს ისინი, ისე უნდა მოვიქცეთ როგორც საჭიროა. 'ჩემო შვილებო, ნუ გვიყვარს სიტყვებით, ნურც ენით, არამედ ჭეშმარიტებით' (1 იოანე 3:18).

როგორც მიხვდით, ამ წიგნის მიზანია დაინახონ მშობლებმა თუ როგორ შეიძლება სიყვარულის პრაქტიკულად გამოხატვა. მხოლოდ ამის საშუალებით შეიძლება მშობლები შვილისადმი სიყვარულის გადმოცემას ისე, რომ ბავშვი იგრძნობს ამას; იგრძნობს, რომ მიღებულია, რომ პატივს სცემენ, და ამის შემდეგ თვითონაც შეიძლება სიყვარული და პატივისცემა. მხოლოდ ამ გზით შეიძლება მშობლები დაეხმარონ შვილებს სხვების უპირობო სიყვარულში, განსაკუთრებით მათი მომავალი შვილებისა და მეუღლეებისადმი.

ვიდრე შვილის ნამდვილად შეყვარების ფორმის აღმოჩენაზე გადავიდოდეთ, ერთი ვარაუდი უნდა მიმოვიხილოთ. ეს არის შენს მიერ ნასწავლის პრაქტიკაში განხორციელების სურვილი. განსხვავება არსებობს შვილის მიმართ გაურკვეველ თბილ გრძნობასა და მისთვის ყველაფრის გაღების გრძნობას შორის. უაზრობა იქნება კითხვის გაგრძელება თუ მის მიერ ნათქვამის სერიოზულად განჭვრეტას არ აპირებთ, არ აპირებთ გაიგოთ ის, და პრაქტიკულად განახორციელოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში

ადვილი იქნება მისი ზედაპირულად ნაკითხვა და დასკვნა, რომ ინფორმაცია არის მარტივი და არარეალური.

ბავშვისადმი სიყვარულის გამოვლენა შეიძლება მივაკუთვნოთ ოთხ მთავარ კატეგორიას: თვალთ კონტაქტი, ფიზიკური კონტაქტი, მიზანდასახული ყურადღება, და დისციპლინა. ყოველი სფერო ისეთივე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია როგორც სხვა დანარჩენი. მრავალი მშობელი (და ხელმძღვანელი) ყურადღებას ამახვილებს ერთ ან ორ მათგანზე, დანარჩენს კი უგულებელყოფენ. დღეს ყველაზე მეტად ყურადღებას ამახვილებენ დისციპლინაზე და დანარჩენ სამს გამორიცხავენ. მრავალი ქრისტიანი მშობლების შვილები მინახავს დისციპლინირებული, თუმცა სიყვარულს მოკლებული. სამწუხაროდ, ასეთ მშობელთა უმრავლესობას ერთმანეთში აქვთ არეული დისციპლინა და დასჯა, ისე თითქოს ეს ორი მცნება ერთმანეთის სინონიმები არიან. ეს მდგომარეობა გასაგებია იმ ფონზე, რასაც ვკითხულობ და მესმის, რომ უფროსები მშობლებს ურჩევენ ბავშვებთან ჯოხის გამოყენებას და იმას, რომ არ ახსენონ ბავშვი თუ უყვართ. ნახსენები არ არის როგორ დავეხმაროთ ბავშვს, რომ კარგად იგრძნოს თავი საკუთარი თავის, მშობლებისა, და სხვების წინაშე, ნახსენები არ არის როგორ გავხადოთ ბავშვი ბედნიერი.

ყოველდღიურად ვაწყდები ბავშვის აღზრდის საკითხებთან მიდგომის მეთოდებს. ეს ბავშვები საკმაოდ კარგად იქცევიან ვიდრე პატარები არიან, თუმცა როგორცწესი ზედმეტად ჩუმები და გულჩათხრობილნი არიან. მათ აკლიათ სპონტანურობა, ცნობისმოყვარეობა და სიყვარულით აღზრდილი ბავშვისათვის დამახასიათებელი ბავშური სიუხვე.

მშობლებმა ყურადღება უნდა გავამახვილოთ ბავშვისადმი სიყვარულის ყველა სფეროზე. მოდი გავაგრძელოთ და გადავიდეთ პირველ მათგანზე-თვალთ კონტაქტზე.

4

როგორ გამოვხატოთ სიყვარული თვალებით

როცა თვალთ კონტაქტზე პირველად დაფიქრდები, შესაძლოა იფიქრო, რომ ამ საკითხს არანაირი კავშირი არ უნდა ჰქონდეს შენს შვილთან. მაგრამ, როცა ბავშვებთან ვმუშაობთ, და ვაკვირდებით ბავშვსა და მშობელს შორის კომუნიკაციას, და ვსწავლობთ კვლევის შედეგებს, ვაცნობიერებთ, რომ თვალთ კონტაქტი ძალზე მნიშვნელოვანია. თვალთ კონტაქტი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია არა მარტო ბავშვთან კარგი კომუნიკაციის დასამყარებლად, არამედ მისი ემოციური საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

თვალთ კონტაქტს გაუცნობიერებლად ვიყენებთ როგორც სიყვარულის გამოხატვის მთავარ გზას, განსაკუთრებით ბავშვებთან. ბავშვი თვალთ კონტაქტს ემოციური კმაყოფილების მიზნით იყენებს მშობლებთან (და სხვებთან). რაც უფრო მეტად იყენებს მშობელი შვილთან თვალთ კონტაქტს სიყვარულის გამოხატვისათვის, უფრო მეტად იზრდება ბავშვი სიყვარულში და უფრო მეტად ივსება მისი ემოციური ავზი.

რა არის თვალთ კონტაქტი? მეორე ადამიანის თვალებში ყურება. თვალთ კონტაქტი მნიშვნელოვანია მრავალ სიტუაციაში. ოდესმე თუ გქონიათ საუბარი ადამიანთან, რომელიც სხვა მიმართულებით იყურება, და თქვენთან თვალთ

კონტაქტის დამყარება არ შეუძლია? ეს რთულია. და ჩვენი ამ პიროვნებისადმი განცდა დიდად არის დამოკიდებული მის ასეთ საქციელზე. ვცდილობთ შევიყვაროთ ისეთი ადამიანები, რომელთაც ჩვენთან თვალთ კონტაქტის დამყარება უჭირთ. თვალთ კონტაქტი სასიამოვნოა, მითუმეტეს როცა თან ახლავს სასიამოვნო სიტყვები და ღიმილი.

სამწუხაროდ, მშობლები, გაუცნობიერებლად იყენებენ თვალთ კონტაქტს ბავშვისათვის სხვა ინფორმაციის გადასაცემად. მაგალითად, მშობლებმა მოსიყვარულე თვალებით შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევისას შეხედონ შვილს, მაშინ როცა ბავშვი კარგად იქცევა და მშობლები მისით ამაყობენ. ამას ბავშვი პირობით სიყვარულად აღიქვავს, და როგორც ზემოთ ავლინებთ, არ შეუძლია შესაფერისად ზრდა-განვითარება ასეთ ვითარებაში. შეიძლება ბავშვი ძალიან გვიყვარს, მაგრამ შესაფერისი თვალის კონტაქტი აუცილებლად უნდა დავამყაროთ მასთან. წინააღმდეგ შემთხვევაში ბავშვი არასწორ ინფორმაციას მიიღებს და ვერ იგრძნობს ნამდვილ (უპირობო) სიყვარულს.

მშობლებისათვის ადვილია ცუდი ჩვევის განვითარება და თვალის კონტაქტით ბავშვთან მტკიცე გადანყვეტილების დაფიქსირება, რაც ძირითადად უარყოფითი ემოციის გამოხატვისას ხდება. ჩვენ დავინახეთ, რომ ბავშვი ყველაზე მეტად ემოციური თვალებში პირდაპირ ყურებისას არის. ეს შესაძლოა უმეტეს შემთხვევაში გავაკეთოთ ინსტრუქციის მიცემისას ან საყვედურის გამოცხადების და გაკრიტიკებისას. ეს დამლუპველი შეცდომაა, თუმცა თვალის კონტაქტის უარყოფითი განზრახვით გამოყენება კარგად მუშაობს მაშინ, როცა ბავშვი საკმაოდ ახალგაზრდაა.

მაგრამ გახსოვდეთ, რომ თვალთ კონტაქტი არის ბავშვის ემოციური აღზრდის ძირითადი რესურსი. როცა მშობელი კონტროლის ამ ძლიერ საშუალებას ძირითადად უარყოფით პლანში იყენებს, მაშინ ბავშვი თავის მშობელს უარყოფითადვე ხედავს. შეიძლება ასეთი ხერხის გამოყენებას კარგი შედეგი მოაქვს როცა ბავშვი პატარაა, და ბავშვი მორჩილი და დამჯერია შიშის გამო. როგორც კი გაიზრდება შიში გზას უთმობს სიბრაზეს, უარყოფასა და დეპრესიას.

ნავიკითხვით ტომის მოსაზრება: აი რას გვეუბნება იგი.

კარგი იქნებოდა მის მშობლებს სცოდნოდათ ეს! მათ ძალიან უყვარდათ ტომი, მაგრამ არ იცოდნენ და იშვიათად ამყარებდნენ მასთან თვალთ კონტაქტს, და როცა ამას აკეთებდნენ, მხოლოდ მაშინ როცა, მკაფიო ინსტრუქციებს აძლევდნენ ან სჯიდნენ. ტომმა იცოდა, რომ მშობლებს უყვარდათ იგი. მაგრამ, მათ მიერ თვალის კონტაქტის კრიტიკული ფორმით გამოყენების გზამ, ტომი ათი წელი გაურკვევლობაში ამყოფა და გაოგნებული დატოვა ბოლოს. გაიხსენეთ ეს გამონათქვამი, 'არავინ ზრუნავს ჩემზე გარდა მეგობრებისა?' როცა ვკითხე, 'არავინ?' შემდეგ მითხრა, 'როგორც ვფიქრობ, ჩემი მშობლებიც. მაგრამ დარწმუნებული არა ვარ.' ტომმა იცოდა, რომ სიყვარული უნდა ეგრძნო, მაგრამ ვერ გრძნობდა.

უარესი ჩვევების მშობლებმა შეიძლება თავი აარიდონ ასეთი კონტაქტის გამოყენებას დასჯის მიზნით. ეს სისასტიკეა, რასაც ხშირად ვაკეთებთ ჩვენი მეუღლეების მიმართ. (მოდით, ვალიაროთ.) ბავშვისათვის შეგნებულად თვალის არიდება როგორც წესი უფრო მტკივნეულია ვიდრე ფიზიკური დასჯა. ეს შეიძლება გამანადგურებელი იყოს. ეს შეიძლება ბავშვის ცხოვრებაში ერთ-ერთი ის შემთხვევა იყოს, რომელსაც ვერასოდეს დაივინყებთ.

მშობელსა და ბავშვს შორის რამოდენიმე ტიპის შემთხვევა არსებობს, რომლის ეფექტი მთელი ცხოვრება თან სდევს ორივე მხარეს, და ვერასოდეს ივინყებენ. ბავშვის საქციელის დანუნების გამო განზრახულად თვალთ კონტაქტისათვის თავის არიდება პირობითი სიყვარულის მაგალითია. ბრძენი მშობლები ყველაფერს გააკეთებენ ეს რომ არ მოხდეს.

ბავშვისადმი ჩვენი სიყვარულის გამოხატვა დამოკიდებული არ უნდა იყოს ჩვენს კმაყოფილებაზე და უკმაყოფილებაზე. შესაბამისად სიყვარულს უნდა გამოვხატავდეთ, შეუდრეკლად, როგორც არ უნდა იყოს სიტუაცია. არასწორ საქციელზე სხვაგვარი ფორმით შეიძლება გამოვხატოთ უკმაყოფილება- ისეთი გზით, რომელიც ბავშვისადმი სიყვარულის გამოხატვას ხელს არ შეუშლის. მოგვიანებით ვისაუბრებთ დისციპლინისა და მისი განხორციელების გზებზე ისე, რომ სიყვარულის კავშირს

ძირი არ გამოეთხაროს. ე.ი მშობლებმა თვალთ კონტაქტი უნდა გამოიყენონ სიყვარულის გადაცემის გამუდმებულ წყაროდ, და არა უბრალოდ როგორც დისციპლინის გზა.

ჩვენ ვართ ნიმუში

ყველამ ვიცით, რომ ბავშვები მიბაძვით სწავლობენ: რაც გულისხმობს იმას, რომ ისინი ჩვენი ნიმუშის მიხედვით მოქმედებენ. ამ გზით ბავშვები სწავლობენ ხელოვნებასა და თვალთ კონტაქტის გამოყენებას. თუ ბავშვს მუდამ სიყვარულით შევხედავთ ხოლმე, ისიც იგივეს გააკეთებს. თუ თვალის კონტაქტით გალიზიანებას გამოვხატავთ, ისიც ანალოგიურად მოიქცევა.

იცნობთ უნდო ბავშვს? რომელიც შეხვედრისთანავე მომენტალურად შემოგხედავთ და ამის შემდეგ მხოლოდ მაშინ, როცა რაიმე საინტერესოს ამბობთ ან აკეთებთ. ამას გარდა ცდილობს თავი აარიდოს თქვენთან კონტაქტს. ეს სწრაფმავალი თვალთ კონტაქტი ძალზე გამაღიზიანებელია. დავაკვირდეთ როგორი თვალთ უყურებენ მშობლები მას და ვნახოთ არის თუ არა მათ შორის მსგავსება?

წარმოიდგინეთ როგორი აშკარა არახელსაყრელი მდგომარეობა აქვს მას და ექნება მთელი ცხოვრების მანძილზე. წარმოიდგინეთ როგორი რთული იქნება მისთვის მეგობრობის გაჩენა და სხვა ახლო ურთიერთობების დამყარება. როგორი უარყოფილი და არა მოსაწონი იქნება იგი თავისი თანატოლებისაგან, არა მხოლოდ ახლა, არამედ შესაძლოა სამუდამოდ, რადგან ამ მოდელის ნგრევის შესაძლებლობა ძალიან მცირეა. პირველ რიგში იმიტომ, რომ მას გაცნობიერებული არა აქვს რას აკეთებს; და მეორე, მისთვის ამ ნიმუშის შეცვლა ძალიან რთულია, ვიდრე მშობლები არ შეცვლიან თვალთ კონტაქტს, მანამდე ვიდრე ბავშვი დიდი არ გამხდარა. ეს არის ბავშვის საუკეთესო იმედი.

ეს ტრაგიკული დასკვნა გაკეთდა საავადმყოფოს პედიატრიულ განყოფილებაში კვლევის შედეგად. დამკვირვებელი კორიდორის ბოლოში იჯდა და იწერდა თუ რამდენჯერ შევიდოდა ექთანი ან მოხალისე ყოველი ბავშვის

პალატაში. ზოგიერთ ბავშვებს უფრო ხშირად ჰყავდათ სტუმრები ვიდრე დანარჩენებს. შედეგი მეტად გასაოცარი აღმოჩნდა. რა თქმა უნდა ეს დაკავშირებული იყო ბავშვის ავადმყოფობის სიმძიმესთან და საჭირო დახმარების აღმოჩენასთან. მაგრამ ეს არ იძლეოდა პაციენტთან დამყარებული კონტაქტის საკმარის ახსნას. შეიძლება მიხვდით საქმის არსს. უფრო პოპულარული ბავშვები უფრო მეტ ყურადღებას იღებდნენ, როცა ექთნებსა და მოხალისეებს თავისუფალი დრო ან არჩევანი ჰქონდათ რომელიმე ოთახში შესვლისას. ისინი ბუნებრივად ირჩევდნენ ბავშვებს, რომლებიც სასიამოვნო ურთიერთობის ხელოვნებას ფლობდნენ.

რამ გამოიწვია სასიამოვნო ბავშვებში ასეთი განსახვავება? რამოდენიმე მიზეზმა, როგორცაა სიფხიზლე, სიტყვიერი კონტაქტი, და სპონტანურობა, მაგრამ ყველაზე ეფექტური იყო თვალთ კონტაქტი. ყველაზე ნაკლებად პოპულარული ბავშვები სტუმარს მოკლე დროით შეხედავდნენ, და მალევე დაიხედავდნენ დაბლა ან შორს. შემდეგ, ბავშვები თავს არიდებდნენ თვალთ კონტაქტს, და ართულებდნენ მათთან ურთიერთობას. უფროსები ბუნებრივად უხერხულად გრძნობდნენ თავს ასეთ ბავშვებთან. ექთნები და მოხალისეები, ვერ აცნობიერებდნენ ურთიერთობაში ინიციატივის აღების საკუთარ მნიშვნელობას, და ფიქრობდნენ რომ ბავშვებს მარტო ყოფნა სურდათ, ბავშვებს არ მოსწონდათ ისინი. რის შედეგადაც ისინი თავს არიდებდნენ ასეთ ბავშვებს, და ამით ხელს უწყობდნენ, რომ ბავშვს თავი უფრო უსიყვარულოდ და უარყოფილად ეგრძნო.

ანალოგიურ შემთხვევას აქვს ადგილი ბევრ ოჯახში. ეს მოხდა ტომის ოჯახშიც. რისი გამოსწორებაც შეიძლებოდა მშობლების მიერ რეგულარული, სასიამოვნო თვალის კონტაქტით (უპირობო სიყვარულით). მათ რომ ეს სცოდნოდათ (და სხვა რამოდენიმე ძირითადი ფაქტი ბავშვების სიყვარულის შესახებ), ტომთან ეს პრობლემა აღარ ექნებოდათ.

განვითარების მცდელობის შეფერხების მიზეზი

ჩვენი კვლევის მეორე მნიშვნელოვანი აღმოჩენა მოხდა უნივერსიტეტის საავადმყოფოს პედიატრიულ განყოფილებაში.

ჩვენ ვსწავლობდით განვითარების სინდრომის შეფერხების უცნაურ მიზეზს. ამ დაავადების შემთხვევაში, ბავშვი, როგორც წესი ექვსიდან თორმეტ წლამდე, ასაკში წყვეტს განვითარებას. ხშირად იგი უარს ამბობს საკვებზე და წყვეტს ზრდას, ხდება გულგრილი და მძინარა, და სინამდვილეში მრავალი ბავშვი კვდება ამ მიზეზით. ყველა ტესტი და კვლევა ნორმალურია.

მაშ რატომ კარგავს ბავშვი სიცოცხლის სურვილს? უმეტეს შემთხვევებში მშობლებმა უარი თქვეს შვილზე, ხშირად გაუცნობიერებლად (დამოუკიდებელი მიზეზების გამო). მათ არ ძალუძთ ბავშვის უარყოფის პრობლემის შეგნებულად მოგვარება, და გაუცნობიერებლად თავისი საქციელით უარყოფენ ბავშვს. საკითხის შესწავლისას დავინახეთ, რომ ასეთი მშობლები გაურბიან ბავშვთან თვალთ კონტაქტსა და ფიზიკურ კონტაქტს. დანარჩენ შემთხვევებში ისინი კარგი მშობლები არიან, და შვილებს საჭირო საკვებითა და სამოსით ამარაგებენ.

განვითარების სინდრომის მარცხი მეტად საოცარი ფენომენია, მაგრამ სხვა აღმოჩენებიც მასზე არანაკლებია. მეორე მსოფლიო ომის დროს ლონდონზე მოულოდნელი თავდასხმებისას, უამრავი ბავშვი გაიყვანეს ქალაქიდან უსაფრთხოების მიზნით და სოფლებში მიაბარეს უფროსებს. ფიზიკურად ზრუნავდნენ ამ ბავშვებზე, სუფთად უვლიდნენ, კარგად კვებავდნენ და კომფორტში იყვნენ. თუმცა, ემოციურად ძალიან უჭირდათ, რადგან საკმარისი მზრუნველები არ ჰყავდათ ემოციურად აღზრდის, თვალისა და ფიზიკური კონტაქტის დასამყარებლად.

ამ ბავშვების უმრავლესობა ემოციურად დაზიანებული და დასახიჩრებული დარჩა. ბევრად უკეთესი იქნებოდა მათთვის საკუთარ დედებთან რომ დაეტოვებინათ. ემოციური საშიშროება ბევრად უარესი იყო ვიდრე ფიზიკური ზიანი.

ემოციურად სუსტ ბავშვს აფრთხობს მოსალოდნელი საშიშროება. მშობლებო! გააძლიერეთ თქვენი შვილები. თქვენი უდიდესი იარაღი არის უპირობო სიყვარული.

თვალთ კონტაქტი და სწავლების პროცესი

დიდ სიამოვნებას მანიჭებს მასწავლებლებისათვის თვალთ და ფიზიკური კონტაქტით ბავშვის მღელვარებასა და სწავლის უნარზე მისი გავლენის სწავლება.

მასწავლებელს შეუძლია სამი-ოთხი წლის ასაკის ბავშვში გამოიცნოს, ვინ არის ამკარად აღელვებული, შეშინებული და ზრდადაუსრულებელი თვალთ კონტაქტის დამყარების სირთულის მიხედვით. განელვებულმა ემოციამ შეიძლება ბავშვში თვალის კონტაქტით დამყარების სირთულე გამოიწვიოს.

უკიდურესად გაღიზიანებულ ბავშვს სირთულე ექმნება, უფროსებთან დამოკიდებულების დამყარებაში (ხშირად თანატოლებთანაც). ნორმალურ ემოციაში აღზრდილი ბავშვი შეძლებს მასწავლებელთან პირდაპირ მივიდეს, ყოყმანის გარეშე დაამყაროს თვალთ კონტაქტი და უთხრას რაც გულში აქვს-მაგალითად, 'შეიძლება ფურცელი ავიღო?' რაც უფრო დამახინჯებულია ბავშვი ემოციურად, უფრო რთულია მისთვის ანალოგიური ნაბიჯის გადადგმა.

საშუალოდ ყოველ საკლასო ოთახში შეხვდებით ერთ ბავშვს მაინც (ხშირად ბიჭს) გაღიზიანებულ, შეშინებულ ბავშვს, რომელსაც თვალთ კონტაქტის დამყარება არ შეუძლია, და დიდი ყოყმანით საუბრობს (როგორც წესი, არ ძალუძს დამაჯერებელი საუბრის წარმართვა), და ხშირად მასწავლებელთან ირიბად ამყარებს ურთიერთობას. ხანდახან ასეთი ბავშვი მასწავლებელთან კონტაქტს თითქმის უკანსვლით ამყარებს. რა თქმა უნდა, ასეთ ბავშვებს სწავლა უჭირთ, რადგან ძალიან აღელვებულები და დაძაბულები არიან.

როცა ასეთ ბავშვს ვხვდებით, მე ვთხოვ მასწავლებელს, რომ რაღაც ასწავლოს მოპირდაპირე მაგიდასთან ჯდომისას. შემდეგ მასწავლებელს ვთხოვ ბავშვს შეეხოს, დროდადრო თვალთ კონტაქტი დაამყაროს (იმდენად რამდენადაც ბავშვს ამის ატანა შეეძლება) მასთან საუბრის განმავლობაში. მოკლე დროის შემდეგ, კვლავ ვთხოვ მასწავლებელს, რომ რაღაც ასწავლოს ფიზიკურად ხელით შეხების განმავლობაში. მასწავლებელი გაოცებულია, და მე ყოველთვის გაკვირვებული ვრჩები იმით, თუ რამდენად ადვილია ბავშვისათვის სწავლა, როცა პირველად

მის ემოციურ საჭიროებებზე ზრუნავენ. თვალისა და ფიზიკური კონტაქტის მეშვეობით, მასწავლებელმა შეძლო ბავშვის შიშისა და აღელვებისაგან გათავისუფლება, და გააძლიერა მისი უსაფრთხოებისა და თავდაჯერებულობის განცდა. რამაც მას უკეთესად სწავლის შესაძლებლობა მისცა. მარტივია? რა თქმა უნდა. მაშინ რატომ უფრო ხშირად არ მივმართავთ ამ ხერხს? დარწმუნებული ვარ, რომ ამისათვის მრავალი მიზეზი არსებობს, გვეშინია, რომ არაპროფესიონალები არ აღმოვჩნდეთ, ან ვშიშობთ, რომ ბავშვი არ გავათამამოთ, ან როგორღაც გაუთვალისწინებლად არ დავაზიანოთ. თუკი საერთოდ არსებობს რაიმე, რაზეც დარდი არ არის საჭირო, ეს არის მისცე ბავშვს უზომო სიყვარული.

უცხო სიტუაციაში

როგორც მშობელი მადლიერი ვარ, რომ თვალთ კონტაქტის მნიშვნელობას გავეცანი. ამან დიდი ცვლილება მოახდინა ჩემს საკუთარ ბავშვებში. არასოდეს დამავინყდება, მაგალითად, როცა პირველად გადავედით ახალ სახლში. ჩვენი ბიჭები ექვსი და ორი წლისები იყვნენ, იმ დროს ბედნიერები, ენერგიულები და დამოუკიდებლები.

ახალმოსახლეობიდან დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ, ორივე ბავშვში ცვლილება შევნიშნეთ. ჩუმად სლუკუნებდნენ, გვებლაუჭებოდნენ, ადვილად ბრაზდებოდნენ, ხშირად ჩხუბობდნენ, გამუდმებით ფეხებში გვედებოდნენ და ღიზიანდებოდნენ. იმ დროს, მე და ფეთი აღელვებულნი ვცდილობდით სახლის მოწყობას ახალ სამსახურში გამოცხადებამდე. ორივე გაღიზიანებული ვიყავით ბიჭების საქციელთ, მაგრამ ვფიქრობდით, რომ ეს გამონეული იყო საცხოვრებლის გამოცვლით.

ერთ ღამეს ბიჭებზე ვფიქრობდი და ვეცადე საკუთარი თავი მათ ადგილას წარმომედგინა. მათი საქციელის პასუხმა მოულოდნელად ჩაქუჩივით დამარტყა თავში. ფეთი და მე დღე და ღამე ვიყავით ბავშვებთან და ხშირად ვესაუბრებოდით. მაგრამ ისე შეუპოვრად ვმუშაობდით სახლის საქმეებზე, რომ ვერ შევძელით მათთვის შესაფერისი ყურადღების დათმობა;

ვერასოდეს დავამყარეთ თვალით კონტაქტი და იშვიათად ჰქონდა ადგილი ფიზიკურ შეხებას. მათი ემოციური ავზი დაშრა, რის ავსებასაც თავიანთი საქციელით ითხოვდნენ. 'გვიყვარვარ?' ბავშვურად, არარაციონალური გზით, კითხულობდნენ. 'ამ ახალ ადგილშიც გვიყვარვარ? ისევ ძველებურად არის ჩვენს შორის ყველაფერი? კიდევ გვიყვარვარ?' ასეთი საქციელი ტიპიურია ბავშვისათვის ცვლილებების დროს.

როგორც კი პრობლემა გავაცნობიერე, ჩემი მოსაზრება მაშინვე გაფუზიარე მეუღლეს. ვფიქრობ ჯერ გაოცდა, მაგრამ შემდეგ მზად იყო ყველა ხერხი გამოეყენებინა მდგომარეობის გამოსასწორებლად.

მეორე დღეს, ვეცადეთ ბიჭებთან თვალით კონტაქტი დაგვემყარებინა, როცა გვესაუბრებოდნენ (აქტიური მოსმენა), და როცა ჩვენ ვესაუბრებოდით მათ. როცა შეგვეძლო, ხელში აგვეყვავა და მიზანდასახულ ყურადღებას ვაქცევდით. ცვლილება დრამატული აღმოჩნდა. როგორც კი მათი ემოციური ავზი აივსო, ისინი მაშინვე გახდნენ ბედნიერები, გაბრწყინებულები, გახალისდნენ და მალე ნაკლებად გვედებოდნენ ფეხებში და უფრო მეტ დროს უთმობდნენ ერთმანეთთან თამაშს და უხაროდათ. მე და ჩემი მეუღლე ერთმანეთს დავეთანხმეთ, რომ ეს დრო აზრიანად დავხარჯეთ ბავშვებთან. მას შემდეგ რაც ბავშვები დამშვიდდნენ უფრო მეტი გავაკეთეთ, მაგრამ უფრო მეტად მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ისინი კვლავ ბედნიერები იყვნენ.

არასოდეს არის ადრე

ახლა, მინდა ერთი ილუსტრაცია შემოგთავაზოთ თვალით კონტაქტის მნიშვნელობის შესახებ. ახალშობილის თვალთ ორი-სამი კვირის შემდეგ იწყებს დანახვას. პირველი, რაზეც ახალშობილი ყურადღებას ამახვილებს არის, ადამიანის სახე, მაგრამ განსაკუთრებით თვალები.

მას შემდეგ რაც ბავშვი ექვსი-რვა კვირის გახდება, შენიშნავთ, რომ მისი თვალები გამუდმებით მოძრაობენ და რალაცას ეძებენ. თვალები ჰგავს ანტენას, რომელიც გამუდმებით მოძრაობს და რალაცას ეძებს.

იცით თუ არა რას ეძებს? როგორც ვფიქრობ თქვენ უკვე იცით ამაზე პასუხი: ის სხვა თვალებს ეძებს. ორი თვის ადრეულ ასაკში, ეს თვალები უკვე სხვა თვალებს ეძებენ. ის უკვე ემოციას გრძნობს და ასეთ ადრეულ ასაკშიც კი მის ემოციურ ავზს ავსება სჭირდება.

დიდებულია, არა? გასაკვირია, რომ ბავშვის სამყაროსთან მისეული დამოკიდებულების გზა, ასე კარგად არის ჩამოყალიბებული ადრეულ ასაკში. მკვლევარების უმეტესობა აცხადებს, რომ ბავშვის ძირითადი ხასიათი, აზროვნების წესი, მეტყველების მანერა და სხვა კრიტიკული თვისებები უკვე კარგად არის ჩამოყალიბებული ხუთი წლის ასაკში.

ბავშვს მუდამ სჭირდება გამუდმებული, თბილი და ხშირი ყურადღება. მას უნდა ჰქონდეს ასეთი უპირობო სიყვარული დღევანდელ სამყაროსთან ეფექტური ურთიერთობისათვის. ჩვენ კი გვაქვს მარტივი და უკიდურესად ძლიერი მეთოდი, რომლითაც ბავშვისათვის ამ საჭიროების მიცემა შეგვიძლია. თვალთ კონტაქტის დამყარებით უპირობო სიყვარულის გადაცემა თითოეულ მშობელზეა დამოკიდებული.

ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ ბავშვთან ფიზიკური კონტაქტის საჭიროებაზე, მაგრამ მოდი ეს საკითხი ახლა უფრო ღრმად განვიხილოთ.

5

როგორ გამოვხატოთ სიყვარული ფიზიკური კონტაქტით

როგორც ჩანს ბავშვისადმი სიყვარულის ყველაზე აშკარად გამოხატვის გზა არის ფიზიკური კონტაქტი. ჩვენდა გასაოცრად, მშობლების უმეტესობა შვილებთან ფიზიკურ კონტაქტს მხოლოდ აუცილებელი საჭიროების შემთხვევაში ამყარებენ, ჩაცმაში ან მანქანაში ჩაჯდომის დახმარების მიზნით. სხვა შემთხვევაში, მცირერიცხოვანი მშობლები თუ სარგებლობენ შვილებისადმი უპირობო სიყვარულის გამოხატვის ამ სასიამოვნო გზით, რაც მათ შვილებს დაჟინებით სწავლიათ. იშვიათად ნახავთ მშობლებს შესაფერისი ნებისყოფის დონეზე ან 'ცა მონმენდილზე' რომ საკუთარ შვილებს შეეხონ.

მე არ ვგულისხმობ მხოლოდ, გადახვევას, კოცნას, და ამდაგვარს. მე აქ ვგულისხმობ ნებისმიერი სახის ფიზიკურ კონტაქტს. ძალიან მარტივია ბავშვს რომ მხარზე შეეხო, თავაზიანად მოუთათუნო ზურგზე, ან თმაზე ხელი გადაუსვა. თუ ახლოს დააკვირდებით მშობლების შვილებთან ურთიერთობას, მშობლების უმრავლესობა ნაკლებად ცდილობს შვილთან ფიზიკური კონტაქტის დამყარებას. ეს მშობლები ისე უყურებენ საკუთარ შვილებს, თითქოს მექანიკურად მოსიარულე თოჯინები იყვნენ, ან საგნები, რომლებიც სწორად სიარულსა და საქციელს მათი მცირედი დახმარების მეშვეობით წარმართავენ. ამ მშობლებმა არ იციან

რა შესანიშნავ შესაძლებლობას კარგავენ.

მათ ხელთ უპყრიათ შვილების ემოციურ უსაფრთხოებაში დარწმუნების გზა და მშობლის საქმეში საკუთარი წარმატება.

გამამხნეველებია იმ მშობლების ხილვა, რომელთაც თვალისა და ფიზიკური კონტაქტის საიდუმლოს მიაგნეს.

მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ შეხება გასაოცარ როლს თამაშობს ფიზიკურ და ემოციურ სიჯანსაღეში, და იწყება დაბადებიდანვე, ამას ამტკიცებს სტატია: 'განცდა, რომელიც აყალიბებს ჩვენს მომავალს' ჟურნალი რიდერს დაიჯესტი იანვარი 1992 წელი. ავტორი, ლოუელ პონტე, აღნიშნავს, რომ მაიამის სამედიცინო სკოლის შეხების მკვლევართა ჯგუფი გვიჩვენებს, რომ ნაადრევი ჩვილები, რომლებიც ყოველდღიურად ათ-თხუთმეტ წუთიან მასაჟს იღებენ, ორმოცდაშვიდი პროცენტით მეტად იმატებენ წონაში, ვიდრე იმავე განყოფილების სხვა პაციენტები, რომელთაც ასეთი ყურადღება არ მიუღიათ. ნაადრევი ჩვილებმა, რომლებიც ყოველდღიურ მასაჟს იღებდნენ, აჩვენეს გაუმჯობესებული ძილი, აქტივობა და სიფხიზლე. დაახლოებით რვა თვის შემდეგ მათ გამოავლინეს უზარმაზარი გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობები.

დოქტორი მაიკლ მინეი, დუგლასის საავადმყოფოს კვლევის ცენტრის ფსიქოლოგი მაკგილის უნივერსიტეტში, მონტრეალი, გვიჩვენებს, რომ სიცოცხლის პირველ რამდენიმე კვირაში, ბავშვებს, რომელთაც ხშირად არ ეხებიან ისეთი რეცეფტორები უვითარდებათ რაც მრავალ პრობლემას იწვევს, განსაკუთრებით ასუსტებს ზრდასა და აზიანებს ტვინის უჯრედებს. მისი კვლევის განმავლობაში, ამბობს სტატია, დოქ. მინეის პირველი ბავშვი შეეძინა და მან გადაწყვიტა იმაზე უფრო მეტად გადახვეოდა ხოლმე გოგონას ვიდრე ჩვეულებრივ ამას გააკეთებდა. 'ჩვენი მტკიცებულება,' ამბობდა ის, 'გვიჩვენებს, რომ დღევანდელი გადახვევა დაეხმარება ჩემს გოგონას... ბედნიერი, ჯანმრთელი ცხოვრების წარმართვაში. ჩემმა შეხებამ შეიძლება მისი მომავალი განსაზღვროს.'

სტატია იმასაც აღნიშნავდა, რომ ექთნებისა და ახლობელი ადამიანების მზრუნველ შეხებას სასწაულების მოხდენა შეუძლია საავადმყოფოს პაციენტებში, ანელებს სიბრაზესა

და აქრობს თავის ტკივილს და ხანდახან ამცირებს ხშირ გულისცემასა და არითმიას.

როცა ჩვენი ვაჟი, დავითი რვა წლის იყო, ფინატის ლიგაში თამაშობდა ბეისბოლს. თამაშების განმავლობაში განსაკუთრებით მსიამოვნებდა ერთი მამის ყურება, რომელსაც თვალისა და ფიზიკური კონტაქტის საიდუმლოსათვის მიეგნო. მისი ვაჟი ხშირად მიირბენდა ხოლმე მასთან რაღაცის სათქმელად. ამკარა იყო, რომ ისინი ძალიან ახლოს იყვნენ ერთმანეთთან, თვალით კონტაქტი იყო პირდაპირი, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე. და მათი კომუნიკაცია მოიცავდა შესაფერის ფიზიკურ კონტაქტს, განსაკუთრებით, როცა რაღაცა სასაცილოს ამბობდნენ. ეს მამა ხშირად ეხებოდა შვილს მხარზე, ან ვაჟს მხარზე ხელს მოხვევდა და ხანდახან სიყვარულით მუხლზე დარტყამდა ხოლმე ხელს. დროგამოშვებით, ზურგზე ხელს მოუთათუნებდა ან თავისკენ მიიზიდავდა, განსაკუთრებით სასაცილო კომენტარისას. შეგეძლოთ გეთქვას, რომ ეს მამა ყოველ შესაძლებლობას იყენებდა შვილთან ფიზიკური კონტაქტის დასამყარებლად, ვიდრე ორივე მხარე კომფორტულად გრძნობდა თავს და ასეთი საქციელი შესაფერისი იყო.

ხანდახან, იგივე მამის ქალიშვილი მოდიოდა ხოლმე ძმის თამაშის საყურებლად. ის მამამისის გვერდით იჯდა, ან პირდაპირ. კიდევ ერთხელ, ეს მზრუნველი მამა თავის ქალიშვილთანაც შესაფერისად იქცეოდა. ხშირად მიმართავდა თვალისა და ფიზიკურ კონტაქტს, მაგრამ გოგონა ასაკის გამო, არც მუხლებზე დაუსვამს და არც უკოცნია (რასაც გააკეთებდა გოგონა რომ პატარა ყოფილიყო). ხშირად მსუბუქად შეეხებოდა ხოლმე ხელზე, მხარზე, მკლავზე ან ზურგზე. იშვიათად მუხლზე ხელს დაარტყამდა ხოლმე ან მოკლე დროით მხარზე ხელს გადახვევდა, და თავისკენ მიიზიდავდა, განსაკუთრებით მაშინ როცა რაიმე სასაცილო ხდებოდა.

ორი ძვირფასი საჩუქარი

ფიზიკური და თვალის კონტაქტი ყოველდღიურად უნდა გამოვიყენოთ ბავშვებთან დამოკიდებულებაში. რაც უნდა

იყოს ბუნებრივი, კომფორტული, და არა საჩვენებელი ან გადაჭარბებული. იმ ოჯახში გაზრდილი ბავშვი, სადაც თვალისა და ფიზიკურად შეხების კონტაქტს იყენებენ, კომფორტული იქნება საკუთარი თავისა და სხვების წინაშე. ადვილად დაამყარებს ურთიერთობებს სხვებთან, რომლის შედეგადაც საზოგადოების თვალში მოწონებას დაიმსახურებს და საკუთარი თავის დაფასების უნარსაც გამოიმუშავებს. შესაფერისი და ხშირი თვალისა და ფიზიკური კონტაქტი არის ორი ყველაზე ძვირფასი საჩუქარი, რომლის მიცემაც ჩვენი ბავშვებისათვის შეგვიძლია. თვალისა და ფიზიკური კონტაქტი (მიზანდასახულ ყურადღებასთან ერთად, იხილეთ ნ თავი) არის ბავშვის ემოციური ავზის ასავსებად ყველაზე ეფექტური და საუკეთესო გზები და ბავშვს აძლევს საუკეთესო შესაძლებლობების გამოვლენის უნარს.

სამწუხაროდ, ტომის მშობლებმა ვერ აღმოაჩინეს თვალისა და ფიზიკური კონტაქტის საიდუმლო. მათ არასწორად გამოიყენეს თვალთ კონტაქტი. ისინი ფიქრობდნენ, რომ ფიზიკური კონტაქტის დამყარება საჭირო იყო მხოლოდ გოგონებთან, რადგან 'მათ სჭირდებოდათ მოწონების განცდა.' ბატონ და ქალბატონ სმიტებს სჯეროდათ, რომ ბიჭებს უნდა მოქცეოდნენ როგორც მამაკაცებს. ისინი ფიქრობდნენ, რომ სიყვარული ტომს ქალურ ხასიათს გამოუმუშავებდა. ეს მშობლები ვერ მიხვდნენ, რომ სიმართლე პირიქით იყო, რომ რაც უფრო დააკმაყოფილებდნენ ტომის ემოციურ საჭიროებებს თვალისა და ფიზიკური კონტაქტით, განსაკუთრებით მამამისი, უფრო მეტად იგრძნობდა თავს მამრობით სქესთან იდენტურად, და უფრო მეტად მამაკაცური იქნებოდა.

სმიტები იმასაც ფიქრობდნენ, რომ რაც უფრო იზრდებოდა ბიჭი, მით უფრო მცირდებოდა სიყვარულისადმი მისი მოთხოვნილება, განსაკუთრებით კი ფიზიკური მოთხოვნილება. სიმართლე კი იმაში მდგომარეობს, რომ ბიჭის ფიზიკური კონტაქტისადმი მოთხოვნილება არასოდეს წყდება, თუმცა მისი მოთხოვნილების ტიპი იცვლება.

როგორც ჩვილს სჭირდება ხელში აყვანა, მოფერება, მოხვევა, კოცნა-'ოეი-გოეი სიყვარული' როგორც ამას ჩემი ბიჭები ეძახდნენ სკოლის ასაკში; ასეთივე ფიზიკური სიყვარული

გადამწყვეტ როლს თამაშობს ბავშვში დაბადებიდან შვიდი-რვა წლის ასაკამდე-და მართლა ვგულისხმობ გადამწვეტ როლს! კვლევები გვიჩვენებენ, რომ ერთ წლამდე ასაკის ახალშობილი გოგონები ხუთჯერ მეტ ფიზიკურ მონონებას იღებენ ვიდრე ბიჭები. და დარწმუნებული ვარ, რომ ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ აქვთ ბიჭებს (სამი წლიდან ყმანვილობამდე) მეტი პრობლემები ვიდრე გოგონებს. გოგონებთან შედარებით ექვსჯერ მეტი ბიჭი მიჰყავთ ფსიქიატრიულ კლინიკაში ქვეყნის მასშტაბით. ეს მონაცემები დრამატულად იცვლება ყმანვილობის ასაკში.

აშკარაა, რომ ბიჭებისთვისაც ისევე მნიშვნელოვანია ადრეულ ასაკში სიყვარული როგორც გოგონებისათვის. როცა ბიჭი იზრდება და უფროს ასაკში შედის ფიზიკური სიყვარულის-გადახვევისა და კოცნის საჭიროება კლებულობს, მაგრამ არა მისი ფიზიკური კონტაქტისადმი მოთხოვნილება. თავდაპირველი 'ოეი-გოეი სიყვარულის' ნაცვლად მას ახლა ისეთი 'ბიჭური სტილის' ფიზიკური კონტაქტი სჭირდება, როგორიცაა მსუბუქი ჭიდაობა, ხელის კვრა, ზურგზე სრიალი, თამაშისას დარტყმა ან ბოქსი, იშვიათად გადახვევა, 'ხელი ხელს შემორტყმა' (გამარჯვებისას სხვა ადამიანზე ხელის წამორტყმა). ამ გზით ბიჭთან ფიზიკური კონტაქტის დამყარება ნიშნავს ისეთი ყურადღების მიპყრობას, როგორიცაა გადახვევა და კოცნა. ნუ დაივიწყებთ, რომ ბავშვები არასოდეს არიან დიდები ამ ორი ტიპის მოთხოვნილებისათვის.

ჩემი ბიჭების შემთხვევაში, რომლებიც ახლა უკვე დიდები არიან, რაც უფრო იზრდებოდნენ, უფრო ნაკლებად იღებდნენ გადახვევას, კოცნას და ხელის ჩაკიდებას. თუმცა იყო დრო, როცა სჭირდებოდათ და უნდოდათ ამის მიღება, და უნდა მეფხიზლა რათა შესაფერის დროს მემოქმედა. ასეთი დროი იყო მაშინ, როცა რაიმე ანუხებდათ (ფიზიკურად ან ემოციურად), როცა ძალიან დაღილები იყვნენ, როცა ავად იყვნენ ან რაიმე სამწუხარო ხდებოდა გარშემო.

გახსოვთ თუ არა მეოთხე თავში განსაკუთრებული მომენტების განხილვა? მომენტები, რომელიც მნიშვნელოვანია ბავშვისათვის, იმდენად მნიშვნელოვანი, რომ არასოდეს ავიწყდებათ. ეს განსაკუთრებული შემთხვევები უნდა

გამოვიყენოთ ბავშვებისათვის ფიზიკური სიყვარულის გამოხატვის საშუალებად (გადახვევა, კოცნა), განსაკუთრებით დიდობაში, ხშირად დგება ასეთი განსაკუთრებული დრო. ასეთი მომენტები მაშინ ახსენდებათ, როცა ყმანვილობის ძლიერი ტკივილი მოეძალებათ, როცა თინეიჯერობის წინააღმდეგობების დრო დაუდგებათ, და მშობლების სიყვარული გაახსენდებათ. რაც უფრო მეტი განსაკუთრებული მომენტები გაახსენდება, მით უფრო ადვილად შეძლებს მტკიცედ დგომასა და ყმანვილობის ალიაქოთიდან თავის დაღწევას.

ასეთი ძვირფასი მომენტები ძალიან იშვიათია. ბავშვი სწრაფად გადადის ერთი ასაკიდან მეორეში, და ვიდრე ამას გავაცნობიერებთ, დრო, როცა მისთვის საჭირო დახმარების აღმოჩენა შეგვეძლო თვალსა და ხელს შუა გაგვიქრება. ნამდვილად სამწუხარო ფაქტია.

ბიჭებისათვის ფიზიკური სიყვარულის გამოვლენის კიდევ ერთი მომენტი. ბიჭისადმი სიყვარულის გამოვლენა ადვილია პატარა ასაკში, განსაკუთრებით თორმეტიდან თვრამეტი თვის ასაკში. რაც უფრო იზრდება, უფრო რთული ხდება ამის გაკეთება. რატომ? როგორც უკვე ავლინებთ, არსებობს მცდარი წარმოდგენა, რომ ფიზიკური კონტაქტით სიყვარულის გამოვლენა მხოლოდ გოგონებისათვის არის შესაფერისი. ამის მიზეზი კი ის არის, რომ ბიჭების უმეტესობა უფრო ნაკლებად იქცევენ ყურადღებას მოზარდობის ასაკში. მაგალითად, ხალხის უმრავლესობისათვის შვიდი-რვა წლის ბიჭები არა დამჯერნი, არამედ გამაღიზიანებელი არიან. იმისათვის, რომ ბიჭს მისცე ის რაც მას ემოციურად სჭირდება, ჩვენ როგორც მშობლებმა უნდა გავაცნობიეროთ ეს არასასიამოვნო გაცნა, უარყვოთ იგი და გავაგრძელოთ ჩვენი მშობლური მოვალეობის შესრულება.

ახლა განვიხილოთ გოგონების ფიზიკური კონტაქტის მოთხოვნილება. როგორც წესი, გოგონები პირდაპირ არ გამოხატავენ ამის საჭიროებას, ისე როგორც ბიჭები პირველი შვიდი რვა წლის ასაკში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სიყვარულის საჭიროებას აშკარად არ გამოხატავენ. უამრავი ემოციურად დასახიჩრებული ბიჭი მინახავს. მაგრამ, როგორც ჩანს

გოგონები უკეთესად ართმევენ თავს ამ პრობლემას და ნაკლებ ეფექტს ახდენს მათზე ყმანვილობის ასაკში სიყვარულის ნაკლებად გამოხატვა. არ დაიჯერებთ ამას. თუმცა გოგონები არ ავლენენ თავიანთ განცდებს პატარაობაში, მაგრამ ძლიერი იტანჯებიან შესაფერისი ემოციური აღზრდის გარეშე. რაც უფრო შესამჩნევი ხდება მოზარდობის ასაკში, განსაკუთრებით სიყმანვილეში.

ამ პრობლემის ერთი მიზეზი მდგომარეობს ფიზიკური კონტაქტი. გახსოვდეთ, რომ ფიზიკური კონტაქტი, განსაკუთრებით ძლიერი სიყვარულის ტიპის (ხელით შეხება, გადახვევა, კოცნა და ასე შემდეგ), სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ბიჭებისთვის ახალგაზრდულ წლებში. რაც უფრო პატარაა ბიჭი, მით უფრო მნიშვნელოვანია მასთან სიყვარულით ეფექტური კონტაქტი. მაშინ როცა, გოგონებთან, ფიზიკური კონტაქტის (განსაკუთრებით უფრო ძლიერი სიყვარულის ტიპის კონტაქტის) მნიშვნელობა იზრდება ბავშვის ზრდასთან ერთად და დაახლოებით თერთმეტი წლის ასაკში ზენიტს აღწევს. არაფერი ისე არ მტკენს გულს, როგორც თერთმეტი წლის გოგონას დანახვა, რომელიც ვერ იღებს სათანადო ემოციურ აღზრდას. როგორი კრიტიკული ასაკია!

შარონის პიროვნული ცვლილება

‘არ მჯერა! შარონი უნდა იყოს დოქტორი ჯეკელი ან ბატონი ჰაიდე,’ თქვა ქალბატონმა ფრანცისკომ თავისი თხუთმეტი წლის გოგონას ბედით შეწუხებულმა, ჩემთან პირველი ვიზიტისას. ‘ის ყოველთვის წყნარი, მორიდებული გოგონა იყო, რომელიც არასოდეს ცელქობდა. ახლა კი პირიქით, ყოველთვის შეხსენება სჭირდება საქმის გასაკეთებლად, განსაკუთრებით ბოლო რამოდენიმე თვის განმავლობაში. ცოტა ხნით საერთოდ ვერაფერს ვერ ვაკეთებინებდი. გეგონებოდათ, რომ სიცოცხლე მოეწყინა. ყველაფრისადმი ინტერესი დაკარგა, განსაკუთრებით კი სკოლის დავალებებისადმი. თითქოს ენერგია დაკარგოდა. შარონი პედიატრთან ნავიყვანე, მაგრამ ვერაფერი აღმოაჩინა. შემდეგ სკოლის მრჩეველსა და მის მასწავლებლებს ვესაუბრე.

ისინიც გაკვირვებულნი იყვნენ შარონის დამოკიდებულებების ცვლილებითა და მონყენილობით. ზოგიერთმა მეგობარმა მირჩია ყურადღება არ მიმექცია და თავისით გაივლიდა ეს მდგომარეობა. ვიმედოვნებდი, რომ მართალს მეუბნებოდნენ მაგრამ გულის სიღმეში მაინც ვშიშობდი. ერთ დღეს, ჩემმა მეგობარმა დამირეკა, რომელსაც შარონის ტოლი გოგონა ჰყავს. მან მითხრა: 'ჩემი შვილი ფიქრობს რომ შარონი ნარკოტიკებს იღებს.' ვერ წარმომედგინა, რომ შარონი ამას გაკეთებდა, მაგრამ მისი ოთახი გავჩხრიკე და მარიხუანას მივაგენი.

'თავის ცხოვრებაში პირველად ჩაიდინა ასეთი საშინელება. მიყვიროდა, და მეუბნებოდა, რომ ჩუმად შევიპარე მის ოთახში და მისი პირადი ცხოვრების დარღვევის უფლება არ მქონდა. გამოცა მისმა უტიფრობამ.'

'როგორც ჩანს ეს იყო მისი ხასიათის ცვლილების დასაწყისი. ახლა ის მუდამ გაბრაზებულია, სიძულვილით სავსე. იგი დაჟინებით მოითხოვს სკოლის ყველაზე საშინელი ბავშვების ჯგუფთან ერთად სიარულს, და იმის წარმოდგენაც კი მაშინებს, თუ რას უნდა აკეთებდნენ ისინი ერთად.'

'ახლა, მხოლოდ სახლიდან წასვლა და თავზეხელაღებულ მეგობრებთან ყოფნა აინტერესებს. რა გამოვა მისგან, დოქტორო კემბელ? მისი კონტროლის ძალა აღარ შეგვწევს.'

'შარონი მამასთანაც ასე იქცევა?' ვკითხე მე.

'რატომღაც მამასთან უფრო უკეთესად იქცევა, მაგრამ თანდათან მასაც უფრო მეტად უჭირს შარონთან ურთიერთობა. მაგრამ ხშირად სახლში არ არის და დიდ დახმარებას მაინც ვერ გვიწევს. ის ძალიან დაკავებულია. დროის უმეტეს ნაწილს გარეთ ატარებს. როცა სახლშია მაინც ვერ გვითმობს დროს. ბავშვები აღმერთებენ მას და უნდათ მასთან ყოფნა. მაგრამ იგი უცბათ იპოვის რაღაცას, რაც ბავშვებმა კარგად ვერ გააკეთეს და ბრაზობს. მას მართლა ანუხებს ბავშვების მდგომარეობა. ვიცი, რომ ანუხებს. მაგრამ ეს არის მისეული დამოკიდებულების გზა.'

როგორი ტრაგიკული ისტორიაა. მაგრამ ჩვეული. ნორმალური, წესიერი ჩვევების გოგონა, რომელიც თითქმის ცამეტი წლის განმავლობაში დამჯერი და ადვილად

შესაყვარებელი იყო. ყველა სხვა ბავშვის მსგავსად მასაც ეს გრძნობა ანუხებდა, 'გიყვარვარ?' თითქმის ცამეტი წლის მანძილზე მის მშობლებს შესაძლებლობა ჰქონდათ ეპასუხათ მისი შეკითხვისათვის და საქმით დაემტკიცებინათ სიყვარული. ტიპიური გოგონას მსგავსად, მისი დემონსტრაციული სიყვარულისადმი მოთხოვნილება თანდათან იზრდებოდა წლების მანძილზე და თერთმეტი წლის ასაკში მაქსიმუმს მიაღწია-ამ ულტრა კრიტიკულ ასაკს, როცა გოგონას დაჟინებით სწადია ხშირი თვალით კონტაქტი, ფოკუსირებული ყურადღება, და შესამჩნევი ფიზიკური კონტაქტი, განსაკუთრებით მამისაგან.

ყმანვილობისათვის მზადება

რატომ არის ნაზი სიყვარული გოგონებისათვის ასეთი მნიშვნელოვანი ყმანვილობამდელ ასაკში? პასუხი” ყმანვილობისათვის მზადება. ყმანვილობაში ყოველი გოგონა შედის გარკვეული სამზადისით. ზოგიერთები კარგად მომზადებულნი და ზოგიერთები კი ცუდად.

ამ მზადებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ორი ასპექტი არის საკუთარ თავზე წარმოდგენა და სექსუალური იდენტურობა. მოდი განვიხილოთ სექსუალური იდენტურობა მოზარდ გოგონაში. თქვენ უკვე ნაიკითხეთ, რომ გოგონებში ნაზი სიყვარულის საჭიროება იზრდება ასაკის მატებასთან ერთად. ყმანვილობის ასაკის მოახლოვებასთან ერთად მან ინტუიციით ან გაუცნობიერებლად იცის, რომ ყმანვილობის მშფოთვარე წლების გამკლავება დამოკიდებულია იმაზე, თუ რას გრძნობს საკუთარი თავის შესახებ. მისთვის მნიშვნელოვანია თავს კარგად გრძნობდეს, როგორც მდებდრობითი სქესის წარმომადგენელი. თუ ის კომფორტულია, როგორც 'ქალი' როცა ყმანვილობაში შედის (ცამეტიდან თხუთმეტი წლის ასაკამდე), მისი სიყმანვილე წარიმართება ნორმალურად და კომფორტულად, ამ ეტაპისათვის დამახასიათებელი მინუსებისა და პლიუსების თანხლებით. რაც უფრო მყარი და ჯანსაღია მისი სექსუალური იდენტურობა, მით უფრო უკეთ გაართმევს

თავს თანატოლთა ზენოლას. რაც უფრო ნაკლებად არის დარწმუნებული საკუთარ თავში როგორც 'ნორმალურ ქალში', უფრო ნაკლებად სტაბილური იქნება იგი. მაშინ უფრო მგრძობიარე იქნება თანატოლთა ზენოლისადმი (განსაკუთრებით ბიჭების მხრიდან) და ნაკლებად შეძლებს მშობლების დაფასებას.

სექსუალური იდენტიურობა არის საკუთარი თავის, როგორც ქალის მოწონება, და გოგონა თავის სექსუალურ იდენტიურობას ძირითადად მამისაგან იღებს, თუ ცოცხალია ან სახლშია. თუ მამა მკვდარია ან ქალიშვილს დაშორებულია, გოგონამ მამობის როლის შემსრულებლად სხვა ფიგურა უნდა იპოვოს ამ საჭიროების დასაკმაყოფილებლად. მაგრამ, თუკი ცოცხალ მამას ურთიერთობა აქვს გოგონასთან, ის არის პირველი ადამიანი ვისაც შეუძლია დახმარება გაუწიოს გოგონას ყმანვილობაში შესასვლელად. როგორი პასუხისმგებლობაა!

მამა ეხმარება ქალიშვილს საკუთარი თავის მოწონებაში იმით, რომ მამას მოსწონს გოგონა. მამა ამას აკეთებს ზემოთ განხილული პირციპების განხორციელებით-უპირობო სიყვარული, თვალთ კონტაქტი, ფიზიკური კონტაქტი, და ფოკუსირებული ყურადღება. ქალიშვილში ეს საჭიროება იწყება ორი წლის ადრეული ასაკიდან. ეს საჭიროება ანალოგიურად მნიშვნელოვანია მოზრდილ ასაკშიც და თანდათან უფრო მნიშვნელოვანი ხდება ცამეტი წლის-მაგიური ასაკის მოახლოვებასთან ერთად.

ჩვენი საზოგადოების პრობლემა ის არის, რომ რაც უფრო იზრდება გოგონა, მით უფრო არაკომფორტულად გრძნობს მამა თავს ქალიშვილთან-მისთვის საჭირო ნაზი სიყვარულის გამოვლენაში, განსაკუთრებით მაშინ, როცა გოგონა წინა საყმანვილო ასაკში იმყოფება (დაახლოებით ათი-თერთმეტი წლის ასაკში). როცა გოგონა იმ ასაკში შედის, როცა ყველაზე მეტად სჭირდება მოწონების მიღება, მამა უფრო არაკომფორტულად გრძნობს თავს, განსაკუთრებით ფიზიკური კონტაქტის გამოხატვისას. რაც უკიდურესად სამწუხაროა. დიახ, მამებო, უნდა უარვეყოთ დისკომფორტი და ქალიშვილებს მივცეთ ის, რაც მათთვის ასე მნიშვნელოვანია მთელი ცხოვრების მანძილზე.

ჩვენი ყმანვილი მოსამართლები

უმეტესი მამების მსგავსად, მეც მქონდა სირთულეები ჩემი შვილებისათვის ყველა ემოციური საჭიროებების დაკმაყოფილებაში მათი ასაკობრივი ზრდისას- განსაკუთრებით ფიზიკური და ფოკუსირებული ყურადღებისას ჩემი თინეიჯერი ქალიშვილის-ქერის შემთხვევაში. ხშირად გადაღლილი ვბრუნდებოდი სახლში საღამოობით, როგორ უნდა გამომენახა დრო და ენერჯია ჩემი ოჯახისათვის, განსაკუთრებით ჩემი ქალიშვილისათვის, მაშინ როცა მას ვჭირდებოდი? ჩემს ქალიშვილს ჩემი დახმარება მაშინ დასჭირდა, როცა თავის თანატოლებთან პრობლემა შეექმნა, შეიძლება თანაკლასელი მას კარგად არ ექცეოდა ეჭვიანობის გამო. ხანდახან მას არ ესმოდა ეჭვიანობის მიზეზი და ცდილობდა საკუთარ თავში მოედებნა შეცდომები. ასეთი შემთხვევებისას ვიცოდი რაც უნდა გამეკეთებინა. მის ოთახში შევედი, და რაც იმ წუთში გულში ჰქონდა იმის შესახებ ვესაუბრებოდი, მისთვის საჭირო თვალისა და ფიზიკურ კონტაქტს ვაძლევდი, რაც მას იმ დროისათვის სჭირდებოდა, და მოუთმენლად ველოდი სანამ თავის ტკივილსა და დაბნეულობას გამიზიარებდა. შემდეგ შემეძლო სიტუაციის გაანალიზება. ცოტა ხნის შემდეგ მიხვდა, რომ ცუდი არაფერი გაუკეთებია, საკუთარი თავი რომ დაედანაშაულებინა. ამის შემდეგ შეძლო სიტუაციის ისე ცხადად დანახვა, რომ მომავალში ანალოგიური სირთულეებისათვის თავი აერიდებინა.

ასეთი ხერხით მომწონდა საქმის მოგვარება, მაგრამ იშვიათად მქონდა ინიციატივის ენერჯია დამის შესასრულებლად საჭირო ენთუზიაზში. ჩვეულებრივ, რისი კეთებაც მომწონდა იყო ვახშმობა, ჩემს საყვარელ სკამში ჯდომა, გაზეთის კითხვა და დასვენება.

აი, რა დამეხმარა ამ მდგომარეობიდან გამოსვლაში. როცა ჩემს ქალიშვილს (ან ჩემს ვაჟებს) ვჭირდებოდი, ჩემი სხეული კი სკამს ან სანოლს იყო მიწებებული მაგნიტივით, ვფიქრობდი მეგობარზე, ახალგაზრდების სასამართლოს კარგ მოსამართლეზე. ყველაზე ცუდი, დამამცირებელი და ტრაგიკული, რაც შეიძლებოდა მე და ჩემს ოჯახს დაგვემართნოდა, იყო ამ სასამართლოში თავის ამოყოფა,

მაგალითად ნარკოტიკების გამოყენების გამო. ჩემს თავს ვეუბნებოდი, 'კემბელ, ყოველი ექვსიდან ერთი ადამიანი ხვდება ახალგაზრდულ სასამართლოზე. თუ გინდა დარწმუნებული იყო, რომ შენი შვილები იქ არ მოხვდებიან, უმჯობესი იქნება წამოხტე და შენს თავზე ზრუნვის ნაცვლად, მათზე იზრუნო და მისცე ის, რაც მათ სჭირდებათ.' იმისი წარმოდგენა, რომ რაიმე ბრალდების გამო ჩემი შვილი სასამართლოს წინაშე წარსდგებოდა აუტანელი იყო. როგორც წესი ეს მეთოდი მუშაობდა. ვდგებოდი და ყველაფერს ვაკეთებდი, რაც, როგორც მამას უნდა გამეკეთებინა.

ახლა დავუბრუნდეთ ფიზიკურ კონტაქტს. ერთ დღეს, როცა პატარა ბავშვების მშობელი ვიყავი, ვფიქრობდი, როგორი მნიშვნელოვანია ფიზიკური კონტაქტი და როგორ უბრალოდ და უმნიშვნელოდ მიიჩნევს მშობლების უმეტესობა ამას; ვფიქრობთ, რომ ამას ვაკეთებთ, მაგრამ სინამდვილეში ძალიან იშვიათად. ამ პრობლემის გამოსახატავად მაგალითს ვეძებდი, როცა ჩემი ძვირფასი მეუღლე ერთ სტატიას წააწყდა რელიგიური კულტის, უნიტარიანული (მუნის) ეკლესიის შესახებ. ახალგაზრდა კაცი, ვისაც ინტერვიუ ჩამოართვეს, მუნელების მიერ ტვინის რეცხვის პოლიტიკის შესახებ გვიამბობდა.

ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ტექნიკა, რასაც ისინი იყენებდნენ იყო შემდეგი. ემოციურ ატმოსფეროში, რამდენიმე მუნის მიმდევარის თანდასწრებით, ახალგაზრდა კაცს უნდა ეფიქრა ბავშვობაზე და მტკივნეული მომენტები გაეხსენებინა. მან გაიხსენა შემთხვევა, როცა ის სამი წლის იყო. მას ახსოვს მარტოობა და დეპრესია, და ცდილობდა დედასთან ფიზიკურ კონტაქტში ეპოვა კომფორტი. დედამისს იმ წუთში დრო არ ჰქონდა და ბავშვმა უარყოფილად იგრძნო თავი. შემდეგ მუნელები გადაეხვივნენ მას (ფიზიკური კონტაქტი) განმეორებით, და ეუბნებოდნენ, რომ მათ ის უყვარდათ (რა თქმა უნდა იმის ხაზგასმით, რომ დედამისს ის არ უყვარდა).

როგორი საშიშია, არა? ფაქტი, რომ დღევანდელიობაში ათობით ანალოგიური კულტი და სხვა გავლენები არსებობენ ჩვენს ქვეყანაში, რომლებიც ჩვენი შვილების გონების დაპყრობას ცდილობენ, საკმაოდ საგანგაშოა. უარესიც,

ისინი ამას იმიტომ აკეთებენ, რომ მშობლებმა განიცადეს მარცხი თავიანთი შვილებისათვის აუცილებელი ემოციური საჭიროებების მისაცემად უპირობო სიყვარულის ფონზე. თუმცა, მშობლების უმრავლესობას უყვარს შვილები. მიუხედავად ამისა, ძირითადი პრობლემა ის არის რომ, ვერ ვაცნობიერებთ *პირველ რიგში* ჩვენი სიყვარულის შვილებისათვის გადაცემის აუცილებლობას; სწავლამდე, მაგალითის მიცემამდე, დისციპლინამდე. უპირობო სიყვარული უნდა იყოს ბავშვთან ძირითადი დამოკიდებულება, ყველა დანარჩენი იქნება წინასწარგანუსაზღვრელი, განსაკუთრებით მათი დამოკიდებულებები და ქცევები.

უსასოობამ არ უნდა შეგვიპყროს. საიმედო ის არის, რომ ნამდვილ პრობლემას ვიცნობთ და ვიცით როგორ უნდა მოვიქცეთ. ეს არის სამართლიანი პასუხი. დარწმუნებული ვარ, რომ მშობლების უმეტესობას, რადგან მათ უყვართ საკუთარი შვილები, შეუძლიათ *ისწავლონ* ამ სიყვარულის გადაცემა. კითხვის სირთულე იმაში მდგომარეობს, თუ როგორ შევძლოთ ამ მასალის ყველა მშობლისათვის მიწოდება (ან უმეტესობისათვის მაინც)? ეს არის ის, რის შესახებაც ყველა დაინტერესებული მშობელი უნდა დაფიქრდეს. პასუხი მოითხოვს მრავალი ადამიანის მონაწილეობასა და მოქმედებას.

თვალისა და ფიზიკური შეხების კონტაქტის სწავლასთან ერთად, მშობლებმა უნდა ისწავლონ როგორ გამოიყენონ *ფოკუსირებული ყურადღება*.

როგორ გამოვხატოთ სიყვარული ფოკუსირებული ყურადღებით

თვალის და ფიზიკური კონტაქტი იშვიათად მოითხოვს მშობლებისაგან ნამდვილ მსხვერპლს. თუმცა ფოკუსირებული ყურადღება მოითხოვს დროს, და ხანდახან ძალიან დიდ დროს. რაც იმას ნიშნავს, რომ მშობლებმა უარი უნდა თქვან სასურველი საქმის კეთებაზე. მოსიყვარულე მშობელი გრძნობს როდის სჭირდება მის შვილს ფოკუსირებული ყურადღება და ალბათ უმეტეს შემთხვევაში მაშინ, როცა მშობელი ყველაზე ნაკლებად გრძნობს ამის კეთების სურვილს.

რას ნიშნავს ფოკუსირებული ყურადღება? ფოკუსირებული ყურადღება არის, მისცე ბავშვს სრული, ინდივიდუალური ყურადღება ისე, რომ ეჭვგარეშე გრძნობდეს თავს სრულად შეყვარებულად. გრძნობდეს, რომ მხოლოდ არსებობის გამო არის საკმარისად ფასეული, რომ მისმა მშობლებმა გამუდმებით მიაქციონ ყურადღება, დააფასონ, და უპირობოდ სცენ პატივი. მოკლედ რომ ვთქვათ, ფოკუსირებული ყურადღება აძლევს ბავშვს იმის განცდას, რომ ის ამ ქვეყნიერებაზე ყველაზე მნიშვნელოვანი პიროვნებაა თავისი მშობლების თვალში.

ზოგიერთები შეიძლება ფიქრობენ, რომ შორს ნავედით, მაგრამ შეხედეთ წმიდა ნერილს და ნახეთ რამდენად პატივცემულნი არიან ბავშვები. აღსანიშნავია ის უპირატესობა ქრისტემ რომ მისცა მათ: 'და მათ მოჰყავდათ ბავშვები მასთან,

რათა შეხებოდა მათ... და [მან] თქვა...“მოუშვით ბავშვები ჩემთან... რადგან მაგისტანებისაა ცათა სასუფეველი...”... და მან აიყვანა ისინი და დალოცა, და ხელები დაასხა მათ’ (მარკოზი 10:13-16,).

მათ ფასეულობაზე ძველ აღთქმაშიც არის ყურადღება გამახვილებული: ‘აჰა, მემკვიდრეობა უფლისაგან-შვილები, გასამრჯელო-მუცლის ნაყოფი’ (ფსალმუნი 126:3) და (როცა იაკობმა უპასუხა ესავის კითხვას, ‘ვინ არიან შენთან?’) ‘შვილები, რომლებიც უწყალობა ღმერთმა შენს მსახურს’ (დაბ. 33:5).

ბავშვი უნდა ფიქრობდეს, რომ მხოლოდ ის არის ასეთი. რასაც მხოლოდ რამოდენიმე ბავშვი გრძნობს, მაგრამ რომ იცოდეთ რამხელა განსხვავებაა როცა პატარა ფიქრობს, რომ განსაკუთრებული არსებაა. მხოლოდ ფოკუსირებულმა ყურადღებამ შეიძლება მისცეს მას ამის გააზრება და ცოდნა, რადგან ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვის მიერ თვით-შეფასების განვითარება. ეს ღრმა გავლენას ახდენს ბავშვზე სხვებთან ურთიერთობისას და სხვების სიყვარულის დროს.

ფოკუსირებული ყურადღება, ჩემი გამოცდილებით, არის ბავშვის ყველაზე მოთხოვნადი საჭიროება, რისი ამოცნობაც ძალიან გვიჭირს მშობლებს და ნაკლებად მოგვეყავს სისრულეში. მრავალი მიზეზი არსებობს რომლის გამოც ვერ ვაცნობიერებთ ამ განსაკუთრებულ საჭიროებას. ამის ყველაზე მთავარი მიზეზი არის სხვა საქმეები, რასაც ბავშვისათვის ვაკეთებთ და რაც საკმარისად გვეჩვენება. მაგალითად, განსაკუთრებული სურვილების შესრულება (ნაყინი ან ტკბილეული) და საჩუქრები. ასეთი თხოვნების შესრულებას ხანდახან ფოკუსირებულ ყურადღებას ვანაცვლებთ. ასეთი სიკეთის კეთება კარგია, მაგრამ მისი ფოკუსირებული ყურადღების ნაცვლად მიჩნევა სერიოზული შეცდომაა. ნამდვილი ცდუნება იყო ჩემთვის ასეთი ტიპის მოქმედების გამოყენებაზე თავის შეკავება, რადგან საჩუქრების გაკეთება უფრო ადვილი იყო და ნაკლებ დროს მოითხოვდა ჩემგან. შედეგად მუდამ ერთი და იგივეს ვანყდებოდი; ჩემი შვილები საკუთარი შესაძლებლობის მაქსიმუმს არ იყენებდნენ, კარგად არ გრძნობდნენ თავს, და მანამდე არ იქცეოდნენ უკეთესად,

ვიდრე ფოკუსირებულ ყურადღებას არ გავამახვილებდი მათზე.

აუცილებლობის ტირანია

რატომ არის ასეთი რთული ფოკუსირებული ყურადღების გამოჩენა? ის **დროს** მოითხოვს. მრავალი კვლევა ჩატარდა და წიგნები დაიწერა იმის შესახებ, რომ ჩვენთვის ყველაზე ძვირფასი საკუთრება დროა. ვთქვათ ასე. დღის განმავლობაში ოცდაოთხი საათიც რომ მოგცენ, და შვიდი დღე კვირაში, ფაქტიურად შეუძლებელია ყველა შენი მოვალეობის შესრულება. ეს განცხადება სიმართლეა. შეუძლებელია ყველა ცხოვრებისეული მოვალეობისა და პასუხისმგებლობის შენი სურვილისამებრ შესრულება. ამ ფაქტს უნდა შეეგუოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში მიამიტურად ვიფიქრებთ, რომ როგორღაც ყველაფერს მოევლევა, და როცა ამას წარმოიდგენთ, აუცილებლობის ტირანია გაბატონდება თქვენზე. აუცილებელი საქმეები ავტომატურად დაიკავებს პირველ ადგილს თქვენს ცხოვრებაში და თქვენს დროს გააკონტროლებს. სამწუხაროდ, ეს ასე არ არის. მაგალითად, ავიღოთ 'წმინდა' ტელეფონი. მე წმინდას იმიტომ ვამბობ, რომ თითქმის ყველაფერზე მალლა დგას იგი. ზარს უნდა ვუპასუხოთ მიუხედავად დროისა, ადგილისა და სიტუაციისა. თქვენს ოჯახს შეიძლება შესანიშნავი დრო აქვს ერთად ვახშობისას. ჩვენს სახლში, როცა შვილები ჩვენთან იყვნენ, ეს იყო ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი ჩემთვის. მაგრამ, თუ ტელეფონი დარეკავდა, თითქმის წმინდა უფლება ჰქონდა მინიჭებული ხელი შეეშალა, შემოჭრილიყო და ოჯახის სიმყუდროვე ჩაეშალა. ეს მაგალითი ცხადად გვიჩვენებს, თუ როგორ იმარჯვებს აუცილებლობის ტირანია ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

თქვენ იცით, რომ ჩვენს მოკლე ცხოვრებაში საკმარისი დრო არ არის იმისათვის, რომ გადაუღებელმა საქმეებმა გვაკონტროლონ და პირველი ადგილი დაიკავონ. შეუძლებელია იმ ნამცხვრის ჭამა რომელიც არა გვაქვს. მაშ როგორ უნდა მოვიქცეთ? ვპირობ, რომ ამ კითხვაზე მხოლოდ ერთადერთი

პასუხი არსებობს. რაც არც ისე ადვილია. ჩვენ უნდა განვსაზღვროთ ჩვენი პრიორიტეტები, დავსახოთ მიზნები, და დავგეგმოთ დრო მათ შესასრულებლად. ჩვენ უნდა ვაკონტროლოთ ჩვენი დრო მნიშვნელოვან საკითხებზე ზრუნვისათვის.

პრიორიტეტების განსაზღვრა

რა არის შენი ცხოვრების პრიორიტეტები? სად არის შენი შვილის ადგილი? უჭირავს მას პირველი, მეორე, მესამე, თუ მეოთხე ადგილი? შენ უნდა გადაჭრა ეს საკითხი! წინააღმდეგ შემთხვევაში, შენი შვილი ქვედა ადგილს დაიკავებს პრიორიტეტებში და რაღაც დონეზე უარყოფის განცდისაგან დაიტანჯება.

არავის არ შეუძლია შენს მაგივრად ამის გაკეთება. შენს მეუღლეს არ ძალუძს შენი შვილის პრიორიტეტის განსაზღვრა შენს ცხოვრებაში. არც შენს ხუცესს, არც შენს მრჩეველს, არც შენს თანამშრომელს, არც მეგობარს. მხოლოდ შენ შეგიძლია ამის გაკეთება. რა ხდება, მშობლებო? რას და ვის უჭირავს პირველი ადგილი თქვენს ცხოვრებაში? სამსახურს? ეკლესიას? მეუღლეს? სახლს? ჰობის? ბავშვებს? ტელევიზორს? სოციალურ ცხოვრებას თუ კარიერას?

თითქმის ყველა ოჯახში, სადაც კმაყოფილება, ბედნიერება და ნამდვილი მადლიერება ჰპოვეს ერთმანეთთან ურთიერთობაში, ის მშობლები ზემოთ აღნიშნულ პრიორიტეტების სისტემას ანიჭებენ უპირატესობას. როგორც წესი, პრიორიტეტებში პირველ ადგილს ანიჭებენ ეთიკას, ძლიერ რელიგიურ რწმენას ან მორალურ კოდს. უმეტეს შემთხვევაში, ეს ვლინდება მშობლების ცხოვრებაში ღმერთის პირველ ადგილზე დაყენებით და მასთან ახლო ურთიერთობებით. ისინი ამ ურთიერთობას იყენებენ ყველა სხვა ურთიერთობების მარეგულირებლად. მათი მეორე პრიორიტეტი არის მეუღლე, როგორც უკვე განვიხილეთ. ბავშვებს კი მესამე ადგილი უჭირავთ. როგორც ხედავთ, ნამდვილი ბედნიერება არის ოჯახურ ორიენტაციაში; ანუ ჯერ სულიერი ოჯახი და მერე ფიზიკური ოჯახი. ღმერთი, მეუღლე და ბავშვები. ეს არის მნიშვნელოვანი. დანარჩენი

პრიორიტეტები მნიშვნელოვანია, რა თქმა უნდა, მაგრამ ეს სამი უნდა იდგეს პირველ ადგილზე.

მრავალ ადამიანთან მქონია საუბარი, რომლებიც ფიქრობენ, რომ კმაყოფილება არის ფულში, ძალაში ან პრესტიჟში. მაგრამ, როცა გამოსცადეს ცხოვრება და მისი რეალური ფასეულობები, თავისდა სამწუხაროდ აღმოაჩინეს, რომ არასწორად გაანანილეს შესაძლებლობები. მრავალი ოჯახი მინახავს, რომელთაც საუკეთესო წლები გაუტარებიათ ანალოგიური მიზნის მისაღწევად. მას შემდეგ რაც თავიანთი შეცდომები გააცნობიერეს ისინი ეძებდნენ რჩევას და საყრდენს, მაგრამ მიუხედავად მათი სიმდიდრისა და ძალაუფლებისა, მათი ცხოვრება მტკივნეულად ცარიელი იყო. ყოველი მათგანი ტიროდა და თვლიდნენ, რომ მათმა ცხოვრებამ 'მარცხი' განიცადა უკუღმართი შვილისა და განქორწინებაში დაკარგული მეუღლის გამო. მხოლოდ ამის შემდეგ მიხვდნენ, რომ ერთადერთი ფასეული საკუთრება ცხოვრებაში არის ის, ვისაც უყვარხარ და ზრუნავს შენს ბედნიერებაზე-ღმერთი, მეუღლე და შვილი.

შევნიშნე, რომ ადამიანები რომლებიც ქრონიკულად არიან ავად იგივე დასკვნამდე მივიდნენ. განვლილი ცხოვრების გადამონშებით მიხვდნენ, რომ ერთადერთი რამ რასაც მართლა აქვს მნიშვნელობა, არის თუ ვინმე ნამდვილად ზრუნავს შენზე და უპირობოდ უყვარხარ. თუ მათ ასეთი ადამიანი ჰყავთ გვერდით, მაშინ კმაყოფილები არიან. თუ არა და საცოდავნი.

ერთხელ, ხუცესის მეუღლეს ვესაუბრე, ძალიან ლამაზი ქალბატონი, რომელიც განუკურნებელი სენით იყო დაავადებული. ის ძალიან ნათელი და კეთილი ქალბატონი იყო. საუბრისას, მან ამიხსნა თუ როგორ შეეცვალა ცხოვრებაზე წარმოდგენა, ავადმყოფობის შემდეგ. სასიკვდილო დაავადების გამო, მისი ცხოვრებისული პრიორიტეტები იძულებით შეიცვალა. პირველად თავის სიცოცხლეში მიხვდა, რომ არც ერთ მშობელს არ ექნებოდა საკმარისი დრო მეუღლისა და შვილებისათვის თუ ნაკლებად მნიშვნელოვან საქმეებზე უარს არ იტყოდა. ხუცესის ცოლმა, მეუღლესა და შვილებს მიანიჭა პირველი ადგილი პრიორიტეტებში, და როგორი აშკარა ცვლილება შეიმჩნეოდა მათ ცხოვრებაში. რა თქმა უნდა, ეს

იმას არ ნიშნავს, რომ უარი უნდა ვთქვათ ჩვენი ცხოვრების სხვა საკითხებზე, მაგრამ უნდა გავაკონტროლოთ დრო, რასაც მათზე ვხარჯავთ და ჩვენს ცხოვრებაში მათ გავლენაზე.

მსწრაფლმავალი მომენტები

ეს ილუსტრაცია მტკივნეულად მიგვანიშნებს ფოკუსირებული ყურადღების მნიშვნელობაზე. მე წავიკითხე მამაზე, რომელიც ერთ დღეს თავის მისაღებ ოთახში იჯდა. იმ დღეს ორმოცდაათი წლის ხდებოდა, და აღმოჩნდა, რომ ცუდ ხასიათზე იყო. მოულოდნელად, მისი თერთმეტი წლის ბიჭი, რიკი შემოვარდა ოთახში, მამამისს კალთაში ჩაუჯდა და ლოყაზე გაუთავებელ კოცნას მოჰყვა. ბიჭი მანამდე აგრძელებდა მამის კოცნას, ვიდრე მამამ მკაცრად არ იკითხა, 'რას აკეთებ?' ბავშვმა უპასუხა, 'ორმოცდაათი წლის თავზე ორმოცდაათჯერ გკოცნი.' ჩვეულებრივად მამის გულს უნდა შეხებოდა შვილისაგან სიყვარულის გამოხატვის ასეთი ფორმა. სამწუხაროდ, ის დეპრესიაში იყო გაღიზიანებულმა შვილს ხელი ჰკრა და უთრა, 'სხვა დროისათვის გადავდოთ.' ბიჭს გული ეტკინა. იგი სახლიდან გამოიქცა, ველოსიპედზე დაჯდა, და წავიდა. ცოტა ხნის შემდეგ, ბავშვს მანქანა დაეჯახა და მოკვდა. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ მწუხარება, სინდისის ქენჯნა და დანაშაულის შეგრძნება, რომლითაც სანყალი მამა იტანჯებოდა.

ეს ისტორია რამდენიმე რამეს გვეუბნება. პირველი, რადგან ცხოვრება წინასწარგანუსაზღვრელი და არასაიმედოა, არ შეგვიძლია ვიცოდეთ ან დავგეგმოთ რამდენი განსაკუთრებული შესაძლებლობა გვექნება ჩვენი შვილების აღზრდისათვის, განსაკუთრებით კი ფოკუსირებული ყურადღებისათვის. ყოველი შესაძლებლობა უნდა გამოვიყენოთ, რადგან იმაზე ნაკლებად მოგვეცემა ამისათვის დრო, ვიდრე ეს ჩვენ წარმოგვიდგენია. ჩვენი შვილები იზრდებიან.

მეორე, ყოველ დღე არ გვეძლევა შესაძლებლობები. გახსოვთ თუ არა ის განსაკუთრებული მომენტები, რომლებიც წარუშლელ კვალს ტოვებენ ბავშვზე? ის მომენტი, როცა რიკი ორმოცდაათჯერ კოცნიდა მამამისს, განსაკუთრებული მომენტი იყო. ოღონდ, იმ შემთხვევაში რიკის მამას,

რომ შვილთან ერთად შეძლებოდა ამ განსაკუთრებული მომენტის პოზიტიურად გატარება. რიკს მთელი თავისი სიცოცხლე ემახსოვრებოდა ეს ნაზი სიყვარულის მომენტი, განსაკუთრებით მაშინ, როცა მშობლების ფასეულობების წინააღმდეგ მოქმედების ცდუნება მოეძალებოდა, მაგალითად, ყმანვილობის ბობოქარ პერიოდში. თუმცა, რიკი რომ ავარიამი არ მომკვდარიყო, მას არასოდეს დაავინწყებოდა იმ მომენტში მიღებული ტკივილი, ტანჯვა და დამცირება.

ახლა, ფოკუსირებული ყურადღების სხვა ისტორიას მოვუსმინოთ. ერთი ცნობილი მამის დღიურში ასეთი ჩანაწერი ნახეს შვილთან სათევზაოდ გატარებული დღის შესახებ. მამა მოთქვამს, რომ ის დღე 'სრული დანაკარგი' იყო, რადგან მისი ვაჟი 'მონყენილი და სხვა რამით დაკავებული ჩანდა და არაფერს არ ლაპარაკობდა. 'მამა წერდა, რომ ის ალბათ აღარასოდეს წაიყვანდა თავის შვილს სათევზაოდ.

მრავალი წლის შემდეგ ერთმა ისტორიკოსმა იპოვა ეს დღიური, და ცნობისმოყვარეობისათვის შვილის იმავე დღის ჩანაწერს შეადარა. ვაჟი სიხარულით აღნიშნავდა, როგორი 'კარგი დღე' იყო, 'მარტონი' მამა და ის. ის აღწერდა თუ რამდენად აზრიანი და მნიშვნელოვანი იყო მისთვის ის დღე.

ფოკუსირებული ყურადღების მიზანი

რა არის ფოკუსირებული ყურადღება? როცა ბავშვი გრძნობს, 'მარტო მე ვარ დედასთან (ან მამასთან)'; 'ის ჩემთან არის'; 'ამ დროს მე ვარ ყველაზე მნიშვნელოვანი პიროვნება დედაჩემისათვის (მამაჩემისათვის)'; ეს არის ფოკუსირებული ყურადღება, მისცე ბავშვს ამის შეგრძნების საშუალება.

ფოკუსირებული ყურადღება ის არ არის, რასაც მხოლოდ მოჭარბებული დროის შემთხვევაში მიმართავ ბავშვთან ურთიერთობისას; ეს არის თითოეული ბავშვისათვის კრიტიკული საჭიროება. როგორი წარმოდგენა აქვს ბავშვს საკუთარ თავზე და რამდენად მიღებულია იგი საზოგადოებაში, დამოკიდებულია იმაზე თუ როგორ არის ბავშვში ეს საჭიროება დაკმაყოფილებული. ფოკუსირებული ყურადღების გარეშე ბავშვი განიცდის განუზომელ მღელვარებას, რადგან გრძნობს,

რომ სხვა ყველაფერი მასზე უფრო მნიშვნელოვანია. რის შედეგადაც იგი ნაკლებად უსაფრთხოდ გრძნობს თავს და შესუსტებული აქვს ემოციური და ფსიქოლოგიური ზრდა. ასეთ ბავშვს ადვილად შეამჩნევთ საბავშვო ბაღში თუ საკლასო ოთახში. ის უფრო ნაკლებად ზრდასრულია, ვიდრე ბავშვები, რომელთა მშობლებმაც დრო დაუთმეს შვილების საჭიროების დაკმაყოფილებას ფოკუსირებული ყურადღებით. ეს ბავშვი როგორც წესი ყველაფერში უკან იხევს და რთულად წარმართავს ურთიერთობებს თანატოლებთან. იგი ადვილად ვერ ართმევს თავს პრობლემებს. და მთლიანად დამოკიდებულია მასწავლებლებზე ან იმ უფროსებზე, რომლებთანაც კონტაქტშია.

ზოგიერთი ბავშვი, განსაკუთრებით გოგონები, რომლებსაც მამებისაგან ფოკუსირებული ყურადღება აკლიათ, ამის საპირისპიროები ჩანან. ისინი საუბრობენ, მანიპულირების უნარს ფლობენ, დრამატულები არიან, ხშირად ბავშურად მაცდურები, და საბავშვო ბაღისა და დაწყებითი სკოლის მასწავლებლები მათ ნაადრევად განვითარებულებად, მოსიარულეებად და მომნიშვნელებად მიიჩნევენ. თუმცა, როცა ეს გოგონები იზრდებიან, ქცევის ეს ნესები არ იცვლება და თანდათან მიუღებელი ხდება. რვა-ცხრა წლის ასაკში თანატოლებისა და მასწავლებლებისთვის აუტანელი ხდებიან. მიუხედავად ასეთი მოზრდილი ასაკისა, ფოკუსირებული ყურადღება, განსაკუთრებით მამებისაგან, მაინც დიდ წარმატებას მოიტანს ბავშვების თავნება საქციელის გამოსწორების საქმეში, შეამცირებს მათ გალიზიანებას და ისინიც თავისუფლად განაახლებენ სიმნიშვნელოვან ზრდას.

როგორ უნდა მივცეთ შვილებს ფოკუსირებული ყურადღება

მას შემდეგ რაც დავინახეთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ბავშვისათვის ფოკუსირებული ყურადღება, როგორ განვახორციელოთ იგი? მე აღმოვაჩინე, რომ ბავშვისათვის ფოკუსირებული ყურადღების მისაქცევად საუკეთესო გზა არის მასთან მარტო გასატარებელი დროის განსაკუთრებულად

გამოყოფა. თუ უკვე ფიქრობთ, რომ ამის გაკეთება რთულია, მართალი ბრძანდებით. გამონახო ბავშვთან მარტო გასატარებელი დრო და გათავისუფლდე სხვა ხელისშემშლელი მოვლენებისაგან, ბავშვის აღზრდის საქმეში ყველაზე რთულ ასპექტად მიმაჩნია. თქვენ შეიძლება თქვათ, რომ ეს განასხვავებს საუკეთესო მშობლებს სხვა მშობლებისაგან; მიძღვნილ მშობლებს, არამიძღვნილი მშობლებისაგან; ყველაზე მეტად მზრუნველს, ნაკლებად მზრუნველებისაგან; მშობლებს, რომლებიც განსაზღვრავენ პრიორიტეტებს და რომლებიც არ განსაზღვრავენ. სიმართლეს თვალი გავუსწოროთ და ვთქვათ, რომ ბავშვის კარგად აღზრდა მოითხოვს დროს. საქმიანი ცხოვრების რიტმში დროის გამონახვა რთული საქმეა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ბავშვები მიჯაჭვულნი არიან ტელევიზორს და ხანდახან ეს უფრო ურჩევნიათ. ამის გამო უფრო მნიშვნელოვანია ფოკუსირებული ყურადღების გამახვილება. ოჯახის გარდა გარე მოვლენები ისე ახდენენ დღეს ადამიანზე გავლენას როგორც არასოდეს. დიდი ძალისხმევა სჭირდება დაკავებული დღის განრიგში ბავშვებისათვის დროის დათმობას, მაგრამ შედეგი დიდებულია. შესანიშნავი რამაა ხედავდე შენს შვილს ბედნიერად, უსაფრთხოდ, თანატოლებისა და უფროსებისაგან აღიარებულს, სწავლაში და საუკეთესოს კეთებაში. მერწმუნეთ, ძვირფასო მშობლებო, ეს ავტომატურად არ მოდის. ამისათვის საფასური უნდა გადავიხადოთ! უნდა გამოვინახოთ თითოეულ შვილთან მარტო გასატარებელი დრო.

ჯონ ალექსანდრემ, ქრისტიანული თანამშრომლობის ყოფილმა პრეზიდენტმა, თქვა, თუ რამდენად უჭირდა ოთხივე შვილისათვის ცალ-ცალკე დროის გამონახვა. მან კვირაობით ყოველი ბავშვისათვის დაახლოებით ნახევარი საათის დათმობით მიაგნო გამოსავალს. ყველამ უნდა იპოვოს საკუთარი გამოსავალი.

როცა პატარა ბავშვების მშობელი ვიყავი ძალიან მიჭირდა დროის გამონახვა. მთელი ძალით ვეცადე ბავშვებისათვის საკმარისი დრო დამეთმო. მაგალითად, როცა ჩემს ქალიშვილს მუსიკის გაკვეთილი ჰქონდა ორშაბათობით ჩემს ოფისთან ახლოს, ჩემი შეხვედრები გადავდე, რათა მისი სახლში წაყვანა შემიძლებოდა. გზაზე რესტორანში ვჩერდებოდი სავანსმოდ.

ამ დროს დაძაბულობას აღარ ვგრძნობდი, რომ ვინმე ხელს შეგვიშლიდა და შემდეგ სრული ყურადღება დამეთმო და მისთვის მომესმინა. მხოლოდ მარტო, სხვებისაგან ხელის შეშლით გამონწვეული დაძაბულობის გარეშე შეიძლება დაამყარონ შვილებმა და მშობლებმა ერთმანეთთან ის დაუვიწყარი ურთიერთობა, რაც აუცილებლად სჭირდება თითოეულ ბავშვს რეალურ ცხოვრებასთან თვალის გასწორების მიზნით. ასეთი მომენტები ახსენდება ბავშვს მაშინ, როცა ცხოვრება რთული ხდება, განსაკუთრებით მშფოთვარე და კონფლიქტებით სავსე ყმანვილობის ასაკში და დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის სირთულეებისას.

განსაკუთრებით ფოკუსირებული ყურადღების დროს ახერხებს მშობელი თვალით და ფიზიკურ კონტაქტს. ფოკუსირებული ყურადღების დროს აქვს თვალისა და ფიზიკურ კონტაქტს უფრო ძლიერი მნიშვნელობა და ბავშვის ცხოვრებაზე დიდი გავლენა.

რა თქმა უნდა, უფრო რთულია ფოკუსირებული ყურადღების გამახვილება, როცა ოჯახში რამოდენიმე ბავშვია. მახსოვს, შვიდი წლის გოგონას ვაძლევდი რჩევას, რომელსაც უამრავი პრობლემა ჰქონდა სკოლაში, სამინაო დავალების შესრულებაში, თანატოლებთან და და-ძმებთან ურთიერთობებში და ყოფა-ქცევაში. ალბათ მიხვდით, რომ მისთვის მშობლებს ფოკუსირებული ყურადღება არ მიუქცევიათ. მას ცხრა და-ძმა ჰყავდა და მშობლებს არ შეეძლოთ მისთვის სათანადო ყურადღების მიქცევა. მშობლებს ვერც კი წარმოედგინათ თუ ეს გოგონა უყურადღებობით იტანჯებოდა, რადგან სხვა და-ძმები შესანიშნავად იყვნენ მორგებულნი ცხოვრებას. მშობლები ფერმერები იყვნენ, და ჩვეულებრივად დღის განმავლობაში-წველიდნენ, ცხოველებს აჭმევდნენ და ხნავდნენ-მშობლები საკმარის დროს ატარებდნენ სათითაოდ ყველა შვილთან პრობლემებზე სასაუბროდ. განსაკუთრებით ამ ბავშვის შემთხვევაში, მისი ასაკიდან, საქმიანობიდან და დაბადების თანმიმდევრობიდან გამომდინარე, ცხოვრების ბუნებრივმა მიმდინარეობამ მოაკლო მას მშობლების ყურადღება და ამისგან გამონწვეული კმაყოფილება. უსიყვარულოდ და უარყოფილად გრძნობდა

თავს. მშობლებს ძალიან უყვარდათ, მაგრამ ბავშვი ამას ვერ გრძნობდა და არც იცოდა.

ფრთხილი დაგეგმვა ნაყოფიერია

ფრთხილი დაგეგმვა ნაყოფიერია და პრობლემას აგვარებს.

ეს ილუსტრაცია ნათელი მაგალითია იმისა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენი დროის დაგეგმვა, რათა თითოეული ბავშვი საჭირო ყურადღებით დავაკმაყოფილოთ. რაც არც თუ ისე ადვილია. ორ შვილიან ოჯახში, თითოეულ მშობელს შეუძლია სათითაოდ გაატაროს დრო შვილებთან. იმ ოჯახში, სადაც ორ შვილზე მეტია, პრობლემა რთულდება. და რა თქმა უნდა, ერთ მშობლიან ოჯახში პრობლემა ლოგიკურად არის უფრო რთული. თუმცა, ფრთხილი დაგეგმვა პრობლემას აგვარებს. მაგალითად, ერთ განსაკუთრებულ დღეს (მომდევნო პარასკევს) ერთი ბავშვი მიდის ნვეულებზე, მეორეს გავაგზავნი ნათესავთან, ერთი ბავშვი დარჩება სახლში. ფრთხილი მშობელი, რომელიც შვილებს ანიჭებს უპირატესობას, ამ დროს საუკეთესო შემთხვევად მიიჩნევს სახლში დარჩენილი ბავშვისათვის ფოკუსირებული ყურადღების დასათმობად. რა თქმა უნდა, ჩვენი გეგმები უნდა მოიცავდნენ თითოეული ბავშვის საჭიროებების დაკმაყოფილებას, თუ არადა იგივე პრობლემა გვექნება, რაც ათშვილიანი ფერმერების ოჯახს.

ეს განსაკუთრებით რთულია იმ ოჯახში სადაც ერთდროულად გვყავს როგორც მომთხოვნი ისე არა მომთხოვნი ბავშვი. ჩვენ უარი უნდა ვთქვათ იმ აზრის მიღებაზე, რომ საკეტი თუ ხმაურობს ზეთს მხოლოდ მაშინ სცხებენ. ყველა ბავშვს ერთნაირი საჭიროება აქვს, მიუხედავად იმისა ერთნაირად გამოხატავენ თუ არა. განსაკუთრებულად გულნატკენი რჩება ის ბავშვი რომელიც არ მოითხოვს საჭიროებების დაკმაყოფილებას, პასიური ბავშვები უფრო შუათანები არიან. და თუ მისი დაძმები მომთხოვნები არიან, მშობლები შუათანას მანამდე არ მიაქცევენ ყურადღებას, სანამ პრობლემა არ გამოჩნდება.

გაუთვალისწინებელი შემთხვევები დამატებით დროს მოითხოვს. ვთქვათ მოხდა, რომ მშობელი მარტო დარჩა

შვილთან, მაშინ როცა სხვები ალბათ გარეთ არიან სათამაშოდ. ეს არის ახალი შესაძლებლობა, როცა შეიძლება ამ ბავშვის ემოციური ავზის ავსება, როცა არ უნდა დაველოდოთ მისი დაშრობის მოახლოებას. ეს შეიძლება ძალიან მოკლე დროში მოხდეს: ერთმა და ორმა უბრალო შემთხვევამ შეიძლება სასწაული მოახდინოს. ყოველ წუთს მნიშვნელობა აქვს. თითქოს შემნახველ სალაროში თანხას აგროვებ. ვიდრე ბალანსი ჯანსაღია, ბავშვის ემოციური ცხოვრება იქნება მხიარული და ნაკლები პრობლემები შეექმნება ცხოვრებაში. ეს სამომავლო ინვესტიციაა, განსაკუთრებით კი ყმანვილობის ასაკისათვის.

ყოველი დეპოზიტი არის იმის დასტური, რომ ბავშვის თინეიჯერული წლები იქნება ჯანსაღი, მხიარული, სასიამოვნო და ნაყოფიერი როგორც მშობლის ასევე შვილისათვის. რისკი დიდია. რა იქნება იმაზე უარესი ვიდრე გზას აცდენილი ყმანვილი ვაჟი ან ქალიშვილი? რა სჯობია ნორმალური თინეიჯერის სახლში ყოფნას?

რა თქმა უნდა, გრძელვადიანი ფოკუსირებული ყურადღება მნიშვნელოვანია. რაც უფრო იზრდებიან ბავშვები, ფოკუსის ხანგრძლივობა უფრო უნდა გაიზარდოს. ზოგიერთ ბავშვს დრო სჭირდება უარი თქვას თავდაცვაზე და თავისუფლად იგრძნოს თავი შინაგანი ინტერესების გასაზიარებლად, განსაკუთრებით მათთვის პრობლემურ საკითხებზე სასაუბროდ. როგორც ხედავთ თუ ფოკუსირებულ ყურადღებას ბავშვის ადრეულ ასაკში აქვს ადგილი, ის ამას ბუნებრივად იღებს და უადვილდება მშობლებთან საკუთარ პრობლემებზე საუბარი. და, თუ ცენტრალური ყურადღებისათვის დრო ვერ გამოინახა, როგორ შეძლებს ბავშვი მშობლებთან აზრიან კავშირს? კიდევ ვიტყვით, რომ რისკი დიდია. რა იქნება იმაზე უარესი, ვიდრე შენუხებული ბავშვის სახლში ყოლა, რომელსაც თავისი გრძნობების შენთან გაზიარება არ შეუძლია? იმაზე უკეთესი რა არის ვიდრე ის, რომ შენს შვილს შენთან ნებისმიერ საკითხზე საუბარი შეუძლია?

ეს ყველაფერი რთულია და დრო სჭირდება. მრავალ ადამიანს უამბია ჩემთვის ამ გეგმების განხორციელების გზების შესახებ. მახსოვს ჯოე ბეილის საუბარს ვუსმენდი ამ საკითხზე,

ქრისტიან მწერალსა და გამომცემლობის დირექტორს. მას შეხვედრების კალენდარზე განსაკუთრებულად ჰქონდა აღნიშნული თავის ოჯახთან გასატარებელი დრო, და როცა ვილაცა ურეკავდა და იმ დროს სიტყვაში გამოსვლას სთხოვდა, იგი თავაზიანად ეუბნებოდა უარს წინასწარ დაგეგმილი სხვა შეხვედრის მიზეზით.

ჯოე ბელის ბავშვებისათვის პირდაპირი ყურადღების გამახვილების სხვა კარგი გზაც ჰქონდა გამომუშავებული. მას პერსონალური დროები ჰქონდა თითოეული ოჯახის წევრისათვის. თითოეული დროშა შექმნილი იყო მისი მფლობელის ხასიათის შესაფერისად და ბავშვებს გადაეცემოდათ ხოლმე დაბადების დღეებზე. ამის შემდეგ ეს დროშა განსაკუთრებული შემთხვევისას სახლის ეზოში აფრიალდებოდა, რომელიმე გამორჩეულ დაბადების დღეზე, როცა ბავშვი განსაკუთრებული მოგზაურობიდან ბრუნდებოდა, ან უნივერსიტეტში მიდიოდა. ეს არის არაპირდაპირი ყურადღების მაგალითი.

სხვების თანდასწრებით

ჩვენ ავლნიშნეთ, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივანიჭოთ ბავშვს, როცა იგი მარტოა და არა სხვა ოჯახის წევრებთან. თუმცა ეს მართალია, მაგრამ პერსონალური ყურადღება უნდა მივაქციოთ ბავშვს სხვების თანდასწრებისასაც. ეს განსაკუთრებით მაშინ უნდა ხდებოდეს, როცა ბავშვი ავადაა, ან ემოციური ტკივილი გადაიტანა, ან სხვა მტკივნეული პროცესების გამო რეგრესია განიცადა. რეგრესიაში ვგულისხმობ, მისი გრძნობების ან საქციელის არასათანადო კონტროლის უნარს.

აი, ამის კარგი მაგალითი. ერთ დღეს თორმეტი წლის ბიჭის-ტომის მდგომარეობით შენუხებული მშობლები ჩემთან მოვიდნენ რჩევის საკითხავად. ტომის უფროსი ბიძაშვილი, ისიც თორმეტი წლის ბიჭი, მათთან გადმოვიდა საცხოვრებლად. ბიძაშვილი ძალიან მომთხოვნი ხასიათის იყო, ტომი დაჩრდილა და მისი მშობლების მთელ ყურადღებას ის მოითხოვდა. ტომი გრძნობდა, რომ საკუთარი ადგილი დაკარგა მისი ძლიერი

ბიძაშვილის გამო, დეპრესიაში ჩავარდა, ყველაფერზე უკან იხევდა და ხანდახან ადამიანებთან ურთიერთობას წყვეტდა. რა თქმა უნდა, ჩემი რჩევის ერთ ნაწილს წარმოადგენდა ის, რომ ტომისა და მისი ბიძაშვილისათვის ცალ-ცალკე მიექციათ ყურადღება; რაც გულისხმობს ტომთან და მის ბიძაშვილთან ცალ-ცალკე დროის გატარებას. მიუხედავად ამისა, როცა ეს ორი ბავშვი ერთად იყო, ბიძაშვილი მაინც აგრძელებდა ტომზე უფროსობას. ამის შემდეგ, ჩემი რჩევა იყო, რომ მშობლებს განსაკუთრებული ყურადღება გაემახვილებინათ ორივე ბავშვზე ცალ-ცალკე, როცა ბიძაშვილი უფროსობდა. მშობლებმა იმის გაკეთება შეძლეს, რომ როცა ტომის საუბრის დრო იყო პირდაპირ მისკენ მიბრუნებულიყვნენ და პასუხის გაცემა მოეთხოვათ, თვალთ კონტაქტის დამყარებითა და ფიზიკური კონტაქტით. შემდეგ, როცა ტომის ბიძაშვილის საუბრის დრო დგებოდა მშობლები მასთანაც იგივე პროცესს იმეორებდნენ.

ამგვარი ფოკუსირებული ყურადღების გამოყენება განსაკუთრებით მოქმედებს მაშინ, როცა ბავშვი საკმარის ყურადღებას იღებს მარტო ყოფნისას. სხვათა შორის, მასწავლებლებს ვასწავლე ეს უბრალო პრინციპი, რამაც რევოლუცია მოახდინა მათ სწავლებაში და თითოეული ბავშვის აღქმის საქმეში.

ფოკუსირებული ყურადღება დროს მოითხოვს, რთულია მისი გამუდმებით პრაქტიკაში განხორციელება, და ხშირად ტვირთია უკვე გადაღლილი მშობლებისათვის. მაგრამ განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება არის ყველაზე ძლიერი გზა ბავშვის ემოციური ავზის ასავსებად და სამომავლო ინვესტიციისათვის.

შესაფერისი და შეუფერებელი სიყვარული

მოდით განვიხილოთ გადაჭარბებული სიყვარულის სანინაალმდეგო ვერსია. ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ გადაჭარბებული სიყვარული ბავშვს აფუჭებს, მაშინ როცა სხვები ამბობენ, რომ შეუძლებელია ბავშვის მომეტებულად სიყვარული. ამ გაუგებრობას ხშირად ორივე მხარის დამცველები უკიდურესობამდე მიჰყავს. ძველები მკაცრ დისციპლინას ემხრობიან, ახლები კი უფრო შემწყნარებლები არიან.

გახსოვდეთ, რომ საკითხი განიხილება შესაფერისი სიყვარულის ჭრილში, რაც ბავშვს აძლევს ჯანსაღ აღზრდას, ემოციურ ზრდასა და საკუთარ თავზე დაყრდნობის იმედს. ამის შემდეგ ეს სურათი ძვირფასი ხდება ჩვენს თვალში. ამის შემდეგ შეიძლება ჩავეჭიდოთ იმ პრინციპს, რომ ბავშვს სჭირდება შესაფერისი სიყვარულის სიჭარბე და არა შეუფერებელი სიყვარული.

შეუფერებელი სიყვარული

შეუფერებელი სიყვარული როცა გადაეცემა ბავშვს, იგი მის ემოციურ ზრდას აფერხებს, რადგან ვერ აკმაყოფილებს მის საჭიროებებს. ამის გამო ბავშვი მთლიანად მშობელზე

დამოკიდებული ხდება და აღარ უვითარდება საკუთარი თავის იმედი.

შეუფერებელი სიყვარულის ოთხი ყველაზე მეტად გავრცელებული ფაქტორი არსებობს, მესაკუთრეობა, ცდუნება, სხვის ნაცვლად საქმის გაკეთება და როლების გადანაცვლება.

მესაკუთრეობა

მესაკუთრეობა არის მშობლების ტენდენცია, უბიძგოს ბავშვს მშობლებზე დამოკიდებულებისაკენ. პოლ ტორნიერი, შვედი მრჩეველი, შესანიშნავად განიხილავს ამ საკითხს თავის სტატიაში, 'მესაკუთრეობის მნიშვნელობა'. ის ამბობს: როცა ბავშვი პატარაა მშობლებზე დამოკიდებულება 'აშკარა და თითქმის სრულია.' მაგრამ თუ ეს დამოკიდებულება არ შემცირდა მის ზრდასთან ერთად, ის გახდება ბავშვის ემოციური ზრდის შეფერხების მიზეზი. მრავალი მშობელი ცდილობს, რომ ბავშვი მასზე იყოს დამოკიდებული. დოქტორი ტოუმიერი აცხადებს, რომ მშობლები ამას აკეთებენ 'რჩევით ან ემოციური შანტაჟით,' ან თავის ავტორიტეტს იყენებენ და მორჩილებას აიძულებენ. ბავშვი მათია. მათ აქვთ მასზე უფლება, რადგან ის მათ ეკუთვნის. ასეთ მშობლებს ანიჭებენ *მესაკურთის* ტერმინს. ეს მშობლები ცდილობენ თავიანთ შვილს მოექცნენ როგორც საკუთრებას ან ნივთს რომელსაც ფლობენ, და არა როგორც პიროვნებას, რომელიც საკუთარ უფლებებში უნდა გაიზარდოს და ნელ-ნელა გახდეს დამოუკიდებელი და თვითდარწმუნებული.

ბავშვმა მშობლებისაგან უნდა მიიღოს პატივისცემა, რათა იყოს ბუნებრივი. რა თქმა უნდა ეს არ ნიშნავს იმას, რომ უარვეყოთ ყოველგვარი ზღვარი ან ყველაფრის ნება დავრთათ. (ყოველ ბავშვს სჭირდება წინამძღოლობა და დისციპლინა.) ეს ნიშნავს იმას, რომ გავამხნევოთ ბავშვი იყოს სპონტანური, გავაცნობიეროთ, რომ ის არის სხვა ადამიანი, რომელმაც თანდათან მეტი პასუხისმგებლობა უნდა აიღოს საკუთარ თავზე.

თუ მშობლები პატივს არ მივაგებთ შვილების უფლებას ნელ-ნელა გახდნენ დამოუკიდებლები, ერთი ან ორი რამ

გარდაუვლად მოხდება. ის შეიძლება ზედმეტად დამოკიდებული გახდეს ჩვენზე, ზედმეტად მორჩილი, და ვერ ისწავლოს თავის სამყაროში ცხოვრება. ის შეიძლება ადვილი მსხვერპლი გახდეს ძლიერი ნებისყოფის ადამიანების, ავტორიტეტული ხასიათის ან კულტების ჯგუფების ხელში ჩავარდეს; ან ასაკობრივი ზრდისას ნავანყდეთ მასთან ურთიერთობების გაუარესებას. იგი თანდათან უარს იტყვის ჩვენს ხელმძღვანელობაზე.

კიდევ ერთხელ ავლნიშნავ, რომ როგორც დოქტორი ტომიერი გვიჩვენებს 'ფლობა არ ნიშნავს საკუთრებას.' ასეთია ბიბლიის დიდებული უწყება. ადამიანს რეალურად არაფრის ფლობა არ შეუძლია. არამედ ის არის ღვთის მიერ მისთვის მინდობილის დამცველი, რადგან 'ღვთისაა დედამინა და მისი სისავსე' (1 კორინთელთა 10:26).

რა თქმა უნდა, ყოველ მშობელში არის გარკვეული დონის მფლობელობის შეგრძნება. მაგრამ უნდა ვიზრუნოთ (1) ამ პრობლემის ჩვენში აღმოჩენაზე; (2) ეს თვისება გამოვყოთ ბავშვის კეთილდღეობაზე ზრუნვისაგან. განსაკუთრებით ბავშვში თვითდარწმუნების ჩამოყალიბებისას. (3) გამუდმებით ვამახვილებდეთ ამაზე ყურადღებას შესაძლებლობისამებრ; (4) უარვყოთ მისი გავლენები.

ცდუნება

სიყვარულის გამოხატვის შეუფერებელი გზა არის ცდუნების მეშვეობით. ვიტყვი, რომ ამ საკითხის განხილვა რთული საქმეა, რადგან ცდუნებას ადვილად ვერ განსაზღვრავ. როგორც ჩანს ამ სიტყვას იყენებენ ყოველგვარი სექსუალური გამოვლენისა და გარყვნილების გამოხატავად.

ამ შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ საკმარისი იქნება ეს ტერმინი განვმარტოთ როგორც შეგნებულად თუ შეუგნებლად სექსუალური გრძნობებით ბავშვთან ურთიერთობა.

ამის მაგალითები განხილულ იქნა ფსიქიატრის მიერ ახლახანს მონყობილ სემინარზე. შვიდი წლის გოგონა მიიყვანეს ფსიქიატრიულ კლინიკაში ხშირი მასტურბაციისა და სკოლის არასათანადო ჩარევის გამო. კვლევამ დაადგინა, რომ ბავშვი დიდ დროს უთმობდა ფანტაზიებს დედის სიკვდილის

შემდეგ და მარტო ცხოვრობდა მამასთან. მამა შენიშნული იყო იმაში, რომ გოგონა დიდი ხნით ეჭირა ხელში, ხელს უსვამდა და ეალერსებოდა ისე, რომ ორივე სექსუალურ სიამოვნებას განიცდიდა. როცა ამის შესახებ თავაზიანად გაესაუბრნენ მამას, მან ასეთი პასუხი გასცა, 'ოჰ, ღმერთო ჩემო, ახლა მივხვდი, რომ როცა ერთად ბანაობისას საპონს ვუსვამდი, მომნიფებული ქალის რეაქცია ჰქონდა.' ეს იყო შემთხვევა სადაც მამა მაცდუნებლის როლს ასრულებდა. თუმცა, მან სრულად ვერ გააცნობიერა რას აკეთებდა. როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ამ ოჯახშიც საქორწინო ურთიერთობა პრობლემის ქვეშ იდგა. ოჯახებში, სადაც ქორწინება ჯანსაღი არ არის, უჩვეულო არ არის ცდუნების არსებობა. დღევანდელიობაში კი ეს პრობლემა უფრო მწვავედება.

რას ფიქრობთ ანი ლანდერსისადმი მიწერილ ამ წერილზე, რომელიც მის ქალაქებში გამოჩნდა რამოდენიმე წლის წინ?

ძვირფასო ანი ლანდერს: არ ვიცი პრობლემა მაქვს თუ არა. ეს ეხება ჩვენს თორმეტი წლის ლამაზ გოგონას. მე მინახავს მამაზე შეყვარებული გოგონები, მაგრამ ამის მსგავსი არა.

დონა ყოველი შესაძლებლობისთანავე მამას უზის გვერდით (ან ზემოდან აზის). ერთმანეთს ხელებით ეთამაშებიან და შეყვარებული ბავშვებივით იქცევიან. როცა სეირნობენ ბავშვი მამამისზე ჩამოკიდებული ან ერთმანეთის წელზე აქვთ ხელი შემოხვეული. ეს ნორმალურია?

ხელს ვაწერ მე, დამწუხრებული.

ყმანვილობამდელი ასაკის გოგონა ხომ არ გყავთ? რას ფიქრობთ? როგორ უღერს ეს შემთხვევა, კარგად თუ ცუდად? თქვენ დამწუხრდებოდით? თქვენ როგორ მოიქცეოდით?

აი, ანი ლანდერსის პასუხი:

ძვირფასო დ: მე ვფიქრობ, რომ გადაჭარბებულ შეხებას აქვს ადგილი. დღეს თორმეტი წლის გოგონა ქალი უფროა

ვიდრე ბავშვი. საჭიროა დონასთან გასაუბრება, მაგრამ უმჯობესი იქნება თუ თქვენ არაფერს იტყვით.

ალბათ ახლო ნათესავმა ან უფროსი ასაკის მეგობარმა უნდა უთხრას დონას, რომ დაუშვებელი და არაჯანსაღია ახალგაზრდა გოგონასათვის მამასთან ასეთი ფიზიკური სიახლოვე. (რა თქმა უნდა ეს ურთიერთობა სხვებისათვისაც შესამჩნევია.)

თუ არავის იცნობთ ისეთს, ვისაც დაურეკავთ და სთხოვთ, რომ ეს აზრი ტაქტიანად მიიტანოს ადრესატამდე, აუცილებლად მიმართეთ სკოლის მრჩეველს დახმარებისათვის. მე ვფიქრობ, რომ დონასთან უნდა მოხდეს გასაუბრება და არა მამამისთან. რადგან იგი ამ აზრს უარყოფს და საკუთარი თავის დაცვაზე გადავა.

მინდა ანის პასუხს გამოვეხმაურო. ვეთანხმები, რომ ამ შემთხვევაში გადაჭარბებულ ფიზიკურ კონტაქტსა და ცდუნებას აქვს ადგილი. თუმცა, ეს დედის მოსაზრებაა და ქორწინებაში პრობლემებზე ლაპარაკობს. მოკლედ რომ ვთქვათ, არც ჩვენ (და არც ანიმ) დარწმუნებით არ ვიცით ნამდვილად აქვს თუ არა ადგილი ავხორცულ ცდუნებას. შეიძლება ეს სიტუაცია ჰგავს მეორე თავის დასასრულის ამბავს, სადაც დედა მამა-შვილის ურთიერთობაზე ეჭვიანობს.

წარმოვიდგინოთ, რომ ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ცდუნებას, მიხვიდოდით თუ არა თორმეტი წლის გოგონასთან და ეტყოდით, რომ საკუთარი მამა მასთან სექსუალურად შეუფერებელ ურთიერთობაში იმყოფება? დღეს ძნელად შეხვდები მშობლებისადმი ნამდვილი პატივისცემის გამოვლენას, ძირის გამოთხრას კი ადვილად.

მაგრამ ერთი პრინციპული კომენტარი მინდა გავაკეთო ანის პასუხზე, რაც დღევანდელობაში ბავშვებისადმი გამოვლენილი სიყვარულის ნათელი მაგალითია. მისი რჩევა როგორც ჩანს გულისხმობს, რომ რადგან მამა შვილისადმი შეუფერებელ სიყვარულს გამოხატავდა, ამის გამო საერთოდ აღარ უნდა გამოეხატა იგი. არადა ჩვენ უკვე დავინახეთ თუ რამდენად

მნიშვნელოვანია ყმანვილობამდელი ასაკის გოგონასათვის ფიზიკური კონტაქტი. ამ შემთხვევაში ეს მამა სწორად ვერ გადმოსცემდა სიყვარულს. განა ფიზიკური კონტაქტის სრულად შეწყვეტაა პასუხი?

ვნუხვარ, რომ ანალოგიური რეაქცია გახდა ჩვენი დღევანდელი საზოგადოების პასუხი. რადგან ზოგიერთი მშობელი საკუთარი შვილებისათვის ცდუნებას წარმოადგენს, ამიტომ ფიზიკური კონტაქტი მინიმუმადე უნდა იყოს დაყვანილი ან საერთოდ აიკრძალოს. ამის ანალოგი ასეთი იქნება: რადგან დღეს მსუქანი ადამიანი დავინახე, საერთოდ აღარ უნდა ვჭამო ან ძალიან ცოტა.

ზოგიერთი მშობლის მიერ შვილთან კონტაქტის თავიდან აცილების მიზეზი ის არის, რომ ისინი მართლა გრძნობენ მათ მიმართ სექსუალურ რეაქციას. ეს ნებისმიერ მშობელს შეიძლება დაეუფლოს, განსაკუთრებით უფროსი ასაკის ქალიშვილის პატრონს. ასე რომ, ეს ნამდვილი დილემაა. ბავშვს დაჟინებით სწყურია სიყვარულის შეგრძნება და ფიზიკური შეხება მნიშვნელოვანია მისთვის. მეორე კუთხით კი, მშობლები არაკომფორტულად გრძნობენ თავს და ეშინიათ შეცდომა არ ჩაიდინონ და ბავშვს ზიანი არ მიაყენონ.

ვფიქრობ, რომ მრავალი მშობლისათვის იქნება შემდეგის გაცნობიერება დიდი დახმარება: (1) ასაკის მიუხედავად ყველა ბავშვს სჭირდება შესაფერისი ფიზიკური კონტაქტი; (2) დროდადრო ბავშვის მიმართ სექსუალური განცდის ან ფანტაზიის დაუფლება ნორმალურია; (3) მშობელმა უნდა უარყოს ეს შეუფერებელი განცდა, მაგრამ ბავშვს უნდა მისცეს ის, რაც სჭირდება, შესაფერისი (და არა მაცდუნებელი) ფიზიკური კონტაქტი.

ამ გაუგებრობის გამო არის, რომ უამრავი ბავშვი ვერ განიცდის ნამდვილ, უპირობო სიყვარულს?

სხვა შიში, რაც შეიძლება მრავალ მშობელს დაეუფლოს, არის ჰომოსექსუალობის ცდუნება. როგორც ჩანს არასწორი გაგებაა იმის შესახებ, რომ დედებისაგან ქალიშვილების მიმართ და მამებისაგან ვაჟების მიმართ გადაჭარბებული სიყვარული ჰომოსექსუალობისაკენ მიგვიძღვის, სიმართლე კი პირიქითაა.

ხშირად შევხვედრივარ სკოლაში მუშაობისას ამ პრობლემით შენუხებულ მშობლებს. ქალმა მასწავლებელმა ახლახანს მკითხა, 'დოქტორო, კემბელ, ჩემი ქალიშვილი ისე ძალიან მიყვარს, რომ ხშირად ვკოცნი და ხანდახან ტუჩებშიც კი. ლესბიანობისაკენ ხომ არ ვუბიძგებ ამით?' სხვა ინფორმაციის გამოკვლევის შემდეგ, რათა დავრწმუნებულიყავი, რომ ურთიერთობა ჯანსაღი იყო, ვუპასუხე, 'ასე გააგრძელეთ.'

ორი მაგალითი

ნება მომეცით ორი სხვა მაგალითი გაგიზიაროთ. მეორე მაგალითი გვიჩვენებს ფიზიკური კონტაქტის მეშვეობით შესაფერისი სიყვარულს და ბავშვის სექსუალურ იდენტობაზე ზემოქმედებას. პირველი მაგალითი კი გვაფიქრებს იმაზე, თუ რისი გამოწვევა შეუძლია მის არ არსებობას.

პირველი მაგალითი არის ჩემს მეგობარ-რასტიზე, უხემ, 'კაცურ,' კაცზე და ა.შ.შ-ს საზღვაო ჯარის ნვრთნის ინსტრუქტორზე. მას და მის თბილ და მგრძნობიარე ცოლს ოთხი ბიჭი ჰყავთ, 'მიყოლებით'. რასტიმ გადაწყვიტა, რომ ბიჭები მას დამსგავსებოდნენ, უხეში და მაგარი კაცები დამდგარიყვნენ. მამა საზღვაო ჯარისკაცებივით მკაცრად ეპყრობოდა შვილებს- არა სიყვარულით, უსიტყვო მორჩილებით, კითხვების გარეშე.

ამ მდგომარეობაზე თქვენი რეაქცია მნიშვნელოვანია. რას ფიქრობთ, როგორ განვითარდა ეს ოთხი ბიჭი? როგორ ფიქრობთ, გაჰყვნენ თუ არა ისინი მამის კვალს? ფიქრობთ, რომ ყველა 'კაცები' გამოვიდნენ?

ბოლოს როცა ვნახე ყოველი მათგანი გადაჭარბებულად ნაზი იყო. მანერებით, საუბრით, და გარეგნობით გოგონებს ჰგავდნენ. გაგიკვირდათ? არ უნდა გაგკვირებოდათ. ასეთ შემთხვევებს ყოველ დღე ვხედავ. არამოსიყვარულე, მკაცრი და სასტიკი მამების შვილები როგორც წესი ქალურები ხდებიან.

აი, მეორე მაგალითი. რამდენიმე წლის წინ ხუცესი გვყავდა, რომელიც დიდი და უხეში აგებულების კაცი იყო. მისი თანდასწრება ყურადღებას ითხოვდა, თბილი და მოსიყვარულე გული ჰქონდა. იმ დროს მისი ვაჟი სამი წლის იყო, ჩემი დევიდის ტოლი, მაგრამ ერთი თავით მასზე მაღალი და ოცი ფუნტით

მძიმე, 'ზედგამოჭრილი მამა'. ჩვენს ხუცესს თავისი შვილი ძალიან უყვარდა. იგი ძალიან გამოხატავდა თავისი შვილისადმი სიყვარულს, ხელში ეჭირა, ეხვეოდა, კოცნიდა და ეჭიდავებოდა.

რას ფიქრობთ როგორი გაიზარდა ეს ბიჭი? გაჰყვა თუ არა მამის ნაკვალევს? სწორად გამოიცანით, დიახ. ეს პატარა ბიჭი ისეთივე იყო როგორიც მამამისი. მას ჰქონდა ძლიერი, ჯანსაღი სექსუალური განონასწორებული ნარმოდგენა; იყო მშვიდი, ბედნიერი, ადვილად შესაყვარებელი, ნამდვილი ბიჭი იყო.

თუ ამ ორმა მაგალითმა ვერ დაგარწმუნათ, რომ შესაფერისი სიყვარული არა მარტო გარანტიაა, არამედ ყველა ბავშვს სჭირდება (გოგონებსაც და ბიჭებსაც) ყოველი მშობლიდან, ნება მომეცით ეს ფაქტი გაგიზიაროთ. ჩემი ნაკითხულიდან თუ გამოცდილებიდან, არასოდეს ვიცნობდი სექსუალურად გადაგვარებულ პიროვნებას, რომელსაც თბილი, მოსიყვარულე და ნაზი მამა ჰყავდა.

ამ მცდარი მოსაზრების შესახებ ჩვენ უკვე არაერთხელ განვიხილეთ რამოდენიმე მშობლის შემთხვევა, რომლებმაც შეძლეს შესაფერისად თავიანთი შვილების ემოციურად აღზრდა. თუმცა მოჭარბებული სიყვარულია მათ გულში, მაგრამ პრაქტიკულად ეს ასე არ ჩანს. დარწმუნებული ვარ მას შემდეგ რაც ეს არასწორი შეხედულება გამოსწორდება, და მას შემდეგ რაც მშობლები გაიგებენ ბავშვის საჭიროებას ბევრი მათგანი შეძლებს შესაფერისი უხვი სიყვარულის გაცემას, რაც თითოეულ ბავშვს აუცილებლად უნდა ჰქონდეს.

შემცვლელიობა

მესამე გავრცელებული შეუფერებელი სიყვარულის ტიპი არის შემცვლელიობა. შემცვლელიობა, ანუ სხვის ნაცვლად სიყვარული, არის ადამიანის ცხოვრება ან ოცნება ბავშვის ცხოვრების მეშვეობით. ყველაზე დაზარალებული ბავშვების შემცვლელი არის რომანტიკული ფანტაზიებით ან სურვილებით შეპყრობილი დედის მიერ ქალიშვილის ცხოვრებით ცხოვრება. დედა ცდილობს თავის ქალიშვილში ისეთი ურთიერთობები და სიტუაციები შექმნას, სადაც თვითონ მას სურს ყოფნა. ამის ნიშანია დედის აკვიატებული ინტერესი თავისი შვილის

ინტიმური განცდებისა და პაემნის დეტალების დანვრილებით გამოკითხვა, რადგან სექსუალურ ღელვას ანიჭებს ქალიშვილის მონათხრობი. ამ პროცესის დამანგრეველობა ცხადია. ასეთი საქციელი ბავშვს შეიძლება ისეთი ურთიერთობებისაკენ წარუძღვეს, რომლის მოსაგვარებლად იგი მზად არ არის ან საკმარისი გამოცდილება არა აქვს. ფეხმძიმობა არის ამის ერთ-ერთი შედეგი. რის გამოც ბავშვის დეგრადირებულ რეპუტაციას ვიღებთ. ასეთმა რეპუტაციამ შეიძლება დააზიანოს ბავშვის საკუთარ თავზე წარმოდგენა და ცხოვრებისადმი მისი პატივისცემა.

ანალოგიური ტიპის შემცველობას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მამასა და ვაჟს შორის ანალოგიური შედეგებით. მამა, რომელიც საკუთარი სექსუალური გადმოსახედიდან მოქმედებს საკუთარი ვაჟის დაპყრობების მეშვეობით, მტკივნეულია არა მარტო მისი ვაჟისათვის, არამედ ამ საქმეში მონაწილე სხვა ადამიანებისათვისაც. ამდაგვარი დამოკიდებულებების გამო ვაჟი როგორც წესი ქალს ძირითადად სექსუალურ საგნად აღიქვამს. მას გაუჭირდება ქალის, როგორც მგრძნობიარე არსების წარმოდგენა, და განსაკუთრებით თანატოლად მიჩნევა.

რა თქმა უნდა მრავალი სახის შემცველობითობა არსებობს. ზემოთ აღნიშნული ქმედების შედეგები ყველაზე დამანგრეველია.

შემცველობითობის კიდევ ერთი მაგალითი არის მამის მიერ შვილის გამოყენება საკუთარი ათლეთური ინტერესების დასაკმაყოფილებლად. თუ გსურთ ამ მოვლენის პრაქტიკულად დანახვა, მიზრძანდით ფეხბურთის ახალგაზრდული გუნდის ბაზაზე. შემცველობითი ხასიათის მშობელი ისეთი ემოციით ერთვება თამაშში, გეგონება თვითონ თამაშობდეს. თქვენ დაინახავთ როგორ სასტიკად ბრაზდება მსაჯის მიერ თავისი შვილისადმი გამოტანილ არასწორ გადაწყვეტილებაზე. ყველაზე უარესი ის არის, რომ ასეთი მშობელი საყვედურს უცხადებს და მომთხოვნია შვილისადმი შეცდომების დაშვებისას.

რა გაგახსენათ ამან? პირობითი სიყვარულის ძველი პრობლემა. რაც უფრო შემცველობითი დამოკიდებულება

გვაქვს ჩვენს შვილებთან, მით უფრო პირობითია ჩვენი მათდამი სიყვარული, იქიდან გამომდინარე თუ რამდენად კარგად მოიქცნენ და რამდენად დააკმაყოფილეს ჩვენი შემცვლელი სურვილები.

მოდით თვალი გავუსწოროთ ამ ფაქტს. ჩვენ ყველას გვეუფლება შემცვლელი განცდა რაღაც დონეზე, არა? როცა ჩვენი დავითი ბავშვთა ფეხბურთის გუნდში თამაშობდა, მე ვთვლიდი, რომ ის ძალიან კარგი მოთამაშე იყო. ვიჯექი და ვუყურებდი მას, უცნაური მიზეზის გამო გონება ჩემი პროფესიული ფეხბურთის პერიოდისაკენ გამექცა. გამახსენდა, რამდენად მინდოდა უფროს ლიგაში გადასვლა. აუსრულებელი მიზნის ტკივილი და იმედგაცრუება დიდი იყო, ახლა კი დავითის კარგ თამაშს ვუყურებდი. რატომ? რატომ უნდა ყოფილიყო დიდი შეცდომა აუსრულებელი ოცნების ჩემს შვილში განხორციელების მცდელობა?

შემცვლელი მამინ არის მტკივნეული როცა სახეს უცვლის ჩვენს სიყვარულს ისე, რომ მას ბავშვის საქციელიდან გამომდინარე გავცემთ, რაც სინამდვილეში პირობითი სიყვარულია. მშობლებმა ნება არ უნდა მივცეთ ჩვენს იმედებს, სურვილებს და ოცნებებს განსაზღვროს თუ როგორ სიყვარულს მიიღებს ბავშვი.

შემცვლელი თობა შეიძლება განისაზღვროს კუთვნილებად, თუკი იგი გამოყენებულია ჩვენი ოცნებების ასრულების მიზნით. როგორღა შეძლებს ბავშვი საკუთარ უფლებებში გაზრდას და საკუთარ თავზე დამოკიდებულებას ამ სიტუაციაში?

ბავშვისადმი სიყვარული უნდა დავიცვათ უპირობოდ. ჩვენ უნდა გვიყვარდეს ის ისე, რომ შეძლოს ღვთის გეგმის მის ცხოვრებაში განხორციელება და არა ჩვენი ახირებული ოცნებების.

როლების გაცვლა

რამდენიმე წლის წინ, როლების გაცვლის თემა განხილულ იქნა მ.ა. მორისისა და რ. დაბლიუ გოულდის მიერ, სტატიაში 'ბავშვის კეთილდღეობა'. მათ ეს განსაზღვრეს როგორც

‘ვინმეზე დამოკიდებულების როლების გადაცვლა, რომელ შემთხვევაშიაც მშობლები თავიანთ ჩვილებს და პატარა ბავშვებს აღზრდისა და დაცვის მიზნით ეპყრობიან.’

ბრანდტ სტილმა და კარლ პოლოკმა აღწერეს როლების გადაცვლის შესახებ წიგნში, ათქვეფილი ბავშვი (ჩიკაგოს უნივერსიტეტის პრესა, 1974 წელი. გვ. 95). სადაც აცხადებენ:

‘ასეთი მშობლები გადაჭარბებულად ბევრს მოელიან და მოითხოვენ თავისი ჩვილებისა და პატარა ბავშვებისაგან. არა მხოლოდ ბევრია კარგი საქციელის მოთხოვნა, არამედ მოუმნიფებელია, ჩვილის შესაძლებლობებს მიღმა დგას მოთხოვნების აღქმა და მისადმი შესაფერისი პასუხი. [ეს] მშობლები ბავშვთან ისე წარმართავენ ურთიერთობას, თითქოს იმაზე უფროსი იყოს ვიდრე ნამდვილად არის. ამ საკითხზე დაკვირვებას მიყვავართ იმის ნათელ წარმოდგენამდე, რომ მშობელი თავს ვერ გრძნობს უსაფრთხოდ და შეყვარებულად, და ბავშვში ეძებს ამ მოთხოვნების დაკმაყოფილებას, კომფორტსა და მოსიყვარულე პასუხს. გაზვიადების გარეშე ვიტყვით, რომ მშობლები შეშინებული, და უსიყვარულო ბავშვებივით იქცევიან, და საკუთარ ბავშვს უფროსებივით უყურებენ, რომელსაც მათთვის კომფორტისა და სიყვარულის მიცემა შეუძლია... აქ ორი მთავარი ელემენტის გამოყენებას აქვს ადგილი-მაღალი მოლოდინი და მოთხოვნილება მშობლის მიერ ბავშვის საქციელზე, როცა მშობელი მხედველობაში არ იღებს ბავშვის შეზღუდულ უნარსა და უსაკობას -ბავშვის შესაძლებლობების მშობლის მიერ არასწორი აღქმა.’

როლების გაცვლა არის საშიში ფენომენის-ბავშვზე ძალადობის ძირითადი ფონი. მოძალადე მშობელი განიცდის, რომ ბავშვმა უნდა იზრუნოს მშობლის ემოციურ საჭიროებებზე, რომ მშობელს უფლება აქვს შვილისაგან მიიღოს კომფორტი და კვება. როცა ბავშვი ამ საქმეში მარცხს განიცდის, მშობელი ფიქრობს, რომ შვილის მკაცრად დასჯის უფლება აქვს.

ბავშვზე ძალადობა არის როლების გაცვლის უკიდურესი ფორმა, მაგრამ ყველა მშობელი განიცდის ამას სხვადასხვაგვარ დონეზე. ხანდახან, როცა კარგად ვერ ვგრძნობთ თავს, ფიზიკურად თუ ემოციურად, ჩვენი შვილებისაგან მოველით გამოგვიკეთოს ხასიათი. შეიძლება დეპრესიაში ვართ ან

ავად ვართ, გონებრივად ან ემოციურად განადგურებული. ამ დროს ვფლობთ ძალიან ცოტა, ანუ ნულ ემოციას ჩვენი ბავშვებისათვის. ძალიან რთული იქნება ამ დროს თვალთ კონტაქტი, ფიზიკური კონტაქტი ან განსაკუთრებული ყურადღება, მაშინ როცა, ჩვენი ემოციური წყარო დამშრალია, ჩვენ თვითონ გვჭირდება საკვები. ასეთ პირობებში ადვილია დაუშვა შეცდომა და იფიქრო, რომ შვილს შესწევს შენი კომფორტის, კმაყოფილების, დარწმუნებისა და პოზიტიური მორჩილების უნარი. ეს არ არის ნორმალური ბავშვისათვის დამახასიათებელი თვისება. თუ მას აიძულებ ასეთი არაბუნებრივი როლის შეთავსებას, ბავშვი ნორმალურად არ განვითარდება. შედეგადაც მოსალოდნელი დამახინჯებების სია უსასრულო იქნება.

მშობლებმა არ უნდა დავუშვათ ასეთი სიტუაციის განვითარება. უნდა გავიგოთ, რომ მშობლები ვართ აღმზრდელები, ბავშვი კი ამ აღზრდის მიმღები. იმ დროს, როცა ამ მოვალეობის შესრულება არ ძალგვიძს, ჩვენს შვილებს მშობლებივით არ უნდა ვუყურებდეთ. რა თქმა უნდა შეუძლიათ დაგვეხმარონ თავიანთი შესაძლებლობის ფარგლებში, აქეთ-იქით ირბინონ და ნივთები მოგვიტანონ, როცა ცუდად ვართ, მაგრამ ემოციურ კმაყოფილებას არ უნდა მოველოდეთ მათგან.

ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ იმ შემთხვევების შესამცირებლად, როცა ბავშვის ემოციურად აღზრდა არ შეგვიძლია. ეს შეიძლება გულისხმობდეს ჩვენს სხეულზე უკეთესად ზრუნვას და ავადმყოფობისაგან თავის დაცვას, მაგალითად-შესაფერისი დიეტა, ბევრი დასვენება, და ბევრი ვარჯიში. ჰობისა და სხვა გამამხნეველი საქმიანობის წამოწყება დაგვეხმარება მენტალურ სიჯანსაღესა და გონებრივი გადაღლის შემცირებაში. ამაში შეიძლება დაგვეხმაროს განახლებული სულიერი ცხოვრება, აღფრთოვანება და მედიტაციისათვის საკმარისი დროის დათმობა. ყველაზე მეტად, იგი გულისხმობს ქორწინების მტკიცედ დაცვას, ჯანსაღად, და უსაფრთხოდ. ღმერთი უნდა იყოს პირველი, მეუღლე მეორე და შვილები მესამე ადგილზე. დაიმახსოვრეთ, რომ უფრო მეტის მიცემას შევძლებთ შვილებისათვის, თუ საკუთარ თავს დავიცავთ ემოციურად და

სულიერად განახლებაში. რაც გულისხმობს პრიორიტეტების სწორად განაწილებასა და მიზნისათვის სწორად დაგეგმვას.

საპნიან წყალს ბავშვს ნუ გადააყოლებთ

ჩვენ უკვე განვიხილეთ შეუფერებელი სიყვარულის ოთხი ძირითადი ტიპი და მის შესახებ საზოგადოების მიერ აღიარებული რამოდენიმე მცდარი წარმოდგენა. რა თქმა უნდა, ასეთ გზებს თავი უნდა ავარიდოთ. რადგან არც ბავშვისათვის და არც მშობლისათვის სიკეთის მომტანი არ არის.

თუმცა, ამ მცდელობისას, 'საპნიან წყალს ბავშვსაც ნუ გადააყოლებთ.' ნუ დავუშვებთ უარეს შეცდომას და ნუ შევწყვეტთ ბავშვთან შესაფერისი სიყვარულის გამოვლენას. რაც ბავშვის აღზრდაში ყველაზე მეტად შესამჩნევი პრობლემაა. ბავშვები უფრო მეტად იტანჯებიან უპირობო სიყვარულის გარეშე, ვიდრე შეუფერებელი სიყვარულით.

შესაფერისი სიყვარული არის ბავშვისათვის სასარგებლო და სიკეთის მომტანი. შეუფერებელი სიყვარული მშობლის არანორმალურ მოთხოვნილებებსა თუ მის ახირებებს ემსახურება.

მოდით თვალი გავუსწოროთ ამ პრობლემას. ჩვენს ბავშვებს აქვთ მნიშვნელოვანი საჭიროებები, რომელთა დაკმაყოფილებაც მხოლოდ მშობელს შეუძლია. თუ აღმოვაჩინებთ, რომ ვერ ვაკმაყოფილებთ ამ მოთხოვნებს, თუ ვერ ვიცავთ მათ ემოციურ ავზს სავსეს, თუ ვერ ვაძლევთ მათ ხშირად თვალის კონტაქტს, ფიზიკურ კონტაქტს, ფოკუსირებულ ყურადღებას შესაბამისად, მაშინ დროა დახმარებას მოვუხმოთ და ვიმარხულოთ. რაც უფრო მეტხანს დავიცდით, მდგომარეობა უფრო გაუარესდება.

8

ბავშვის სიბრაზე

გაბრაზება ყველა ჩვენთაგანისათვის ბუნებრივი მოვლენაა, პატარა ბავშვების ჩათვლით. თუმცა, ბავშვში სიბრაზის სწორად წარმართვა, ჩემის აზრით, ალბათ მშობლისათვის ყველაზე რთულია. რადგან ამის გაკეთება საერთოდ რთულია, მშობლების უმრავლესობა ბავშვის სიბრაზეს არასწორი და გამანადგურებელი გზებით პასუხობენ.

მაგალითად. ბავშვისათვის გაბრაზების გამოხატვის გზები შეზღუდულია. მას მხოლოდ ორი არჩევანი აქვს-გაბრაზების საქციელით ან სიტყვით გამოხატვა.

თუ მცირე ასაკის ბავშვი გამოხატავს გაბრაზებას, მაგალითად, თავის დარტყმით, სათამაშოების გადაყრით, ცემით, ბრაზუნით, ასეთი საქციელი უკვე პასუხს მოითხოვს. თუ ბავშვი სიტყვიერად გამოხატავს სიბრაზეს, ეს მშობელს არასასიამოვნოდ, უპატივცემულობად და შეუფერებლად ეჩვენება. ასეთი გზით სიბრაზის გამოხატვა უფრო შეუწყნარებელი და მიუღებელია. როგორ უნდა მოიქცეს მშობელი?

როგორც ორთქლი უნდა გამოვიდეს ჩაიდნიდან ასევე სიბრაზეც. არავის, პატარა ბავშვების ჩათვლით, არ შეუძლია სიბრაზის ჩახშობა და გულში დიდხანს დატოვება. აიძულო ბავშვს ამის გაკეთება მისთვის ყველაზე გამანადგურებელი

დარტყმის მიყენებას ნიშნავს. თუ არ მიეცემთ ბავშვს უფლებას როგორღაც გამოხატოს სიბრაზე, მაშინ იგი უფრო ღრმად დაითოვებს გულში წყენას, რაც მის ცხოვრებაში მოგვიანებით დამანგრეველ შედეგებს გამოიწვევს. თუ ბავშვი სიბრაზის გამოხატვის გამო დაისჯება სიტყვიერად ან საქციელით, მას სხვა არჩევანი აღარ დარჩენია, გარდა იმისა, რომ შიგნით ჩაახშოს იგი და ბოლოს პირთამდე გაიყოს. რის შედეგადაც ეს ბავშვი ვერასოდეს შეძლებს სიბრაზის ზრდასრული ადამიანისათვის შესაფერისი გზით მოგვარებას.

ქმედების ასეთ ფორმას 'დასჯის მახეს' ვუწოდებ. მშობლებს გვჭირდება იმის გაგება, რომ დასჯა თავისთავად არ არის ის გზა, რომელიც შეიძლება ასწავლო ბავშვებს სიბრაზესთან საქმის მოსაგვარებლად.

სხვა შეცდომა, რასაც მშობლები გაბრაზებული შვილების წინაშე უშვებენ, არის აფეთქება და უფრო მეტი სიბრაზის ბავშვზე გადმონთხევა. ბავშვები უმწეონი არიან მშობლების სიბრაზის წინაშე. მათ არანაირი თავდაცვის საშუალებები არ გააჩნიათ ამისათვის. უხეში უარყოფის საერთო მაგალითია, 'აღარ დავინახო, რომ ასეთი რამ კიდევ გაიმეორო (ან ასე მეორედ აღარ დამელაპარაკო) აღარასოდეს! გასაგებია!' როცა მშობელი ბავშვს უყვირის, ბავშვი იკეტება და ნორმალური გზითაც აღარ გამოხატავს სიბრაზეს, და როგორც უკვე ავლნიშნეთ გულში იხვევს მას და მშობლების გაბრაზებასაც ზედ ამატებს.

ეჭვგარეშეა, დღევანდელი მშობლების დიდი ნაწილი კარგად ვერ ართმევს თავს პატარა ბავშვებში გამოვლენილ სიბრაზეს. თუ ბავშვის გაბრაზება საქციელით ან სიტყვით გამოვლინდა, მას ან დასჯიან ან ბრაზმორეულნი გალანძლავენ, ან ორივე ერთად. კვლავ ვიტყვი, თუკი მხოლოდ ეს გზა არსებობს ბავშვისადმი სიბრაზის გამოსახატავად, ეს აიძულებს მას ბრაზის გულში ჩამარხვას.

რატომ არის ეს ასეთი დამანგრეველი? იმიტომ რომ, როგორც უკვე ავლნიშნეთ, სიბრაზე როგორღაც გარეთ უნდა გამოვიდეს. თუ ძალიან ჩაახშობ, 'პასიურ ან აგრესიულ ქმედებაში იპოვის გამოსავალს.' პასიურ-აგრესიული (პა) საქციელი ძირითადად ემყარება ავტორიტეტის წინააღმდეგ გაუცნობიერებელ

ქმედებას. გაუცნობიერებელი მოტივის შედეგი ბავშვის მხრიდან არის, გააკეთოს იმისი სანინაალმდეგო, რასაც მისგან მოელიან ავტორიტეტული ადამიანები (მშობლები, განსაკუთრებით მასწავლებლები). მას შემდეგ რაც პასიურ-აგრესიული ბუნება გავლენას ახდენს ბავშვის საქციელზე, რთულია მისი დისციპლინის კალაპოტში ჩაყენება.

პასიურ-აგრესიული საქციელი, სიბრაზის გამოხატვის ღია, გულწრფელი, გახსნილი და პირდაპირი საქციელის საპირისპირო გამოხატულებაა, რასაც ადამიანი არაპირდაპირი გზით იღებს. ამის რამოდენიმე მაგალითი არის საქმის გადადება, უსაქმურობა, სიჯიუტე, განზრახ უკმაყოფილება, და გულმავინყოფა. პასიურ-აგრესიული საქციელის ქვეცნობიერი მიზეზი არის მშობლების ან ავტორიტეტული პიროვნებების გაბრაზება.

პასიურ-აგრესიული გზით გაბრაზებასთან საქმის წარმართვა არის არაპირდაპირი გზა, ეშმაკური, თავდაცვითი, და დამანგრეველი. სამწუხაროდ, პასიურ-აგრესიული ქმედება ქვეცნობიერით არის მოტივირებული, ბავშვი ვერ აცნობიერებს, რომ ამ შემთხვევაში წინააღმდეგობის ფორმას მიმართავს, სულის შემხუთავი ბრაზის გამოდევნის აკრძალვის გამო დასაჯოს მშობლები.

პატარა ბავშვის მიერ პასიურ-აგრესიული ტენდენციის გამოვლენის ერთ-ერთი გზა არის, ტუალეტის გამოყენების სწავლების შემდეგ შარვლის დასვრა-საკმაოდ ეფექტური მაგრამ არაჯანსაღი გზა სიბრაზის გამოსავლენად. ვიცით, რომ როგორც წესი, მშობლების უმეტესობა უკრძალავს ბავშვს სიბრაზის გამოხატვას, განსაკუთრებით სიტყვიერად. ამ შემთხვევაში (შარვლის დასვრის) ძალიან ცოტა რამის გაკეთება შეუძლიათ მშობლებს. თავადვე მიიმწყვდიეს საკუთარი თავი კუთხეში. რაც უფრო მეტად სჯის მშობელი შვილს, მით უფრო ხშირად დაისვრის ბავშვი შარვალს, შეგნებულად მშობლების გაბრაზების მიზნით. როგორი დილემაა, ღმერთო შეინყაღე მშობელიც და ბავშვიც ასეთ სიტუაციაში.

მრავალი სკოლის ასაკის ბავშვი მიმართავს პასიურ-აგრესიული გზით სიბრაზის გამოხატვას დაბალი ნიშნებით, მაშინ როცა მეტის გაკეთება შეუძლიათ. მათი

დამოკიდებულება ჰგავს 'ცხენი შეიძლება ჩაიყვანო წყალთან, მაგრამ წყალს ვერ დააღვინებ.' პასიურ-აგრესიული ხასიათის ბავშვებისათვის, რომლებიც დაბალ ქულებს მშობლების გაბრაზების მიზნით იყენებენ, არის 'შენ შეგიძლია სკოლაში გამაგზავნო, მაგრამ ვერ მაიძულებ კარგი ნიშნების მიღებას.' კიდევ ერთხელ ვიტყვი, პასიურ-აგრესიული შვილის მშობლები უსუსურნი არიან; ბავშვის სიბრაზე კონტროლს ექვემდებარება და ხილული სახე არა აქვს. რაც უფრო ბრაზდება მშობელი-ამ ყველაფრის ქვეცნობიერი მიზეზი-სიტუაცია უფრო რთულდება.

მნიშვნელოვანია კიდევ ერთხელ გავამახვილოთ ყურადღება იმაზე, რომ პასიურ-აგრესიული ბავშვი არ მოქმედებს შეგნებულად ან მიზანმიმართულად, რათა გააბრაზოს ავტორიტეტული პირი. ის ქვეცნობიერის ნაწილს წარმოადგენს, რაზეც ბავშვს წარმოდგენა არა აქვს, და რაშიაც 'დასჯის მახით' აღმოჩნდა, იძულებით.

პასიურ-აგრესიული საქციელი ჩვეულებრივია. რატომ? იმიტომ რომ ადამიანების უმეტესობას არ ესმის რა არის სიბრაზე ან არ იციან როგორ მოექცნენ მას. ისინი გრძნობენ, რომ გაბრაზება რატომღაც არასწორია ან ცოდვია და ბავშვში 'დისციპლინით' უნდა გამოიდევნოს. ეს სერიოზული შეცდომაა, რადგან სიბრაზის შეგრძნება ნორმალური მოვლენაა. ყოველ ადამიანს განუცდია სიბრაზე ასაკის მიუხედავად, იესოსაც კი, რომელიც ტაძრის არასწორად გამომყენებლებზე გაბრაზდა. როცა თქვენი შვილი გაბრაზდება და თქვენ მას უყვირით და ურტყამთ, 'შენყვიტე ასეთი საუბარი! ამის ნებას არ მოგცემ,' ან, 'მოკეტე, თორემ მოგხვდება!' რას გააკეთებს ბავშვი? მხოლოდ ორ რამეს-არ დაემორჩილოს და 'გააგრძელოს ასეთი საუბარი', ან დაემორჩილოს და 'შენყვიტოს ასეთი საუბარი.' თუ მეორეს აირჩევს და შეწყვეტს სიბრაზის გამოხატვას, სიბრაზე უბრალოდ ჩაიხშობა; დარჩება ქვეცნობიერში, და თავს იჩენს მოგვიანებით შეუფერებელი/ან პასიურ-აგრესიული საქციელით.

შემდეგი შეცდომა, რასაც ზოგიერთი მშობელი უშვებს სიბრაზის ჩახშობასთან დაკავშირებით არის იუმორის შეუფერებელი გამოყენება. როცა სიტუაცია იძაბება,

განსაკუთრებით როცა ვილაცა ბრაზდება, ზოგიერთი მშობელი ხუმრობს და ცდილობს იუმორის შემოტანით განმუხტოს დაძაბულობა. რა თქმა უნდა, ხუმრობა შესანიშნავი საგანძურია ყოველი ოჯახისათვის. მაგრამ როცა გამუდმებით გამოიყენებენ გაბრაზების თავიდან აცილების მიზნით შეუფერებლად, ბავშვებს უბრალოდ არ შეუძლიათ ანალოგიურ შემთხვევას შესაფერისად გაართვან თავი.

პასიურ-აგრესიული საქციელი ადვილად გაიდგამს ფესვს და იქცევა მოქმედების ფონად, რომელიც შეიძლება მთელი ცხოვრება გაგრძელდეს. თუ ბავშვი პირველი ათი წლის განმავლობაში გულწრფელად და ღიად სიბრაზის მოგვარებას გაუბოდა შეუფერებელი მანერით, მან შეიძლება პასიურ-აგრესიული ტექნიკა მთელი ცხოვრების მანძილზე გამოიყენოს ადამიანებთან ურთიერთობებში. რაც გავლენას მოახდენს მოგვიანებით მის ურთიერთობებზე მეუღლესთან, ბავშვებთან, სამსახურში, და მეგობრებთან. ასეთი დამოკიდებულება უბიძგებს ძირითადად ადამიანს ნარკოტიკის გამოყენებისაკენ, შეუფერებელი სექსის, ჩაკეტილობისა და თვითმკვლელობისაკენ. როგორი ტრაგედიაა! და ამ უბედური ადამიანების უმრავლესობას გაცნობიერებულიც კი არ აქვთ საკუთარი-მარცხის გამომწვევი მიზეზი ან სიბრაზესთან არასწორი დამოკიდებულების პრობლემა.

პასიურ-აგრესიული საქციელი არის სიბრაზის მართვის ყველაზე საშინელი გზა რამოდენიმე მიზეზის გამო: (1) მან შეიძლება ადვილად გაიდგას ფესვი ხასიათში, რაც მთელი ცხოვრების მანძილზე გაგრძელდება; (2) მან შეიძლება დაამახინჯოს პიროვნების ხასიათი და აქციოს უსიამოვნო პიროვნებად; (3) ის შეიძლება ჩაერიოს ყველა ადამიანის ურთიერთობებში; (4) ის არის ერთ-ერთი ყველაზე რთულად მოსაგვარებელი და გამოსასწორებელი ქცევა.

წერილი მშობლებს არიგებს გამოზარდონ ბავშვი და დააყენონ შესაფერის გზაზე. წერილის საწინააღმდეგო გზაზე დაყენება ბავშვის გულში სიბრაზის იძულებით ჩახშობა. ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვის ისე აღზრდა, რომ მან შეძლოს სიბრაზის მართვა. ეს ხდება არა სიბრაზის ჩახშობის, არამედ მისი გადაჭრის გზების სწავლებით.

ვასწავლოთ ჩვენს პატარებს და თინეიჯერებს სიბრაზისადმი სწორი დამოკიდებულება არის ის, რასაც მე მშობლის ყველაზე რთულ მოვალეობად მივიჩნევ. პირველი, იმიტომ არის რთული, რომ ბუნებრივად ვერ ვაკეთებთ. როგორც უკვე განვიხილეთ, ბავშვის სიბრაზისადმი ჩვენი ბუნებრივი რეაქცია არის ბავშვზე მეტად გაბრაზება და ჩვენი სიბრაზის მის თავზე გადმონთხევა. მეორე, შესაფერი გზით სიბრაზის მართვა არის რთული, რადგან ის ხანგრძლივი და მოსაბეზრებელი პროცესია. ჩვენი მიზანია და გვსურს, რომ ჩვენმა შვილებმა სიბრაზე ბუნებრივად და დამოუკიდებლად მართონ თექვსმეტი ჩვიდმეტი წლის ასაკში. ეს არის ნელი პროცესი, რადგან სიბრაზის მართვა ზრდასრულობის ნიშანია. მოუმნიფებელი მოზარდი თავს ვერ ართმევს ამ პროცესს; მომნიფებული ბავშვი კი კარგად ართმევს თავს გაბრაზებას. სიბრაზესთან პასიურ-აგრესიული დამოკიდებულება არის ყველაზე მოუმნიფებელი გზა. ყველაზე ზრდასრული გზის მაჩვენებელი კი სიტყვიერად და ნორმალურად საქმის მოგვარება იმ ადამიანთან ვისზეც ვართ გაბრაზებული, თუკი ეს შესაძლებელია.

არც ერთი ბავშვისაგან არ უნდა მოველოდეთ, რომ სიბრაზესთან სწორ დამოკიდებულებას სწრაფად ისწავლის. ბრძენი მშობელი აცნობიერებს, რომ ბავშვი ამ საკითხთან დამოკიდებულებას აუმჯობესებს ზრდის ერთი ეტაპიდან მეორეზე გადასვლისას. ვიდრე ბავშვი ექვსი-შვიდი წლის არ გახდება, ან შედარებით უფროსი, მისგან ვერ მოვითხოვთ ზრდასრული ადამიანისათვის შესაფერის დამოკიდებულებას. ამ დრომდე მშობლებმა ხელი უნდა შევეუშალოთ ბავშვში პასიურ-აგრესიული ხასიათის ფესვის გადგმას. როცა ბავშვს უკვე უნარი შესწავს-ასაკობრივ ზრდასთან ერთად, მაშინ შეიძლება ვასწავლოთ ბრაზისადმი უფროსისათვის შესაფერისი დამოკიდებულება. ეს საკითხი საგრძნობლად ფართო მასალას მოიცავს, ვიდრე მოკლე თავში მისი სრული განხილვაა შესაძლებელი. თუმცა, იგი დანვრილებით არის განხილული ნიგნში *მორჩილი და დაუმორჩილებელი ბავშვები*.

ეფესელთა 6:4 ამბობს, 'მამებო, ნუ გააღიზიანებთ შვილებს, არამედ აღზარდეთ ისინი უფლის მოძღვრებითა და დარიგებით.' შეისწავლე ეს ადგილი და დაკვირვებით წაიკითხე მომდევნო

თავი დისციპლინის შესახებ. გაფრთხილდი და დასჯის ხერხს ყველაზე ბოლოს მიმართე; თავი შეიკავე და შენს სიბრაზეს ბავშვზე ნუ გადმონათხევ. მშობლებო, ყველა ღონე იხმარეთ, რომ სასიამოვნო დამოკიდებულება გქონდეთ შვილებთან და იყავით შესაფერისად მტკიცენი. თუ არსებობს ქრისტიანული მშობლის ორი სიტყვით გამოხატვის გზა, ეს იქნება: *სასიამოვნო და მტკიცე*.

სასიამოვნო მოიცავს სიყვარულით სავსე სიკეთეს, ოპტიმიზმს, და ბავშვის დაცვას შიშისაგან, განსაკუთრებით საკუთარი სიბრაზისაგან. *მტკიცე* გულისხმობს მომავლის თანმიმდევრულ მოლოდინს. ის ითვალისწინებს ბავშვის ასაკს, უნარსა და სიმწიფის დონეს.

შემდეგ, როცა თქვენი შვილი მიაღწევს ყმანვილობის ასაკს, ნაიკითხეთ როგორ უნდა გიყვარდეთ ნამდვილად თქვენი თინეიჯერები, 6 და 7 თავები, რომლებიც სამომავლო დახმარებას გაგიწევენ ასაკთან შესაბამისად. განიხილება, როგორ მოვამზადოთ ბავშვი სიბრაზესთან გასამკლავებლად სიმწიფის ასაკში, განსაკუთრებით თექვსმეტი-ჩვიდმეტი წლის ასაკისათვის. ამ ასაკამდე ნებისმიერი პასიურ-აგრესიული გამოვლენები კი შეიძლება დროებითი იყოს.

დიახ, ასწავლო ბავშვს თუ როგორ მართოს სიბრაზე რთული საქმეა, მაგრამ დღეს მშობლისათვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვალეობაა. როგორც მშობლებმა, სერიოზული დამოკიდებულება უნდა ვიქონიოთ ამ საკითხთან და ფრთხილად ვიყოთ, ვიცით თუ არა დანამდვილებით რას ვაკეთებთ. წინ ჯერ კიდევ ბევრი გველის!

9

დისციპლინა: რა არის ეს?

ხანდახან, როცა ეკლესიებში ან სამოქალაქო დაწესებულებებში ვატარებ ლექციებს ბავშვის აღზრდის შესახებ, სამ ან ოთხ საათს ვსაუბრობ საკითხზე, თუ როგორ უნდა გვიყვარდეს ნამდვილად შვილი, ვიდრე დისციპლინის საკითხზე გადავალ. ორი-სამი საათის შემდეგ, აუცილებლად მოვა მშობელი და მეტყვის, 'ძალიან მომწონს თქვენი ლექცია, მაგრამ როდის გადავალთ დისციპლინის საკითხზე? ეს არის ის მომენტი, სადაც პრობლემა მაქვს და პასუხი მჭირდება.'

ამ მშობელმა ვერ გაიგო (1) სიყვარულსა და დისციპლინას შორის ურთიერთობა და (2) დისციპლინის მნიშვნელობა. თავის გონებაში, მან დისციპლინა სიყვარულს ჩამოაშორა, როგორც ორი ცალკეული მოვლენა. ამის შემდეგ გასაკვირი არ არის რატომ არიან ეს მშობლები გაუგებრობაში და რატომ აქვთ პრობლემები ბავშვის აღზრდაში.

მშობლები, რომელთაც ნათელი წარმოდგენა არა აქვთ ამ საკითხზე, ფიქრობენ, რომ დისციპლინა არის დასჯა (გაროზგვის ან მკაცრად დასჯის სხვა ხერხები).

ორივე ეს წარმოდგენა მცდარია. ხაზს ვუსვამ იმ მშობლებთანაც და თქვენთანაც, ძვირფასო მშობლებო, რომ სიყვარულისა და დისციპლინის ერთმანეთისაგან გამოყოფა

შეუძლებელია, და დასჯა არის დისციპლინის უმნიშვნელო ნაწილი.

პირველი, რაც მშობლებმა უნდა გაიგონ იმისათვის, რომ კარგად დისციპლინირებული შვილი გვყავდეს არის ის, რომ მივცეთ ბავშვს სიყვარულის განცდა, რაც პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია კარგი დისციპლინისა. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს ყველაფერს, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია.

რაც აქამდე წაიკითხეთ, დისციპლინის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია, დისციპლინისას საუკეთესო შედეგების მოლოდინის მიზნით იგი პრაქტიკაში უნდა განვახორციელოთ. შეიძლება რომ იგრძნოს, რომ საყვარელია, ხშირად უნდა გამოვხატოთ შესაფერისი თვალთ კონტაქტი, ფიზიკური კონტაქტი და ფოკუსირებული ყურადღება. თუ რამე კარგად ვერ გაიგეთ ნუ გააგრძელებთ წიგნის კითხვას, არამედ უკან დაბრუნდით და ხელახლა წაიკითხეთ წინამდებარე თავები. შედეგები იმედს გაგიცრუებენ. ყოფაქცევის ტექნიკის კონტროლი უპირობო სიყვარულის ფუნდამენტის გარეშე ბარბაროსული და წერილის საწინააღმდეგოა. შეიძლება თქვენი ბავშვი კარგად იქცეოდეს ვიდრე თინეიჯერია, მაგრამ გრძელვადიანი პერსპექტივის ფონზე შედეგი სახარბიელო ვერ იქნება. მხოლოდ ჯანსაღი სიყვარულის კავშირი გრძელდება ცხოვრების სირთულეებისას.

რა არის დისციპლინა?

რა არის დისციპლინა? როგორია თქვენი განსაზღვრება? ბავშვის აღზრდის საქმეში დისციპლინა არის ბავშვის გონებისა და ხასიათის წვრთნა, მისცე მას საშუალება შეძლოს საკუთარი თავის კონტროლი, და იყოს საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი. რა ასპექტს მოიცავს იგი? დისციპლინა მოიცავს ყველა სახის კომუნიკაციას. უწინამძღოლო საკუთარი მაგალითით, იყო ნიმუში, სიტყვიერი ინსტრუქციებით, წერილობითი თხოვნებით, სწავლებითა და მხიარული შეხვედრებით. სია საკმაოდ გრძელია.

დიახ, დასჯაც ამ გრძელი სიის ნაწილია, მაგრამ ის დისციპლინის მრავალი ფორმიდან ერთ-ერთია და ყველაზე ნეგატიური და პრიმიტიული. სამწუხაროდ, ხანდახან უნდა მივმართოთ ამ ხერხის გამოყენებას და მოგვიანებით ვისაუბრებთ მისი სარგებლობის შესახებ. ახლა კიდევ ერთხელ გავამახვილოთ ყურადღება იმაზე, რომ სწორი აზროვნებისა და მოქმედებისაკენ სვლა აღემატება არასწორი საქციელის გამო დასჯას.

იფიქრეთ, რა კავშირი აქვს დისციპლინასა და უპირობო სიყვარულს. დისციპლინა წარმოუდგენლად ადვილია, როცა ბავშვი ნამდვილ სიყვარულს გრძნობს. იმიტომ, რომ მას მშობელთან გაიგივება სურს, და ამის გაკეთება მხოლოდ მაშინ შეუძლია, თუ იცის რომ ნამდვილად უყვართ და აღიარებენ. ამის შემდეგ მას შეუძლია მიიღოს მშობლის წინამძღობა მტრობისა და დაბრკოლებების გარეშე.

თუ ბავშვი ვერ გრძნობს ნამდვილ სიყვარულს და აღიარებას, მაშინ მშობლების ფასეულობების აღიარების სირთულეს განიცდის. მშობლებთან ძლიერი, ჯანსაღი სიყვარულის დამოკიდებულების გარეშე, ბავშვი მშობლების ხელმძღვანელობას პასუხობს სიბრაზით, მტრობით და ურყოფით. ის მშობლების ყოველ თხოვნას (ან ბრძანებას) საპირისპიროდ წარმოიდგენს და სწავლობს მისადმი წინააღმდეგობას. უარეს შემთხვევებში ბავშვი მშობლების ყველა ავტორიტეტულ თხოვნაზე ზუსტად იმ მოთხოვნის საწინააღმდეგოდ რეაგირებს, რის გაკეთებასაც მისგან მოელოდნენ. ამ ტიპის ემოციური არეულობა საგანგაშო სისწრაფით ვრცელდება ჩვენს ქვეყანაში, და ქრისტიანული ოჯახის შვილები ამ საკითხში გამოწვევის არ წარმოადგენენ.

აღბათ უკვე გააცნობიერეთ რამდენად მნიშვნელოვანია უპირობო სიყვარულის როლი კარგად დისციპლინირების (სწავლების) საკითხში. რაც უფრო მეტად დაიცავთ ბავშვის ემოციურ ავზს სავსედ, უფრო პოზიტიურად უპასუხებს დისციპლინას (წვრთნას). რაც უფრო ნაკლებად იქნება მისი ემოციური ავზი სავსე, მით უფრო ნაკლებად უპასუხებს დისციპლინას (ტრეინინგს).

უპირობო სიყვარულის ერთ-ერთი ასპექტი, რომელიც აქამდე არ გვიხსენებია, არის აქტიური (ფოკუსირებული) მოსმენა. ფოკუსირებული მოსმენა არის ისეთი მოსმენა, როცა გესმის რისი თქმა სურს ბავშვს შენთვის. როცა ბავშვმა იცის, რომ შენ გაიგე რას განიცდის ის და რა სურს მას, უფრო მეტი სურვილი აქვს უპასუხოს დისციპლინას პოზიტიურად, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეწინააღმდეგები. არაფერი ისე არ აღიზიანებს ბავშვს, როგორც მშობლებისაგან ბრძანების მიღება, როცა დარწმუნებულია რომ მისი არ ესმით. ეს არ გულისხმობს თქვენი შვილის მოთხოვნებისა და კაპრიზების დაკმაყოფილებას, ეს უბრალოდ გულისხმობს თქვენი შვილის მოსმენას, რათა არ გრძნობდეს, რომ უარყავით მისი აზრები და გრძნობები თქვენი ავტორიტეტის გამოყენებით. ეს არაგონივრულია? თუ ასე ფიქრობთ, მაშინ თქვენს შვილს მიიჩნევთ როგორც ძვირფას და დამოუკიდებელ ადამიანს.

იფიქრეთ ამის შესახებ. როცა თქვენი შვილი გრძნობს, რომ მხედველობაში მიიღეთ მისი პოზიცია და გრძნობები, შეძელით სიბრაზისა და წინააღმდეგობის დაძლევა, (რაც მოგვიანებით ისევე ხშირად შეგახსენებთ თავს) განა უკეთესი ურთიერთობა არ წარიმართება თქვენს შორის. განა თქვენი ზეციერი მამა ამაზე მეტს არ აკეთებს თქვენთვის? ქრისტემ თქვა, 'ითხოვეთ და მოგეცემათ. ეძებთ და იპოვით. დარეკეთ და გაგელებათ. ვინაიდან ყველა, ვინც ითხოვს, ღებულობს, ვინც ეძებს პოულობს და ვინც აკაკუნებს გაეღება, არის კი თქვენს შორის ისეთი კაცი, საკუთარმა შვილმა პური სთხოვოს, მან კი ქვა მისცეს? ანდა თევზი სთხოვოს და გველი მიანოდოს? ჰოდა, თუ თქვენ, ბოროტებმა, იცით კეთილ მისაცემელთა მიცემა თქვენი შვილებისათვის, მეტადრე თქვენი ზეციერი მამა მისცემს სიკეთეს იმას, ვინც სთხოვს (მათე 7:7-11).

ბავშვისათვის ფოკუსირებული მოსმენა მოითხოვს სულ მცირე თვალთ კონტაქტს, ფიზიკური კონტაქტითა და ფოკუსირებული ყურადღებით, თუკი ეს შესაძლებელი და შესაფერისია. ამის გაცნობიერება (მაშინაც კი როცა ეწინააღმდეგები) როგორც წესი დიდი დახმარებაა. ბავშვის ფიქრებისა და გრძნობების გამომხატველი სიტყვების შენს მიერ გამოთქმა არწმუნებს მას, რომ გესმის მისი. შვილის

აზრებმა და გრძნობებმა შეიძლება საქმესთან დაკავშირებით შენი წარმოდგენა და რეაქცია შეცვალოს.

მასხოვს ჩვენი თექვესმეტი წლის ქალიშვილ ქერისთან ერთი შემთხვევა. მე და ფეთმა მას სკოლის საღამოზე თავის სამ მეგობართან ერთად ჭიდაობის მატჩზე წასვლის უფლება მივეცით. ვუთხარით, რომ მატჩის დამთავრებისთანავე უნდა წამოსულიყო სახლში. მატჩი 10 საათზე მთავრდებოდა. სახლამდე მოსვლას კი ოცდაათი-ორმოცდახუთი წუთი სჭირდებოდა. თერთმეტ საათზე ნერვიულობა დამეწყო; 11:15 ერთ-ერთი ბიჭის მშობელს დავურეკე. მითხრეს, რომ ჯგუფი მოცურების სანინალმდეგო საბურავიანი მანქანისათვის გაჩერებულა (ცუდი ამინდი დანყებულა) და მშობლებს წასახემსებლად დაუპატიჟებიათ ბავშვები. ამის გამო სახლიდან 11:10 წუთზე გამოსულან. ქერი 11:40 წუთზე დაბრუნდა სახლში.

გაბრაზებული ვიყავი. პასუხისმგებლობის შესახებ ლექცია ნავუკითხე, საძინებელში გავუშვი, და ერთი კვირა სახლიდან გაუსვლელია მივუსაჯე. რატომ გამოვიტანე ასეთი გადაწყვეტილება ქერის მოსმენის გარეშე? საკუთარ თავზე უფრო ვფიქრობდი ვიდრე რეალურ მდგომარეობაზე. იმ ღამით კარგად ვერ ვგრძნობდი თავს და ადრე მინდოდა დაძინება. მეორე დღე დატვირთული დღე მქონდა. შემდეგ, ქერი მოსალოდნელზე გვიან მოვიდა, და არ დაურეკია, რომ გვიან მოვიდოდა. ვგრძნობდი, რომ დაუდევრად მოეკიდა სიტუაციას.

ბრძენი ქალიშვილი მყავს. მეორე დღემდე მოიცადა, როცა გამოვიდოდი მდგომარეობიდან და ვითარებას ამიხსნიდა. მან ისიც იცოდა, რომ უკეთესად შემიძლია მოსმენა, როცა გაბრაზებული არა ვარ. როგორც აღმოჩნდა ბავშვებს გრძელი, მაგრამ უსაფრთხო გზა აურჩევიათ სახლში დასაბრუნებლად. ყინვისა და თოვლის გამო გზა მოყინული იყო. ის სიმართლეს ამბობდა; შევამონმე. დარეკვარ შეეძლო დამაზე გვიან მოვიდა ვიდრე მოველოდით. ბოდიში მოვუხადეთ გადაჭარბებული რეაქციისათვის და სასჯელიც მოვუხსენი.

ამ გამოცდილებიდან ორი რამის სწავლა შეგვიძლია. პირველი, ბავშვის საუბრისას მისი მოსმენის აუცილებლობაა. რეაქციამდე რომ მომესმინა საკუთარ თავსაც დავიცავდი

იმედგაცრუებისაგან და ჩემს ქალიშვილსაც ტკივილისა და მასში სავარაუდო წინააღმდეგობის განცდის აღძვრისაგან.

მეორე გაკვეთილი ასეთ შემთხვევაში ჩვენი ემოციის კონტროლის მნიშვნელობაა. დარწმუნებული ვარ, რომ დედის ან მამის საშინელი მტერი შვილების აღზრდაში არის გაუკონტროლებელი გრძნობები, განსაკუთრებით სიბრაზე. როგორც ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, ამან შეიძლება მშობელს ისეთი რამ ათქმევინოს ან გააკეთებინოს, რასაც მოგვიანებით ინანებს. გადაჭარბებული სიბრაზე, განსაკუთრებით გაუკონტროლებელი სიბრაზე, სამუდამოდ დააშინებს ბავშვს. შეიძლება დაეხმაროს ბავშვს საქციელის გამოსწორებაში, მაგრამ მხოლოდ დროებით. რაც უფრო იზრდება ბავშვი, მშობლის სიბრაზეც იზრდება (ფეთქებადი ტემპერამენტი) და ბავშვში მშობლისადმი უპატივცემულობას, სიბრაზის გაღვივებასა და თანდათანობით ურყოფის განცდას გამოიწვევს. თუ დაფიქრდები ამის შესახებ მიხვდები, რომ უკონტროლო გრძნობები ნებისმიერ ადამიანში აღძრავს უპატივცემულობას. და რატომ უნდა მოველოდეთ ჩვენი შვილისა ან მეუღლისაგან განსხვავებულ ქმედებას?

კარგად ვიცი, რომ ყველანი ვკარგავთ მოთმინებას ხანდახან. ერთი რამ უნდა გვახსოვდეს, რომ როცა ყველაფერი ჩაივლის არ უნდა შეგვეშინდეს ბოდიშის მოხდის. ცუდიდან რაღაც კარგის გაკეთებაც შესაძლებელია. გასაოცარია, რამდენად სასიამოვნო შეიძლება იყოს ის ურთიერთობა, რომელიც გაგრძელდება იმ შემთხვევაში, როცა ოჯახის წევრი საკმაოდ მონიფულია იმისათვის, რომ ბოდიში მოიხადოს. შეიძლება არ დაიჯეროთ, რომ ასეთი სიტუაციის შემდეგ აღმოცენებული სითბო და სიახლოვე დაუფინყარია ბავშვის (ან მშობლის) ცხოვრებაში.

გადაჭარბებული ემოციური რეაქცია, შეიძლება შეწყნარებული იქნეს მხოლოდ გარკვეულ დონემდე, განსაკუთრებით მაშინ თუ ბოდიშს არცერთი მხარე არ იხდის. ასეთი ემოციური გამოხტომები მინიმუმადე უნდა დავიყვანოთ. როგორ აგვარებთ ამ საკითხს?

გაკონტროლეთ გაბრაზება

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ სიბრაზის გაკონტროლება განსაკუთრებით რთულია გარკვეულ პირობებში. მაშინ: (1) როცა ადამიანი დებრესიაშია; (2) როცა პიროვნება შიშის ქვეშ იმყოფება; (3) როცა პიროვნება ფიზიკურად კარგად ვერ არის; (4) როცა პიროვნება ფიზიკურად და მენტალურად გადაღლილია; და (5) როცა პიროვნების სულიერი ცხოვრება ჯანსაღი არ არის.

ყოველ პრობლემაზე შეიძლება ერთი წიგნის დანერა. მაგრამ ახლა ამ საკითხების მოკლედ მიმოხილვა საკმარისი იქნება იმისათვის, რომ ყველა მშობელმა საკუთარი თავი დაინახოს მენტალურად, ემოციურად, ფიზიკურად და სულიერად. არაჯანსაღმა მდგომარეობამ ამ სფეროებში შეიძლება ხელი შეუშალოს არა მარტო მშობელსა და შვილს შორის ურთიერთობას, არამედ ქორწინებასა და ნებისმიერი სხვა სახის ურთიერთობას, ძირითადად სიბრაზის კონტროლის უუნარობის გამო. მოკლედ რომ ვთქვათ, გაუკონტროლებელი სიბრაზე ზარალის მომტანია კარგი დისციპლინისათვის.

დისციპლინა და წვრთნა

ვიმედოვნებ აცნობიერებთ, რომ ჯერ კიდევ ბევრი გაქვთ გასაკეთებელი ვიდრე დისციპლინის შედეგად სასურველ პასუხს მიიღებდეთ თქვენი შვილისაგან. ყველას შეუძლია ბავშვის ჯოხით ცემა მისი საქციელის კონტროლის მიზნით. ამას არ სჭირდება არანაირი მგრძნობელობა, არანაირი გასამართლება, არანაირი გაგება, და ნიჭი. დასჯაზე, როგორც დისციპლინის პრინციპულ მეთოდზე დამოკიდებულება არის მნიშვნელოვანი შეცდომა, რადგან ფიქრობთ, რომ დისციპლინა და დასჯა ერთია. დისციპლინა არის ასწავლო ბავშვს სწორი გზით სიარული. დასჯა მხოლოდ ამის ერთი ნაწილია, და რაც უფრო ნაკლებად მიმართავთ ამ ხერხს უფრო უკეთესი. გთხოვთ დაიმახსოვროთ შემდეგი მოსაზრება: რაც უფრო კარგად არის ბავშვი დისციპლინირებული, უფრო ნაკლებად მოითხოვს დასჯას. რამდენად კარგად პასუხობს ბავშვი

დისციპლინაზე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად საყვარელად და მიღებულად გრძნობს თავს მშობლებისაგან. ასე რომ, ჩვენი ყველაზე დიდი ამოცანაა ვაგრძნობინოთ ბავშვს თავი მიღებულად და საყვარელად.

მრავალი მიზეზის გამო ებმება მშობლების უმეტესობა დასჯის მახეში. საკითხავია საიდან ფლობენ ისინი არასწორ აზრს იმის შესახებ, რომ დისციპლინაში (ბავშვის წვრთნაში) მათი ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა არის ბავშვის ცემა (დასჯა).

მშობლების ამ მახეში გაბმის ერთ-ერთი მიზეზი არის უამრავი წიგნი, სტატია, ინსტიტუტები, რადიო პროგრამები და მსახურებები, რომლებიც მხარს უჭერენ საზოგადოდ დასჯას და გვერდს უვლიან ბავშვის უპირობო სიყვარულის საჭიროებას. იშვიათად ემხრობიან ბავშვს და მის მოთხოვნილებას. უამრავი ადამიანი ემხრობა დღეს ბავშვების დასჯის დოგმატურ წესებს, რასაც დისციპლინას უწოდებენ და რეკომენდაციას უწევენ უმკაცრეს, ადამიანებთან მოპყრობის ყველაზე სასტიკ ფორმებს. ბავშვის ცემის გამართლების მიზნით მათ მაგალითად მოჰყავთ იგავების სამი ადგილი (13:24; 23:13; 29:15). და აღარ ახსოვთ ასობით მუხლი, რომლებიც ლაპარაკობენ სიყვარულით, თანადგომით, მგრძობელობით, გაგებით, მიტევებით, აღმზრდელობით, ხელმძღვანელობით, სიკეთით, სინაზით და გაცემით ურთიერთობების წარმართვის შესახებ, თითქოს ბავშვს ამ გრძნობების გამოხატვის უფლება არა აქვს.

საყოველთაო დასჯის მომხრეებს ავიწყდებათ, რომ სახარებაში მწყემსის ჯოხი ყოველთვის გამოყენებული იყო ცხვრის სანინამძღოლოდ და არა საცემად. მწყემსები დაჟინებით ადევნებდნენ თვალ-ყურს ცხვარს, განსაკუთრებით კრავებს, უბრალოდ ჯოხით არასასურველ გზას უღობავდნენ და თავაზიანად უბიძგებდნენ სწორი გზისაკენ. თუ ჯოხი პრინციპულად არის გამოყენებული, როგორც საცემი საშუალება, მაშინ რთული იქნებოდა ჩემთვის 22,4 ფსალმუნის გაგება, მანუგეშებენ შენი კვერთხი და შენი საყრდენი.

არ შემინიშნავს, რომ ამ აზრის მომხრეებს აელნიშნოთ, რომ ცემა შეიძლება საზიანო იყოს ბავშვისათვის. ამ ლექციებისა თუ

ნაკითხულის შედეგად მრავალი მშობელი მისულა დასკვნამე, რომ ფიზიკური დასჯა არის პირველი, ან უმეტეს შემთხვევაში ერთადერთი გზა ბავშვთან ურთიერთობაში.

ასეთი დამოკიდებულების შედეგი

ასეთი დამოკიდებულების შედეგი ხშირად მინახავს. პასიურ, წუნუნა, უენო, მხდალ და ახალგაზრდულ ასაკში ადვილად კონტროლირებად ბავშვებს აკლდათ ძლიერი, ჯანსაღი მოსიყვარულე დამოკიდებულება მშობლებისაგან და თანდათან გახდნენ უტიფარი, წინააღმდეგობით სავსე, რთულად გასაკონტროლებელი, ეგოისტები; რომელთაც არ უყვართ გაცემა, არ მოსწონთ ადამიანები, არიან უგრძობნი, არათანამდგომნი, ძალაუფლების მოწინააღმდეგენი და არა კეთილნი.

მე ვფიქრობ სახარება კარგ დახმარებას გვინევს ასეთ შემთხვევაში. პავლე მოციქული ინსტრუქციას გვაძლევს, 'მამებო, ნუ გააღიზიანებთ თქვენს შვილებს; არამედ აღზარდეთ ისინი უფლის მოძღვრებითა და დარიგებით' (ეფეს. 6:4). რა დაემართათ ამ ბავშვებს? დიახ, ისინი გაღიზიანებულნი იყვნენ მექანიკურად, მკაცრი დისციპლინით (ფიზიკური დასჯით) უპირობო სიყვარულის საფუძვლის გარეშე. მომწონს ბიბლიის სხვა თარგმანის ამ ადგილის პერიფრაზირება: 'ახლა კი თქვენ მამებო. ნუ ლანძღავთ და ნუ სდებთ შარს თქვენს შვილებს, ნუ გააბრაზებთ და გააღიზიანებთ მათ. არამედ, აღზარდეთ ღვთისთვის მოსაწონი მოსიყვარულე დისციპლინით, რჩევითა და ღვთიური დარიგებებით.'

შენიშნეთ თუ არა, რომ ერთი შეცდომის გამო დაისაჯა ახალგაზრდა? დიახ, ის ადვილად გასაკონტროლებელია. ამ მიზეზის გამო ებმება მახეში უამრავი მშობელი. როცა ბავშვი პატარაა, მისი მცდარი საქციელი როგორც წესი ადვილად შეიძლება დასჯილ იქნეს ფიზიკური ცემით. რა თქმა უნდა იმ შემთხვევაში თუ გჯერათ, რომ კარგ საქციელად ითვლება უსიტყვო მორჩილება, არასპონტანურობა, თვითდაჯერებულობის ნაკლებობა და გაღიზიანების დაფარვა.

შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ ბევრი ბავშვი მინახავს ფიზიკურად დასჯის მეთოდით აღზრდილი, თუმცა კონტროლს მაინც არ ექვემდებარებოდნენ. ამ სანყალ ბავშვებს სცემდნენ, მაგრამ ცემას შედეგი არ ჰქონდა და არც ტიროდნენ. რა თქმა უნდა, ჩემთან მოსვლამდე მშობლები ყოველ ღონეს ხმარობდნენ და ყველას რჩევას ითვალისწინებდნენ, უფრო მკაცრი ზომები გაეტარებინათ თუ რა ექნათ... ყოველი მათგანი განიცდიდა მშობელსა და შვილს შორის საჭირო სიყვარულის არსებობის ნაკლებობას. ეს ბავშვები უბრალოდ ვერ გრძნობდნენ ნამდვილ სიყვარულსა და მშობლებისაგან მიღებას. ასეთ ადრეულ ასაკში შეიძლება ადვილად განვითარდეს უარყოფა და უტიფრობა უპირობო სიყვარულის ნაკლებობის გამო ისე, რომ ფიზიკური დასჯაც კი ვერ ასუსტებს მათ საპასუხო რეაქციას.

დაყენეთ ცხენი მარხილის წინ

ძვირფასო მშობლებო, პირველ რიგში უპირობო სიყვარული დანერგეთ და *მერე* დისციპლინა. ცხენის მარხილის წინ დაყენების მეთოდის გამოყენება გამოიწვევს მშობლებსა და ბავშვს შორის პოზიტიურ ურთიერთობას და ისეთი *ნეგატიური* გამოვლინების მინიმუმამდე დაყვანას, როგორცაა ცემა. ყურადღება გაამახვილეთ იმაზე, რომ არ მითქვამს უპირობო სიყვარული გააუქმებს ფიზიკური დასჯის საჭიროებას მეთქი. როგორ მინდა რომ ასე იყოს, მაგრამ შეუძლებელია. რაც უფრო მეტად ვლინდება ნამდვილი და უპირობო სიყვარული შვილებისადმი, მით უფრო პოზიტიურია ურთიერთობა და ფიზიკური დასჯის საჭიროება მცირდება. მაგრამ დასჯა ხანდახან საჭიროა, ასეთ შემთხვევებს მოგვიანებით განვიხილავთ.

მოკლედ რომ ვთქვათ, იმისათვის რომ ბავშვმა კარგად უპასუხოს დისციპლინას (წვრთნას), მშობელმა უნდა მისცეს მას ის, რაც სჭირდება. ბავშვმა შეიძლება კარგად ისწავლოს (გაიწვრთნას) მხოლოდ მაშინ, როცა ის ბედნიერია, თავს უსაფრთხოდ გრძნობს, კმაყოფილია, თავდაჯერებული, მიღებული და საყვარელი. ბავშვისაგან მოველოდეთ იმას, რაც ჩვენ გვსურს (დისციპლინა) და არ მივცეთ ის, რაც მას უნდა,

უკვე საკმარისი სისასტიკეა. და მერე ჩვენი მოლოდინის არ დაკმაყოფილების გამო ცემა? ჩვენს საყვარელ ცხოველებს ამაზე უკეთ ვეპყრობით.

დაფიქრდით ამაზე: მოზარდი ბავშვების ფეხბურთის აგრესიულმა მწვრთნელმა, ერთხელ ჩათვალა, რომ ჩემმა ცამეტი წლის გოგონამ კაფეტერიაში ნესრიგი დაარღვია და ჯოხით ცემით დაემუქრა. სკოლის ოფიციალურ პირს დავურეკე და ვკითხე, თუ აძლევდა სასკოლო სისტემა მასწავლებელს ბავშვების ცემის უფლებას (განსაკუთრებით მამაკაცის მიერ თინეიჯერი გოგონას ცემის უფლებას, რასაც სექსუალური გამოვლენის ნიშნები ახლავს). მან მიპასუხა – დიახ. როცა ვკითხე თავისი ძალი თუ უცემია, – არაო მიპასუხა. ამის შემდეგ გვიკვირს რატომ არიან ბავშვები უფრო და უფრო უპატივცემულოები ავტორიტეტული პირების მიმართ. შეგიძლიათ გამოიცნოთ?

ფიზიკური სასჯელის მახე

ცუდი ყოფაქცევისას ფიზიკურად დასჯის გამოყენების ერთ-ერთი სამიშროება ის არის, რომ იგი გადამწყვეტ როლს თამაშობს დანაშაულის შემსუბუქებაში. ფიზიკური დასჯა ამცირებს ბავშვს. შედეგად ბავშვმა შეიძლება იფიქროს, რომ დასჯა უკვე თავისთავად საკმარისია. თუ ფიზიკურ დასჯას ხშირი და სასტიკი ფორმით ვიყენებთ, მაშინ ვერ შევძლებთ ბავშვში დანაშაულის განცდის გამოწვევას და მასში სინდისის გამოღვიძლებას. უპირობო სიყვარულის ფუნდამენტის გარეშე, საჭირო განვითარების ფაზა, განსაკუთრებით მშობლისათვის მინიჭებული იდენტიფიკაციის აღქმა მარცხს განიცდის და უფრო მეტად დაასვამს დაღს ჯანსაღი სინდისის განვითარებას.

ბევრი ივინყებს დანაშაულის განცდის პოზიტიურ მნიშვნელობას და ფიქრობს, რომ იგი არასასურველი გრძნობაა. დანაშაულის გადაჭარბებული გრძნობა ზიანის მომტანია, მაგრამ ნორმალური დოზით მისი განცდა მნიშვნელოვანია ნორმალური სინდისის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. ნორმალური, ჯანსაღი სინდისი ბავშვის საქციელს ნორმალურ ჩარჩოში სვამს და იგი შიშის კონტროლზე ბევრად უმჯობესია.

როგორ ფიქრობთ, რა უნყოფს ხელს ბედნიერ, მონესრიგებულ თინეიჯერს საკუთარი ჩვევების კონტროლში? დიახ-მისი სინდისი. თუ გსურთ, რომ თქვენმა შვილმა ნორმალური რეაქცია განავითაროს სინდისისადმი, რაც მას საკუთარი თავის კონტროლის უნარს მისცემს, მაშინ თავი შეიკავე მასთან დასჯითი ურთიერთობის ჩამოყალიბებაზე-მისი საქციელის ცემითა და ლანძღვით, განსაკუთრებით ცემის მეშვეობით გაკონტროლებაზე.

ფიზიკური დასჯის კიდევ ერთ ტრაგიკულ შედეგს უნოდებენ აგრესორის მსგავსებას. რაც დანაშაულის შეგრძნებისაგან გაქცევის მექანიზმია. ბავშვი გადადის დამსჯელი მშობლის მხარეს, და მიდის იმ ეტაპამდე როცა სჯერა, რომ აგრესიულობა და დამსჯელი ხასიათი სწორია. შემდეგ, რა თქმა უნდა ეს ბავშვი იზრდება და თავის მშობლებს ისევე ეპყრობა, როგორც ისინი ეპყრობოდნენ მას. იმის გამო, რომ მოძალადე მშობლებს ცუდად ეპყრობოდნენ საკუთარი მშობლები; ფიზიკური დასჯის ბავშვთან მიდგომის მთავარ ფორმად გამოყენება (ან ამდაგვარი მიდგომა) გადაეცემა თაობიდან თაობას. რაც უკვე საკმარისად ცუდია. მასობრივი ინფორმაციის ყველა ფორმის მეშვეობით საშიში ძალადობის გამოჩენის (განსაკუთრებით ტელევიზიით) შემდეგ, გასაკვირი აღარ არის ბავშვზე ძალადობა და არც სხვა ნებისმიერი სახის ძალადობა, რაც სამარცხვინოა ჩვენი საზოგადოებისათვის. სანამ მშობლები ყურადღებას არ მიაქცევენ ბავშვების საჭიროებების აღიარებას, სახელდობრ, უპირობო სიყვარულსა და სიყვარულით გაჯერებულ დისციპლინას, მდგომარეობა გაუარესდება. ჩვენ უნდა აღვსდგეთ იმ შეხედულების წინააღმდეგ, რომელიც მოითხოვს, რომ ბავშვის ცემა (დისციპლინით გაურკვეველი დასჯა) უნდა იყოს მასთან დამოკიდებულების მთავარი გზა. იცით თუ არა რომ, ამ შეხედულების გამზიარებელთა უმრავლესობას შვილები არა ჰყავთ? ვიდრე ბავშვს არ მივცემთ იმას, რაც მას სჭირდება, მანამდე ის (და ჩვენც) დავიტანჯებით.

ძვირფასო მშობლებო, დააკვირდით ნებისმიერ სტატისტიკას ბავშვებისა და ყმანვილების შესახებ ჩვენს ერში – აკადემიურ მოსწრებას, დამოკიდებულებებს, ხელისუფლებისადმი პატივისცემას, ემოციურ განონასწორებულობას, მოტივაციას,

ნარკოტიკებს, დანაშაულს, და ასე შემდეგ. სიტუაცია საშინელია. მე ვაცხადებ, ბავშვებთან მიმართებაში ჩვენი ეროვნული პრობლემა გამონვეულია იმით, რომ ისინი ვერ გრძნობენ, რომ ნამდვილად უყვართ, მიღებულები არიან და მათზე ზრუნავენ. მშობლებისათვის რთულია დისციპლინის ხმამალალი დამცველების (განსაკუთრებით დასჯის მომხრეების) მოთხოვნილებების შესრულება და გაურკვევლობაში არიან.

ყოფაქცევის ჩამოყალიბების ტექნიკაზე დაფუძნებული პროგრამების გამოყენება, როგორც ბავშვთან ურთიერთობის მთავარი გზა შეცდომაა. ისევე როგორც დასჯას, ამ პროგრამებსაც აქვთ ბავშვის აღზრდის საქმეში თავისი ადგილი და შეიძლება ძალიან სასარგებლოცაა, მაგრამ არა როგორც ბავშვთან ურთიერთობის პრინციპული გზა. ზოგიერთი პროგრამა ძალიან კარგია, მაგრამ როგორც წესი ის გამოიყენება უპირობო სიყვარულის ადგილზე და სიყვარულით აღვსილი დისციპლინის (სწავლების) ნაცვლად. ეს შეცდომაა. ეს ტექნიკა შეიძლება ზოგიერთ შემთხვევაში სასარგებლოა (რომლის შესახებაც მოგვიანებით ვისაუბრებთ), მაგრამ მშობლები პირველ რიგში უნდა დავრწმუნდეთ, რომ ბავშვის ემოციური ავზი სავსეა, ვიდრე დასჯის მეთოდებსა და განსაკუთრებულ ტექნიკას მივმართავთ. უმეტეს შემთხვევაში, თუ ბავშვი საკმარის უპირობო სიყვარულსა და მოსიყვარულე დისციპლინას მიიღებს, მშობლებს იშვიათად დასჭირდებათ დასჯისა და სპეციალური პროგრამების გამოყენება. დიახ, დასჯა და პროგრამების გამოყენება ხანდახან საჭიროა, საკმაოდ შედეგიანი, და ხშირად კარგიც, მაგრამ მოდი სიმართლეს თვალი გავუხსნოროთ; ეს არ არის საუკეთესო შემთხვევა-შესაფერისი სიყვარული და წინამძღოლობის ნიმუში.

ჩვენ გვსურს ყველაზე პოზიტიური, სასიამოვნო, მოსიყვარულე დამოკიდებულების წარმართვა ბავშვებთან. ამავდროულად, ჩვენ გვსურს ბავშვში განვითარდეს საკუთარი თავის კონტროლის უნარი და შესაბამისი ქმედება იმ დონემდე, რომ გაუჩნდეს განვითარების სურვილი ასაკის გათვალისწინებით. იმისათვის, რომ ამ ორი უმნიშვნელოვანესი

მოვლენის განხორციელების მხილველნი გავხდეთ, მშობლებმა ორი რამ უნდა მისცენ შვილებს. პირველი, უპირობო სიყვარული და თანაც შესაფერისი. მეორე, მოსიყვარულე დისციპლინარაც ნიშნავს ბავშვების პოზიტიურად აღზრდას. გამოიყენეთ სწავლების ყველანაირი გზა, ისე, რომ ბავშვში თვითშეფასების უნარი განვითარდეს და არ დამცირდეს მისი შინაგანი არსება. კარგი ყოფაქცევის შედეგის მისაღწევად პოზიტიური წინამძღოლობა უკეთესია ვიდრე ცუდი საქციელისათვის ნეგატიური დასჯის გზა.

მაგრამ ხანდახან მნიშვნელობა არა აქვს რამდენად კარგად ვასრულებთ მშობლის მოვალეობას, ვინაიდან ბავშვიც ხანდახან მაინც ცუდად იქცევა. ეს გარდაუვალია. არ არსებობს სრულყოფილი მშობელი და სრულყოფილი ბავშვი.

მაშ, როგორ უნდა მოვეპყროთ ბავშს ცუდი საქციელისას? ამის შესახებ შემდეგ თავში ვისაუბრებთ.

დისციპლინა სიყვარულით

უკვე განვიხილეთ თუ როგორ გამოვხატოთ უპირობო სიყვარული ბავშვის მიმართ თვალთ, ფიზიკური ყურადღებით, ფოკუსირებული ყურადღებითა და დისციპლინით (წვრთნით). მივხვდით ბავშვების ემოციური ავზის სავსედ დაცვის მნიშვნელობას და იმას, რომ მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია ბავშვს საუკეთესო თვისებების განვითარება. მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებს იგი თვით-კონტროლს და თვით-დისციპლინას. მერვე თავში ვნახეთ, რომ სწორი მიმართულებისაკენ ბავშვის გაძღოლა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე არასწორი საქციელის გამო დასჯა. შემდეგი თავი კი დავასრულეთ იმ აზრით, რომ ხანდახან ყველა ბავშვს ახასიათებს შეუფერებელი საქციელი. ახლა კი მოდი განვიხილოთ საკითხი, თუ როგორი დამოკიდებულება უნდა ვიქონიოთ ბავშვთან არასწორი ქცევის დროს.

იმისათვის რომ გავიგოთ, თუ როგორ უნდა მოვეპყრათ ბავშვს ცუდი ქცევისას, პირველ რიგში უნდა გავეცნოთ მის აზროვნებას. ამ მნიშვნელოვან ასპექტს სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. ყველა ბავშვს უნდა და სჭირდება სიყვარული. მათ იციან, რომ სჭირდებათ სიყვარული და მათ იციან, რომ უნდათ სიყვარული, მაგრამ მათ მიერ ამ გზის ძიება მოუმწიფებელი და არაგონივრულია.

პირველ რიგში, განვიხილოთ სიყვარულის ძიების გონივრული გზა. ვთქვათ ჯიშს უყვარს კარლა. როგორ ეცდება ჯიში კარლას გულის მოგებას? არაზრდასრული ადამიანისთვის დამახასიათებელი მოქმედებით, ცუდი ქცევის მის წინაშე გამოვლენით, წუნუნით, გაბუტვით, კამათით და მომთხოვნი თვისებების გამომჟღავნებით? რა თქმა უნდა არა. ჯიში რომ ზრდასრული ადამიანი ყოფილიყო, იგი საუკეთესო თვისებებს გამოამჟღავნებდა. წინა პლანზე კარგ თვისებებს წამოსწევდა, იქნებოდა მშვიდი, სასიამოვნო, კეთილგანწყობილი, და გვერდში მდგომი. თუ იგი დარწმუნებული არ იქნებოდა კარლას სიყვარულში, ზრდადაუსრულებელი ადამიანის თვისებებს კი არ გამოავლენდა; არამედ კარლას სიყვარულის მოპოვებას ეცდებოდა. მის თვალში სიყვარულს დაიმსახურებდა.

მაგრამ ბავშვი ასე არ იქცევა, ხალხო. რაც უფრო პატარაა ბავშვი, უფრო მოუმწიფებელია. ამის გაგება არარის ძნელი. რაც უფრო ნაკლებად ზრდასრულია, უფრო ნაკლებად გონიერია. ბავშვმა ბუნებრივად იცის როგორ სჭირდება სიყვარული. მაგრამ ბუნებრივად არ ცდილობს მისი დამსახურებული საქციელით მოპოვებას. ასეთი ლოგიკა მისი გონებრივი სამყაროს მიღმაა. ბოლოს და ბოლოს მან შეიძლება ისწავლოს ეს (შეიძლება ვერა), მაგრამ ამის თანდაყოლილი უნარი არ გააჩნია.

მაშინ რას აკეთებს ბავშვი, განსაკუთრებით პატარა ასაკში? ბავშვი ძირითადად მოქმედებით ამყარებს კომუნიკაციას. იგი გამუდმებით გვისვამს კითხვას, 'გიყვარვარ?'. ის ფაქტი, თუ როგორ პასუხს გავცემთ ამ შეკითხვას მრავალ საკითხს წყვეტს. ის გადაწყვეტს ბავშვის თვით-შეფასებას, დამოკიდებულებებს, გრძნობებს, თანატოლებთან ურთიერთობებს, და ასე შემდეგ. თუ მისი ემოციური ავზი სავსეა, ამას მის საქციელში დაინახავთ. თუ ცარიელია, ამასაც მის საქციელში დაინახავთ. მოდი ასე ვთქვათ. ბავშვის საქციელთა უმეტესობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად საყვარელად გრძნობს ბავშვი თავს.

ეს არის ბავშვის მიზანშეუწონელი საქციელი. იმის ნაცვლად, რომ ბავშვმა თავისი კარგი საქციელით ჩვენი სიყვარული და მოწონება დაიმსახუროს, იგი გამუდმებით ცდის ჩვენს

სიყვარულს თავისი საქციელით. 'გიყვარვარ?' თუ ამ ყველაზე მნიშვნელოვან შეკითხვას ვუპასუხებთ, 'დიახ, გვიყვარხარ,' ხომ კარგი! ბავშვი გათავისუფლდება სიყვარულის ძიების ზენოლისაგან და მისი საქციელი ადვილად დაექვემდებარება კონტროლს. თუ ბავშვი საყვარელად ვერ გრძნობს თავს, ბუნებრივად იძულებულია უფრო გულწრფელად გვეკითხოს თავისი საქციელით, 'გიყვარვარ?'. შეიძლება ამ დროს არ მოგვენონოს მისი საქციელი, რადგან ბავშვის მოქმედების გზები შეზღუდულია. შეიძლება მრავალი ასეთი გზა მიუღებელი იყოს ჩვენთვის ან შეიძლება მრავალი ასეთი საქციელი სიტუაციისათვის შეუფერებელიც კი აღმოჩნდეს. ამისი პასუხი ის არის, რომ როცა ვიღაცა სასონარკვეთილებაშია, მისი საქციელი შეიძლება შეუფერებელი აღმოჩნდეს. ბავშვს ყველაზე მეტად სიყვარულის ნაკლებობა აგდებს სასონარკვეთილებაში.

ეს არის ბავშვის შეუფერებელი საქციელის ძირითადი მიზეზი. როცა მისი ემოციური ავზი ცარიელია, ის საქციელით ყვირის, 'გიყვარვარ?'

ნუთუ ამის შემდეგ სამართლიანი ან ბრძნული იქნება, სიყვარულით დაკმაყოფილების გარეშე, მისგან კარგი საქციელის მოთხოვნა? მისი ემოციური ავზის ავსების გარეშე, ჩვენგან ასეთი დამოკიდებულება სამართლიანია?

რა სჭირდება ამ ბავშვს?

აი, ერთი მაგალითი, როცა ჩვენი ქალიშვილი, ქერი თექვსმეტი წლის იყო, საზაფხულო ბანაკში წავიდა. ამ დროს ცხრა წლის დავითი იყო სახლში უფროსი შვილი, რომელსაც უფროსობა მოსწონდა. ის უფრო ზრდასრული და პასუხისმგებლური თვისებებით გამოირჩეოდა. დავითს მოსწონდა უფროსობა. რაც ძალიან კარგი იყო.

პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ ქერი სახლში უნდა დაბრუნებულიყო. ჰოდა, იმ დღიდან, როცა ქერი სახლში დაბრუნდა, დავითის ყოფა-ქცევა შეიცვალა. ის მოულოდნელად გახდა უკმაყოფილო, ნუნუნა, უხასიათო, ბრაზდებოდა და ურთიერთობისას უკან იხევდა.

რა მოხდა? რატომ მოხდა ასეთი დრამატული ცვლილება დავითში? რა უნდა გამეკეთებინა როგორც მშობელს? უნდა დამესაჯა ასეთი საქციელისთვის? ქერი ისევ ბანაკში გამეგზავნა? დავითისთვის მეთქვა, რომ მისი ხუთი წლის ძმა, დეილი მასზე უკეთესად იქცეოდა? როგორ უნდა მოვქცეულიყავი?

ნება მომეცით გითხრათ როგორ და რატომ მოვიქეცი ასე. რა თქმა უნდა, ქერის მოსვლა და სახლში უფროსი ბავშვის ადგილის დაკავება დავითისათვის რთული იყო. რასაც პატარა ბიჭი ადვილად ვერ ართმევს თავს. მისი საქციელი ნიშნავდა თხოვნას, 'გიყვარვარ?'. მაშინაც გიყვარვარ, როცა ქერი სახლშია და უფროსი აღარ ვარ? როგორ განსხვავდება შენი ჩემდამი და ქერისადმი სიყვარული ერთმანეთისაგან? ის უფრო მნიშვნელოვანია? დამაშორებს თუ არა შენგან მისი სიყვარული?' წარმოიდგინეთ ამ დროს ბავშვების გულისტკივილი.

მაშინ, რომ მე ის დამესაჯა, რას იფიქრებდა დავითი, როგორი პასუხი გავეცი მის შეკითხვას, 'გიყვარვარ?'

როგორც კი მოვახერხე, მარტო დავრჩი დავითთან და ცოტა ხანს ვისაუბრეთ. ხანდახან ბიჭური გამოხატვის საშუალებებით ვეუბნებოდი როგორ მიყვარდა. თვალელებში შევხედავდი და ფიზიკურად ვეხებოდი. როგორც კი მისი ემოციური ავზი აივსებოდა, მისი ხასიათი ძველ მხიარულებას უბრუნდებოდა. თხუთმეტი ოცი წუთი დასჭირდა და უკვე სათამაშოდ იყო მზად. დავითი მხიარული იყო და მშვენივრად იქცეოდა. ეს იყო ის განსაკუთრებული მომენტი, რომლის შესახებაც აქამდე ვისაუბრეთ. ვფიქრობ, რომ მას არასოდეს დაავინწყებდა ერთად გატარებული ეს ძვირფასი წუთები. ყოველ შემთხვევაში მე ვერ დავივინწყებ.

გთხოვთ, ამას ისე ნუ გამიგებთ, თითქოს სრულყოფილი მამა ვარ. ეს ასე არ არის. მე საკმაო შეცდომები დავუშვი. მაგრამ, ვფიქრობ, რომ ამ სიტუაციაში კარგად მოვიქეცი.

ამ ყველაფერს იმის გაცნობიერებისაკენ მივყევართ, რომ როცა ბავშვი ასე იქცევა ჩვენს თავს ვკითხოთ, 'რა სჭირდება ამ ბავშვს?'

როცა მშობლებს შეეკითხები, როგორ უნდა მოვიქცე ამ ბავშვის საქციელის გამოსასწორებლად?' სამწუხაროდ, ისეთი ტენდენცია არსებობს მშობლებში, რომ უმეტესობის პასუხი არის დასჯა. მაშინ რთულია ბავშვის ნამდვილი საჭიროების გამოცნობა, და შეიძლება ეს ყველაფერი ბავშვის განკეპვლითა და მისი ოთახში გაგზავნით დამთავრდეს. ცხადია ბავშვი საყვარელად ველარ იგრძნობს თავს ჩვენი ასეთი დამოკიდებულების შემდეგ.

ყოველთვის უნდა დავინწყით საკუთარ თავთან შეკითხვით, 'რა სჭირდება ამ ბავშვს?' და შემდეგ ლოგიკურ განვითარებას მივცეთ ადგილი. მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია ვიზრუნოთ ბავშვის საქციელზე, ნამდვილად მივცეთ ის, რაც სჭირდება და ნამდვილი სიყვარული ვაგრძნობინოთ.

შემდეგისაფეხურიარის, საკუთარ თავს ვკითხვით, 'სჭირდება თუ არა ბავშვს თვალით კონტაქტი? ფიზიკური კონტაქტი? სჭირდება ფოკუსირებული ყურადღება?' მოკლედ, მისი ემოციური ავზი სავსეა? მშობლებმა უნდა გავაცნობიეროთ, რომ თუ ბავშვის უსაქციელობის საფუძველი დაკავშირებულია ამ საჭიროებებთან, მაშინ პირველ რიგში ეს მოთხოვნები უნდა დავაკმაყოფილოთ. და ბავშვის დასჯას მისი ემოციური საჭიროებების დაკმაყოფილებამდე არ უნდა შევუდგეთ.

ეს მახსენებს ჩვენი ხუთი წლის დეილს. რამდენიმე დღე ქალაქიდან ვიყავი გასული და სახლში დავბრუნდი. დეილი ისე იქცეოდა, რომ ვღიზიანდებოდი (და სხვებიც). საოცარ მოქმედებებს სჩადიოდა თავისი ცხრა წლის ძმისა და ოჯახის დანარჩენი წევრების გამოსაწვევად. დეილმა ზუსტად იცოდა რა უნდა ეთქვა, რომ მისი ძმა დავითი კედლებზე აეყვანა. რა თქმა უნდა დავითსაც შეეძლო ძმისთვის იგივეს გაკეთება. ერთი ძმის მიერ მეორეს გაღიზიანების ფაქტმა მე და ჩემს მეუღლეს დაგვანახა, რომ ემოციურ ავზს ავსება სჭირდებოდა.

იმ დღეს, დეილი განსაკუთრებით გამაღიზიანებლად იქცეოდა. ყველაფერს აკეთებდა ძმის მდგომარეობიდან გამოსაყვანად. ჩემი პირველი რეაქცია რა თქმა უნდა, საპასუხო გაბრაზება იყო. ალბათ თავის ოთახში გაგზავნით დასჯა; ან ადრე დაძინება; ან წამორტყმა. შემდეგ შევჩერდი და

დავფიქრდი. 'რა უნდა?' და პასუხი დაუყოვნებლივ მოვიდა. ქალაქიდან გასული ვიყავი. სამი დღეა არ ვუნახივარ, და საკმარისი ყურადღება არ გამიმახვილებია მასზე (არც ფოკუსირებული ყურადღება). გასაკვირი არ იყო, რომ დეილი ძველ კითხვას იმეორებდა, 'გიყვარვარ?' სინამდვილეში, ის მეკითხებოდა, 'კიდევ გიყვარვარ, ამდენი ხანია წასული ხარ და ისე იქცევი თითქოს ამას ჩემზე გავლენა არ მოუხდენია?' უცბათ, მისმა საქციელმა აზრი შეიძინა. მას აშკარად სჭირდებოდა მამა, და მამამისი კი არ აძლევდა მისთვის საჭირო რამეს. სხვა რამე რომ გამეკეთებინა მისი საჭიროების დაკმაყოფილების ნაცვლად, მისი საქციელი უარესი გახდებოდა. (დიახ, რომც გამეჩქვლა) ეს ღრმა ჭრილობას მიაყენებდა, წინააღმდეგობის განცდა დაეუფლებოდა და იმ ერთ-ერთი, განსაკუთრებული შემთხვევის განცდის შესაძლებლობა აღარ მომეცემოდა.

მიხარია, რომ შეცდომა არ დავუშვი მაშინ. დეილი ჩვენს საძინებელში შევიყვანე, ჩავიხუტე, და არაფერი მითქვამს. ეს ჩვეულებრივად აქტიური ბავშვი გაჩუმებული იყო. ის უბრალოდ იჯდა და მიყურებდა. ნელ-ნელა, როგორც კი მისი ემოციური ავზი აივსო, გამოცოცხლდა. ადვილ და სიხარულით სავსე თავდაჯერებულ საუბარს შეუდგა. ჩემი მგზავრობის შესახებ მოკლე საუბრის შემდეგ, ჩამოხტა და გარეთ გაიქცა. სად? რა თქმა უნდა თავისი ძმის მოსაძებნად. როცა მისაღებ ოთახში შევედი, ერთად თამაშობდნენ კმაყოფილები.

უკვე დავინახეთ, თუ როგორი მნიშვნელობა აქვს ვკითხვით საკუთარ თავს, 'რა სჭირდება ბავშვს?' თუ ამას არ გავაკეთებთ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ცუდ ყოფაქცევასთან დამოკიდებულებას შეუფერებლად წარვმართავთ. გამოვტოვებთ ბავშვთან განსაკუთრებული ურთიერთობის შესაძლებლობას. და იმ დროს დავსჯით ბავშვს როცა გულისტკენას, სიბრაზესა და უარყოფას გამოიწვევს.

ძვირფასო მშობლებო, თუ ამ საკითხს ბოლომდე ვერ ჩასწვდით, მაშინ ტყუილად დაგიკარგავთ ამ წიგნის კითხვაში დრო. ცუდი ყოფაქცევა არ უნდა დაივიწყოთ, მაგრამ თუ შეუფერებელი გზით ეცდებით მის მოგვარებას, რაც სიმკაცრესა და უხეშობას გულისხმობს, მაშინ პრობლემები

გექნება ბავშვთან. დიახ, ყურადღება უნდა მივაქციოთ არასწორ საქციელს. არ უნდა შევიწყნაროთ უნესობა. მაგრამ დასჯა არ უნდა იყოს პირველი ნაბიჯი. დასჯა ხანდახან საჭიროა, მაგრამ მისი ნეგატიური შედეგების გამო, მხოლოდ საბოლოო საშუალებად უნდა გამოვიყენოთ. ბევრად უკეთესია მცდარ ყოფაქცევასთან პოზიტიური დამოკიდებულება, განსაკუთრებით ნამდვილი სიყვარულითა და მონონებით და არა დასჯის ფორმით, განსაკუთრებით ფიზიკურად შეხება. ამ შემთხვევაში პირველი ნაბიჯი უნდა იყოს ბავშვის ემოციური საჭიროებების დაკმაყოფილება. კიდევ ერთხელ, ბავშვის ემოციური ავზი უნდა აივსოს მანამ, სანამ მზრუნველი მშობლები სხვა ხერხს მიმართავდნენ.

ფიზიკურ პრობლემას ხომ არა აქვს ადგილი?

შეუფერებელი ყოფაქცევისას უნდა დავსვათ მეორე კითხვა, 'ფიზიკური პრობლემის არსებობა ხომ არ უწყობს ხელს ამ საქციელის გამონევევას?' რაც უფრო პატარაა ბავშვი, მით უფრო მეტად შეიძლება ფიზიკურმა პრობლემებმა გამოიწვიონ გაღიზიანება. მშვიერი ხომ არ არის ბავშვი? დაღლილი ხომ არ არის? ავად ხომ არ არის? გაცივებას ან სიცხეს ხომ არ აქვს ადგილი? რაიმე ტკივილს ან სხვა დისკომფორტს ხომ არ განიცდის?

ფიზიკური პრობლემების არსებობა არ გულისხმობს არასწორი საქციელის იგნორირებას. (ჩემის აზრით, არასწორ საქციელთან ასეთი დამოკიდებულება არასოდეს არ არის მართალი). რაც იმას გულისხმობს, რომ მშობლებმა უნდა ვიზრუნოთ, როგორც არასწორი საქციელის გამომწვევ მიზეზებზე, ისე არასწორი საქციელის გამოსწორებაზე. ბევრად უმჯობესია ბავშვს შენიშვნა მივცეთ მისი საჭიროების დაკმაყოფილების გზით-თვალთ კონტაქტი, ფიზიკური კონტაქტი, ფოკუსირებული ყურადღება, ნყალი, საკვები, ძილი, ტკივილგამაყუჩებელი, ან შესაბამისი მკურნალობა-ვიდრე დასჯა. დასჯა შეიძლება შესაფერისია, მაგრამ უმჯობესია ყოველი ღონე ვიხმაროთ და პირველ რიგში ბავშვის ფიზიკური და ემოციური საჭიროებები დავაკმაყოფილოთ.

როგორ უნდა გამოვიცნოთ როდის არის დასჯა მიზანშეწონილი და როდის არა? შესანიშნავი შეკითხვაა. რასაც ლოგიკურად მივყავართ არასწორ საქციელთან დამოკიდებულების შემდეგ საფეხურამდე.

ისწავლე პატიება

ჩემი გამოცდილებით, დასჯისათვის ყველაზე შეუფერებელი დრო მაშინ არის, როცა ბავშვი საკუთარი საქციელის გამო ნამდვილად გრძნობს თავს დამნაშავედ. ამ წინადადების გასაღები არის სიტყვა *ნამდვილად*. თუ ბავშვი ნამდვილად ინანიებს თავის შეცდომას, მაშინ დასჯა (განსაკუთრებით ფიზიკური) მტკივნეული იქნება. ტკივილი ორი გზით შეიძლება განვითარდეს.

პირველი, თუ ბავშვი ნამდვილად წუხს შეუფერებელ საქციელზე, მაშინ მისი სინდისი ცოცხალი და ჯანსაღია. ეს არის მთავარი, რაც უნდა გაინტერესებდეს! მან უკვე ისწავლა საკუთარ შეცდომებზე. კარგი და ჯანსაღი სინდისი არის ცუდი საქციელის გამოსწორების სანინდარი. დასჯა, განსაკუთრებით ფიზიკური, დანაშაულის შეგრძნებისაგან ათავისუფლებს და წარმოშობს იმის შესაძლებლობას, რომ ბავშვმა დაივიწყოს ამ განცდების დისკომფორტი და ხელახლა გაიმეოროს დანაშაული.

მეორე, ასეთ შემთხვევაში დასჯამ შეიძლება გაბრაზება გამოიწვიოს ბავშვში. როცა ბავშვი საკუთარ დანაშაულს გრძნობს, უკვე სინდისი მოქმედებს მასში. ბავშვი თვითონ სჯის საკუთარ თავს. მას სჭირდება განცდა და სხვა ადამიანებში ეძებს იმის დასტურს, რომ მიუხედავად მისი ცუდი საქციელისა, ის მაინც კარგი ბავშვია. ამ დროს განსაკუთრებით სწყურია ამაში დარწმუნება. თუ მაშინ დასჯით ფიზიკურად, როცა სხვებისაგან მოწონების მიღებას მოელის, ამ დასჯას ძალიან მტკივნეულად მიიღებს. ასეთ შემთხვევაში ბავშვს სჯერა, რომ ცუდი პიროვნებაა და თქვენ, როგორც მშობელს, გჯერათ მისი სიცუდის. რის შედეგადაც წარმოიშვება სიბრაზე, ტკივილი, უარყოფა და სიმწარე, რასაც ბავშვი დიდხანს ატარებს.

მაშინ როგორ უნდა მოვიქცეთ მშობლები ისეთ შემთხვევაში, როცა ბავშვმა არასწორი საქციელი ჩაიდინა, მაგრამ ნამდვილად ნანობს? ამ შემთხვევაში წმინდა წერილი გავგონევს ნამდვილ დახმარებას. როცა დანაშაულს ჩავდივართ და ვწუხვართ ჩადენილის გამო, როგორ გვექცევა ჩვენი ზეციერი მამა? ის გვპატიობს. მოუსმინეთ ფსალმუნის ავტორს: 'როგორც მამა შეიწყნარებს შვილებს, ისე შეიწყნარა უფალმა მოშიშნი მისნი' (ფსალმუნი 103:13). როცა ჩვენი ზეციერი მამა გვთავაზობს სითბოს, შეწყალებასა და მიტევებას, მაშინ, ჩვენ როგორ უნდა შევაქციოთ ზურგი ჩვენს შვილებს?

პავლემოციქულის გაფრთხილება ანალოგიურ შეცდომასთან დაკავშირებით, 'მამებო, ნუ გააღიზიანებთ თქვენს შვილებს, არამედ აღზარდეთ ისინი უფლის მოძღვრებითა და დარიგებით' (ეფესელთა 6:4). პირადად ვიცი, რომ არ არსებობს გაბრაზების, უარყოფისა და სიმწარის გამონვევი უფრო ეფექტური გზა, ვიდრე ბავშვის ფიზიკურად დასჯა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ბავშვი ნამდვილად ნანობს თავის საქციელს. ამ დროს უნდა ვისწავლოთ მიტევება.

ასეთ შემთხვევაში ბავშვისადმი მიტევების კიდევ ერთი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მომენტი არის ის, რომ მან ბავშვობაშივე ისწავლოს მიტევება არადა პრობლემები შეექმნება დანაშაულის შეგრძნებისაგან გათავისუფლებისას. გაითვალისწინეთ, რამდენი ადამიანი ატარებს დღეს დანაშაულის გრძნობას (ქრისტიანების ჩათვლით) იმიტომ რომ არასოდეს უსწავლიათ მიტევება. არადა ეს ადამიანები შეიძლება უკვე ნამდვილად არიან მიტევებულნი ღვთისა და ადამიანების მიერ. მაგრამ ისინი მაინც განიცდიან დანაშაულის გრძნობას, თუმცა იციან, რომ აპატიეს. შეიძლება ბავშვი დანაშაულის გრძნობისაგან დავიხსნათ, თუ ვასწავლით ამ განცდასთან დამოკიდებულების წარმართვას-სახელდობრ, პატიებას. ამას კი მაშინ მოვახერხებთ, როცა ვაპატიებთ ბავშვს, როცა ის ნამდვილად ნანობს თავის დანაშაულს.

ჩატეხილი ფანჯარა

ერთი შემთხვევა მახსოვს ამ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ გთხოვთ დაიმახსოვროთ, რადგან ამ შემთხვევაში სწორად მოვიქეცი იმას არ ნიშნავს, რომ სრულყოფილი მამა ვარ. ეს უბრალოდ მწერლის უპირატესობაა. შემოძლია ილუსტრაციისათვის ავირჩიო მაგალითი.

ერთხელ, გრძელი და რთული დღის შემდეგ სახლში დავბრუნდი. გადაღლილი ვიყავი და კარგად ვერ ვგრძნობდი თავს. როგორც კი მანქანიდან გადმოვედი, ცხრა წლის დავითმა ჩემთან მოიბრინა. როგორც წესი, დავითს ყოველთვის ღიმილი ჰქონდა სახეზე და სიხარულით შემომამხტებოდა და გადამეხვეოდა ხოლმე. ამჯერად ის განსხვავებული იყო. სახე დაგრძელებოდა და მოწყენოდა. მის ლამაზ თვალებში მოლუშულობა შეიმჩნეოდა და თქვა, 'მამიკო, რაღაც უნდა გითხრა.'

ჩემი გონებრივი მდგომარეობის გამო, ვფიქრობდი, რომ იმ დროს დიდი პრობლემის სწორად გადაწყვეტა არ შემეძლო. და ვთქვი, 'მოდით, ამაზე მოგვიანებით ვისაუბროთ, დავით?'

დავითმა დაჟინებით შემომხედა და მითხრა, 'ახლა არ შეიძლება ამაზე ლაპარაკი, მამიკო?'

ზუსტად ამ დროს ავტოფარეხის კარი გავაღე და დავინახე, რომ ერთ-ერთი ფანჯარა ჩამსხვრეული იყო. მივხვდი, რაც ანუხებდა.

რადგან იმ წუთში გონებრივად გაღიზიანებული ვიყავი, გადავწყვიტე, რომ დასვენების შემდეგ უკეთესად გადავჭრიდი ამ პრობლემას. მაგრამ დავითი საძინებელში შემომყვება და მთხოვს, 'მამიკო, გთხოვ, ახლა ვისაუბროთ ამის შესახებ.'

მის სახეზე ასეთი თხოვნის გამომეტყველების შემდეგ, სხვა რაღა გზა მქონდა? და ვუპასუხე, კარგი, დავით, რა გინდა რომ მითხრა?' (თითქოს არ ვიცოდი.)

დავითმა მითხრა, თუ როგორ თამაშობდნენ ის და მისი მეგობრები სახლთან ახლოს და როგორ ჩატეხეს ფანჯარა. ისე თითქოს თავისი ამ საქციელით მეკითხებოდა, 'ჩემი ჩადენილი საქციელის შემდეგაც გიყვარვარ?'

ავიყვანე, კალთაში ჩავისვი და ცოტა ხნით გულში ჩავიკარი ჩემი ბიჭი, და ვუთხარი, 'არა უშავს დავით. ფანჯარა შეიძლება

ადვილად შევაკეთოთ. ამის შემდეგ სახლიდან ცოტა მოშორებით ითამაშე, კარგი?’

ეს იყო განსაკუთრებული მომენტი. დავითმა მაშინვე შეება იგრძნო. ცოტა წამოიტირა და მერე ჩემს მკლავებში დაისვენა. უბრალოდ ვგრძნობდი როგორ მოედინებოდა სიყვარული ბავშვის გულიდან. ეს ერთ-ერთი საუკეთესო შემთხვევა იყო ჩემს ცხოვრებაში. შემდეგ დავითი ისევ ბედნიერი და ძველებურად გასხივოსნებული გახდა. გადმოხტა და წავიდა.

ძალიან ბევრი ვისწავლე ამდაგვარი შემთხვევებიდან. ასეთი შემთხვევები ყოველ დღე არ ხდება. ბავშვი ყოველთვის გულწრფელად არ ნანობს თავის შეცდომებს, ამიტომ გამუდმებით უნდა ვეძებდეთ ასეთ შემთხვევებს იმის გასაკეთებლად, რასაც ვამბობთ, რომ უნდა ვაკეთებდეთ. ამ დროს გვეძლევა ამის განხორციელების შესაძლებლობა, თუმცა არ მოგვწონს მისი საქციელი, მაგრამ რაც არ უნდა მოხდეს ბავშვი მაინც გვიყვარს. ჩვენ ის უპირობოდ გვიყვარს.

როცა ბავშვს შეცდომას ვპატიობთ, ეს იმას არ ნიშნავს რომ მან არ უნდა იკისროს ჩადენილი შეცდომის შედეგებზე პასუხისმგებლობა. დავითის მიერ მინის ჩამსხვრევის შემთხვევაში, შეიძლება დავითს გადავახდევინოთ ფანჯრის საფასური შესაფერისი გზით, მაგალითად იმუშაოს ამისათვის. მაგრამ, უნდა გვახსოვდეს, რომ გადახდა შესაფერისი უნდა იყოს ბავშვის ასაკთან, მისი განვითარების დონესთან, და მის მიერ საქმისათვის თავის გართმევის შესაძლებლობის უნართან.

თავი არ უნდა მოვიტყუოთ. დარწმუნებული ვარ გსმენიათ, როცა ბავშვი ამბობს, ‘მაპატიეთ’, მაგრამ სინამდვილეში არ ნუხს. ძალიან ხშირად ამბობს ბავშვი, ‘მაპატიეთ,’ როცა ფიქრობს, რომ შეიძლება დასაჯონ.

საბედნიეროდ, იშვიათად წააწყდებით სინამდვილის გამოცნობის სირთულეს, ნამდვილად სწუხს ბავშვი დანაშაულზე თუ არა. რაზეც ყველაზე მეტად მიუთითებს მის მიერ იმავე საქციელის ხშირად განმეორება. თუ დავითი ამ შემთხვევის შემდეგ კვლავ გააგრძელებდა სახლთან ახლოს ფეხბურთის თამაშს, მაშინ ვიფიქრებდი რომ მატყუებდა და სხვა ზომები უნდა მიმეღო.

თუ ბავშვი ხშირად ცდილობს მშობლების ამ გზით მანიპულირებას, ჯეროვნად დამაფიქრებდა ეს მდგომარეობა. ეს იმაზე მიუთითებდა, რომ ბავშვში სწორად არ ვითარდება სწორისა და არა სწორის განცდა. ის სწავლობს 'მაპატიეს' თქმას სასურველი შედეგის მიღწევისა და დასჯისაგან თავის დაღწევის მიზნით. ეს განსაკუთრებული შემთხვევა კარგად ერგება ცხენის მარხილის წინ დაყენების პრინციპს. როცა მშობლები ბავშვის საქციელის გაკონტროლების მიზნით პირველ რიგში მის დასჯას მიმართავენ და არა მისი საჭიროების დაკმაყოფილებას, ეს ხელს უწყობს ბავშვში სხვადასხვა ხრიკების განვითარებას დანაშაულიდან თავის დაღწევის მიზნით.

ერთ-ერთი ასეთი საქციელი არის 'მაპატიეთ,' როცა მშობლები შვილის საქციელზე ბრაზდებიან.

ეს საშიში მდგომარეობაა. ამ შემთხვევაში ბავშვი სწავლობს, არაგულწრფელობას, წინასწარ გამოანგარიშებას, მანიპულაციას და უგრძობლობას. არსებობს ერთი დამოკიდებულება, რაც ტენდენციას ცვლის.

ასეთ შემთხვევაში მშობლების მბრძანებლური დამოკიდებულება მნიშვნელოვანია. მშობლები საუკეთესო მდგომარეობაში არიან იმის გამოსაცნობად, არის თუ არა ბავშვი მართალი და გულწრფელი.

თუმცა, ნებისმიერმა ბავშვმა შეიძლება ჩაიდინოს ანალოგიური რამ ხანდახან, ისე როგორც ყველა ბავშვი იგრძნობს ნამდვილ მწუხარებას საკუთარ შეცდომაზე. ბრძენი და ფრთხილი მშობლები მიხვდებიან განსხვავებას, და ყოველ სიტუაციას შესაფერისად წარმართავენ.

მოკლედ, მიუტევე ბავშვს, როცა ნამდვილად სწუხს და ნანობს არასწორ საქციელს. ასეთი იშვიათი შემთხვევები შეუფასებელია. ყოველგვარი ეჭვის გარეშე დაარწმუნე ბავშვი, რომ გესმის მისი, გულწრფელად დარდობ მასზე, და ყველაფრის მიუხედავად მაინც გიყვარს იგი. ეს არის უპირობო სიყვარული.

დისციპლინა-თხოვნა, ბრძანება, დაჯილდოვება და დასჯა

აქამდე განხილული საკითხები ბავშვის აღზრდაში ყველაზე მნიშვნელოვანია. თუ ამ პრინციპებს შესაფერისად გამოვიყენებთ, ბავშვის აღზრდისათვის დამახასიათებელი უმეტესი პრობლემები შემსუბუქდება ან თავიდან ავიცილებთ. ბავშვის ემოციური საჭიროებების დაკმაყოფილება და მოსიყვარულე დისციპლინა, გვაძლევს მშობლებსა და შვილებს შორის ჯანსაღი, ძლიერი, პოზიტიური სიყვარულის კავშირის ჩამოყალიბების შესაძლებლობას. როცა ბავშვთან მიმართებაში რაიმე პრობლემა იჩენს თავს, მშობლებმა ხელახლა უნდა გადაამოწმონ ბავშვის საჭიროებები და პირველ რიგში მათ დაკმაყოფილებაზე იზრუნონ.

გთხოვთ დაიმახსოვროთ წინამდებარე თავებში მოცემული ინფორმაცია, რადგან ახლა ვაპირებ დისციპლინის საკითხის განხილვას, რისი წიგნში შეტანაც ძალიან არ მინდოდა. რატომ? რადგან არიან მშობლები, რომლებიც წიგნის მხოლოდ ამ ნაწილს კითხულობენ ბავშვის აღზრდის საკითხზე არასწორი შეხედულებების გამართლების მიზნით. ისინი წიგნის მხოლოდ ამ ნაწილის განხორციელებას აპირებენ პრაქტიკაში და საერთოდ ტოვებენ იმ აზრს, რომ დასჯა უნდა იყოს ბავშვის აღზრდაში ყველაზე უკანასკნელ საშუალებად გამოყენებული.

ვიმედოვნებ, რომ დისციპლინის მეთოდების განხორციელებამდე ჯერ პირველ ათ თავში განხილულ პრინციპებს გაატარებთ პრაქტიკაში. გთხოვთ, გიყვარდეთ თქვენი შვილები უპირობოდ და მიეცით მათ ხშირი თვალის კონტაქტი, ფიზიკური კონტაქტი, და ფოკუსირებული ყურადღება. გაფრთხილდით, რომ არ შეიყვართ თქვენი შვილები კუთვნილებით, შემცვლელით ან როლების გადანაცვლებით. რაზედაც ვილაპარაკეთ ზემო თავებში. გთხოვთ მიეცით ბავშვებს სწორი დისციპლინა (წვრთნა) პოზიტიურად, როგორცაა წინამძღოლობა, მაგალითი, ნიმუში და დარიგება. როცა თქვენი ბავშვი კარგად არ იქცევა, საკუთარ თავს ჰკითხეთ, ხომ არ სჭირდება ბავშვს თვალის კონტაქტი, ფიზიკური კონტაქტი და ფოკუსირებული ყურადღება, დასვენება, ან წყალი, და დააკმაყოფილეთ მისი საჭიროებები პირველ რიგში. როცა თქვენი შვილი დამწუხრებულია და ინანიებს ჩადენილ უნესობას, გთხოვთ ისე მიუტევოთ თვითონაც იცოდეს, რომ ნაპატიებია.

ძვირფასო მშობლებო, თუ ამას გონივრულად აკეთებთ, და სხვა ფაქტორებიც, როგორებიცაა ქორწინება და სახლის ატმოსფერო დამაკმაყოფილებელია, მაშინ თქვენი ბავშვის საქმე ძალიან კარგად უნდა წარიმართოს. თქვენი ბავშვი უნდა იყოს ბედნიერი, აქტიური, წესიერი ყოფაქცევის, აკეთებდეს იმას რასაც სთხოვთ (მისი ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად) დიდი სირთულეების გარეშე. იმას არ ვამბობ, რომ ყველაფერი სრულყოფილად უნდა იყოს, მაგრამ თქვენ კმაყოფილი უნდა იყოთ თქვენი შვილით, მასთან ურთიერთობითა და მისი განვითარებით.

ახლა იმიტომ ვამბობ ამ ყველაფერს, რომ ტრაგიკული შეცდომა იქნება, თუ დასჯისაგან უარყოფითის გარდა რაიმეს მოელით. თავისთავად დასჯა უპირობო სიყვარულის მტკიცე საფუძვლისა და სიყვარულით დისციპლინის (წვრთნის) გარეშე, მშობელსა და შვილს შორის ცუდ ურთიერთობას აყალიბებს. სამწუხაროდ, ეს არის ბავშვის თანამედროვე აღზრდის სტატისტიკა. რის გამოც დღევანდელ ბავშვებს აუარებელი პრობლემები აქვთ თითქმის ყველა სფეროში,

აკადემიური პრობლემებიდან პირადი პრობლემებით დამთავრებული.

თხოვნა

ბავშვისათვის ნორმალურ მოქმედებად ითვლება თხოვნა. რაც ყველაზე კარგი საქციელის შედეგის მიღწევის საშუალებაა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თხოვნა ბავშვში აღძრავს პასუხისმგებლობის გრძნობას. ბავშვი გრძნობს, რომ შესაფერისი საქციელის წარმართვაზე მასაც ისეთივე პასუხისმგებლობა ეკისრება, როგორც მის მშობელს. ბავშვმა ბუნებრივად იცის, რომ მას აქვს არჩევანის საშუალება, როცა მშობლები მისგან კარგ საქციელს მოითხოვენ. ბავშვი გრძნობს, მშობლებმა იციან, რომ მას გადაწყვეტილების მიღებისა და მისი აღსრულების ძალა შესწევს; შესწევს ძალა აკონტროლოს საკუთარი საქციელი, და ისწავლოს საქმის შესრულებაზე პასუხისმგებლობის აღება. როცა ბრძანების ნაცვლად თხოვნას უფრო ხშირად აქვს ადგილი, ბავშვი თვლის, რომ მშობლები მის მხარეზე არიან და მას საქციელის ჩამოყალიბებაში ეხმარებიან. რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

თუ ძირითადად ბრძანებებს ვიყენებთ სწორი საქციელის მისაღწევად, შეიძლება ბავშვი დაგვემორჩილოს და იყოს კარგი ყოფაქცევის. მაგრამ, მისი სწორი მოქმედება განპირობებული იქნება იმით, რომ მამიკო და დედიკო ამბობენ ასე, და არა იმით, რომ საუკეთესო საქციელია მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი. იგი საკუთარ მშობლებს ვერ აღიქვამს უკეთესი ქცევის მიღწევის საქმეში გვერდში მდგომებად. ბავშვი მშობლებისაგან წესიერი ქცევის მოთხოვნას აღიქვამს, როგორც მათთვის საზოგადოებრივი აღიარების მოპოვების ვალდებულებას; მათი საკუთარი ინტერესების მიღწევის საშუალებას.

მნიშვნელოვანია იმის გაგება, რომ მითითებების მიცემის საუკეთესო გზა თხოვნაა. თხოვნა უფრო გონივრული, სასიამოვნო და ტაქტიანი გზა ბავშვისათვის ინსტრუქციების მისაცემად. ეს განსაკუთრებით სასურველია იმ შემთხვევაში, როცა გინდა, რომ ბავშვმა რაიმე გააკეთოს გაბრაზებისა და გულის მოსვლის გარეშე.

მაგალითად, ერთხელ, ბანაობისას შევნიშნე, რომ პირსანმენდი არ იყო სააბაზანოში. ხუთი წლის დეილმა გაიარა აბაზანასთან, და ვთხოვე, 'დაბლა წახვალ და დედას პირსანმენდს სთხოვ?' დეილს გაეხარდა დავალების მოსმენა და მანამდე დაბრუნდა უკან, ვიდრე 'ჯეკ რობინსონის' თქმას მოვასწრებდი.

მეორემაგალითი. დავითის საკვირაოსკოლის მასწავლებელს ბიჭებთან პრობლემა ჰქონდა მათი უხემობის გამო. არჩევანის წინაშე ვიდექი, ვყოფილიყავი მბრძანებლური და მომთხოვნი ცხრა წლის დავითის მიმართ, რათა წესიერად მოქცეულიყო თუ მასთან ერთად განმეხილა პრობლემა, გაგვეანალიზებინა და შეთანხმებისათვის მიგვეღწია. ბოლო ვარიანტი ავირჩიე, და საუბარი შემდეგნაირად დავასრულე, 'მინდა, რომ ყურადღებით მოუსმინო მასწავლებელს, მონაწილეობა მიიღო დისკუსიაში და რაც შეგიძლია ის ისწავლო. ამას გააკეთებ, დავით?' და ყველაფერი მოგვარდა.

პირდაპირი ინსტრუქცია

სიმართლე უნდა ითქვას, რომ თხოვნა ყოველთვის არ ამართლებს. ხანდახან, მშობლებმა უნდა გამოიჩინონ ძალისხმევა და ბავშვს არა მხოლოდ სთხოვონ, არამედ მისცენ პირდაპირი დირექტივა (ბრძანება). ეს როგორც წესი მაშინ ხდება, როცა ბავშვმა თხოვნა ვერ შეასრულა. ვიდრე მშობლები სხვა ხერხს მიმართავენ, პირველ რიგში უნდა დარწმუნდნენ, რომ თხოვნა შესაფერისი იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ თხოვნა შეეფერებოდა ბავშვის ასაკს, გონებრივად და ფიზიკურად. ამ შემთხვევაში ხშირად აქვს ადგილი ანალოგიურ შეცდომას, როცა მშობელი ფიქრობს, რომ შვილს შეუძლია ამ დავალების შესრულება, რაც სიმართლეს არ შეეფერება.

ამის კლასიკური მაგალითია, ორი წლის ბავშვს თავისი ნივთების იატაკიდან აღება სთხოვო. თუ ორი ან სამი ნივთია ასაღები, კი ბატონო, თუ მეტი, მაშინ თხოვნა შეუსაბამოა. მშობელი უნდა დაეხმაროს ბავშვს ასეთი საქმის გაკეთებაში. ხშირად, მშობელი ფიქრობს, რომ ასეთი დავალება ბავშვისათვის შესაფერისია და ბრაზდება ბავშვის წინააღმდეგობისა თუ

საქმის შეუსრულებლობის გამო, და ბავშვს დახმარების ნაცვლად სჯის. თხოვნების შესრულება გვეხმარება დავალების შესაფერისობისა თუ შეუფერებლობის გამოცნობაში. თქვენს შვილს თქვენ იცნობთ ყველაზე კარგად. თუ აქამდე თქვენი შვილი დიდი სიამოვნებით ასრულებდა თხოვნას და ერთხელ უარის გამო გაბრაზდებით და დასჯით, რა თქმა უნდა გულსატკენი იქნება. ამკარაა, რომ რადგან ამ დავალების შესასრულებლად აქამდე პრობლემა არ ჰქონია, ახლა საქმე რალაცაშია. დარწმუნებული ვარ გაქვთ ამის გაგების სურვილი. ყველა ღონეს იხმართ ამ მიზეზის გასაგებად, რადგან ეს შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანია. რა თქმა უნდა იზრუნებთ პრობლემაზე და ამჯობინებთ, რომ ბავშვი თავისი სურვილით შეუდგეს საქმის კეთებას ვიდრე სიტუაციის გაგებამდე აიძულო გაკეთება. თუ ბავშვს სამართლიანი მიზეზი ჰქონდა, მაშინ თქვენ უნდა დაისაჯოთ ძალდატანებისათვის.

როგორც მშობელი, თქვენ ფლობთ ბავშვის სწორი ყოფაქცევის პასუხისმგებლობასა და ავტორიტეტს, მაგრამ ამავდროულად ბავშვის სრულ კეთილდღეობაზეც აგებთ პასუხს. თქვენ გეკისრებათ პასუხისმგებლობა, რომ ბავშვზე არასწორად გამოყენებული ძალაუფლებისა და ავტორიტეტის შედეგად გულისტკენას არ ჰქონდეს ადგილი. მისი მომავალი კეთილდღეობა და ბედნიერება დამოკიდებულია იმაზე თუ როგორ გამოიყენებთ მშობლის ავტორიტეტს.

ამ შემთხვევაში მინდა ერთი მნიშვნელოვანი რჩევა და გაფრთხილება მოგცეთ. რაც უფრო ხშირად იყენებენ მშობლები ისეთ ავტორიტეტულ ტექნიკას, როგორიცაა ბრძანებები, ლანძღვა, ბუზღუნი და ყვირილი, მით უფრო ნაკლებად ეფექტური გახდება მათი ძალისხმევა. ეს იმ ბიჭს ჰგავს, რომელიც იმდენჯერ ყვიროდა, 'მგელი, მგელი-ო!' რომ აღარავის სჯეროდა მისი. თუ მშობლები ნორმალურად გამოიყენებენ სასიამოვნო თხოვნის ფესტს, იშვიათი ბრძანებების ფორმა უფრო შედეგიანი იქნება. რაც უფრო მეტად მიმართავენ ძალდატანებას მშობლები შვილებთან დამოკიდებულებაში, რა და როგორ გააკეთონ, უფრო ნაკლები აქტიურობით უპასუხებენ შვილები. განსაკუთრებით მაშინ თუ ამას აკეთებენ გაბრაზებული, მტრული და ისტერიკული გზით.

მაგალითად, ყოფილხართ თუ არა ოჯახში, სადაც დაძაბულობა უკიდურეს ზღვარზეა? სადაც მშობლები მთელ თავის ავტორიტეტს ყოველდღიური რუტინისათვის იყენებენ შვილების დისციპლინაში (წვრთნაში). მაშინ როცა, ნამდვილი ავტორიტეტის გამოყენება არაჩვეულებრივ სიტუაციებშია საჭირო, და ამ შემთხვევებში, ასეთ მშობლებს აღარაფერი რჩებათ რეზერვში. ეს ბავშვები ჩვეულებრივად მოქმედებენ მშობლების სურვილის შესასრულებლად. ისინი სასწრაფო სიტუაციებში განსხვავებულად აღარ რეაგირებენ, მაგალითად, ვიდრე ისეთი ყოველდღიური რუტინის შესასრულებისას, როგორიცაა თასმის შეკვრა.

მშობლებო, ყუმბარა განსაკუთრებული სიტუაციებისათვის უნდა შევინახოთ. კრიტიკული სიტუაციებისათვის უნდა გვექონდეს საბრძოლო მასალა შემონახული. მნიშვნელოვანია ბავშვთან ტაქტიანი, ზომიერი თხოვნებით მიმართვა რამდენადაც შესაძლებელია.

ერთხელ შეცდომა დავუშვი და იქ სადაც ტაქტიანი თხოვნა საკმარისი იქნებოდა ძალდატანება გამოვიყენე. მე და ჩემი ორი ბიჭი სახლში ვიყავით, როცა ფეთი კონფერენციიდან ბრუნდებოდა და მინდოდა სახლი დალაგებული დამეხვედრებინა. თავიდან კარგად დავინყე. ბავშვებს საძინებლის დალაგება ვთხოვე, ვიდრე მე საწოლებს გავასწორებდი. რამოდენიმე წუთის შემდეგ დავბრუნდი და დავინახე, რომ ბავშვები თავის საქმეს აკეთებდნენ. მაგრამ დავინახე, რომ ტანსაცმელი კარადაში დაკიდების ნაცვლად დაბლა დაეყარათ. დავითი და დეილი ჩვეულებისამებრ მორჩილი ბავშვები იყვნენ, ადვილად საურთიერთობონი, და მოკლე ახსნა-განმარტება და მარტივი თხოვნა საკმარისი იყო მათთვის. მაგრამ რატომღაც გაღიზიანებული ვიყავი და გადაჭარბებული რეაქცია გამოვიჩინე. 'ყფფით' გავეცი ბრძანება, კარადაში ჩამოეკიდათ ტანსაცმელი. ხედავთ რა შეცდომა დავუშვი? ასეთი ძალადობისათვის არ უნდა მიმემართა, როცა მარტივი ახსნა საკმარისი იქნებოდა.

ასეთი დამოკიდებულება რთული მდგომარეობისათვის უნდა შემომენახა, როცა ჩემს თხოვნაზე დაუყოვნებელი პასუხი იქნებოდა საჭირო. მაგალითად, ერთ კვირა დღეს ეკლესიის

ავტოსადგომზე გავაჩერეთ მანქანა, დეილი ჩვენი მანქანის გარშემო დადიოდა და მომავალი მანქანა ვერ დაინახა. დეილს დავუყვირე და ვთხოვე ჩემსკენ გამოქცეულიყო. მადლობა ღმერთს, რომ მან დაუყოვნებელი რეაქციის საჭიროება იგრძნო ჩემს ხმაში და გამოიქცა. დეილისათვის დაყვირება ჩემი ჩვევა, რომ ყოფილიყო, დარწმუნებული ვარ სწრაფ რეაქციას არ ექნებოდა ადგილი.

კიდევ იყო ასეთი შემთხვევა. მე და დეილი კალათბურთს ვთამაშობდით მეგობრებთან. ისე გავერთეთ თამაშით, რომ ყველა ჩაგვითრია და დიდხანს გავვიგრძელდა. ცხადია დავივალეთ. დავითს ვილაცხა დაეჯახა და წააქცია. მუხლი უბრალოდ იტკინა, მაგრამ იმ მომენტში ასეთი პატარა ბავშვისათვის ასეთი ტკივილი აუტანელი აღმოჩნდა. დავითი ძალიან გაბრაზდა და არასასურველი ტონით მიმართა იმ პიროვნებას, რომელიც მას დაეჯახა. ეს მოვლენა დავითისათვის შეუფერებელ საქციელად მივიჩნიე, მაგრამ სწავლებისათვის კარგ მაგალითად.

ჯერ ერთი, დარწმუნებული ვიყავი, რომ დავითის ემოციური ავზი სავსე იყო. მან საკმარისი მონონება, თვალისა და ფიზიკური კონტაქტი მიიღო იმ შაბათ-კვირას. მეორე, ვთხოვე ჩემთან ერთად წამოსულიყო იმ ადგილას, სადაც მარტო შეგვეძლებოდა საუბარი. ის ისეთი გაბრაზებული იყო, რომ ჩემს თხოვნაზე რეაქცია არ გამოუხატავს. ახლა მჭირდებოდა ძალდატანება, მისი კონტროლის მიზნით. ძალდატანების მეორე ეტაპი არის პირდაპირი დირექტივა (ბრძანება). მკაცრი ხმით ვთქვი, 'დავით, წამოდი ჩემთან.' და დაუყოვნებელი რეაქციით მიპასუხა. როცა მარტონი ვიყავით და უკვე დავწყნარდით, იმაზე ვისაუბრეთ თუ როგორ ავიცილოთ შეუფერებელი სიბრაზე თავიდან. ეს ძალიან სასარგებლო დრო იყო დავითისათვის, რადგან მან ისწავლა შეუფერებელ სიბრაზეზე კონტროლი.

დავუშვათ დავითს ჩემი თხოვნისამებრ არ ემოქმედა და არ დანყნარებულიყო, ან მკაცრი ტონის მეშვეობითაც კი ვერ მიმეპყრო მისი ყურადღება. შემდეგი ეტაპი იქნებოდა მისი ისეთ ადგილზე გაყვანა, სადაც მარტო იქნებოდა. თუ ამას სიტყვიერად ვერ მივალწევდი, მაშინ ძალდატანების სხვა ეტაპზე უნდა გადავსულიყავი, და ფიზიკური ძალა

გამომეყენებინა. მაგრამ, ამ შემთხვევაშიც ყველაზე ნაკლებად უხეშ მეთოდს გამოვიყენებდი. ალბათ ხელით ნავეყვანდი, ან ხელს გადავხვევდი მხარზე და განამარტოვებელი ადგილისაკენ წავუძღვებოდი. რასაც მე 'თავაზიან ფიზიკურ მანიპულაციას' ვუწოდებ. მთავარი ის არის, რომ ბავშვის საქციელი გააკონტროლო ყველაზე თავაზიანი, ტაქტიანი და ყველაზე მოსიყვარულე გზით.

უპატივცემულობა

სავსებით შესაძლებელია, რომ დავითს არანაირი სიტყვიერი მიმართვისათვის არ ეპასუხა. მას შეეძლო უარი ეთქვა და ჩემი თხოვნა არ შეესრულებინა იმ სიტუაციაში. რაც შესაძლოა სურვილების გამარჯვებისათვის ბრძოლაში გადაზრდილიყო და რასაც შეიძლება უპატივცემულობა ვუწოდოთ.

უპატივცემულობა არის ავტორიტეტის უარყოფა და გამონვევა-მშობლის ავტორიტეტის. ეს ნიშნავს ჯიუტად დაუმორჩილებლობას. რა თქმა უნდა, უპატივცემულობა არ უნდა დაუშვას მშობელმა, ისევე როგორც ნებისმიერი სახის არასწორი საქციელი. ასეთ შემთხვევაში დასჯა გარდაუვალია, თუმცა ხანდახან არც ამას აქვს მნიშვნელობა, ასეთი რამ მაინც მოხდება. თუმცა, მშობლებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ ასეთი შემთხვევის თავიდან აცილების მიზნით-არა ბავშვის უმიზეზო სურვილებისა თუ ახირებების შესრულებით, არამედ გამუდმებით ამოწმებდნენ მიზანშეწონილი, ტაქტიანი, ბავშვის ასაკის, განვითარების დონისა და უნარისათვის შესაფერისი არის თუ არა მათი მოლოდინი. დიახ, დასჯის დრო მოვა, მაგრამ თუ მშობლები ხედავენ, რომ ხშირად სჯიან შვილებს, უმჯობესია ხელახლა გადაამოწმონ ბავშვთან ურთიერთობა და მოლოდინები.

თუმცა ბავშვის უპატივცემულობა ავტომატურად არ მოითხოვს დასჯას. არამედ, შეუფერებელ დროს ბავშვის დასჯა სიტუაციის გამწვავებას გამოიწვევს.

არასწორ დროს ხშირად დასჯა სამუდამოდ დაასვამს დაღს მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობას. მაგალითად, თუ არასწორი საქციელი გამონვეულია პასიურ-

აგრესიული ბუნებიდან, მაშინ დასჯა ბავშვში გამოიწვევს ანალოგიური საქციელის გართულებულ ფორმებს, მშობლების გასალიზიანებლად. რის შემდეგაც ბავშვის საქციელი გაუარესდება, მისი გამუდმებული დასჯის შედეგად. თუ ეს აზრი თქვენთვის სავსებით გასაგები არ არის, გთხოვთ ნაიკითხოთ თავი 'ბავშვის სიბრაზე'. შეუფერებელმა დასჯამ, განსაკუთრებით ფიზიკურმა სასჯელმა, ასეთ დროს შეიძლება მშობლები 'დასჯის მახეში' გააბას, როცა, რაც უფრო ხშირად სჯიან ბავშვს, მით უფრო უარესი ხდება მისი საქციელი.

ბრძენმა მშობლებმა შეიძლება თავი აარიდონ ბავშვის გამუდმებულ დასჯას, საბოლოო რესურსის გამოყენებით. მოსიყვარულე მშობელმა კი ბავშვის საქციელის კონტროლს შეიძლება პირველ რიგში მიმართოს თხოვნის, ახსნა-განმარტებისა და 'ფიზიკური მანიპულაციის' გზით. შემდეგ, მშობელმა შეიძლება მიმართოს თავაზიანი ტონით ბრძანებას. წარუმატებლობის შემთხვევაში, მშობელმა შეიძლება გამოიყენოს 'შესვენების' სკამი, სადაც ბავშვი მანამდე იჯდება, ვიდრე არ დამშვიდდება. ასეთი მიდგომა ხშირ შემთხვევაში ამართლებს. თუ მშობელმა ზემოთ აღნიშნული ყველა ხერხი თავაზიანად გამოიყენა ბავშვის საქციელის გაკონტროლების მიზნით, მაშინ მშობელს უფლება აქვს იფიქროს, რომ პასიურ-აგრესიულ მოვლენას არა აქვს ადგილი, და შეიძლება დასჯის ფორმა გამოვიყენოთ.

წარმოიდგინეთ, რომ ბავშვი აშკარად გამოხატავს უპატივცემულობას, და ეს უპატივცემულობა გამონვეული არ არის მისი ემოციური ავზის სიცარიელით, და ფიზიკურ პრობლემასაც არა აქვს ადგილი. იგი არ პასუხობს არც თხოვნებს, არც 'თავაზიან ფიზიკურ მანიპულაციას', არც ახსნა-განმარტებებს, არც ბრძანებებს (მკაცრ ინსტრუქციებს). მაინც უპატივცემულო რჩება (ნება მომეცით კიდევ ერთხელ ავლინიშნო, რომ ასეთ შემთხვევებს ძალიან იშვიათად შეხვდებით: მაგრამ თუ არსებობს, პირველ რიგში დარწმუნდი, რომ ყველაფერი გააკეთე ვიდრე დასჯას შეუდგებოდე). ის უნდა დაისაჯოს, მაგრამ როგორ?

შესაფერისი დასჯა

შესაფერისი დასჯა არც ისე ადვილია. რატომ? სასჯელი უნდა შეეფერებოდეს დანაშაულს. ბავშვი მეტად მგრძნობიარეა დასჯის სამართლიანობისა და სიხშირისადმი. მან იცის, როდის გამოავლინეს მშობლებმა გადაჭარბებული რეაქცია და როდის იყვნენ მასთან ძალიან უხეშები. მან ისიც იცის, როდის იღებენ მშობლები მის ცუდ საქციელს. ის გრძნობს არათანმიმდევრულობას, განსაკუთრებით დაძმებთან მიმართებაში. ამ მიზეზის გამო უნდა იყვნენ მშობლები შვილებისადმი მომთხოვნნი, ყოველთვის მოითხოვდნენ შესაფერისი საქციელს და არ ეშინოდეთ სიყვარულისა და დისციპლინის (წვრთნის) ერთდროულად გამოვლენის.

მშობლებიც უშვებენ შეცდომებს. თუ თვლით, რომ მშობლებმა არ უნდა შეცვალონ გადანყვეტილებები დისციპლინის გატარებისას, მაშინ საკუთარ თავს კუთხეში მიიმწყვდევთ. რა თქმა უნდა, მშობლებმა შეიძლება შეცვალონ გადანყვეტილებები, და შეამსუბუქონ ან გაამკაცრონ სასჯელი. (გახსოვდეთ, რომ ფიზიკურ დასჯას ეს უპირატესობა არ ახასიათებს, რაც მოხდა ველარ შეცვლი.)

როგორც წესი, მშობლები ხშირად არ ცვლიან გადანყვეტილებებს, რაც ბავშვის დაბნეულობას იწვევს. მაგალითად, თუ ბავშვი დასჯილია-მაგალითად ერთი საათით საძინებელში ყოფნა მიუსაჯეს, და მოგვიანებით მშობლებმა სიმართლე აღმოაჩინეს და მიხვდნენ, რომ საჯელი მკაცრია, მაშინ ლოგიკურია მშობელმა ბავშვს აუხსნას ვითარება და სასჯელი შეუმსუბუქოს. თუ ბავშვი უკვე დასჯილია ან სხვაგვარი ფორმით იტანჯა შეუფერებელი სასჯელისათვის, სრულიად ნორმალურია, რომ მშობლებმა ბავშვს ბოდიში მოუხადონ და მდგომარეობა გამოასწორონ.

მშობლები მოქნილები უნდა იყვნენ ბავშვთან დამოკიდებულებების ცვლილებისას, საჭიროების შემთხვევაში. მშობლებს ანალოგიური თვისება უნდა ახასიათებდეთ ბავშვთან ბოდიშის მოხდისას. ხანდახან გადანყვეტილებებისა და ბოდიშის მოხდის საჭიროება ყოველ ოჯახში არსებობს.

დისციპლინას (წვრთნას) საკადრისად, რომ გაართვა თავი, უნდა იცოდეთ, რომ მოქნილობა და სიმტკიცე ორი

სრულიად ერთმანეთისაგან განსხვავებული საკითხია. ორივე მნიშვნელოვანია. სიმტკიცე პირველ რიგში მოიცავს იმას, თუ რას მოველით ბავშვისაგან ჩვენი მოთხოვნების საპასუხოდ. თუ ჩვენი მოლოდინი გადაჭარბებულია (მაგალითად, მოელი, რომ ორი წლის ბავშვი პირველივე თხოვნას უპასუხებს), არაზომიერნი ვართ. ორი წლის ასაკის ბავშვი ბუნებრივად ნეგატიურ დამოკიდებულებას იჩენს უმეტეს შემთხვევაში და საკმაოდ დაუმორჩილებელი და უპატივცემულო ჩანს. მაგრამ განვითარების ეს საფეხური ნორმალურია-მოდი ამას ვუნოდოთ 'ორი წლის ასაკის ნეგატივიზმი'. რომლის დასჯაც საფუძველს მოკლებულია. ორი წლის ბავშვის მშობელი, რა თქმა უნდა სიმტკიცეს გამოიჩენს, მაგრამ *შეზღუდულ ფარგლებში*, და არა დასჯის კუთხით. მისი მშობლები ბავშვის საქციელს გააკონტროლებენ თავაზიანი ფიზიკური შეხებით, მაგალითად, ხელში აიყვანენ, მოაბრუნებენ, წინ გაუძღვებიან, ან დასვამენ სწორ ადგილასა და პოზიციაში-'თავაზიანი ფიზიკური მანიპულაცია'.

ეს 'ორი წლის ასაკის ნეგატივიზმი' მნიშვნელოვანია ბავშვის განვითარებისთვის. ბავშვი ბოლოს იმას გააკეთებს რასაც ვეცხვით, მაგრამ მან პირველ რიგში უნდა გვითხრას 'არა'. ეს ერთ-ერთი ის გზაა, თუ როგორ უნდა გამოვეყოთ ჩვენს მშობლებს ფსიქოლოგიურად. ეს შეიძლება უპატივცემულობად ჩანდეს მაგრამ გამორჩეული განსხვავებულობაა. ორი წლის ასაკის ნეგატივიზმის მდგომარეობასა და უპატივცემულობას შორის განსხვავება ომის მდგომარეობაა. ორი წლის ასაკის ნეგატივიზმი ნორმალურია და არ უნდა დაისაჯოს. მაშინ როცა, უპატივცემულობის შეწყნარება შეუძლებელია და სასწრაფოდ უნდა მივიღოთ ზომები. ორი წლის ასაკის ნეგატივიზმი შეიძლება ნებისმიერ ასაკში შეგვხვდეს ხანდახან შემთხვევითობის საფუძველზე.

რაც უფრო იზრდება ბავშვი, მით უფრო იზრდება სიტყვიერ თხოვნებზე პასუხის უნარი, და როცა უკვე ოთხი წლის და ექვსი თვის ასაკშია (ეს შეიძლება სხვაგვარად იყოს სხვადასხვა ბავშვისათვის), მშობლები უნდა მოელოდნენ მისგან თხოვნაზე პასუხს. ჩემი ბავშვებისაგან პირველივე თხოვნაზე მოველოდი რეაგირებას. წინააღმდეგ შემთხვევაში იცოდნენ, რომ ამას

მოქმედება მოჰყვებოდა. რა თქმა უნდა, მათ უფლება ჰქონდათ თხოვნაზე საკუთარი აზრი გამოეთქვათ ან თუ რაიმე შეკითხვა ჰქონდათ დავალების შესახებ. მაგრამ, ვიდრე თხოვნას არ შევცვლიდი იცოდნენ, რომ ის უნდა შეესრულებინათ.

ძალიან მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ სიმტკიცე არ ნიშნავს უხეშობას. უცვლელნი უნდა ვიყოთ მოლოდინისადმი მაგრამ არა მოძალადენი, ანალოგიურად შედეგიანი იქნება ჩვენი თავაზიანი თხოვნის შედეგი. სიყვარულით გამსჭვალული სიმტკიცე არ მოითხოვს სიბრაზეს, ყვირილს, ძალაუფლების გამოვლენას, ან სხვა რაიმე ფორმით უხეშობას.

ყველა ბავშვს სჭირდება ერთდროულად სიყვარულის განცდა. მას სჭირდება თვალისა და ფიზიკური კონტაქტი, ფოკუსირებული ყურადღება, და ამავდროულად დისციპლინა. ბავშვმა მშობლის სიყვარული და სიმტკიცე ერთდროულად უნდა განიცადოს. არც ერთი მათგანი არ გამორიცხავს ერთმანეთს. სიმტკიცე არ გულისხმობს სიყვარულის სანინააღმდეგოს. ნაზი სიყვარულის გამოხატვა არ ამცირებს სიმტკიცეს და თავნებობას არ უწყობს ხელს. *სიმტკიცის ნაკლებობა წარმოშობს თავნებობას, მაგრამ არა სიყვარული და მოფერება.*

როცა მშობლები შეგნებულად ეკიდებიან ბავშვის სიყვარულსა და ყველა ზემოთ ჩამოთვლილ საჭიროებებს და ბავშვი მაინც შეგნებულად უპატივცემულო რჩება, მშობლებმა აუცილებლად უნდა დასაჯონ იგი. ანალოგიური უპატივცემულობა უნდა დაიმსხვრეს მასში. სასჯელი იმდენად მკაცრი უნდა იყოს, რომ ბოლო უნდა მოეღოს ამ პრობლემას, მაგრამ ისეთი რბილი, რომ ზემოთ აღნიშნული პრობლემების განვითარებას არ შეუწყოს ხელი. თუ ახსნა-განმარტება საკმარისი აღმოჩნდა ბავშვის ცვლილებისათვის, მაშინ რატომ უნდა დაისაჯოს? თუ ბავშვის მცირე ხნით ოთახში გაგზავნა უშველის საქმეს, ხომ კარგი. თუ ბავშვს რაიმე უპირატესობის ჩამორთმევა დაეხმარება ამ ხასიათის ცვლილებაში, ჩამოართვით. მოდი თვალი გავუსწოროთ სიმართლეს, ხანდახან ფიზიკური დასჯა აუცილებელია ასეთ შემთხვევაში, მაგრამ როგორც ბოლო რესურსი.

დასჯის შემთხვევაში წავანყდებით ერთ პრობლემას, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ერთი ბავშვისათვის რაც დასჯას ნიშნავს, მეორესათვის უმნიშვნელოა. მაგალითად, ჩემი ერთი ბიჭი უფრო მგრძობიარე იყო ვიდრე მეორე. მისთვის ყველაზე მკაცრი განაჩენი იყო საძინებელში გაგზავნა. უარყოფის ეს ფორმა მისთვის ფიზიკურ დასჯაზე უარესი იყო. მაშინ როცა, მეორე ბიჭისათვის არაფერს არ ნიშნავდა საძინებელში გამოკეტვა. ყოველი ბავშვი უნიკალურია.

დასჯისას კიდეც ერთ პრობლემას აქვს ადგილი, რაც იმ მომენტში მშობლების განცდებზეა დამოკიდებული. როცა მშობელი კარგ და ამალღებულ ხასიათზეა, სასჯელი იმაზე მსუბუქი იქნება ვიდრე მაშინ, თუ მშობელი უხასიათოდაა. რა თქმა უნდა ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს არათანაბარ დისციპლინას, რაც ნეგატიურ გავლენას ახდენს ბავშვზე. ამ მიზეზის გამო, მშობლებს ვურჩევ ისაუბრონ ერთმანეთთან ან მეგობართან და გადაწყვიტონ ყოველი ბავშვის თანაბრად დასჯა ერთიდაიგივე სიტუაციაში. რა თქმა უნდა, გადანყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს მაშინ, როცა მშობელი დანყნარებულია, და სიტუაციის ჯანსაღად განსჯის ძალა შესწევს.

ფრთხილად

ფიზიკური სასჯელის გამოყენებისას რამოდენიმე ასპექტი უნდა გავითვალისწინოთ. პირველი, ბავშვმა ზუსტად უნდა გაიგოს დასჯის მიზეზი. მისთვის გასაგები ენით აუხსენი რატომ არის დასჯილი. ისეთი სიტყვების გამოყენებამ, როგორცაა 'ცუდი გოგო,' ან 'ცუდი ბიჭი' შეიძლება ბავშვის თვითშეფასების განცდა დააზიანოს, რის გამოც თავი უნდა ავარიდოთ ასეთი სიტყვების გამოყენებას.

მეორე, მშობლებმა უნდა იფრთხილონ რაიმე ფიზიკური ზიანი არ მიაყენონ ბავშვებს. მაგალითად, ადვილია თითის ან სხეულის სხვა ნაწილის დაზიანება.

მესამე, როცა ბავშვი დასჯის შემდეგ ტირის, მარტო უნდა დატოვოთ. მშობლები სადღაც ახლოს უნდა იყვნენ, ისე რომ

გაიგონ ტირილის შეწყვეტა. როცა ბავშვი ტირილს წყვეტს და აქეთ-იქით იხედება, კვლავ გვაძლევს კითხვას, 'გვიყვარვარ? კიდევ გვიყვარვარ?' ამის შემდეგ მშობლებმა შვილს ხშირად უნდა შეხედონ თვალებში და დაუჩინებთ უცქირონ, რათა ბავშვი დაარწმუნონ, რომ ის მართლა უყვართ.

ყოფაქცევის სახეცვლილება

ბოლოს, მიზანშეწონილად ვთვლი *ყოფაქცევის სახეცვლილების* შესახებ მსჯელობას. ეს სისტემა დღეს ფართოდ არის გამოყენებული ბავშვებთან ურთიერთობაში. ყოფაქცევის სახეცვლილება სასარგებლოა პოზიტიური გავლენის შემოსატანად (ბავშვის სამყაროში სასარგებლო გარემოს შემოჭრა), უარყოფითი გავლენის შემოჭრა (ბავშვის სამყაროდან პოზიტიური გავლენის სფეროს განდევნა), და დასჯა (ნეგატიური გავლენის შემოტანა ბავშვის სამყაროში). ბავშვის სამყაროს პოზიტიურით შევსების კარგი მაგალითია კარგი საქციელის გამო ბავშვის ტკბილეულით ან ხილით დაჯილდოვება. უარყოფითის მაგალითია, ცუდი საქციელის გამო ბავშვისათვის ტელევიზორის ყურების აკრძალვა. დასჯის მაგალითია (ხანდახან მას უგულო ტექნიკასაც უწოდებენ), შეუფერებელი საქციელის გამო საჯდომზე მორტყმა.

ამ საკითხზე უფრო ღრმად საუბარი წიგნის მთავარ აზრს სცდება. თუმცა რამოდენიმე მნიშვნელოვან საკითხს მაინც უნდა შევეხოთ.

პირველ რიგში, ყოფაქცევის სახეცვლილების შესახებ ხაზგასმით ავლნიშნე, რომ ასეთი ტექნიკა ხშირად გამოიყენება ემოციური აღზრდის ჩანაცვლების მიზნით. თუ მშობლების მიერ ყოფაქცევის სახეცვლილება გადაჭარბებით არის გამოყენებული, მაშინ ბავშვი უპირობო სიყვარულს ვერ იგრძნობს. რატომ? პირველ რიგში იმიტომ, რომ ყოფაქცევის სახეცვლილების საფუძველი არის პირობითი. ბავშვი მხოლოდ მაშინ მიიღებს ჯილდოს თუ *კარგად იქცევა*. მეორე, ყოფაქცევის სახეცვლილებას კავშირი არ აქვს ბავშვის გრძნობებთან ან ემოციურ საჭიროებებთან (სიყვარულთან). რის გამოც, მშობლებს, რომლებიც ყოფაქცევის სახეცვლილებას ბავშვთან

ურთიერთობის მთავარ გზად იყენებენ, უპირობო სიყვარულის გადმოცემა არ შეუძლიათ.

გაიხსენეთ დეილის ემოციური ავზის ავსების შესახებ ბოლო თავში მოყვანილი მაგალითი, მისი შეუფერებელი საქციელისას ჩემი სამდღიანი არყოფნის შემდეგ. სიმკაცრის მომხრე იტყოდა, რომ დავითი დავაჯილდოვე მცდარი საქციელის გამო. ხედავთ განსხვავებას? მშობლებს არ შეუძლიათ ბავშვთან დაკავშირებული ყოფაქცევის სახეცვლილება ერთადერთ გზად გამოიყენონ და უპირობოდ უყვარდეთ თავისი შვილი.

ბავშვთან ყოფაქცევის სახეცვლილების ძირითადი გზით დამოკიდებულებისას კიდევ ერთ პრობლემას ვაწყდებით, ბავშვში ფასეულობის შეუფერებელი სისტემის განვითარებას. ის ისწავლის საქმის გაკეთებას დაჯილდოვების მიზნით. 'რა' სარგებელი მექნება მე ამაში? ასეთი დამოკიდებულება გამოუმუშავდება ბავშვს. ამის კარგი მაგალითი მოხდა ჩემი მეგობრის ოჯახში. ის მკაცრად აღზრდის სისტემის მომხრეა და ბავშვებსაც ისე მკაცრად ზრდიდა როგორც შეეძლო. ერთ საღამოს, მათთან ვახშობისას მან თქვა, 'ჯერი სამი წლისაა და უკვე ასამდე შეუძლია დათვლა. შეხედეთ.' მამა შვილთან მივიდა და უთხრა, 'ჯერი დათვალე ასამდე და ტკბილეულს მოგცემ.' ჯერიმ მყისვე უპასუხა, 'არ მინდა ტკბილეული.' თუ გვსურს, რომ ბავშვმა საქმის კეთების სიამოვნებისათვის ან კარგად გაკეთების შედეგად სიამაყის დაუფლებისათვის გააკეთოს რამე, ყოფაქცევის სახეცვლილება არ უნდა გამოვიყენოთ. რომლის საბოლოო შედეგიც შეუფერებელი მოტივაციაა.

ყოფაქცევის სახეცვლილების კიდევ ერთი უარყოფითი გავლენა არსებობს. თუ მშობლები გადაჭარბებით მიმართავენ ამ ხერხს, მაშინ ბავშვი მშობლებთან იგივე ხერხის გამოყენებით სასურველი მოთხოვნის მიღწევას სწავლობს. ის მშობლებისათვის სასურველ საქციელს იყენებს იმის მისაღებად რაც მას სურს. ადამიანების უმეტესობა ამას მანიპილაციას უწოდებს. თუ გსურთ დარწმუნდეთ, რომ თქვენი შვილი ცბიერი და მანიპულატორი გახდა, ამისათვის ყველაზე საუკეთესო გზა, ყოფაქცევის მოდიფიკაციის ტექნიკის ხშირად გამოყენებაა.

უკვე მიმოვიხილე ამ საკითხის ნეგატიური მხარე, ახლა ნება მომეცით პოზიტიურ შედეგებსაც შევეხო. ასეთი ტექნიკის გამოყენებას ადგილი აქვს ბავშვის აღზრდაში, მაგრამ ეს არ უნდა გამოვიყენოთ როგორც ძირითადი გზა (ძირითადი გზა უნდა იყოს უპირობო სიყვარული).

ყოფაქცევის სახეცვლილება უნდა გამოვიყენოთ განსაკუთრებული, არასასურველი სიტუაციის ხშირად განმეორებისას, როცა ბავშვი არც სწუხს და არც ნანობს. ანალოგიური პრობლემა იმდენად სპეციფიურია, რომ მისი გამოცნობა არ გაგვიჭირდება და ბავშვიც კარგად ხედავს ვითარებას.

ანალოგიურ პრობლემასთან დაკავშირებით ასეთ შემთხვევას ჰქონდა ჩვენს ოჯახში ადგილი. როცა ჩვენი ორი ბიჭი ცხრა და ხუთი წლის ასაკში იყვნენ, ხშირად ჩხუბობდნენ ერთმანეთში. რა თქმა უნდა არც ერთი არ ნანობდა დანაშაულს. არც ერთი არ იხდიდა ბოდიშს. თხოვნა არ ჭრიდა. ბრძანებას მხოლოდ რამოდენიმე საათით ჰქონდა შედეგი. დასჯას მოკლე დროის ეფექტი ჰქონდა და ყველასათვის არასასიამოვნო იყო. იცით რა მოქმედებდა? შეიძლება უკვე გამოიცანით, დაჯილდოვების სისტემა.

ვარსკვლავების სისტემის აღსანიშნავად გამოვიყენებ დაფა. ერთი ვარსკვლავი ყოველ თხუთმეტწუთიანი მშვიდობისათვის, ნელ-ნელა დროის ინტერვალი იზრდებოდა, ვიდრე ჩხუბი არ შეწყდებოდა. თითოეულ ბავშვს ვარსკვლავების რაოდენობის შესაბამის საჩუქარს გადავცემდით. როგორც ჩანს შესანიშნავი ეფექტი ჰქონდა ასეთ მეთოდს და 'მშვიდობა გვქონდა მოედანზე.'

თუმცა, მაინც მინდა ერთი გამაფრთხილებელი სიტყვა ვთქვა ასეთი ტექნიკის გამოყენებაზე. ეს მოითხოვს თანმიმდევრულობას, ნამდვილ ძალისხმევასა და შეუპოვრობას. წინააღმდეგ შემთხვევაში წარმატებას ვერ მიაღწევთ.

უამრავი წიგნი არსებობს ყოფაქცევის სახეცვლილების ტექნიკის შესახებ, რომლებიც სასარგებლო დახმარებას გაგინევენ საკითხის დანვრილებით შესწავლაში.

ეს თავი საკმაოდ გრძელი გამოგვივიდა, მაგრამ კიდევ ერთი რამ უნდა ავლიწხო. როგორც მიხვდით, ბავშვის კარგად

აღზრდა მოითხოვს ბალანსს. ბავშვს ყველაფერი სჭირდება რაც კი განვიხილეთ; თვალთ კონტაქტი, ფიზიკური კონტაქტი, ფოკუსირებული ყურადღება, დისციპლინა, თხოვნა, სიმტკიცე, მოქნილობა, ბრძანება, მიტევება, წინამძღოლობა, დასჯა, ყოფაქცევის სახეცვლილება, ინსტრუქცია, მაგალითი, და აქტიური მოსმენა. მაგრამ ეს ყველაფერი ზომიერად უნდა მივანოდოთ. ვისურვებდი, რომ ეს დისკუსია დაგეხმაროთ საქმის ისე წარმართვაში, რომ თქვენმა შვილმა იგრძნოს უპირობო სიყვარული.

12

განსაკუთრებული პრობლემის ბავშვები

რატომ არის, რომ განსაკუთრებულ პრობლემებს, დიაბეტს, სწავლაში უუნარობას, სიყრუეს, ზედმეტ აქტიურობას, ან გონებრივ აშლილობას, როგორც წესი დიდი ემოციური და ქცევის პრობლემები ახასიათებს? ამ კითხვაზე პასუხი მეტად კომპლექსურია. თუ რატომ აქვს ადგილი ასეთ ბავშვებში ემოციურ და ქცევით მოუწესრიგებლობას, ამ წიგნში ამაზე პასუხის გაცემა შეუძლებელია.

თუმცა, რამოდენიმე შესაფერისი შენიშვნის გაკეთება სასარგებლო იქნება ასეთი ბავშვების მშობლებისათვის. ზოგიერთი ფაქტი ბავშვისადმი სიყვარულის გამოხატვის საკითხთან ახლო კავშირშია.

აღქმის პრობლემები

მოდით, პირველად განვიხილოთ აღქმის პრობლემების საერთო სფერო. აღქმის განსაზღვრება არც ისე ადვილია, მაგრამ მაინც ვცადოთ. ეს შეიძლება გულისხმობდეს ინფორმაციის გაგებას ან გონებაში მგრძნობელობით მის შეტანას, როცა გონებრივი სირთულეების ბავშვებს ექმნებათ ინფორმაციის გარე სამყაროდან გონებაში შეტანისა და გარდაქმნის პრობლემები. შედეგად, როცა მხედველობით, ხმის ან შეხების

აღქმასთან გვაქვს საქმე, ბავშვები აწყდებიან სირთულეებს. მათ მიერ სამყაროს აღქმა გაძნელებულია იმ სფეროში სადაც მათ აღქმას უჭირს.

აღქმის პრობლემების ფართო, მაგრამ მარტივი განმარტება მრავალ განსაკუთრებულ პრობლემას მოიცავს. მხედველობისა და სმენის პრობლემები, ნევროლოგიური დაავადებები სწავლის უუნარობას იწვევს: ნებისმიერ ბავშვს, რომელიც ამ დაავადებებიდან ერთ-ერთით იტანჯება, არასწორი წარმოდგენა აქვს გარე სამყაროზე. ერთი ან რამოდენიმე გზით მასში შემავალი ინფორმაცია დამახინჯებულია.

ხედავთ თუ არა აღქმის უუნარობის მიღმა არსებულ უდიდეს საჭიროებას? ასეთ ბავშვთან სიყვარულის გამომჟღავნება მოითხოვს არა მხოლოდ ერთი აღქმითი გრძნობის, არამედ მეტიც გამოყენებას. თვალთ კონტაქტი მოითხოვს აღქმის ვიზუალურ სახეს. ფიზიკური კონტაქტი მოითხოვს შეხების განცდის გამოყენებას, რაც უკვე თავისთავად კომპლექსურია. ფოკუსირებული ყურადღება მოითხოვს თქვენი ყველა გრძნობის გამოყენებას. თუ ამ სფეროში ბავშვის აღქმა საკმაოდ გამრუდებულია, თქვენს სიყვარულზე მისი წარმოდგენაც ასეთივე იქნება. რაც ართულებს თქვენს მიერ ამ განსაკუთრებული ბავშვისადმი სიყვარულის გამოხატვას.

ბავშვისაგან სიყვარულის აღქმის სირთულე არის ერთ-ერთი დიდი მიზეზი იმისა, რომ აღქმის სფეროში გაუნონასწორებელი ბავშვები უფრო ნაკლებად ფლობენ თვით შეფასების უნარს. ამ მიზეზის გამო, ასაკობრივ ზრდასთან ერთად უფრო დებრესიულები ხდებიან, და ხშირად მწვავე ემოციურ დაქცევით აშლილობას აქვს ადგილი, განსაკუთრებით ყმანვილობის წინა პერიოდში.

ჩვეულებრივ სუსტი აღქმის უნარის მქონე ბავშვები სწავლისას დაბალ ნიშნებს იღებენ და სხვა ნებისმიერ საქმეშიც ჩამორჩებიან თანატოლებს. ან ცუდ ნიშნებზე სწავლობენ ან იძულებულნი არიან დეგრადირების გზა გაიარონ. შეფასების სისტემის გარდა სხვა სიტუაციებშიც განიცდიან უკმარისობის გრძნობას. ყმანვილობამდელ ასაკსა და ადრეულ ყმანვილობაში საშინელ დებრესიას განიცდიან. ამ ასაკში დებრესია ისეთი რთულია, როგორც არასდროს. როგორც წესი ეს ბავშვები

დეპრესიას მანამდე არ ამჟღავნებენ, ვიდრე ეს დეპრესია უკიდურეს ზომას არ მიაღწევს. როგორც ყველა თინეიჯერი, დეპრესიას გაკვეთილის მიმდინარეობისას უყურადღებობაში ავლენენ (ყურადღებისა და კონცენტრაციის ნაკლებობა) რის შედეგადაც შეფასებაში მოიკოჭლებენ. შედეგად, მონყენილობა გრძელდება და ასეთი ბავშვები ნებისმიერი ღონისძიებისადმი კარგავენ ინტერესს. ისინი არც სცენაზე გამოსვლისას გამოიჩინებენ დიდი წარმატებით.

თუ მონყენილობა კარგა ხანს გაგრძელდა, თინეიჯერი დეპრესიიდანდამონყენილობიდანმოქმედებს. დეპრესირებული და მონყენილი გოგონა შეიძლება სექსუალურად თავისუფალი გახდეს, ნარკოტიკების მოხმარებას მიჰყოს ხელი, სახლიდან გაიქცეს, ან სხვა რაიმე ასოციალურ ქმედებაში ჩაებას. ანალოგიურ სიტუაციაში ბიჭებმაც შეიძლება იგივე საქციელს მიმართონ, მაგრამ უმეტესად ქურდობითა და ჩხუბით გამოიჩინებენ.

რომ გვცოდნოდა, რომ სუსტი ალქმის ბავშვებს დეპრესიისაკენ აქვთ მიდრეკილება და ფიქრობენ, რომ არ უყვართ და არ აღიარებენ, როგორ დავეხმარებოდით მათ? დარწმუნებული ვარ, რომ ყველაზე მეტად მათ დახმარება სჭირდებათ იმ გაგებით, რასაც საზოგადოება ნაკლებად აფასებს. სწორად გამოიცანით, ასეთ ბავშვებს ყველაზე მეტად სჭირდებათ ჩემს მიერ ზემოთ აღნიშნული დამოკიდებულებები, რათა გრძნობდნენ ნამდვილ, უპირობო სიყვარულს. მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებენ ისინი საკუთარი ძალების განონასწორებას.

როგორ შევძლებთ ამის გაკეთებას? ზუსტად ისე, როგორც სხვა ბავშვების მიმართ გამოვხატავთ სიყვარულს, მხოლოდ ერთი გამონაკლისი უნდა გვახსოვდეს, რომ ზოგიერთ საკითხში მათი ალქმის უნარი გამრუდებულია, ხანდახან არასწორი წარმოდგენა აქვთ სექსუალურ გრძნობებზე. ასეთ ბავშვებს უფრო მეტად სჭირდებათ მოფერებით სიყვარულის გამოხატვა და სიყვარულის სხვა ფორმები, რათა გრძნობდნენ რომ უყვართ. დამატებით, მათ ჩვენგან უფრო პირდაპირი, მარტივი, ზუსტი, და მკვეთრად გამოხატული სიყვარულის მიცემა სჭირდებათ. ხანდახან უფრო ინტენსიური გზებით უნდა გამოვხატავდეთ

სიყვარულს მათ მიმართ. ეს ყველაფერი იმისათვისაა საჭირო, რომ ამ ბავშვებმა სწორად გაიგონ ჩვენი სიყვარული. ასეთ ბავშვებთან მიმართებაში ცხადად უნდა გამოვკვეთოთ ჩვენი სიყვარულის სახე.

სხვა სამედიცინო პრობლემები

ქრონიკული დაავადებების მქონე ბავშვები მიდრეკილნი არიან ემოციური და ქცევითი აშლილობისაკენ. ეს განსაკუთრებით სწორია ისეთ შემთხვევებში, როცა ბავშვებს გამუდმებული ყურადღება და მოვლა სჭირდებათ, მაგალითად ბავშვთა დიაბეტისას. ასეთი ბავშვების მოვლა უდიდეს დროსა და ენერგიას მოითხოვს მშობლებისაგან. შეუძლებელია, რომ ერთმა ადამიანმა მთელი თავისი დრო არ დაუთმოს ასეთ ბავშვს. აი, რა ხდება ასეთი ბავშვების უმეტესობის ემოციური საჭიროებების დაკმაყოფილების შემთხვევაში. მზრუნველი მშობლები იმდენად დაკავებულნი არიან, მაგალითად, სწორი რაოდენობის ინსულინის მიცემა, დიეტის დაცვა, დიაბეტის სინჯის ასაღებად სიარული, და ასე შემდეგ, რომ ამდაგვარი აუცილებელი პროცედურები ანაცვლებენ სიყვარულის ბუნებრივად მიწოდებას. მიუხედავად იმისა, რომ ეს ყველაფერი მნიშვნელოვანია, თვალისა და ფიზიკურ კონტაქტს, ფოკუსირებულ ყურადღებას მაინც ვერ ანაცვლებს. როგორც კი ბავშვები იზრდებიან, განსაკუთრებით სიყმაწვილის ასაკში, უკიდურესად ბრაზიანები, ყველაფრის უარმყოფელები და გამწარებულნი არიან ავადმყოფობის გამო. სამედიცინო მზრუნველობით სიყვარულის ჩანაცვლების გამო, ბავშვები გაბრაზებულნი არიან ავადმყოფობაზეც და მშობლებზეც. ისინი შურიანები და უტიფარნი არიან, არა მხოლოდ მშობლების ავტორიტეტის, არამედ ნებისმიერი ავტორიტეტის მიმართ. მიდრეკილნი არიან დეპრესიისა და მისი შედეგებით ცხოვრებისაკენ. ყველაზე უარესი რაც არის, ავადმყოფობის სერიოზულობას მშობლების გამოსანვევად, სიბრაზისა და იმედგაცრუების გამოსახატავად იყენებენ. რასაც შეიძლება გამოხატავდნენ ინსულინის მიღებით, კარბოჰიდრატების ბევრი ჭამით, და

ასე შემდეგ. ზოგიერთები, ბრაზის გამონვევის მიზნით, თვითმკვლევლობით ასრულებენ სიცოცხლეს.

რა თქმა უნდა, ამ კომპლექსურ ავადმყოფობაში სხვა მიზეზებიც არსებობს, რაც ხელს უწყობს ახალგაზრდა პაციენტებში მწარე და გამანადგურებელი თვისებების განვითარებას. ჩემის აზრით, არსებობს ორი პრინციპული მიზეზი იმისა, თუ რატომ მოქმედებენ ეს ბავშვები ასეთი წინააღმდეგობითა და უპატივცემულობით. პირველი, როგორც უკვე განვიხილეთ, სამედიცინო დახმარების განვითარების სიყვარულის ჩანაცვლებაა მეორე, მშობლების მიერ არასაკმარისი შეზღუდვები და საქციელის კონტროლი. მშობლებს შეიძლება ეცოდებათ ბავშვები ამ ავადმყოფობის გამო. შეიძლება ისინი თვითონ იმყოფებიან დანაშაულის, შიშისა და დეპრესიის ქვეშ. თუ მშობლებს არ შეუძლიათ ამ ბავშვების საქციელის გაკონტროლება ისე, როგორც სხვა დანარჩენების, მაგალითად სიმტკიცით, ბავშვებს შეუძლიათ მანიპულაცია მოახდინონ მშობლებზე. ეს განსაკუთრებით ადვილია ქრონიკულად ავადმყოფი ბავშვებისათვის. მათ შეიძლება ავადმყოფობა მშობლების გაკონტროლების მიზნით გამოიყენონ და ისარგებლონ მათი დანაშაულისა და სიბრალულის შეგრძნებით, და დააშინონ ავადმყოფობის გაუარესებითა და მისი მომაკვდინებელი შედეგებით.

ასეთ შემთხვევას შეიძლება გარკვეულ დონეზე ნებისმიერ ბავშვთან ჰქონდეს ადგილი, ხანგრძლივი ავადმყოფობის ან სხვა ანალოგიური პრობლემების შემთხვევაში. ეს მაგალითი მოიცავს ასთმას, ქრონიკულ ბრონქებს, გულყრას, ნევროლოგიურ აშლილობას, გონებრივ შეზღუდულობას, კბილის ტკივილსა და სწავლაში სისუსტეს. ეს სია უსასრულოდ გრძელდება.

ასე რომ, ძვირფასო მშობლებო, თუ თქვენს შვილს რაიმე კუთხით ქრონიკული პრობლემა აქვს, ისე ძალიან ნუ ჩაგითრევთ ეს პრობლემა, რომ ბავშვი უგულვებელყოთ. მას უპირობო სიყვარული ყველაფერზე მეტად სჭირდება. უფრო მეტად ვიდრე კერძო მასწავლებლებთან სიარული ან სხვა აკადემიური დახმარებები, უფრო მეტად ვიდრე ვარჯიშები, და უფრო მეტად ვიდრე ნებისმიერი წამალი. თქვენი შვილის

ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ინგრედიენტი ხართ თქვენ და თქვენს მიერ გამოიმყვანებული უპირობო სიყვარული. რომლის მეშვეობითაც თქვენი შვილი გადალახავს სიძნელეებს, პრობლემიდან გამოვა და განვითარებას გააგრძელებს.

მონინალმდეგე ბავშვი

ახლა, დავეხმაროთ ისეთ ბავშვებს, რომლებიც წინააღმდეგობას გამოხატავენ სიყვარულის მიღებისას. დიახ, გჯერათ თუ არა, რომ ბევრი ბავშვია ბუნებრივად სიყვარულისა და მოფერების მიღების წინააღმდეგი. ისინი უარს ამბობენ თვალთ კონტაქტზე, არ უნდათ რომ შეეხონ, და მათთვის მნიშვნელობა არა აქვს ფოკუსირებულ ყურადღებას.

რაც სხვადასხვაგვარად შეიძლება გამოვლინდეს. ზოგიერთი ბავშვი მცირედ წინააღმდეგობას გამოხატავს, მაშინ როცა ზოგიერთები საკმაოდ არაკომფორტულად გრძნობენ თავს სიყვარულის მისაღებად. ზოგიერთი ბავშვი შეიძლება კომფორტულად გრძნობდეს თავს სიყვარულის ერთი კუთხით გამოხატვის მისაღებად და არა მეორე შემთხვევაში. ყოველი ბავშვი უნიკალურია.

მონინალმდეგე ბავშვი მუდამ გამოცანად რჩება მშობლებისათვის. მზრუნველი მშობლები ინსტინქტურად გრძნობენ, რომ მათ შვილს სიყვარული და სხვა ფორმის ემოციური აღზრდა სჭირდება; მაგრამ, როცა ისინი ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებას ცდილობენ, ბავშვი უამრავ გზას პოულობს სიყვარულზე უარის სათქმელად. როგორი პრობლემაა. მრავალი მშობელი უკან იხევს და ასკვნის 'დაე ისე იყოს როგორც ბავშვს სურს.' ისინი ფიქრობენ, რომ ბავშვს არ უნდა მათი ყურადღება, სიყვარული, და მონონება. ეს საშინელი შეცდომაა.

ექსტრემალურად მონინალმდეგე ბავშვსაც კი სჭირდება ის ყველაფერი, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ უპირობო სიყვარულის შესახებ. მაგრამ, რადგან მის მისაღებად თავს კომფორტულად ვერ გრძნობს, მშობლებმა უნდა ვასწავლოთ მას ნელ-ნელა ისწავლოს სიყვარულის მიღება.

ახლა, უნდა ჩავწვდეთ იმ ხუთი პერიოდის არსს, როდესაც ბავშვისათვის ადვილია სიყვარულის მიღება. ამ დროის განმავლობაში ბავშვის თავდაცვის ინსტიქტი დაბალია და მზად არის სიყვარულის მისაღებად. რა თქმა უნდა, ყველა ბავშვი განსხვავებულია. ერთი ბავშვი შეიძლება უფრო გახსნილი იყოს სიყვარულის მისაღებად ერთ პერიოდში, მაშინ როცა მეორე პერიოდში უფრო ნაკლებად პასუხობს სიტბოს. მშობლებმა უნდა იცოდნენ როდის უფრო გახსნილია მათი შვილი სიყვარულისა და მოფერების მისაღებად.

პირველი პერიოდი არის მაშინ, როცა ბავშვმა რალაცა სასაცილო დანახა. მაგალითად, ბავშვი შეიძლება ტელევიზორს უყურებს და სასაცილო სცენაა. ამ დროს მშობლებს შეუძლიათ თვალთ კონტაქტის, ფიზიკური კონტაქტისა და ფოკუსირებული ყურადღების დამყარება, სასაცილო სცენაზე კომენტარისას. მშობლებმა სწრაფად უნდა შეასრულონ ეს მოქმედება, რადგან ნამდვილად მონინააღმდეგე ბავშვებში მოკლე დროით გრძელდება ეს მდგომარეობა. ფრთხილად და სწრაფად უნდა 'შევიჭრათ და გამოვიჭრათ' ბავშვის სამყაროდან, თორემ შეიძლება მომავალში ანალოგიური შემთხვევისას ბავშვმა თავდაცვის ხერხს მიმართოს.

მეორე პერიოდი არის, როცა ბავშვმა რალაც შედეგს მიაღწია და საკუთარი თავით სამართლიანად ამაყობს. შედეგი შეიძლება იყოს ნებისმიერი რამ, რაზეც ბავშვი ნამდვილად გრძნობს კმაყოფილებას. ამ დროს შესაძლებელია მშობლებმა დაამყარონ თვალისა და ფიზიკური კონტაქტი (და ფოკუსირებული ყურადღება თუ შესაფერისი მომენტია) ბავშვის შექებისას. კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ უნდა ვიფრთხილოთ და არ გადავაჭარბოთ, განსაკუთრებით არ უნდა გავაჭიანუროთ; კვლავ 'შევიჭრათ და გამოვიჭრათ'.

მესამე პერიოდი არის მაშინ, როცა ბავშვი ფიზიკურად ვერ გრძნობს თავს კარგად. ბავშვი შეიძლება ავად არის ან რაიმე ტკივა და მისი მიღების უნარიანობა ამ დროს რატომღაც წინასწარ განუსაზღვრელია. ხანდახან ავადმყოფობამ შეიძლება გაზარდოს ბავშვში მოფერების სურვილი, მაგრამ ზოგ შემთხვევაში შეიძლება პირიქით მოხდეს. მშობლებმა გამუდმებით უნდა ვადევნოთ თვალყური და მაქსიმალურად

გამოვიყენოთ ასეთი შესაძლებლობები და გამოვხატოთ ბავშვისადმი სიყვარული ავადმყოფობის დროს. ბავშვს არასოდეს დაავინწყდება ასეთი განსაკუთრებული მომენტები.

მეოთხე პერიოდს ადგილი აქვს მაშინ, როცა ბავშვი ტკივილს განიცდის. ეს ხშირად ხდება თანატოლებთან კონფლიქტისას და მათი მხრიდან უსამართლო დამოკიდებულებისას. ასეთი ემოციური ტკივილისას, მრავალი წინააღმდეგობით სავსე ბავშვი მზად არის სიყვარულის მისაღებად.

მეხუთე პერიოდი დიდად არის დამოკიდებული ამ განსაკუთრებული ბავშვის წინამდებარე გამოცდილებებზე. მაგალითად, ერთ ბავშვს შეიძლება ბევრი სასიამოვნო მოსაგონარი ჰქონდეს მშობელთან ერთად გრძელ გზაზე სეირნობისას. ასეთი ბავშვისათვის სავარაუდოდ ადვილი იქნება სეირნობისას მშობლებისაგან სიყვარულის მიღება. მეორე ბავშვს შეიძლება კარგი მოგონებები ჰქონდეს ძილის წინაპერიოდში კითხვის, ლოცვისა და მასთან საუბრისა. ამიტომ უკვე ბუნებრივად არის მიდრეკილი ძილის წინა პერიოდში მშობლების მიერ გამოვლენილი სიყვარულის მისაღებად. სასიამოვნო და თბილი მოგონებები ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვისათვის და დიდ როლს თამაშობს მშობელსა და შვილს შორის ურთიერთობებზე. მაგალითად, ძილის წინ ბავშვის ყურადღებაზე დახარჯული დრო დიდი ინვესტიციაა.

შინაგანად, ყველა ბავშვს სჭირდება ბუნებრივად სიყვარულის მიღება-თვალისა და ფიზიკური კონტაქტი, და ფოკუსირებული ყურადღება. თუ ამას ხშირად ვერ იღებს ბავშვი, უნდა ვეცადოთ მიზეზის პოვნასა და ვითარების გამოსწორებას.

13

დავეხმაროთ ჩვენს შვილს სულიერად

ყველაზე მეტად თინეიჯერებისაგან გამოთქმული ერთ-ერთი მთავარი საჩივარი არის ის, რომ მშობლებმა ვერ მიანოდეს მათ საკმარისი ეთიკური და მორალური სტანდარტები, რასაც ისინი მოგვიანებით ცხოვრებაში გაატარებდნენ. ამ ტკივილს ბავშვები სხვადასხვაგვარი გზით გამოხატავენ. ერთი ახალგაზრდა ამბობს, რომ მას სჭირდება იცოდეს 'ცხოვრების აზრი.' მეორე ამბობს, რომ მას სჭირდება 'სტანდარტი წინამძღობისათვის.' მესამე 'რალაც ხელმოსაჭიდს' ეძებს ან 'რალაცას, რაც მასწავლის როგორ ვიცხოვრო.'

სასონარკვეთილების ეს გამოძახილი არ მოდის მხოლოდ რამოდენიმე უბედური თინეიჯერიდან. ყმანვილების უმეტესობა განიცდის და გამოხატავს ამ სურვილს. ისინი დაბნეულნი არიან-საშინლად დაბნეულნი-ამ ქვეყანაზე ცხოვრებით. ძალიან იშვიათად შეხვდები ადამიანს, რომელსაც 'ერთდროულად' მიუგნია თავისი ცხოვრების აზრისა და მიზნისათვის, რომელსაც მშვიდობა აქვთ საკუთარ თავთანაც და ქვეყნიერებასთანაც, და რომელსაც პერსპექტივა და წარმოდგენა აქვს ამ არეულ, ცვალებად და საშიშ ქვეყანაზე ცხოვრების. ამას ღრმად აქვს ფესვები გადგმული მათ ბავშვობაში.

ბავშვი პირველ რიგში მშობელს უყურებს წინამძღოლობისათვის, რაც მას შესაძლებლობას მისცემს ჯანსაღი ფასეულობების ჩამოყალიბებაში. იპოვის თუ არა ბავშვი მისთვის საჭირო ფასეულობებს, დამოკიდებულია ორ მთავარ საკითხზე. პირველი, აქვთ თუ არა თავად მშობლებს ეს ფასეულობები. მეორე, შეუძლია თუ არა ბავშვს მშობლებთან ისე გააიგივოს თავი, რომ მათი ფასეულობები აღიაროს. ბავშვს, რომელიც სიყვარულს ვერ გრძნობს ძალიან გაუჭირდება ამის გაკეთება.

პირველი თხოვნა

მოდი განვიხილოთ ის პირველი მოთხოვნილება, რაც აუცილებელია ცხოვრებაში მათთვის სასურველი აზრის საპოვნელად. თავად მშობლებს უნდა გვექონდეს ისეთი საფუძველი, რაზეც ავაშენებთ ჩვენს ცხოვრებას და რაც დროის გამოცდას გაუძლებს—რაღაც, რაც დაგვეხმარება ცხოვრების სირთულეების გადალახვაში: სიყმანვილე, ბავშვობა, საშუალო ასაკი, მოხუცებულობის ასაკში, ქორწინების სირთულეებში, ბავშვთან პრობლემებში, ენერჯის კრიზისში, და გამორჩეულად ცვალებად საზოგადოებაში, რომელიც განსაკუთრებით სწრაფად შთანთქავს სულიერ ფასეულობებს. მშობლებს უნდა გვექონდეს ისეთი მნიშვნელოვანი ფუნდამენტი, რომელზეც დავაშენებთ საკუთარ ცხოვრებას და შვილებსაც გადავცემთ. ჩემის აზრით, ეს არის ყველაზე ძვირფასი საგანძური, რაც კი შეიძლება გადავცეთ ჩვენს შთამომავლობას.

რა არის ეს აუცილებლად მნიშვნელოვანი საკუთრება, რომელიც ცხოვრების აზრსა და მიზანს გვაძლევს და ჩვენს ბავშვსაც გარდაქმნის? მრავალნი ეძებდნენ ამ კითხვაზე პასუხს ცივილიზაციის დასაწყისიდან მოყოლებული, მაგრამ მხოლოდ რამოდენიმე იპოვა იგი. ფილოსოფოსები თავს იმტვრევდნენ ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საუკუნეების განმავლობაში. ქვეყნისა და მთავრობის წინამძღოლები ახლაც ამტკიცებენ, რომ აქვთ ამ კითხვაზე პასუხი, თუმცა მათ მიერ შემუშავებული კანონები კვლავაც ცარიელს ტოვებს ადამიანთა გულს, როგორც აქამდე, და უფრო მეტად დამოკიდებულს ხდის

ადამიანს (მთავრობის მხრიდან) კონტროლზე. ცივილიზაცია გვთავაზობს ემოციური პრობლემების, გონებრივი აშლილობის, ფსიქოლოგიური გადაცდენების, ადაპტაციის პრობლემების, და ქორწინებაში არსებული პრობლემების გადასაჭრელად დახმარებას, მაგრამ ამაოდ.

ეს ძვირფასი, მშვიდობის-მომგვრელი ქონება, რისკენაც ყოველი ადამიანის გული ისწრაფის, ღმერთია. ის პიროვნულია, მაგრამ ყველამ შეიძლება გაიზიაროს. ის გვაძლიერებს კონფლიქტების ჟამს, და მწუხარებისას კომფორტს გვანიჭებს. ის გვაძლევს სიბრძნეს დაბნეულობისას, და შეცდომებისას გვამხელს. გვშველოდა წარსულშიც და მომავალშიც დაგვეხმარება. ის გვაძლევს მიმართულებას და წინამძღოლობას ყოველთვის, და მარტო არ გვტოვებს-ის ძმაზე უფრო ახლოს დგას ჩვენთან.

ის გვაძლევს მიმართულებას შესასრულებლად, და გვაძლევს გასაოცარ და შესანიშნავ ალტეიმებს მისი მორჩილების მსურველთ. ხანდახან ის უშვებს ჩვენზე ტკივილსა და დანაკარგს, მაგრამ ყოველთვის გვკურნავს და დანაკარგს უკეთესით გვივსებს. ის არ გვაძლებს თავის თავს, არამედ მოთმინებით ელის რომ მივიღოთ. ის არ გვაიძულებს თავისი სურვილების შესრულებას, არამედ გული სტკივა როცა მცდარ გზას ვადგავართ. მას სურს, რომ გვიყვარდეს, რადგან პირველად მან შეგვიყვარა და მოგვცა თავისუფალი ნება ავირჩიოთ ან უარვყოთ. მას უნდა, რომ ჩვენზე იზრუნოს, მაგრამ ძალას არ გვატანს. მისი უდიდესი სურვილია, რომ ჩვენი მამა იყოს, მაგრამ ძალით არ შემოგვეჭრება სახლში. თუ ჩვენც ის გვსურს, რაც მას, მოსიყვარულე, მზრუნველი, მამა-შვილური ურთიერთობა-მამინ უნდა მივიღოთ მისი შემოთავაზება. გველოდება გადავუშალოთ გული და გავხდეთ მისი შვილები. რა თქმა უნდა, სწორად გამოიცანით. ის უნდა იყოს პიროვნული ღმერთი.

ეს პირადი, ახლო ურთიერთობა ღმერთთან იესო ქრისტეს მეშვეობით ყველაზე მნიშვნელოვანია ცხოვრებაში. ეს არის ის რაღაც, რაც ჩვენს ახალგაზრდობას ასე 'სწყურია': 'ცხოვრების აზრი,' 'რაღაც, რაზე დაიმედებაც შეიძლება,' 'უმაღლესი

წინამძღოლობა, 'რალაც, რომ მოგვაროს კომფორტი, როცა ყველაფერი თავდაყირა დგას.' ყველაფერი მასშია.

გაქვთ თუ არა თქვენ ეს? თუ არა და, მოძებნეთ დახმარება რომელიმე მსახურის ან ქრისტიანი მეგობრის მეშვეობით; ან მომწერეთ გამომცემლის საშუალებით, და სასარგებლო მასალას გამოგიგზავნით.

მეორე მოთხოვნა

მეორე თხოვნა მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ბავშვებს მივცეთ ის რაც ჩვენ გვაქვს, რომ ბავშვმა საკუთარი თავი ისე გააიგივოს მშობელთან, რომ მიიღოს და შეერწყას მშობლის ფასეულობებს.

გაიხსენეთ, რომ თუ ბავშვი არ გრძნობს მშობლებისაგან უპირობო სიყვარულსა და მიღებას, სირთულე შეექმნება მშობლებთან და მათ ფასეულობებთან თავის გაიგივებაში. მშობლებთან ძლიერი, ჯანსაღი სიყვარულით სავსე ურთიერთობის გარეშე, მშობლების წინამძღოლობას ბავშვი პასუხობს სიბრაზით, წინააღმდეგობითა და სიძულვილით. ის მშობლების ყოველ თხოვნას (ან ბრძანებას) არასასურველად მიიჩნევს და უარყოფს. უარეს შემთხვევებში, ბავშვი სწავლობს მშობლების თხოვნის ისეთ უარყოფას, რომ მშობლების ავტორიტეტისადმი მორჩილების (და ყველა სხვა ავტორიტეტის, ღვთის ჩათვლით) ნაცვლად, სრულიად საწინააღმდეგოს აკეთებს.

ასეთი დამოკიდებულებისა და ორიენტაციის ფონზე, უკვე ხედავთ რამდენად რთულია, რომ შვილს მორალური და ეთიკური ფასეულობები გადასცე.

იმისათვის, რომ ბავშვმა მშობლებთან გააიგივოს თავი (გაუჩნდეს მიბაძვის სურვილი) და შეძლოს მათი სტანდარტების მიღება, უნდა გრძნობდეს მშობლებისაგან სიყვარულს და მიღებას. ღმერთთან ისეთი ახლო ურთიერთობა უნდა ასწავლონ მშობლებმა ბავშვს, როგორსაც თავად ფლობენ. მშობლები უნდა დარწმუნდნენ, რომ ბავშვი უპირობო სიყვარულს გრძნობს. რატომ? იმიტომ რომ ასე ვუყვარვართ ღმერთს-უპირობოდ. იმ

ადამიანებს, რომლებიც მშობლებისაგან უპირობო სიყვარულს ვერ გრძნობენ, ღვთის სიყვარულის განცდაც უჭირთ. როგორც წესი, ეს არის უდიდესი დაბრკოლება უამრავი ადამიანისათვის ღმერთთან პიროვნული ურთიერთობის დამყარებაში. მშობლებმა ხელი უნდა შეუშალონ ამ მოვლენის საკუთარ შვილებში განვითარებას.

როგორ უნდა გაიგონ მშობლებმა, რომ შვილები მზად არიან ღმერთის სიყვარულის მისაღებად? უნდა დარწმუნდნენ, რომ ისინი გრძნობენ მის საჭიროებას და ემოციური ავზიც სავსეა. შეუძლებელია, რომ მშობლები უბრალოდ მოელოდნენ შვილისაგან ახლო, თბილ, დასაჯილდოვებელ ურთიერთობას ღმერთთან, ვიდრე ემოციურ მზრუნველობას არ გამოიჩინენ მასზე და მასაც ანალოგიური დამოკიდებულება არ ექნება მშობლებთან.

დიახ, მინახავს ფიზიკური დასჯის ფონზე აღზრდილი გაქრისტიანებული ბავშვები. მაგრამ, რადგან უპირობო სიყვარულის ნაცვლად ფიზიკურ ტკივილში იზრდებოდნენ, ამ უბედურ ადამიანებს იშვიათად აქვთ ჯანსაღი, მოსიყვარულე, და თბილი ურთიერთობა ღმერთთან. ცდილობენ გამოიყენონ რელიგია სხვების წინააღმდეგ 'დახმარების' მიზნით. ისინი იყენებენ ბიბლიის მცნებებსა და წმიდა წერილის სხვა მოსაზრებებს თავისი სასტიკი, უხეში და უსიყვარულო საქციელის გასამართლებლად. ცდილობენ, რომ საკუთარი თავი სულიერი მაგისტრის როლში წარმოაჩინონ სხვებისათვის წესიერებისაკენ მოწოდების მიზნით. თუმცა, ნებისმიერი ბავშვისათვის არის შესაძლებელი იპოვოს თავისი გზა ღვთისაკენ და მიიღოს მისი სიყვარული. ღმერთისათვის ყველაფერი შესაძლებელია. სამწუხაროდ, ბავშვის შესაძლებლობა მნიშვნელოვანდ მცირეა, თუ მის მშობლებს სიყვარულის საფუძველი არ მიუციათ მისთვის.

ორი მნიშვნელოვანი მოთხოვნაა იმისათვის, რომ ბავშვს სულიერი დახმარება გავუწიოთ, ესენია: მშობლების პირადი ურთიერთობა ღმერთთან, და ბავშვის დარწმუნება იმაში, რომ უპირობოდ უყვართ.

ბავშვის მეხსიერება

შემდეგი მნიშვნელოვანი რამ, რაც უნდა ვიცოდეთ ბავშვის შესახებ არის, თუ როგორ მოქმედებს მისი მეხსიერება. გახსოვდეთ, რომ ბავშვი უფრო ემოციურია, ვიდრე შემეცნებითი. ბავშვს უფრო ადვილად ახსოვს რას განიცდიდა განსაკუთრებულ სიტუაციაში, ვიდრე რა და როგორ მოხდა. ნება მომეცით ერთი შესაბამისი მაგალითი მოვიყვანო. საკვირაო სკოლის ბავშვს უფრო მეტხანს ახსოვს როგორ გრძნობდა თავს, ვიდრე რა ითქვა ან რა ასწავლეს. ხანდახან ის, თუ როგორ გრძნობდა ბავშვი თავს, კარგად თუ ცუდად, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, რა ასწავალა მასწავლებელმა. კარგ ან სასიამოვნო განცდაში არ ვგულისხმობ, რომ მასწავლებელმა ბავშვის სურვილები უნდა დააკმაყოფილოს. მე ვგულისხმობ ბავშვისადმი თავაზიან, პატივისცემით და ინტერესიან დამოკიდებულებას. დაეხმარო მას საკუთარ თავზე დადებით წარმოდგენაში. ნუ გააკრიტიკებ, ნუ დაამცირებ, ან სხვა ფორმით ნუ დასცემ ბავშვს ძირს. ბუნებრივია, რასაც ასწავლიან ბავშვს ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ თუ ეს ბავშვისათვის მოსაწყენი და მიუღებელი გზით ხდება, უფრო მეტად მოსალოდნელია რომ ბავშვი ყველაზე საუკეთესო სწავლებასაც კი უგულვებლყოფს, განსაკუთრებით თუ მორალსა და ეთიკას მოიცავს ეს სწავლება. ანალოგიური სიტუაციებიდან უვითარდება ბავშვს რელიგიური საკითხებისადმი ძლიერი წინააღმდეგობა, და ეკლესიურ ხალხს ფარისევლებად მიიჩნევს. რთულია ასეთი დამოკიდებულების გამოსწორება, რადგან მთელი ცხოვრების განმავლობაში მიჰყვება ადამიანს. თუ ბავშვის აღზრდისეული მეხსიერება დადებითია, ბავშვს სულიერი საკითხებისადმი სასიამოვნო მოგონებები მიჰყვება და მოგვიანებით მას ხასიათში გაუფჯდება.

მაგალითისათვის, ჩვენს მეგობარს ჰყავდა რვა წლის ვაჟი, მიხეილი, რომელსაც მოსწონდა საკვირაო სკოლა და სულიერი საკითხების შესწავლა. მისთვის პრობლემას არ წარმოადგენდა უფლის სახლში წასვლა. სამწუხაროდ, ერთ კვირა დილას, მიხეილი და მისი ენერგიული მეგობარი მასწავლებლის პრეზენტაციის დროს საუბრობდნენ და იცინოდნენ. გაბრაზებულმა მასწავლებელმა, მიხეილი და მისი მეგობარი

პატარა ოთახში შეიყვანა და აიძულა დაენერათ ‘პატივი ეცი დედასა და მამასა შენსა’ უსასრულოდ, ვიდრე მიხეილის მშობლები არ მოვიდნენ ბავშვის წასაყვანად. უსამართლო და უგუნურ სასჯელს დრამატული შედეგი მოჰყვა. ამან ისეთი ბრაზი, ტკივილი, და წინააღმდეგობა გამოიწვია, რომ მიხეილი ნებისმიერი სულიერი საკითხის მიღებაზე უარს ამბობდა. მას აღარ უნდოდა ეკლესიაში დაბრუნება და, რა თქმა უნდა, მისი ღმერთზე წარმოდგენა მტკივნეულად შეიცვალა. მხოლოდ რამოდენიმე თვის შემდეგ შეძლეს მიხეილის მოსიყვარულე მშობლებმა ბავშვისათვის სულიერი ჭეშმარიტებისადმი ნდობა დაებრუნებინათ. ხშირია ანალოგიური შემთხვევები, დიდი თუ პატარა დოზით, როცა მასწავლებელი სწავლას ანაცვალავს ხოლმე, ბავშვის ემოციურ კეთილდღეობას. ემოციურობა და სულიერება ორი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული რამ არის. ამის გამო, თუ მშობლებს სურთ დაეხმარონ ბავშვს სულიერად, პირველ რიგში მათ მის ემოციურ კმაყოფილებაზე უნდა იზრუნონ. რადგან ბავშვს განცდები უფრო ადვილად ამახსოვრდება ვიდრე ფაქტები, მეხსიერებაში ადგილი უნდა ჰქონდეს სასიამოვნო განცდებს, რომლის საფუძველზეც დაიმახსოვრებს ფაქტებს, განსაკუთრებით სულიერ ფაქტებს.

პოპულარული მცდარი წარმოდგენა

ახლა განვიხილოთ პოპულარული მცდარი წარმოდგენა. რაც რაღაც ამდაგვარს ჰგავს: ‘მინდა, რომ ჩემმა შვილმა თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება, მას შემდეგ რაც ყველაფერს გაიცნობს. ის არ უნდა გრძნობდეს, რომ მე მინდა ის ირწმუნოს, რაც მემნამს. მინდა, რომ ჩემმა შვილმა სხვადასხვა რელიგიებისა და ფილოსოფიის შესახებ ისწავლოს: როცა გაიზრდება შეუძლია დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება.’

ასეთი მშობლები ან მაგალითს იღებენ ქვეყნიერებიდან ან უბრალოდ უარყოფენ რაც სინამდვილეში ხდება. ასეთ ვითარებაში გაზრდილი ბავშვი რა თქმა უნდა საცოდავია. მუდმივი წინამძღოლობისა და ეთიკური, მორალური თუ სულიერი საკითხების გარკვევის გარეშე, დაიკარგება ამ

ქვეყნიერებაზე. უამრავი პასუხი არსებობს ცხოვრებისეულ კონფლიქტებსა და წინააღმდეგობებზე. ერთ-ერთი საუკეთესო საჩუქარი, რისი გაკეთებაც მშობლებს შვილებისათვის შეუძლიათ, არის ამ ქვეყნიერებისა და მისი დამაბნეველი პრობლემების შესახებ ნათელი წარმოდგენის მიცემა. ამ მყარი წარმოდგენისა და ცოდნის გარეშე, განა კიდევ გასაკვირია, რომ უამრავი ბავშვი შეღალაღებს საკუთარ მშობელს, 'რატომ არ მომეცი ცხოვრების აზრის ცოდნა? რას ნიშნავს ეს ყველაფერი?'

კიდევ ერთი მიზეზი, რატომ არის ეს მოსაზრება სულიერად გადაჭრით უკუსაგდები, შემდეგია. უფრო მეტი ჯგუფები, ორგანიზაციები და კულტები სთავაზობენ ადამიანს დამანგრეველ, დამამონებელ და მცდარ პასუხებს ცხოვრების მთავარ კითხვასთან დაკავშირებით. ასეთი ჯგუფები ოცნებობენ არასათანადოდ აღზრდილი ადამიანის ხელში ჩაგდებას. იგი ადვილი მსხვერპლია ნებისმიერი ჯგუფისათვის, რომელთაც მყარი პასუხები აქვთ, მნიშვნელობა არა აქვს რამდენად მცდარი და დამამონებელიც არ უნდა იყოს იგი.

ძალიან მიკვირს, როგორ შეუძლიათ მშობლებს პოლიტიკური მანიპულაციებისათვის თავის გართმევა და ბავშვის განათლებაში ათასობით დოლარის გადახდა. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, რაც ადამიანს ცხოვრების ასპარეზზე გამოადგება და ძალას მისცემს მას ღირსეულად განვლოს იგი, მათი ყურადღების მიღმა რჩება! ამიტომაც ბავშვი მარტო რჩება ამ კითხვების წინაშე და კულტებისათვის ადვილი მსხვერპლი ხდება.

ყოველ ბავშვს უყვარს ისტორია

როგორ ამზადებენ მშობლები შვილებს სულიერად? ორგანიზებული რელიგიური ინსტრუქციები და ღონისძიებები საგრძნობლად მნიშვნელოვანია მოზარდი ბავშვისათვის. თუმცა, არაფერი ისეთ გავლენას არ ახდენს ბავშვზე როგორც სახლი და ის, რაც ბავშვმა იქ ცხოვრებისას მიიღო. და რაც ბავშვის სულიერ გარემოზეც მოქმედებს. მშობლებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ბავშვის სულიერ ზრდაში. მათ ამ

საქმის კეთება სხვებს არ უნდა გადასცენ, თუნდაც ეკლესიის ახალგაზრდა საუცხოო ხელმძღვანელს.

პირველი, მშობლებმა თვითონ უნდა გააცნონ შვილებს სულიერი საკითხები. მათ არა მხოლოდ სულიერი ფაქტები უნდა ასწავლონ, არამედ ისიც, თუ როგორ დანერგონ ეს ყოველივე ცხოვრებაში. რაც ადვილი საქმე არ არის.

ადვილია ბავშვს გადასცე ნერილისეული ამბავი, მაგალითად ვინ იყო ესა თუ ის პერსონაჟი და სად და რა გააკეთა. მაგრამ ეს არ არის ჩვენი მთავარი მიზანი. ბავშვმა უნდა გაიგოს რა მნიშვნელობა აქვს ბიბლიურ პერსონაჟს და პრინციპებს პიროვნულად მისთვის. ამ შედეგს მივალწევთ მხოლოდ საკუთარი თავის მიძღვნითა და ფოკუსირებული ყურადღების გამახვილებით. ბავშვს უნდა მივაქციოთ ფოკუსირებული ყურადღება და მარტო გავატაროთ მასთან დრო, რათა დავაკმაყოფილოთ მისი ემოციური და სულიერი მოთხოვნილებები. ამიტომაც, რატომ არ უნდა დავნერგოთ ეს მეთოდი ყოველდღიურ პრაქტიკაში?

ამისათვის ყველაზე კარგი შემთხვევაა ძილის დრო, ამ დროს ბავშვების უმეტესობას ერთი სული აქვთ ჰქონდეთ მშობლებთან ურთიერთობა. მნიშვნელობა არა აქვს, მათ ემოციურ ავზს სჭირდება ავსება თუ ძილის წინ სასიამოვნო და განსხვავებული გარემოს შექმნის სურვილი აქვთ. მთავარია, რომ ეს არის ბავშვის ემოციური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საუკეთესო დრო, მიეცით მას სულიერი წვრთნა და წინამძღოლობა, და ეს ყველაფერი ისეთ ატმოსფეროში გააკეთეთ, რომ ბავშვს კარგად დაამახსოვრდეს. როგორ შეძლებენ მშობლები ასეთი რამის ეკონომიური გზით ბავშვისათვის მიცემას?

ყოველ ბავშვს უყვარს ისტორია. როცა ჩვენი შვილები იზრდებოდნენ, მე და ფეთი ცალ-ცალკე ვუკითხავდით ბავშვებს ისტორიებს, ხანდახან ამქვეყნიურ მოთხრობებს, ხანდახან ქრისტიანული წიგნის მოთხრობებს. ხშირად მთხოვდნენ ჩემს მიერ გამოგონილი ამბების გამეორებას- 'ბინგ ბინგ და ბონგ ბონგი', 'დიდებული რუტაბაგა', და სხვა.

ერთ პერიოდში მსახურების ამბების წაკითხვაც კი შესაფერისად მივიჩნიეთ. ჩემს ბიჭებს განსაკუთრებით უყვარდათ ამ ამბების შესახებ კითხვებზე პასუხის გაცემა,

და წიგნები, რომლებიც ამ ამბების შემდეგ კითხვებით სრულდებოდა, განსაკუთრებულად სასარგებლო იყო ამ მიზნისათვის. იმ წიგნების უმეტესობა, რასაც მაშინ ჩვენს შვილებს ვუკითხავდით ახლა აღარ იბეჭდება, მაგრამ შეგიძლიათ ნებისმიერი ქრისტიანული წიგნების მაღაზიაში შეხვიდეთ და ანალოგიური შინაარსის წიგნები მოძებნოთ თქვენი შვილებისათვის.

თუ ბავშვი მოთხრობის ნაკითხვის შემდეგ კითხვებზე პასუხს გაცემს, ეს კითხვები ყოველთვის შეეხება ბავშვის პირად ცხოვრებასაც, და მშობელს შესაძლებლობა მიეცემა გაიგოს რა ხდება შვილის პირად ცხოვრებაში. ასეთ შემთხვევაში ბავშვამდე უწყობის მიტანა მშობლების უმეტესობას უჭირს, უხერხულად გრძნობენ თავს და უარს ამბობენ, განსაკუთრებით მაშინ, როცა ბავშვი ძალიან არ აქტიურობს. ნუ დაუშვებთ რომ ამან შეგაფერხოთ! მნიშვნელობა არა აქვს აქტიურად პასუხობს თუ არა ბავშვი, დარწმუნებული იყავით, რომ ასეთი მეთოდით დიდ გავლენას მოახდენთ ბავშვზე. ანალოგიურად ბავშვთან გატარებულ დროს დიდი შედეგი მოაქვს. თუ ახლა არ მოახდენთ თქვენს შვილზე სულიერ გავლენას, მოგვიანებით სხვა გააკეთებს ამას.

გაუზიარეთ თქვენი სულიერი ცხოვრება

კიდევ ერთი აზრი ბავშვისათვის სულიერების გაზიარების შესახებ. ბავშვისათვის ეკლესიიდან, საკვირაო სკოლიდან და სახლიდან მიღებული ინფორმაცია არის მხოლოდ მასალა, რასაც მის ცხოვრებასთან შესისხლხორცება სჭირდება. მან უნდა ისწავლოს ამ მასალის ეფექტურად და ზუსტად გამოყენება, რათა სულიერად ზრდასრულ ადამიანად ჩამოყალიბდეს. ამისათვის, ბავშვს უნდა ჰქონდეს ღმერთთან ერთად ყოველდღიურად სიარულისა და პიროვნულად მასზე დამოკიდებულების გამოცდილება. ამის მისაღწევად საუკეთესო გზა არის გაუზიარო ბავშვს შენი სულიერი ცხოვრების გამოცდილება. რა თქმა უნდა, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა გაქვთ გასაზიარებელი, და რამდენს გაუზიარებთ

დამოკიდებულია ბავშვზე, მის ასაკზე, მისი განვითარების დონეზე, და მისი მიღების შესაძლებლობებზე.

ასაკობრივ ზრდასთან ერთად, უფრო მეტი უნდა გავუზიაროთ ბავშვს თუ როგორ გვიყვარს ღმერთი, როგორ გვაქვს მასთან ყოველდღიური ურთიერთობა, მისი იმედი, მისი წინამძღოლობა და დახმარება, რომ მადლიერი ხარ მისი სიყვარულისათვის, ზრუნვისათვის და ღოცვის პასუხებისათვის.

ამის შესახებ ბავშვს მაშინვე უნდა გავუზიაროთ, როგორც კი რაიმე მოხდება და არა დიდი ხნის შემდეგ. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეუძლია ბავშვს პრაქტიკულად სასარგებლო გამოცდილების მიღება. წარსულის გამოცდილება უბრალოდ ნამდვილ ფაქტებს მატებს საკითხს, და არა ამ სიტუაციაში პრაქტიკულად სასარგებლო გამოცდილების გამომუშავებას. რაღაც ჭეშმარიტება არსებობს ძველ გამონათქვამში, 'გამოცდილება საუკეთესო მასწავლებელია.' ნება მიეცით ბავშვს საკუთარი გამოცდილება გაგიზიაროთ. მალე ბავშვი მიეჩვენება ღვთის ნდობას, და უფრო გაძლიერდება.

ბავშვმა უნდა იცოდეს თუ როგორ პასუხობს ღმერთი პიროვნულ და ოჯახურ საჭიროებებს, ფინანსების ჩათვლით. მან უნდა იცოდეს რაზე ღოცულობენ მისი მშობლები. მაგალითად, უნდა იცოდეს, როდის ღოცულობ სხვების საჭიროებებისათვის. (შესაფერის ფარგლებში) უნდა იცოდეს რა პრობლემების მოგვარებისათვის ღოცულობთ. და არ დაგავინყდეთ, რომ ბავშვს გაუზიაროთ თუ როგორ მოქმედებს ღმერთი თქვენს ცხოვრებაში, როგორ გიყენებთ ღმერთი სხვისთვის მსახურების საქმეში. და რა თქმა უნდა, ბავშვმა დარწმუნებით უნდა იცოდეს, რომ მისთვის და მისი განსაკუთრებული საჭიროებისათვისაც ღოცულობთ.

ბოლოს, ბავშვმა თქვენი მაგალითიდან უნდა ისწავლოს როგორ აპატიო და როგორ იპოვო პატიება ღმერთსა და ადამიანებში. პირველ რიგში, მშობლები ამას აკეთებენ სხვებისადმი მიტევებით. შემდეგ, როცა შეცდომას დაუშვებენ, ბოდიშს იხდიან და ღმერთს პატიებას სთხოვენ. ვერ შევძლებ გადაჭარბებით ვისაუბრო ამ საკითხის მნიშვნელობაზე. უამრავ ადამიანს აქვს დღეს დანაშაულის შეგრძნების პრობლემა. მათ არ შეუძლიათ პატიება და ვერც თავად გრძნობენ მიტევებას.

ამაზე დიდი უბედურება რალა უნდა იყოს? მაგრამ, ის ბედნიერი აღამიანი, ვინც ისწავლა როგორ მიუტევოს თავის მანყინრებს, გვიჩვენებს ჯანსაღ გონებრივ მდგომარეობას და შედეგად მშვიდობას პოულობს.

მსჯელობის დასასრულს, ვიმედოვნებ, რომ სერიოზულად მიიჩნევთ ამ წიგნში განხილულ პრინციპებს. ეს წიგნი თქვენთვის დანერა იმ მშობელმა, რომელმაც საკუთარ ოჯახში და პროფესიაში მიიღო იმის გამოცდილება, რომ მშობლებს ნამდვილად უნდა უყვარდეთ შვილები და უნდა სურდეთ იხილონ როგორ იზრდებიან ძლიერები, ჯანსაღნი, ბედნიერნი, და დამოუკიდებლები. ახლა, შეიძლება სურვილი დაგებადათ ხელახლა წაიკითხოთ ამ საკითხების შესახებ და ყურადღება გაამახვილოთ იმ პრინციპებზე, რომლებსაც დარწმუნებული ვარ ნამდვილად გაატარებთ პრაქტიკაში, თქვენი შვილის შეყვარების გზების ძიებისას. მე მოგიწოდებთ ამის გასაკეთებლად.

სარჩევი

წინასიტყვაობა	4
შესავალი.....	6
პრობლემა.....	8
ფონი	21
საფუძველი.....	34
როგორ გამოვხატოთ სიყვარული თვალებით.....	44
როგორ გამოვხატოთ სიყვარული ფიზიკური კონტაქტით.....	54
როგორ გამოვხატოთ სიყვარული ფოკუსირებული/მიზანდასახული ყურადღებით	67
შესაფერისი და შეუფერებელი სიყვარული	81
ბავშვის სიბრაზე.....	94
დისციპლინა: რა არის ეს?.....	101
დისციპლინა სიყვარულით	115
დისციპლინა-თხოვნა, ბრძანება, დაჯილდოვება და დასჯა.....	127
განსაკუთრებული პრობლემის ბავშვები	144
დავეხმაროთ ჩვენს შვილს სულიერად.....	152

ეს კლასიკური წიგნი მოიცავს ბოლო სამოცი წლის საუკეთესო წიგნებს სიყვარულის შესახებ. მსოფლიოში აღიარებული ავტორების მიერ რედაქტირებული წიგნი, რომელიც იმედის, პრაქტიკული წინამძღოლობისა და სწავლების შესახებ ისტორიებზე მოგვითხრობს, თქვენი ბიბლიოთეკის კიდევ ერთი სასურველი შენაძენი გახდება.

როგორ უნდა გიყვარდეთ ნამდვილად თქვენი შვილი არის საერთაშორისო დონეზე აღიარებული ბესტსელერი-დოქტორი როს კემბელი წარმოგვიდგენს ბავშვის ემოციურ საჭიროებას და მშობლებს ისეთი უნარ-ჩვევების გამომუშავებაში ეხმარება, რომელთა მეშვეობითაც ბავშვი ნამდვილად საყვარელად გრძნობს თავს. იგი ყურადღებას ამახვილებს სამ მნიშვნელოვან მომენტზე, რაც დაეხმარება თქვენს შვილს სიყვარულისა და ემოციების გაერთიანებაში:

- ფიზიკური შეხების აუცილებლობა
- თვალთ კონტაქტის აუცილებლობა
- ფოკუსირებული ყურადღების აუცილებლობა

„ეს არის გულში ღრმად ჩამწვდომი წიგნი, თუმცა დღეს ბავშვის სწორად აღზრდა ადვილი საქმე არ არის. ეს წიგნი ეხება მშობლობის რეალურ პრობლემას.“

ფიონა კასტლი

